

ზელიმ ჩაკვეტაძე

(ვასო ზიძია)

ჩემი კომენტარები
ჩვენს ცხოვრებაზე

ზელინ ჩაკვეტაძე

(ვასო პიძია)

**ჩემი კომენტარები
ჩვენს ცხოვრებაზე**

2020 წელი

© ზელიმ ჩაკვეტაძე, 2020

დაიბეჭდა გამომცემლობა „საარის“ სტამბაში

წინასიტყვაობა

წიგნი „ჩემი კომენტარები ჩვენს ცხოვრებაზე“ მაჩვენებელია იმ წინააღმდეგობებისა, რომლებიც მუდამ თან ახლდა ქართულ ცხოვრებას. წინააღმდეგობების გარეშე კაცთა ცხოვრება არსად არ არის, მაგრამ საქართველოში იგი იმდენია, რომ პროფესიონალურ ბუღალტერს გაუჭირდება მისი აღრიცხვა.

ქართველი კაცის სულიერი სამყარო დაავადებულია: კოსმოპოლიტიზმით, შოვინიზმით, სიონიზმით, ურწმუნოებით, კარიერიზმით, შურით, დაუნდობლობით, სიძულვილით, სიზარმაცით, მომხვეჭელობითა და უამრავი სხვა სენით.

თეოლოგები კი ამბობენ „საქართველო ღვთისმშობლის ქვეყანაა“, მაგრამ ხალხურ სიბრძნეს თუ დავეყრდნობით, რომ „საქმემან შენმან გამოგაჩინოს, აღმოჩნდება, რომ მას ღვთისმშობლის კი არა სატანას „წყალობა“ უფრო ეტყობა. მას თავისი კაბის კალთა აქ დაუბერტყია და ფეხიც ისე მძლავრად მოუდგამს, რომ ჰერაკლესაც გაუჭირდება მისი შერყევა.

კი გაიძახიან პრეროგატივები ჩვენ გიხსნით გაჭირვებიდანო, მაგრამ რა საშუალებებით, ამის შესახებ დუმან. მოქმედება მხოლოდ იმაზე მიგვითითებს, რომ ისინი პურის გაძვირებით ფიქრობენ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას, მაგრამ ასეთი ტაქტიკით სტრატეგიის მიღწევა მე ილუზიით მიმაჩნია და ჩემზე ჭკვიანმა კაცმა შეიძლება სისულელედაც ჩათვალოს.

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ქართველმა კაცმა პირველ რიგში უნდა იწამოს ღმერთი. ის ღმერთი კი არა სხვას რომ ხოხბის ხორცი თუნც სადილს და შენ მარხვის დაცვას გასწავლის, არამედ ის, რომელიც ცხოვრებულ ილია ჭავჭავაძეს სწამდა: ღმერთი რწმენის, თავისუფლების, სინდის-ნამუსის, სამართლიანობის, კაცთმოყვარეობის, შრომის, პატიოსნების, სიყვარულის მეგობრობის და მამულიშვილობისა როცა კაცი ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები ჩარჩოში ჩადგება, მხოლოდ მაშინ განიკურნება იგი სატანის თილისმისაგან.

საჭიროა გვახსოვდეს ვერჰარნიესელი დარიგება: „სუფთა გულით სძლიეთ რისხვა ბედისწერის, რამაც დასცა თვით რომი და კართაგენი და ქვეყანას მოედება ცათა სწორი თქვენი რწმენის ცეცხლი გულის გარდამქმნელი“.

ქართველ კაცს სჭირდება, კარგად დაუკვირდეს ვერჰარნისეულ დარიგებას, რომ ბედისწერის რისხვის ძლევა წენვა-გლეჯის ბაზრის დოქტრინებით არ მოხერხდება. მისი ძლევა მხოლოდ სუფთა გულით არის შესაძლებელი და არა სატანისეული ხრიკებით.

ზელიმ ჩაკვეტაძე

18.XI.2020წ.

საქართველოს მთავრობის კომალიკაციის და ერის გადამრჩენი ფაქტორები

„დიდი ცოდვაა ქვეყნად ქრისტეს არ ცნობა“

დანტე

*„საზოგადოება, რომელიც შრომას უარყოფს,
იშლება და იღუპება“*

აკ. ბაქრაძე

*„თვითონ ჯალათებს გადაქცეულს სმენად და ჭვრეტად,
მცოდნეთ რა ძალა რა სიმტკიცე ღვივის გზებისთვის
შიშის ზარს სცემდა პოეზია უფრორე მეტად
ვინემ ფერმკრთალი შეთქმულება აჯანყებისთვის“*

გალაკტიონი

ყოველ ხალხს გააჩნია არსებობის შენარჩუნებისა და გადარჩენის ფაქტორები. ჩვენი ერის დღემდე მომყვანი და მომავალშიც გადარჩენის სამი ძირითადი ფაქტორი არსებობდა, არსებობს და ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც იარსებებს. ეს ფაქტორები I. რწმენა, II. შრომა, III. პოეზია ისეა ქართველი კაცის შეგნებაში გადაჯაჭვული, რომ მათი ერთმანეთისაგან გათიშვა კი არა, გათიშვის უბრალო მცდელობაც საქმეს დააზარალებს.

როცა რწმენაზე ლაპარაკობენ, პირველ რიგში გულისხმობენ რელიგიურ რწმენას, ჩვენს შემთხვევაში ქრისტიანულს. შემდეგ სხვა რწმენებსაც. რწმენა კაცს შეიძლება ბევრგვარი ჰქონდეს: მამავლის, ძმობის, მეგობრობის, სიყვარულის, სიძულვილის და სხვ.

ქართველი კაცის შეგნებაში პროგრესული რწმენები, ტრადიციები და ადათ-წესები ოდითგან შედუღაბდა ქრისტიანობასთან, ხოლო ბოროტი – სატანასთან.

კეთილშობილი გრძნობები და ადათ-წესები დაკავშირებულია ქრისტეს მოძღვრებასთან, რომლის გამგე და გამტარებელი მინაზე ეკლესიაა, ხოლო ცაში კი თვითონ – ღმერთია.

ადრეულ საუკუნეებში რელიგიური ქურუმები საერო საქმესაც განაგებდნენ, ხოლო დიდი რელიგიების გაჩენის შემდეგ რელიგიური ქურუმების მმართველობის პარალელურად შეიქმნა საერო მმართველობა.

ეს ორი მმართველობა მჭიდრო კავშირში იყო ერთმანეთთან, მაგრამ თვისობრივად მაინც განსხვავებული იყვნენ, რადგან პირველის უპირველესი საზრუნავი იყო ადამიანის მომზადება მარადიული ცხოვრებისათვის, ხოლო მეორისა – სააქაო (ამქვეყნიური) ცხოვრებისათვის. მათი მუშაობის სპეციფიკურობა ხშირად ინვევდა მათ შორის დაპირისპირებას, მაგრამ ხალხის დამორჩილების საქმეში მუდამ ერთსულოვანი იყვნენ.

ჩვენთვის საინტერესოა, როგორც ილია ამბობდა: „ღმერთი რწმენის და თავისუფლების“, რომელსაც უკავშირდება კაცთა შეგნებაში არსებული ყველა სიკეთე.

ცუდია ის, რომ ხალხში არც თუ ისე იშვიათად მოისმენ ასეთ აზრს: „ღმერთი მნამს და მღვდელი არა“-ო. რა აიძულებს ამ კაცებს, რომ ასეთი აზრის იყონ? პასუხი შეიძლება მხოლოდ ასეთი იყოს: მღვდლის მიერ ღმერთისგან დაკისრებული მოვალეობის არადაამაკმაყოფილებლად შესრულება.

კარლ მარქსი რომ სტყუოდეს – „ყველაფრის საფუძველი ეკონომიკაა“ – არ იყოს, მაშინ ამ საკითხზე მსჯელობა არ მოგვინევდა. აქ ანგარიში უნდა გავუწიოთ აინშტაინის აზრს, რომ „მეცნიერება არის ის, რაც არის და არა ჰიპოტეტური ასე რომ მომხდარიყო“ ქვეყანაში რომ ორი მმართველის მაგივრად ერთი ყოფილიყო, მაშინ თონეთელი გლეხი გაზეთ „დროებაში“ ვერ განაცხადებდა: „ხელმწიფის გადასახადს გავუძღვებთ ბატონო, მაგრამ მღვდელს ჩვენ ვერ აუვალთო“.

... მღვდლები ერთობ ბევრს თხოვენ ხალხს, ამის თაობაზე, მღვდელსა და მრევლს შუა მუდამ განხეთქილება და ჩხუბი ხდება, რომელსაც ერთობ ცუდი ზემოქმედება აქვს თვით ხალხის სარწმუნოებრივ გრძნობებზე.

„სასულიერო მთავრობა არავითარ ზომას არ იღებს მღვდელსა და ერს შორის გამართული ვაჭრობის აღმოსაფხვრელად, რომელიც ერთი მხრივ სარწმუნოებრივი გრძნობის შემგინებელია და ზნეობითაც გამრყენელი სენია და მეორე მხრივ კი ერის ჯიბის დამცარიელებელი მოვლენაა. ამ უთანასწორო ბრძოლიდან ყოველთვის ერი გამოდის დაჩაგრული“, გაზეთი „შრომა“ 1887წ. №17.

აღბათ ანალოგიურმა მდგომარეობამ ათქმევინა გოეთეს გერმანული ეკლესიის შესახებ:

„ჩვენს ეკლესიას აქვს ძალიან დიდი სტომაქი, კუჭს არ

უფუჭებს, რისი ჩანთქმაც გინდა ინებოს, მის ხახას ცოტა ქვეყანა თუ გადარჩენია, მაგრამ ფრჩხილიც კი არასოდეს წამოსტკენია“.

გოეთე ალბათ ჯეროვნად ვერ იცნობდა ქართულ სტომაქს და ვერც მის მომავალზე იმსჯელებდა, რომ იგი XXI საუკუნის 10-იან წლებში წელიწადში რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის 43%-ს ჩაყლაპავდა. თორემ გერმანული ეკლესიის სტომაქის უნარი ვეღარ გააკვირვებდა.

გაზეთებში „კვალში“ და „დროებაში“ გამოქვეყნებული ფაქტები დღემდე ვერ გამოასწორა ვერც ქართულმა და ვერც სხვა ეკლესიებმა. კარგი საქმის გაკეთება ადრე ჯობია, მაგრამ თუ ადრე არ მოხერხდა, გვიან მაინც უნდა გაკეთდეს.

წამდვილად არ ეკადრება ეკლესიის მსახურს, რომელსაც ერი, „მამაო“-ს ეძახის, ვაჭარი ურიასავით ჰქონდეს ხელი განვდილი და თხოულობდეს 3 თუ 5 თუმანი გადამიხადეთო.

ამ საქმის გამოსწორება მთავრობამ უნდა მოახერხოს. მღვდელმა თავისი გასამრჯელო აუცილებლად უნდა მიიღოს აბა სხვანაირად როგორ იცხოვროს. მაგრამ ჩხუბით და მადლოობით კი არა, არამედ კულტურულად, მივიდეს სალაროსთან თვის ბოლოს და თავისი შრომის ანაზღაურება უჩხუბრად და უყვირლად მიიღოს, როგორც ეს სამოქალაქო ცხოვრებაში ხდება. მუშა გლეხი ინტელიგენტი, ხელოსანი თუ მთავრობის მოხელე ყველა თუ სარგებლობს ამ მომსახურეობით სასულიერო პირმა რა დააშავა ისეთი, რომ მანეთებს ვაგროვებინებთ რიტუალის მოწყობის ავტორებთან. მღვდელს ფული ან მთავრობამ უნდა ჩაურიცხოს სალაროში რიტუალის მომსახურებისათვის ან თვითონ მასპინძელმა. თუ ამ საქმეს მთავრობა იკისრებს, დიდი შეღავათი იქნება ამ შიმშილისგან გაძვალტყავებული ხალხისთვის. როგორმე ბოლო უნდა მოეღოს ამ საუკუნეობით გაჭიანურებულ დავას.

ჯერ კიდევ დავით გურამიშვილი თხოულობდა ამ საკითხის მოწესრიგებას:

„მკვდრისა პატრონსა სიკვდილის დროს ბევრს ნუ შეუკვეთთ სამარხ-სამკვდროსა“ ცოცხალი რომე პატარა ვლირდი, მკვდარს რად მედების მე ფასი დიდი, მღვდნელო, შენს მადლსა ძვირად ნუ მყიდი, რაც მოგითვისალო, მას მიითვლიდი“.

მღვდელსა და ერს შორის უკმაყოფილებას ბადებს ხალხის გულგატეხილობას სარწმუნოებაზე, რაც დამღუპველად მოქმედებს ერის ცხოვრებაზე.

ნიკოლო მაკიაველი საზოგადოებას სამ ძირითად ნაწილად ჰყოფს: 1. უწარჩინებულესნი – რომლებიც თავისთავად ერკვევიან მოვლენებში. 2. წარჩინებულნი – რომლებსაც ახსნა-განმარტებით გაარკვევ საქმეში და 3. ფუჭნი – რომლებსაც ვერც ერთი საშუალებით და ღონისძიებით ვერ გააგებინებ რაიმეს.

პირველნი ისე ცოტანი არიან, რომ მაგრად განვითარებულ სახელმწიფოსაც გაუჭირდება მათგან პარლამენტის დაკომპლექტება. მეორენი – ცოტა მეტი და მესამენი – ბევრი. საჭიროა, რომ პირველმა ორმა თავისი ხელოვნებით შესძლოს მესამის შემცირება მისი გარკვეული ნაწილის მეორე რიგში გადმოსაყვანად. ერთი შეხედვით შეიძლება კაცმა თქვას ეს შეუძლებელიაო – მაგრამ აბსოლუტურად შეუძლებელი კაცთა შორის ურთიერთობაში არ შეიძლება რაიმე იყოს. შეიძლება მთელი რიგი მაგალითების დასახელება, რომ ბოროტმოქმედი პატიოსნების გზას დასდგომია, ათეისტი ღრმად მორწმუნე გამხდარა. მაგალითისთვის ჰიუგოს ჟან-ვალ ჟანიც საკმარისია, რომელიც „ნენვა-გლეჯის ბაზრის“ წყალობით მხეცად იყო ქცეული. მაგრამ ეპისკოპოს მირიელის ღვთაებრივმა ყურადღებიანობამ იგი პატიოსნების გზაზე დააყენა, როგორც ქრისტიანულ ისე ნებისმიერ რელიგიას გააჩნია ისეთი ფაქტორები, რომელთა გამოყენება მოძღვარს საშუალებას აძლევს, სატანას მსხვერპლი გამოსტაცოს და ეს უკანასკნელი სიკეთის გზაზე დააყენოს.

უცოდველი მხოლოდ ღმერთია ქვეყნად, მაგრამ მას საბედნიეროდ ცაში აქვს ბინა, თორემ მიწაზე რომ კაცობრიული ცხოვრებით ეცხოვრა „ნენვა-გლეჯის ბაზარი“ არც მას დატოვებდა უცოდველს.

ქართული ეკლესია აბსოლუტურად არა, მაგრამ მის ევროპელ კოლეგებთან შედარებით შეიძლება ვთქვათ, რომ უცოდველია. გავიხსენოთ იეზუიტების და ინკვიზიტორების ცოდვები: წმიდა ბართლომეს ღამე, ადამიანების ცოცხლად დაწვა და სხვ. მრავალი.

მდაბიო ხალხი თავისი მეცნიერული და თეოლოგიური გაუნათლებლობის გამო, სატანისეულ მოქმედებას ხშირად ღვთაებრივად მიიჩნევს. შეეხო რა პირველი მსოფლიო ომის შედეგებს, მის მიერ მოწყობილ ხოცვა-ჟლეტას, ავკაცობას. მწერალი მის ჯავახიშვილი წერდა: „...ვინმე პრინციის ტყვიამ ქვეყნის ყველა კუთხეში ისეთი გვრგვინვა და გრიგალი ასტეხა, რომ იგი ქუხილი

ცას მისწვდა. ერთი წვეთი სისხლის ჯერ მდინარედ გადაიქცა, მერე თვალწნვედნელ ზღვად და 20 თუ 30 მილიონი დაგეშილი მეომარი გაშმაგებით ეკვეთა ერთმანეთს. დანარჩენებმაც ყველაფერს თავი მიანებეს,... მეომრებს ზურგში ამოუდგნენ და ხელი მიჰყვეს სისხლიანი მარხის სამსახურს, თან სასოებით ჰყვიროდნენ, – ჩვენთან არს ღმერთი“. საღად მოაზროვნე კაცისათვის გასაგებია, რომ მოცემულ შემთხვევაში ხალხთან ღმერთი კი არა სატანაა და იმ „რეგვენს“ ღმერთი ჰგონია. სწორედ სატანა დაჰფარფათებს ზემოდან მეომართა მიერ თვალწნვედნელ ზღვად დაღვრილ სისხლს და ხარობს, უთვალავთა სისხლით და ცრემლით, გოდებით და მოთქმით, ღმუილით და ღრიალით“. აი, რა სამსახურს უწევს სატანას რეგვენი ხალხის სიბეჩავე და გაუნათლებლობა.

სატანას უარყოფა რომ ხალხმა შესძლოს, ამისათვის საჭიროა: ერმა და ბერმა გაერთიანებული პროპაგანდისტული ძალით ლაგამი ამოდოს სატანას მიერ ნახალისებულ და გაიძვერების მიერ მოწონებულ ომის გამჩაღებელ ძალებს და მაშინ კუდამოძუებული სატანა გადაეშვება ჯოჯოხეთის უფსკრულებში, რომლებშიც მან ღვთის განაჩენით მარადიულად უნდა იტანჯოს.

ქართველმა კაცმა, რომლის ეროვნულობის გადარჩენის ერთი ძირითადი ფაქტორი მართლმადიდებლური ეკლესიაა, კარგად უნდა გაანალიზოს დარვინის გენეტიკის კანონი, რომელიც გვასწავლის არსებობა ტვისებას მემკვიდრეობისა და ცვალებადობის შესახებ.

თუ არსებები მემკვიდრეობით ლეზულობენ წინაპართა თვისებებს, ცვალებადობა ეწევა ამ თვისებათა შეცვლას, ახალი სივრცისა და დროის შესაფერისად, რასაც ხშირ შემთხვევაში მემკვიდრეობაზე ხელის აღებამდე მივყავართ... შეიძლება, როგორც ფლორის, ისე ფაუნის ნიმუშებზე მაგალითების დასახელება, როცა მემკვიდრეობით მიღებულ თვისებებს მცენარეები ან ცხოველები უარყოფენ და ცვალებადობის კანონის შესაფერისად ისე გარდაიქმნებიან, რომ წინაპრებს აღარ ჰგვანან. ასეთი პროცესები ადამიანთა ცხოვრებაშიც ბევრჯერ ხდება. ვინ მოთვლის რამდენი მცირერიცხოვანი ტომი დიდ ერებში: ენობრივად, ზნეობრივად, ფსიქოლოგიურად და სარწმუნოებრივად გათქვეფილა. ეს საკითხი პატარა ერებს ყოველთვის ემუქრებოდა თავისი ისტორიის მთელ მანძილზე და ახლა კოსმოპოლიტიზმის გლობალიზაციის პირო-

ბებში კიდევ მეტად ემუქრება. საქართველოს იგი განსაკუთრებული ძალით დაემუქრა XIX საუკუნეში, მაგრამ იმ დროინდელმა ქართულმა ინტელიგენციამ, რომლის ბირთვს „თერგდალეულები“ წარმოადგენდნენ, შესძლო მისი მოგერიება. საბჭოურ პერიოდშიც იყო შემოტევები, მაგრამ ისე ძლიერი არაა, როგორც „თერგდალეულების“ ეპოქაში.

საქართველო ყოფნა-არყოფნის წინაშე იმ სატანისეულმა „პერესტროიკამ“ დააყენა, რომლის „ქება-დიდება“ ჩემგან ბევრს მოუსმენია.

ილია ჭავჭავაძეს ლერმონტოვის „მწირი“-ს შესავალში რომ ნაუკითხავს: „Грузия цвела... в тени своих садов неопасая врагов за граню дружеских штыхов“, უთქვამს: „რაც ქართველს მისცა რუსულმა „შტიკმა“, ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს“-ო. თანამედროვე პატრიოტს შეუძლია მისი მიბაძვით თქვას: რაც ქართველს მისცა „პერესტროიკამ“, ღმერთმა მის ავტორს ასკეცად მისცეს.

„პერესტროიკამ“ საქართველო დააყენა: ეკონომიკური, საგანმანათლებლო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და დემოგრაფიული კატასტროფების წინაშე. იგი დაემგვანა ავგიას თავლას, რომელიც სამი ათეული წელია არავის დაუსუფთავებია. იგი ელოდება დამლაგებელს. მაგრამ ვინლა ნახავს ახალ ჰერაკლეს?!

საქართველო თავისი განადგურებული სახალხო მეურნეობით და ზურგზე 17 მილიარდ ვალმოკიდებული, ღონემიხდილი და უსასოო ხელს იშვერს ევროპისკენ და გაიძახის: „მაინე გეორგიე დაინე ჯორჯია“-ს, ევროპელი ვარ და მომეშველეთო. მაგრამ დიდად არავინ ჯავრობს მის გეორგინობას და ჯორჯიობას. თვითონ კი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეებით, ილუზიებით შეპყრობილი სხვისი დიქტატის გარეშე, თავის ჭკუაზე ხელსაც არ გაანძრევს. სანამ ინგლისელმა კაცმა არ უკარნახა, რომ ქალაქს ტუალეტი სჭირდებაო, მანამდე ვერ მიხვდა, რომ თბილისელი კაცი კიტრი არაა, ტუალეტი რომ არ დასჭირდეს. აშენდა იმ ინგლისელის ოჯახი, მისი დიქტატის შემდეგ გამოჩნდა ქალაქში საზოგადოებრივი სარგებლობის რამდენიმე ტუალეტი.

შეიძლება თქვას კაცმა, სხვა რა არის წესრიგში მაინცდამაინც ტუალეტებს რომ დატაკებია ეს ველურიო. ზუსტად ის არის გასათვალისწინებელი, რომ ველური კაცი ხვდება: ჰიგიენა კაცთა ცხოვრებაში ერთ-ერთი დიდად ანგარიშგასანევი საქმეა. მისდამი

უყურადღებობით დიდი ქალაქი შეიძლება დიდ სანაგვე ყუთად გადააქციოს. ამას ველური კაცი თუ ხვდება „ჰომო ურბანური“ რა თქმა უნდა უფრო მიხვდება, მაგრამ სხვა დროსაც ბევრჯერ მითქვას და ახლაც ვიმეორებ: კაცთა ცხოვრება უკეთესად მოეწყობოდა, რომ ეგ მაგრამ არ გაჩენილიყო... სად სცალია ბიზნესმენს ასეთი „წვრილმანებისათვის“, მან დასავლეთიდან საქონელი უნდა შემოზიდოს და თუ 2000%-იანია არა, 1000%-იანი ფასსამატიტ მანაც უნდა გაყიდოს და ამ გზით ფიქრობს, რომ შიმშილისგან გაძვალტყავებული ერი გადაარჩინოს ეკონომიკური კატასტროფისგან.

2015 წელს სამეცნიერო ჟურნალმა „კვალმა“ გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიც ნათქვამია: „საქართველო ქვეყანაა, სადაც სამართალს ვერ ვპოულობთ უკვე 25 წელია. რა გველის მომავალში?“ ამ მიმართვის გამოქვეყნების შემდეგ 3 წელი გავიდა და ერის წინსვლის მაგივრად უკანსვლას ვხედავთ.

ცხოვრების დინამიკა მოითხოვს, რომ ქართველმა კაცმა თავი მიანებოს ილუზორულ ფიქრებს და ცხოვრებას რეალისტის თვალთ შეხედოს.

რაც შეეხება არჩევნებს, რომელიც ეყრდნობა არა ჭკვიან უმცირესობას, არამედ ღონიერ უმრავლესობას, კაცობრიობის თავის ტკივილია, რადგან ჭეშმარიტებამდე პირველნი მიდიან მხოლოდ რჩეული ინდივიდები, შემდეგ კი ჭკვიანი უმცირესობა. სხვა დროსაც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთს და ჯავახეთს იმერეთიც და ამერეთიც რომ მიუმატო, არა მგონია ერთ სოკრატეზე მეტი ჭკუა ჰქონდეს. ჩემთვის მისაღებია და მოსაწონი შილერის აზრი, რომ „ხმები კი არ უნდა ითვლებოდეს, უნდა იწონებოდეს“.

შეიძლება პროგრესულად მოაზროვნე ქვეყნებში სხვანაირად იმართებოდეს არჩევნები. მაგრამ საქართველოში, სადაც იგი ხალხის დემოკრატიულ უფლებად ითვლება, მე ხალხის ძლიერ ორგანიზმზე ამოსულ ძირმაგარად მიმაჩნია, რომლის ამოკვეთა ძნელია, შენარჩუნება დამლუპველი.

ბალზაკისეული შეხედულება რომ „უბადრუკ და უნიჭო ადამიანებს საშუალება ეძლევათ, არჩევანი საკუთარი გემოვნების მიხედვით მოახდინონ... და თავისი თავი აირჩიონ“ ყველგან და ყველაზე მეტად ჩვენშია გასათვალისწინებელი. სწორედ ასეთი არჩევნების წყალობითაა, რომ თბილისში როგორც სტალინს უთქვამს „ნიჭიერი კაცები ქუჩებში გიყრიათ“.

ზემოთ დასახელებულ არგუმენტებს თუ დავეყრდნობით, შეიძლება ვთქვათ, რომ დეპუტატთა საბჭოების პარალელურად (ახლებურად მგონი საკრებულოები ჰქვია) შეიქმნას სწავლულთა და მეცნიერთა საბჭოები, რომლებიც წამყვან როლს შეასრულებენ არჩევნების ბედის წარმართვის საქმეში. ჩვენი სწავლულები მეცნიერებათა კანდიდატის ტიტულის მინიჭებაზე მეტ ყურადღებას იჩენენ, ვიდრე საპარლამენტო და თუნდაც საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ, რაც პატიოსან კაცს არ შეიძლება ეპატიოს. ვფიქრობ, რომ ასეთი ცვლილება საზოგადოებას მიიყვანს იმ პარტიის შექმნის აუცილებლობამდე, რომლის შესახებ საუბარია ჩემი წიგნის წინასიტყვაობაში: „ხალხი თავის უდღეურ ინტელიგენციასთან ერთად ოცნებობს ახალ პოლიტიკურ პარტიაზე, რომელმაც ერთი უნდა გადაარჩინოს“ (იხ. „ბებერი ხარი და წენვა-გლეჯის ბაზარი“, გვ. 1, აბზ. 5). მან უნდა იზრუნოს და მიაღწიოს იმას, რომ საქართველო გათავისუფლდეს წითელი პლუტოკრატის ტრანსფორმირებული ძალებისაგან (მისასალმებელი იქნება თუ ეს მოხდება მშვიდობიანი გზით) და აღადგინოს რესპუბლიკის პერესტროიკამდელი ეკონომიკის დონე.

რაც შეეხება შრომის ფაქტორს, აქ გაცილებით რთულადაა საქმე. იმ არენაზე, რომელსაც მე „წენვა-გლეჯის ბაზარი“ ვუწოდებ და სატანას ხელოვნების უმაღლეს ნიმუშად მივიჩნევ, შრომა ისე აბუჩადაა აგდებული, დაჩიავებული და დასაწყლებული, როგორც მიხეილ ჯავახიშვილის „ჩანჩურა“ ყასბებისა და ბიჭ-ბუჭებისაგან.

ილია ჭავჭავაძე თავის „აჩრდილში“ გვეუბნება: „შრომა ან ქვეყნად ტყვედა პყრობილი, მძარცველობის ქვეშ ჩაგროულ ვნებულა“.

დიდად სცოდავენ ქართული ზნე-ჩვეულების და ტრადიციების პასკვილანტები, როცა ამბობენ: ქართველი კაცი ზარმაცია, ქართველ კაცს სხვა კაცის ჯავრი არა აქვს, ქართველი კაცი არაა პატრიოტი და ეროვნული ღირებულებების დამცველიო.

არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ქართველი კაცი დღიდან გაჩენისა: შრომისმოყვარეა, მეომარია, კაცთმოყვარეა და მოწყალეა.

ქართველი კაცი რომ შრომისმოყვარე არ იყოს, ვინ აუშენებდა ამდენ: ციხეებს, სასახლეებს და ეკლესია-მონასტრებს, რომელთა აგება წარმოების იმდროინდელი საშუალებების გათვალისწინებით პარადოქსად გვეჩვენება.

ვფიქრობ, რომ ზედმეტი არ იქნება, თუ ხალხს შევახსენებთ მიხ. ჯავახიშვილის ლექციას ქართველთა ისტორიიდან: „ჯერ

კიდევ ჩვენი უძველესი წინაპრები – ხეთები პირველობას ედავე-ბოდნენ მაშინდელ უდიდეს სახელმწიფოს – ასურეთს. მაშასადამე, ჩვენი დასაბამიც ყოველმხრივ მსოფლიოს სიგრძე-სიგანისა ყოფილა. ყიყვი და ეშმაკი მაშინდელ ასურეთს კრინტსაც ვერ შეუბედავდნენ. მაგრამ ამ ჭიდილში დავმარცხდით. ნელ-ნელა კავკასიის ქედს მოვეყუდეთ და აქ დავინწყეთ ახლის შენება“ (მის. ჯავახიშვილი, ტ. 6, 1980წ.).

დამარცხებულმა ხეთებმა თან წამოიღეს ის დიდი კულტურა, რომელიც მათ გააჩნდათ და დამკვიდრდნენ ახალ მიწაზე. დამარცხებით კაცი ვერ იამაყებს, მაგრამ ის კი წამდვილად საამაყოა, რომ ასეთი პატარა ერის წინაპრები მსოფლიო მბრძანებელს შეებრძოლენ. დამარცხებულმა თან წამოიღო თავისი ყველა თვისება და როგორც ილია ამბობს „მას აქეთია, ქართლო, შენს შვილსა არ ჩაუგია ქარქაშში ხმალი“, მას როგორც თავლს ბუზი, ისე ეხვეოდნენ: „ინდო-არაბ საბერძნეთით მაშრიყნი და მალრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი, და მისრეთით ეგვიპტელნი“.

მეცნიერები ადრე თუ გვიან გამოიკვლევენ, რა მიწიერი ძალით იყო ეს ხალხი დაჯილდოებული. მე კი შემიძლია ვთქვა, რომ მისი გადარჩენა მარტოოდენ მიწიერ ძალებს არ ხელენიფებოდათ; აქ უთუოდ ღვთაებრივი ძალაც მოქმედებდა, თანაც დიდი აქტიურობით. ღმერთი სწყალობდა და ხელის გარყევაც არ ეზარებოდა და მოაღწია სატანისეულ „პერესტროიკამდე“. ახლა ნუ ვიტყვით, თუ ღვითის წყალობა იქნება, გადავრჩებითო. ამოვიღოთ ეს „თუ“ და ვთქვათ, რომ ღვითის წყალობით დახალხის აქტიურობით ერი გადარჩება. მოქმედება, როგორც ადრე ითქვა, ორგვარია ღვთაებრივი და სატანური. ხოლო ადამიანს ღვითისგან ნაბოძები არჩევანის უფლება აქვს. ხალხის და ყმანვილის ბედი მთლიანად პატრონზეა დამოკიდებული. თუ პატრონი არ ფხიზლობს, ერთიც და მეორეც სატანას უვარდება ხელში.

რამდენიც არ უნდა ინუნუნონ დემოკრატიის პასკვილანტებმა ხალხს არავინ ეკითხება რამესო, მაინც ვერც ერთ ბრძენს ვერ დააჯერებენ, რომ ხალხი პოლიტიკური არარაობა იყოს. საზოგადოების სახელმწიფოებად ჩამოყალიბების შემდეგ ნებისმიერი მთავრობა ავად თუ კარგად ხალხის ნების აღმსრულებელია. ზოგჯერ ხალხის მიერ დაკანონებული მთავრობა გვერდზე მიაგდებს ხალხის ინტერესებს და მის მოპირდაპირეთა რიგებში დგება, მაგრამ ასეთ მთავრობას ბედი არ უნერია.

ქართული დემოკრატიის სახელით საქართველოში სამი ათეული წელია, მოქმედებს ხალხის მიერ დაკანონებული წითელი პლუტოკრატიული მთავრობა, რომელიც აქტიურად იყენებს ცვალებადობის კანონს და კარგად სარგებლობს მემკვიდრეობითაც.

პარადოქსულია ის ფაქტი, რომ წითელი პლუტოკრატია უფრო ახლოს იდგა ხალხის ცხოვრებასთან ტრანსფორმაციამდელ პერიოდში, ვიდრე ახლა დგას. კაცი გრძნობს და ღმერთმა იცის, რომ მისი პოლიტიკური არსებობის გაგრძელება აღარ შეიძლება, ხოლო ეკონომიკური ბატონობის შესახებ ახალმა მთავრობამ უნდა იმსჯელოს. ეს ყველაფერი უნდა მოხდეს მშვიდობიანი გზით. ამ საქმეში აქტიური როლი უნდა ითამაშოს მედიამ. მან უნდა განუმარტოს ხალხს, რომ ადამიანთა შორის ურთიერთობაში ძალისმიერი მეთოდი სატანურია და იგი მათი მორიგების საშუალებად არ გამოდგება. შესძლებს კი ქართული მედია ამ ფუნქციის შესრულებას? – შესძლებს თუ იგი ხელს აიღებს პლუტოკრატების ინტერესების დაცვაზე და გვერდში ამოუდგება ფართო საზოგადოებას.

ქართველი კაცის ლანძღვა-გინებას იმ მიზეზების გამო, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი, ობიექტური საფუძველი არა აქვს, რადგან იგი, თუ მის ცხოვრებას გადავხედავთ, მემკვიდრეობითობის კანონის მხრიდან და შევაფასებთ ობიექტურად, დასაძრახი არ აღმოჩნდება. მან განიცადა საქართველოს ბედთან დაკავშირებული ევოლუციური ცვლილებები და მოვიდა იმ მდგომარეობამდე, რომელშიც ამჟამად ცხოვრობს. თუ ვინმეს ლანძღვა-გინება და წყევლა-კრულვა აინტერესებს, იგი უნდა მიმართოს არა ქართველი კაცის, არამედ იმ მდგომარეობის მიმართ, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში. თუმცა კარგი დრო მცირე გამოწვევების გარდა, არასდროს ჰქონია.

დღიდან საქართველოს სამეფოს გაუქმებისა, ქართველი კაცი კარგავს თავის ფუნქციას ცხოვრების წინაშე. იგი უცხო ერის მფარველობის ქვეშ შედის და მისი ნების აღმსრულებელი ხდება, რამაც გარკვეულწილად მისი გაპასიურება გამოიწვია, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ცხოვრებაში. ლუარსაბ თათქარიძე ზოგადი სახეა ფუნქციადაკარგული ქართველი თავადისა. თუ მისი წინაპრები ერთ დროს ერს წინ უძღოდნენ ყველა საჭირობო საჭიროებებში, ვხედავთ, რომ მათი ფუნქციააყრილი შთამომავალი ახალ დროში ისეა დაძაბუნებული, რომ თავისი 40 წლიანი სი-

ცოცხლის განმავლობაში ჭიშკრის გადაბარჯული ბოძის გასწორებაც ვერ შესძლო და ისე ჩააბარა სული იმას, ვინც მოანიჭა, რომ ვერაფერი სასიკეთო ვერ გააკეთა. თუ თავადიშვილზე ასე დამლუპველად იმოქმედა ახალმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, როგორ ფიქრობთ, გლახზე დადებითად იმოქმედებდა?!

გადის დრო და „სოციალისტურ სამშობლოში“ ქართველი კაცი ვერ ნახულობს საყრდენს ზნეობის, შრომის, სინდის-ნამუსის და ეროვნული ფასეულობისა. „ნითელი პლუტოკრატები“ გაჰკვივიან ხალხის გასაგონად ნითელ სამოთხეს ვაშენებთ ხალხო თქვენთვის და ჩვენი ამაგი დააფასეთო. ვინრო წრეებში კი ასე ამბობენ, იქურდე, თორემ ვერ იცხოვრებო. რუსული გამოთქმა „ვინც არ იპარავს, შამოანურს ვერ სვამს“ შეუერთდა ქართულ დარიგებას და ორივე „დიდებულად“ აითვისა ქართველმა კაცმა.

ქართველი კაცისთვის შრომა რომანტიკული ხასიათს ატარებდა და გარკვეულწილად ახლაც ატარებს. ვენახის მოყვარულ კაცს კოლექტივისგან ანიოკებულს და გაქცეულს ბათუმში სახლის წინ ორი ძირი ადესა დაურგავს, მოუწყვია პატარა ტალავერი, უყიდია ვენახის შესაწამლავი მანქანა და ყოველ მაისში და ივნისში მოემზადებოდა კირით და შაბიამნით მოამზადებდა ხსნარს და დიდი მევენახესავით მოიკოტრებდა აპარატს ზურგში, სიამოვნებდა ბერიკაცს ვენახის მოვლა. როცა ეტყოდნენ, ეს ვენახი ველური ჯიშია და შენამვლას არ საჭიროებსო, სახეზე წყენა დაეტყობოდა (ალბათ იმიტომ, რომ ადესა არ საჭიროებდა იმოდენა ზრუნვას, როგორც კულტურული ვაზის ჯიშები საჭიროებდნენ, რომელთა მოვლას სოფელში ცხოვრების დროს შეჩვეული იყო. ის ბერიკაცი ზოგადი ტიპია ქართველი კაცისა, რომელსაც შრომა სიამოვნებს). იგი ვენახს არ მიატოვებდა, მაგრამ როცა თავის სტიქიაში ყოფნა გაუმწარეს, მიატოვა მამისეული სახლ-კარი და წავიდა ქალაქისკენ, როგორც ეს ნოე ჩხიკვაძის ბოგანომ გააკეთა (იხ. ეს ლექსი ჩემს „ბებერი ხარი და წენვა-გლეჯის ბაზრის“ წინასიტყვაობაში, გვ. 6).

ქართველი კაცი არც ტექნიკურ შრომაში ჩამოუვარდებოდა ვინმეს, როცა ცოტათი მაინც პატრონობდა ძველი მთავრობა, იგი დიდი მონდომებით ატრიალებდა მძიმე ბორბლებს დიდ ქარხნებში. არც ინტელექტუალურ შრომაში იყო ჩამორჩენილი. ქართველმა მსოფლიო ომშიც დიდი სახელი ნახა, იმიტომ კი არა თითქოს ბრიყვი იყო და სხვისთვის იბრძოდა, არა, დიდი უნარი მან იმი-

ტომ გამოიჩინა, რომ მიიღო თავისი ფუნქცია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ევროპაში მცხოვრებ ემიგრანტთა მცირე ნაწილის შეხედულებას, თითქოს ჰიტლერი რუსების მტერი იყო და არა ქართველების, ყველა ქართველმა გამოიტანა დასკვნა, რომ ის სულწაყმედილი ანტიქრისტე მთელი კაცობრიობის მტერი იყო და არა მარტო რუსეთის ან ინგლის-საფრანგეთის.

მე ყურადღება განსაკუთრებით შევაჩერე ქართველი კაცის სიყვარულზე მიწის მუშაობასთან.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა: ქართველებმა შეიძლება ააგონ დიდი ქარხნები და ფაბრიკები, შექმნან დიდი სამრეწველო და სავაჭრო ცენტრები, მაგრამ ისინი თავისი ბუნების შესაფერისად სოფლის მეურნეობის მიმდევარ კაცებად დარჩებიან. ალბათ ეს მიდრეკილებაა საფუძველი იმისა, რომ თბილისელი კაცი მაღლივ კორპუსებთან ტროტუარსა და შენობისკედელს შორის მოძებნის ლერწმის ჩასარგავ მიწას და ვაზს აივანზე აიყვანს და იქ თავისი გემოვნების შესაფერისად ტალავერს მოაწყობს და ეს მონყობილობა მას იმოდენა სიამოვნებას ანიჭებს, რომ ამის წარმოდგენა ზემოთნახსენები ბერიკაცისთანა კაცებს შეუძლიათ. აი, რატომ ეძახიან ევროპელები ქართველებს „გეორგინებს“.

ქართველი კაცის ერთგვარი პასიურობა შრომისადმი გამონვეულია მისი ფუნქციის დაკარგვით და არა ატავიზმით ან ცვალებადობის კანონით.

ქართული პლუტოკრატიის იმედები დასავლეთი მიგვიღებს და ავშენდებითო ილუზია უფროა, ვიდრე რეალობა. ვის რაში სჭირდება გვერდში ამოიყენოს გაძვალტყავებული ქვეყანა, რომლის ეკონომიკა მათი შეხედულებით, ვერასდროს წელში ვერ გასწორდება.

ყველა დიდი წამონყება ოჯახშიც და ქვეყანაშიც დანაზოგებით იწყება. საქართველოში არ იგრძნობა, რომ რაიმე იზოგებოდეს, პენსიების გარდა. შევასხენებ ჩვენს წითელ პლუტოკრატს, რომ მათი მამების მბრძანებლობის დროს პენსიონერ საშუალო ხელფასის ოდენა ფულს ღებულობდა. პენსიების სოციალიზაცია, რომელმაც გლეხის გაცოდვილებული 20 მანეთიანი პენსია მუშა-მოსამსახურის პენსიათა დონეზე აიყვანა, კარგი ღონისძიებაა, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო სახელმწიფოს ბიუჯეტის და არა ქარხნის ბებერი მუშის ეკონომიკური შევიწროების ხარჯზე.

„პერესტროიკამდელი“ „წითელი პლუტოკრატია“ ცოტათი მაინც აწესრიგებდა „წინვა-გლეჯის“ ბაზარს, ხოლო „პერესტროი-

კის“ შემდეგ სულ მიუშვა იგი თავის ნებაზე, რამაც გამოიწვია ის უარყოფითი თვისებები, რომლებიც თანამედროვე ქართველ-მა კაცმა შეიძინა. ბებრებმა იციან და ჯვებებმა უნდა გაიგონ, რომ ქართველი კაცისთვის თაღლითობა, გაიძვერობა, სიცრუე, ქურდობა, სიზარმაცე და მრავალი სხვა უარყოფითი ჩვევები თანდაყოლილი კი არა შექმნილი თვისებაა, რომელიც სათავეს XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს, მანამდე შემორჩენილი იყვნენ ძველი კაცები, რომლებსაც გააჩნდათ ქართველი კაცის-თვის ღვთისგან ნაბოძები დადებითი თვისებები. ცხოვრების პი-რობების მიხედვით შეძლებისდაგვარად, იცავდნენ ბიბლიურ ათ მცნებას. იმ ძველი კაცების წასვლის შემდეგ საქართველოზე სა-ტანისეულმა სამუშეობმა გადაიარეს, რომლებმაც ნაცარ-ტუტად და ნანგრევებად აქციეს ის დადებითი ადათ-ჩვევები და ტრადიციები, რომელთაც ქართველებმა XX საუკუნემდე მოაღწიეს.

ახალგაზრდობას შევახსენებ, რომ უარყოფა შეიძება იმ ძვე-ლისა, რომელსაც ადამიანებისთვის ვნება მოაქვს, თორემ სიკეთის მომტან ძველს, ხელის შეწყობა სჭირდება, რომ ახალ ცხოვრებაში მოადგმევიწიოს ფეხი. ხალხს უთქვამს „ძველი სჯობია ახალსო...“ ამ შეხედულებას შეიძლება ასეთი კომენტირება გაფუკეთოთ, რომ კარგი ახალი სჯობია, ცუდ ძველს. რაც შეეხება კარგ ძველს, ის ისევე კარგია და მისაღები, როგორც კარგი ახალი. ასე რომ, კარგი კარგია და მისაღებია ძველი იქნება იგი, თუ ახალი. ხოლო – ცუდი უარსაყოფია ძველიც და ახალიც.

თანამედროვე ქართველი კაცის გულაღრმადი შრომაზე უნდა მიენეროს ახალ ცხოვრებას და არა ძველს. ძველსაც ჰქონდა თავისი უარყოფითი თვისებები, მაგრამ ჩვენამდე აღარ მოუღწევია. გაიძახიან ევროპა და დასავლეთიო, ნატოს კარი ღიაა ჩვენთვისო. კარები შენთვის გაიღოს, შენ შიგ არავინ შეგიშვას, ეს ნამდვილი პა-რადოქსია. თუ ქართველ კაცს მაინცდამაინც ევროპასთან მიერთება უნდა, ამისთვის „მაინე გეორგიეს და დაინე ჯეორჯიეს“ ძახილი კი არ უნდა, ტვინის და ხელის გარყევა სჭირდება. მან თავისი შემოქმე-დებითი შრომით უნდა შესძლოს მხარი გაუტოლოს ევროპას შრომის ნაყოფიერებითა და სულიერი კულტურით, თორემ დაჩაჩანაკებული და გაჭირვებული ვის რაში სჭირდება? ასე რომ, ქართველი კაცის გაჭირვებიდან მსხნელი მეორე ძირითადი ფაქტორი თავისუფალი შემოქმედებითი და რენტაბელური შრომაა და არა ბიზნესად და კომერციად მონათლული სპეკულაცია და ქურდ-ბაცაცობა.

რაც შეეხება პოეზიას, რომელიც ჩვენი ერის გადარჩენის ერთ-ერთ ფაქტორად მივიჩნიეთ, წარმოადგენს მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, რომელსაც ქართველი კაცი ოდითგანვე დიდი გულისხმიერებით ეპყრობოდა.

ჩვენი ქვეყნის ეგზოტიკური ბუნება ადამიანს აახლოებდა თავის სილამაზესთან და მასში აღძრავდა სწრაფვას თავისუფალი ცხოვრებისაკენ.

მონობას და უუფლებობას ადამიანები ძნელად ემორჩილებიან და შეძლებისდაგვარად იბრძვიან მის წინააღმდეგ, მაგრამ კავკასიელი განსაკუთრებულ უნარიანობას იჩენს სოციალური თუ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბოროტებასთან ბრძოლაში ქართველ კაცს ხელს უწყობდა პოეზია. იგი შთააგონებდა მას გამირულ მოქმედებას. ავილოთ ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას ლექსიდან, რომელიც დიდი ხანია სიმღერადაა დამუშავებული „...არაგვო, უყარაულე ომში მიმავალ ვაჟკაცსა, თუ ვინმე გამოქცეული უკან მოადგეს შენს კიდეს, ლაფი აჭამე შერცხვენილს, რომ სახლში ველარ მოვიდეს“. ყველა ქართველს აქვს მოსმენილი ეს სიმღერა. მასში იმოდენა მონოდებაა ვაჟკაცური და გამირული მოქმედებისაკენ, რომ მას კაცი ძნელად გაექცევა.

მესამე საუკუნეა, რაც „არსენას ლექსი“ ალაგზნებს ქართველ კაცს სამართლიანი ბრძოლისათვის. ამ ლექსის პოპულარობას და იდეურ გავლენას ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება. „ის ზღაპრები... აქამდისა ჩამრჩნენ ხსოვნაში. ძველებურს დროსა შემაყვარებდნენ იმ ჩემს მხიარულ ყმანვილობაში... ის მხნე არსენა, ჩვენამდე ძმაო, ზღაპრად მოსული, ის იყო ჩემი ჭირი და ლხენა, ის იყო ჩემი სული და გული... ოცნება ხალისიანი არსენას ამბით მე მეზრდებოდა, მიყვარდა მე ის კეთილდღიანი და არსენობა მენატრებოდა“.

არსენას ლექსი უდიდეს გავლენას ახდენდა ბავშვის სულიერად ფორმირებაზე. როგორ უხაროდათ ბავშვებს მასწავლებელი რომ მოუთხრობდათ: „სადაც მდიდარს დაინახავს, ბურდა-ვალას აძახებსა, სადაც ღარიბს დაინახავს, თავის პერანგს ჩააცმევსა“. ყველაფერი რომ ეპატიოს ქართული განათლების სისტემას, იმას მაინც ვერ ვაპატიებთ, რომ ჩვენს ყმანვილებს გამოაცალა ის დიდი სიამოვნება, რომელსაც ისინი არსენას ამბით განიცდიდნენ.

ერთმა მასწავლებელმა შემთხვევით ისიც კი თქვა: „ვიღას

უნდა ახლა „არსენას ლექსი“ და მისი „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“-ო. აქ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ქართული სკოლა ყურადღებას არ აქცევს სოციალურ ფასეულობას და ბურჟუაზიის ერთგული ხდება, მდაბიო ხალხის ინტერესების უარყოფის ხარჯზე.

არსენა, როგორც ლიტერატურული გმირი, ისე ახლოსაა ხალხთან, რომ მათი გათიშვა და განცალკევება კომუნისტებმაც ვერ შესძლეს და 50-იან წლებში მის ჯავახიშვილის „არსენას მარაბდელი“ სასკოლო პროგრამებში შეიტანეს, ხოლო ხალხური „არსენას ლექსი“ მანამდეც ისწავლებოდა. რაც ვერ შესძლეს მამებმა, შესძლეს შვილებმა სწორედ ასეთ „პროგრესზე“ ნათქვამი: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

XIX საუკუნის დასაწყისში, როცა რუსებმა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმეს და იგი რუსეთის გუბერნიად გამოაცხადეს, საქართველომ თავისი ფუნქცია დაკარგა. იგი აღარ წარმოადგენდა იმ ძალას, რომელთა შესახებ ჰუგო ჰუბერტი ამბობდა: „თბილისი იდგა როგორც ევროპის ციხე-სიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე:

ის შეება ათას მტარვალს ათას ვერაგს
და აბჯარი შეადგენდა იმის პერანგს,
თანაც ჰქმნიდა ისეთ მაღალ ხელოვნებას,
სთავაზობდა სულს დახვეწილ გემოვნებას“.

ზემოთ მქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ მეორე მსოფლიო ომში იგრძნო რა თავისი ფუნქცია ქართველმა კაცმა, ყველგან და ყველაფერში თავი გამოიჩინა ისე, როგორც ეკადრებოდა მისი დიდებული წინაპრების შთამომავალს. იქმნება ხელოვნების საუკეთესო შედეგები ჩვენი ხელოვნების მუშაკების მიერ. დავასახელოთ თუნდაც ერთი: თოიძის „დედა სამშობლო გვეძახის“, რომელიც დიდი ღირებულების შემცველია ანტიფაშისტური პროპაგანდის რეკლამებსა და ლოზუნგებში. ასეთ ნიმუშებზე შეიძლება ითქვას ბარათაშვილის ლექსი: „ეს ხმა ბრძოლისა ვით არ აღგანთებს, გმირო ქართლისა, მხდალს განამხნევენს, მხნეს განაღვიძებს და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს!“

ძალიან ცუდია, რომ ჩვენს დროში ქართველ კაცს თავი დაჩიავებულად და დასაწყლებულად მიაჩნია. მას ჩვენი პეროგა-

ტივების შემყურეს, დაკარგული აქვს იმედი, რომ საქართველო თუნდაც ოდესმე სხვისი დიქტატისა და დახმარების გარეშე აღადგენს „პერესტროიკით“ და „დემოკრატიული“ პრივატიზაციით გაჩანაგებულ სახალხო მეურნეობას და თავის ნანარმს შესთავაზებს მეზობელ ქვეყნებს.

სხვა ხალხები თუ ჰქმნიან და იყენებენ თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებს, ქართველმა კაცმა რატომ ვერ უნდა მოახერხოს ეს?!

ქართველმა კაცმა უნდა გააანალიზოს ჩვენი ხალხის ჰეგელისეული შეფასება და მოიცილოს თავიდან დაჩიავეების და დასაწყლების ჭია, რომელიც მას სულში ჰყავს შემძვრალი და ჩასახის: შენ ღარიბი ხარ, საცოდავი, უპურო, უფულო, უმინო, უუფლებო, უიმედო და უპატრონო. ეს ჭია რომ თავიდან მოიცილოს, საჭიროა შევასხენოთ ზემოთ დასახელებული შეფასება „სწორედ კავკასიის ხალხში აღწევს სული აბსოლუტურ მთლიანობას, ერთიანობას საკუთარ თავთან, აბსოლუტურ დამოუკიდებლობას...“

კავკასიაში კი უძველესი დროიდან წამყვან როლს საქართველო ასრულებდა და არ იქნება დანაშაული, თუ ვიტყვით, რომ დღესაც ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი მოსახლეობის რაოდენობითაც და ეკონომიკითაც დიდად აღემატება მას. კულტურის ცენტრი კავკასიისა მაინც თბილისია, მისი გაევროპულება არც კავკასიელებს აწყობთ და არც აღმოსავლეთის ხალხებს. უნდა ითქვას, რომ არც ევროპაა თბილისის გაევროპულების დიდი მსურველი. მას აწყობს ისეთი თბილისი, რომელსაც ჰუგო ჰუბერტი „ევროპის ციხე-სიმაგრეს“ უწოდებდა და არა დაჩიავებული და დასაწყლებული, რომელსაც ახლა ხედავს.

კაცნი, სწავლულნი და მეცნიერნი ვალდებული არიან ხალხს განუმარტონ, რომ გენეტიკის კანონი საქართველოში ირღვევა; დიდია მისწრაფება ძველის უარყოფის ხარჯზე უცხოური კულტურის დანერგვისა, რაც იქამდე მიგვიყვანს, რომ აღარ იქნება „ჯორჯიე და გეორგიე“, იქნება ევროპის შტატი ან კოლონია.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ თბილისი პარიზობას შესძლებს, ცდება.

პარიზი მსოფლიო კულტურის დედა ბოძია, რომელსაც შესწევს უნარი მიიღოს მსოფლიო კულტურა, თავის პრიზმაში გაატაროს, თავისი წილი თვითონ დაიტოვოს და დანარჩენი სხვებს გაუნაწილოს, რასაც თბილისი ვერ შესძლებს, რადგან იგი მიჯ-

ნაა ორი, უზარმაზარი კულტურისა – დასავლურისა და აღმოსავლურისა. ეს ორი კულტურა როცა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შემოედინება, ჩვენებურ კულტურას ჩაყლაპავს დროის მცირე მონაკვეთში. ამ აზრის დაჯერება ჩემი ხნის კაცებს უფრო შეუძლიათ, ვიდრე ახალგაზრდებს. ომის შემდგომ პერიოდში თბილისში ყველაფერი ქართული იყო, იშვიათად ნახავდით მაღაზიებზე მიწერილ რუსულ „Магазин“-ს. ახლა ქართველ კაცს თბილისში უცხოელი მგონია თავი. აქ ისეა ერთმანეთში არეული აღმოსავლური, დასავლური, ქართული და ზოგადკავკასიური, რომ ტყიურ კაცს კი არა „ჰოჰო ურბანურსაც“ დააბნევს და გააკვირვებს. ეს ტენდენცია, ამბობენ, ბათუმში უფრო ძლიერიაო. ზოგიერთ უბნებში თურქები აშკარად მოითხოვენ თურქულად ისაუბრეო. სოხუმის შესახებ კომენტარები ზედმეტია. ერთი ქუთაისი ინარჩუნებს ქართულ იერს, მაგრამ მარტო იგი როგორ შესძლებს ქართული კულტურის გადარჩენას, თბილისის ჩამყლაპავი, არც მას დააყენებს კარგ დღეს.

ეს წინააღმდეგობები უარყოფითად მოქმედებს ერის განვითარებაზე, აბრკოლებს მის სწრაფვას პროგრესისაკენ და ხრწნის საზოგადოებას, რასაც დროულად უნდა მიხედონ ერის მთავრებმა, თორემ საზოგადოება თუ გაიხრწნა, მისი გადარჩენა, არც ერთ მიწიერ ძალას არ შეუძლია, ხოლო ღმერთი მორალურად გახრწნილს და გატუტუცებულს აღარ შევლის. ამ მანკის სიმპტომები კარგა ხანია არსებობს და სანამ დაუძლეველ ძალად არ გადაქცეულან, მანამდე უნდა მივხედოთ, თორემ მაშინ გვიან იქნება.

ხშირად ლაპარაკობენ ადამიანები იმის შესახებ, რომ ხალხი გაზარმაცდა, სოფლელი კაცი სასურსათო პროდუქციის მწარმოებელი იყო, ახლა კი, მხოლოდ მომხმარებლის როლში გამოდის, ქვეყანა უპატრონოა, ხალხის ჯავრი არავის აქვსო.

არ არის სწორი, რომ ქართველ კაცს სიზარმაცის დიაგნოზი დაუსვა, რადგან იგი ბუნებით შრომისმოყვარეა და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო შრომისადმი იჩენს დიდ მიდრეკილებას. მხოლოდ ქართველ კაცს შეეძლო ის სასწაული ეჩვენებინა ხალხებისთვის, რაც „ჯარისკაცის მამაში“-ა ნაჩვენები. ტანკების ხრიალით დაბარბაცებულ მინდორში ბერიკაცმა გზა გადაუჭრა ყალყზე შემდგარ ტანკს „Стої, стої“-ს ძახილით და ტანკისტს საშუალება არ მისცა ვაზი გადაეთელა და წასულიყო. მან ვაზი ბავშვსაც კი გაუტოლა და გულდანყვეტილი ეუბნება მხეცადქ-

ცეულ ტანკისტს: „...ЭТО ЖИВОЙ, а ЭТО ЧТО НЕ ЖИВОЙ...“ აქ არ არის აუცილებელი დიდი ლიტერატურული განათლება, რომ კაცმა მახარაშვილში ნამდვილად დაინახოს არა რომანტიკული, არამედ რეალისტური სახე ქართველი ბერიკაცისა, რომლისთვისაც ვაზი ისეთივე ზრუნვის საგანია, როგორც ადამიანი და ასეთი კაცების შთამომავლობაზე რომ სიზარმაცის „ტიტულის“ მინიჭების ამბავს გაიგონებ, აუცილებლად გული გეტკინება.

ქართველი კაცისთვის კარგად მოვლილი ვენახი, ბალი, ყანა და კარგად განწყობილი ხარ-ურემი მთელი რომანტიკაა. ძველ დროში ხშირად მინახავს სოფელში სტუმრად ამოსული ქალაქელი კაცი, რამოდენა ინტერესით შეჰყურებს ჩოჩიალა ურემში შებმულ რქამალა ხარებს, თითქოს იგი მსოფლიო ხელოვნების ნიმუში იყოს. ეს, ალბათ, ატავიზმის გამოხატულებაა, თორემ მერსედესების მნახველი კაცი ამოდენა ყურადღებას ხარ-ურემის მიმართ ვერ გამოიჩენდა. ქალაქელმა კაცმა კარგად მოვლილი ვენახი რომ დაინახა შეჩერდა, კარგა ხანს უყურა, შემდეგ „ვენაცვალე შენს დამრგველს ხელებში“-ო თქვა და გაუდგა გზას. ეს დიდი ხნის ამბავია, ახლა იმ ადგილზე ნავენახარია, სადაც აქა იქ ბალახებში ჩანს ლერწები, რომელთაც მოუვლევლობით სასიცოცხლო ძალა გამოლეული აქვთ და მოკლე დროში დაადგებიან არყოფნის გზას.

მოვლენაში ღრმად ჩანვდომის მიზნით კიდევ ერთხელ გავიხსენოთ კარლ მარქსის შეხედულება ეკონომიკაზე: რომ „ეკონომიკა ყველაფრის საფუძველია“. ვინც ნოე ჩხიკვაძის „ბოგანოს“ გულდასმით წაიკითხავს, აღარ გაუკვირდება ის მასიური მიგრაციები, რომლებიც სოფლიდან ქალაქისკენ და ქალაქიდან უცხო ქვეყნებისკენ მიერეკება მდაბიო ხალხს. სწორედ ეკონომიკური მდგომარეობის მოუწყობლობა აფერხებს სოფლის განვითარებას და არა ქართველი კაცის „სიზარმაცე“. ასე რომ, კაცი, რომელიც ზოოპარკში სპილოს ვერ შეამჩნევს, ხალხის ცხოვრებას სწორ დიაგნოზს ვერ დაუსვამს და ბუნებრივია, რომ ვერც უმკურნალებს. სამშობლოზე ხალხის გულცივი დამოკიდებულება, გულალრძნილობა და მიგრაციები, ცუდად წარმართული პოლიტიკის შედეგია.

ქართველმა კაცმა გამოსცადა მონობაც, ყმობაც, რუსული სოციალიზმიც, მაგრამ „წენვა-გლეჯის ბაზარი“ ზენიტში აყვანილი ქართული პლუტოკრატის ბატონობის დროს იხილა. საზოგადოების განვითარების წინა ფორმაციების პერიოდში სანარმოო

ძალები არ იდგა განვითარების იმ დონეზე, რომელზედაც იგი ახლა დგას და ამდენად, ვერც მწარმოებელი ნახულობდა იმოდენა მოგებას, რამდენსაც ახლა ნახულობს. ძველ რუსეთში ყოველი წარმოებული 10 მანეთიდან მუშას უხდიდნენ 5 მანეთს (იხ. ჩემი „ხმა ამოიღე“, გვ. 8, აბზ. 4). თუ თქვენ ქართველი კაცების ზარმაცებად შემფასებლები, აღადგენთ წარმოებული დოვლათის განაწილების, თუნდაც ძველ რუსულ პროპორციას, ქართველი კაცი დაიბრუნებს შრომაში იმ აქტიურობას, რაც მას ისტორიულად მოსდგამს და თუ საქართველოს სოფლები, როგორც ისტორიკოსები ამბობენ, დაქსელილი იყო სარწყავი არხებით, ახლაც ისე დაიქსელება.

ქართველ კაცს ქურდობით და ყაჩაღობით ვერავინ გააკვირვებს, მაგრამ ეს კი გასაკვირია, რომ „წენვა-გლეჯის ბაზარი“ საქართველოში ყველაზე მეტად აქტიურობს და ამ ბაზარზე ევროპიდან ჩამოტანილი მედიკამენტები 1000%-იანი ფასნამატიტ იყიდება და ჩვენი ხალხის მიერ დაკანონებული მთავრობა, რომელიც „კანონიერ“ ქურდებს სამყაროში არსებული ყველა მიმართულებით ეძებს, ხოლო 1000%-იანი სპეკულანტებს თუ საჭირო იქნა მძიმე არტილერიის ცეცხლით დაიცავს და ამას ყველაფერს ერის კეთილდღეობის მიზნით ჩადენილ ღონისძიებად დააკანონებს.

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მიგრირებულია ევროპისა და წინა აზიის ქვეყნებში. თუ ვინმე ფიქრობს, რომ იმ ქვეყნებში ტყუილა აძლევენ ვინმეს რამეს – შემცდარია. ჩვენგან ჩასულ ბიჭებს ნაკლებ ფასში ქირაობენ დამქირავებლები, ვიდრე თავიანთ თანამემამულეებს, მაგრამ ეს ნაკლები ფასი დიდად აღემატება ჩვენი მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასს. რატომ ხდება ასე?! ამასაც ხომ რუსებს და კომუნისტებს ველარ დავაბრალებთ. დასახელებული შეუსაბამობა გამონვეულია საწარმოო ძალების ჩამორჩენილობით და განაწილების პრინციპის დარღვევით. ამ ორი პირობის გაუმჯობესებაზე პირველ რიგში, უნდა იზრუნონ იმ კაცებმა, რომლებსაც ხალხის ბედი აბარიათ.

რაც შეეხება პატრიოტიზმს და ეროვნულობას, შიმშილის წინაშე ორივე უძღურია. მე ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ ჰომეროსის მიერ დიდი ხნის წინათ ნათქვამს: „რომ ცარიელი სტომაქი ყველა სატკივარზე ძლიერი სატკივარია“, ხოლო კონსტანტინე გამსახურდია წერს: „შიმშილი რომ კაცს ქეჩოში ჩააფრინდება, არავინ იცის, რას მოიმოქმედებს“. ქეჩოში შიმ-

შილჩაფრენილმა კაცმა შეიძლება ხელი აიღოს მშობლიურ მი-
ნა-წყალზე, გასწიოს უცხოეთში ლუკმა-პურის საძებნელად...
დატოვოს სამშობლო, რომელიც სხვისთვის დედაა და მისთვის
ავი დედინაცვალი.

იმ „ნენვა-გლეჯის ბაზარში“, რომელსაც მე ხშირად ვახსენებ,
ყოველი კაცი რაღაცას ჩალიჩობს, თვალთმაქცობს, თაღლითობს,
იღლიტება, ზოგი მდიდრდება, ზოგი კოტრდება და რადგან სან-
ყალი გლეხის მოსატყუებელი, გასაღლეტი, გასაკრიტიკებელი და
გასაძარცვავე არავინაა, თვითონ რჩება მოტყუებულიც, გაღლე-
ტილიც, გაკოტრებულიც და გაძარცვულიც. აი, რა ინვეეს გლეხის
გულცივ დამოკიდებულებას შრომისადმი და ცხოვრებისადმი.

ჩვენი იდეოლოგები იმის მაგივრად, რომ შეისწავლონ ცხო-
ვრების განვითარების დამამუხრუჭებელი მიზეზები, ეკრანიდან
ხალხს მოძღვრავენ, რომ ბიზნესის წარმოება შეუძლია ყველას...
ამნაირი დაროგება ზღაპარი და მითია. გლეხს შეუძლია შრომა,
დოვლათის წარმოება, მაგრამ მისი გატანა. ვაჭრობა, გასაქმება,
ეს უკვე ვაჭრების და ეკონომისტების საქმეა და არა გლეხისა,
რადგან ბაზარ-ვაგზალი მის სტიქიას არ ერწყმის. ბაზარ-ვაგზალ-
ში გაყუდებულ გლეხს, ბალ-ვენახები დაუზარალდება, რადგან
„არავის ძალუძს ორთა უფალთა მონება“.

იმათ, ვისაც პრეტენზია აქვთ ხალხის ბედის მართვაზე, შე-
ვახსენებ ივანე კრილოვის აზრს, რომ: „Важнейшая тема для царей
знать свойство своего народа и выгоды земли своей“.

ზელიმ ჩაკვეტაძე

4.II.2019წ.

რეცენზია

ალქონარის წიგნში „უარყოფით სიცრუის მანტია...“ სათანადო არგუმენტების მოშველიებით და მეცნიერული მსჯელობით გამოაშკარავებულია ის სიცრუე, რომელსაც სხვადასხვა რელიგიების სხვადასხვა ქურუმები იყენებდნენ უტილიტარული თვალსაზრისით. ახალგაზრდობიდან მაკვირვებდა თვისტების დარიგება: „ბიბლია არ არის გეომეტრიის სახელმძღვანელო, რომ მასში მოცემულ შეხედულებებზე მსჯელობა გამართო. ბიბლია საღვთო წიგნია და რაც შიგ სწერია, ყველაფერი უნდა დაიჯერო კრიტიკის გარეშე“-ო.

ალქონარის წიგნმა ცხადი გახადა, რომ ბიბლია არც წარსულში ყოფილა კრიტიკის გამძლე და არც ახლა არის.

წიგნი მეცნიერულად ადასტურებს ომარ ხაიამის შეხედულებას რელიგიის ბუნებაზე:

„მონობის სული იმალება კერპშიც, ქაბშიც,
მონა-მორჩილის ხმები ისმის ზართა რეკვაშიც,
ყველგან მონობის აღბეჭდილა შავი ბეჭედი,
სადაც ჯვარია, საყდარია, მიჰრბ მენეთი“.

თანამედროვე ადამიანებისათვის საჭიროა რწმენა: კაცობრიობის, მეგობრობის, მეზობლობის, სიყვარულის, შრომის, პატიოსნების და სხვა ადამიანური ღირებულებების, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი, ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს არაფრად დაგიდევს იმის გამო, რომ ჩვენს „წევწევ-გლეჯის ბაზარში“ იგი სასიკეთოს ვერფერს ხედავს, ოცნებით გაუბრბის რეალურ სინამდვილეს და ილუზორულ სამყაროში გადადის და ამით უზრუნველყოფს თავის იდეურ მოთხოვნებს: „მუდამ გავზრდი გულში იმ ფიქრებს,

რომ სადღაც არის ისეთი მხარე,

სადაც ედემი ჰყვავის მზიანი,

სადაც არ არის სული მწუხარე,

სადაც ქვეყნიდან უცხო საზღვარზე

სწყდება კაცთ ოხვრა გულმოსაკლავი...“ წერდა

კალაკტიონი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ. უფრო ადრე კი ლერმონტოვი ამბობს:

„დედამიწა არ მოგენტრება არც სიძულვილით, არც მწუხარებით,

სად არ არსებობს ბედნიერება და არც მშვენება მარადუამული“.

ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს რომ ილუზორული ბედნიერება აუკრძალო, თუმცა ამას ვერ მიადწვევ და თუ მიადწვევ, დიდი უსამართლობა

იქნება, მის მისაღწევად საჭიროა, არა „წევა-გლეჯის ბაზრის“ პროფილაქტიკა, რომელსაც მარტოდენ საქართველოში 200-ზე მეტი პოლიტიკური პარტია ქვევა, არამედ ხალხის ცხოვრების შემსუბუქება. ეს შემსუბუქება კაცთა ცხოვრებისა და თანარსებობის ორ ძირითად ბურჯს ეყრდნობა: 1. ხალხის შრომით დასაქმებას, და 2. წარმოებული დოვლათის განაწილების სამართლიანობას. პირველი პუნქტი სრულდება გაჭირვებულად ათასნაირი წინააღმდეგობებით, ხოლო მეორის შესრულება „წევა-გლეჯის ბაზრის“ პოლიტიკოსებს არც ერთ ვითარებაში არ შეუძლიათ. თუ ამ ორი პირობის შესრულება მოხდება, მაშინ ხალხი ილუზორულ ბედნიერებაზე წინ რეალურს დააყენებს და მის შემოქმედს ღმერთთან გაატოლებს.

რაც შეეხება ავტორისეულ მოწოდებას, რომელიც წიგნის დასკვნით ნაწილშია მოცემული, რომ „საჭიროა ებრაელთა მარშის“ წინააღმდეგ შეიქმნას „მსოფლიოს ხსნის არმია“ აუცილებელ და სამართლიან მოთხოვნად მიმანია.

ავტორისეულ აზრს შეიძლება დავამატოთ, რომ მის მიერ შემოთავაზებული „მსოფლიოს მარშის“ შექმნა, აუცილებლად საჭიროებს თანამედროვე მსოფლოში არსებული პოლიტიკური პრტიებისაგან განსხვავებულ „მერიტოკრატიულ პარტიას“.

ამ პარტიამ ნაპოლეონის ეპოქაში დიდი როლი ითმაშა ბურჟუაზიული დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში. იგი ადამიანების შერჩევისა და შეფასების დროს ძირითად ყურადღებაას აქცევს არა ჩამომავლობას ან სოციალურ მდგომარეობას, არამედ პიროვნულ უნარებსა და ძალისხმევას. იგი პირველად გამოიყენეს 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ და განსაკუთრებით ნაპოლეონის ეპოქაში, როგორც ნიჭისათვის „ღია გზის“ პრინციპი.

ჩვენში საუბედუროდ თუ საბედნიეროდ ყველაფერი ევროპულობით იზომება, თორემ დავით აღმაშენებელმა დასახელებული პრინციპი 8 საუკუნით ადრე გამოიყენა (გაიხსენეთ მისი რეფორმები და მსხვილი ფეოდალების მორჩილებაში მოყვანა).

XIX საუკუნეში კი გრიგოლ ორბელიანმა ფართო ტრიბუნდიან იქადაგა „მიეცით ნიჭსა გზა ფართო“-ო.

არ არის გამორიცხული, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა დაამტკიცონ ჰეგელის შეხედულება: რომ „მსოფლიო ცივილიზაცია კავკასიაში იღებს სათავეს“.

ზელიმ ჩაკვეტაძე, ფილოლოგი

25.XII.2019წ.

ქალი და პოლიტიკა

„კაცთა მოდგმის სავალალოდ ქალები არ შეიძლება სრულყოფილნი იყვნენ, რაც არ უნდა გონიერი იყოს ქალი, რაც არ უნდა მაღალი ნიჭით დაჯილდოებული ჩანდეს, მაინც უზის სულში რაღაც ისეთი, რაც ცხოვრებას უშლის მასაც და სხვასაც“.

ანტონ ჩეხოვი

„რასაც არ უნდა ქადაგებდეს ქალი, მისი ცხოვრება მაინც არის ძიება იმისა, თუ ვის დაემონოს“.

დოსტოევსკი

ქალის ბედი ყოველთვის იპყრობდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ყურადღებას და ახლაც იპყრობს.

ადრეულ საუკუნეებში ცალკეული მოაზროვნეები კი გამოდიოდნენ ქალთა დაცვის ლოზუნგებით, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდნენ. ტორვალდის ნიგნში „კრიმინალისტიკის ასი წელი“ წერია: რომ XIX საუკუნის დასაწყისში ინგლისში გამოვიდა კანონი, რომლის თანახმად დიდგვაროვან ქალს უფლება ეძლეოდა ჭირვეული ქმრისაგან განქორწინებულიყო. რაც შეეხება მდაბიო გვარის ქალებს, აიძუებდნენ იმით, რომ მათ სიკვდილი იხსნიდა ლოთი ქმრის ბრწყალებიდან. ამ არგუმენტს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ იმ დროინდელი ქალის ცხოვრება გაიგივებული იყო მონობასთან. თუ ინგლისის იმპერიის მეტრონომიაში ასეთი მდგომარეობა იყო, რაღა იქნებოდა მის შორეულ კოლონიებში?!

XIX საუკუნის დიდი რევოლუციების პერიოდში დემოკრატიამ იმდენი გააკეთა, რომ ქალის უფლებები გაუტოლა მამაკაცის უფლებებს, რასაც შედეგად მოჰყვა ქალის გააქტიურება და ზოგჯერ კი გაბატონებაც პოლიტიკურ ასპარეზზე.

ჩვენ ვიცით მაგალითები, რომ ქალებს ძველ დროშიც და ახალშიც კარგად მოუმართავთ სახელმწიფოები. ავილოთ თუნდაც კლეოპატრა, თამარ მეფე, ეკატერინე II, ინდირა განდი, ტეტჩერი და მრავალი სხვა.

თამარ მეფის ეპოქაში დაწერილ „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრულ ფორმებში აისახა ქალის გამეფება.

ქალის გამეფების შესახებ როსტევეან მეფეს მსახურები მოახსენებენ „თუცა ქალია ხელმწიფედ, მართ ღმრთისა დანაბადია“.

აქ ანგარიშგასანევია მსახურების მიერ ნათქვამი „თუცა“, რაც ერთგვარ დაუკმაყოფილებლობას აღნიშნავს. არც ერთ შემთხვევაში მსახურები არ იტყოდნენ „თუცა“ ვაუთა ხელმწიფეო, რაც იმის ნიშანია, რომ ხვადს აქვს აშკარა უპირატესობა პოლიტიკურ სარბიელზე ძუსთან შედარებით.

სხვა ძალა აქვს დავითის ლომისებურ „ღრიალს“ ბრძოლის ველზე: „მომყევით, ხალხო“, ვიდრე თამარის ლოცვას ბასიანის ბრძოლის წინ. უდავოა, რომ მის ლოცვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ლაშქრისათვის, მაგრამ დავითის ლომისებური „ღრიალი“, გოლიათური აღნაგობა და ვეებერთელა ხმალი, მაინც მეტი იყო ყოველგვარ ლოცვაზე, თუნდაც წმინდანი ქალის ბაგეთაგან წარმოთქმულზე.

თამარის მეფობის დასაწყისში სამეფო კარი იძულებული გახდა დაეთმო დიდგვაროვანი აზნაურებისთვის და უმაღლეს სამოხელეო თანამდებობებზე დაბალი წოდების მქონე კაცების მაგივრად, ისევე უძლიერესი ფეოდალები დაებრუნებინა. ეს ყველაფერი აზნაურებმა თავიანთი პირადული ინტერესებისათვის გამოიყენეს. ბაგრატ III-ისა და დავით აღმაშენებლის მიერ მიღებული ორიენტაციის ბოლომდე დაცვა და მისი მემკვიდრეობით გადაცემა, თამარმა ჩვენი ცხოვრების სავალალოდ შესძლო. ამ ორიენტაციის მემკვიდრეობაში გადაცემა ისეთ მამაცს საჭიროებდა, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო.

თამარის ღვანლსა და ეპოქას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, რაც სწორია. იგი არის თაყვანისცემის ღირსი, მაგრამ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, „იმდროინდელი საქართველოს დიდება დავითისა და გიორგი III-ის სამხედრო მოქმედების ღვანლი უფრო იყო, ვიდრე თამარის მოქმედების შედეგი“.

ისტორიაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ არსთა განმრიგე განსაკუთრებული გონებრივი ძალის ადამიანებით უხვად არ აჯილდოვებს კაცობრიობას. კაცთა ცხოვრების 5500 წლიანი ისტორიის მანძილზე გენიოსთა რიცხვი 400 კაცამდე აღწევს და მათი არმია მხოლოდ მამაკაცებისაგან შედგება. შეიძლება ვინმემ იფიქროს, ქალის ყურადღების ცენტრი ბავშვებზე და ოჯახზე არის მიმართული და ამიტომ იგი ჩამორჩა მამაკაცს, რომელსაც მეტი საშუალება აქვს მეცნიერული მუშაობისთვის. ქალის გონება რომ ისე ყოფილიყო მიპყრობილი მეცნიერებისაკენ, როგორც

მამაკაცისაა, იგი აღარ ჩამორჩებოდა და აუცილებლად დაიჭერდა თავის ადგილს გენიოსთა რიგებშიო. კრიტიკის გამძლეა აინშტაინის შეხედულება, რომ „მეცნიერება არის ის, რაც არის და არა ჰიპოთეტური, ასე რომ ყოფილიყო“. თუ აინშტაინის გონებას უნდობლობას არ გამოვუცხადებთ, მივიღებთ, რომ მამაკაცი მეცნიერებასა და პოლიტიკაში ყოველთვის მეტია, ვიდრე დიაცი. აქ საჭიროა გავიხსენოთ გოეთეს შეხედულება იმის შესახებ, რომ:

„ემმაკისაკენ მიმავალ გზას თუ მოჰკრა თვალი,
ათას ნაბიჯზე გადაასწრებს მამაკაცს ქალი.
კაცი ერთ ნაბიჯს გააკეთებს და თუ ინდომებს,
მაგ ქალბატონებს ხელად კუდში ჩამოიტოვებს“.

გოეთეს აზრით, გააქტიურებული დიაცი გაასწრებს გაპასიურებულ მამაკაცს, ხოლო აქტიურს იგი ათასი ნაბიჯით ჩამორჩება. სასკოლო მუშაობაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გოგოები უფრო აქტიური არიან სწავლაში, ვიდრე ვაჟები. ქალი უფრო ადვილად მიჰყვება აღმზრდელის ხელს, ვიდრე ვაჟი, ასე რომ კლასში აქტივის უმრავლესობას ქალები შეადგენენ. ვაჟი ურჩია, დაუმორჩილებელი და თავისებური. ბავშვობის მაღალ ასაკში თუთუნის წევას და ღვინის სმას იწყებენ, რაც სწავლაში გაპასიურების მიზეზი ხდება. აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ კლასის აქტივში მიუხედავად გოგოების უმრავლესობისა და ვაჟების უმცირესობისა, ამ უკანასკნელში აღმოჩნდება ერთი მაინც ისეთი, რომელიც გოეთეს სიტყვებით რომ ვთქვათ „მაგ ქალბატონებს ხელად კუდში ჩამოიტოვებს“.

შეცდომა იქნება იმის წარმოდგენა, რომ ქალის ფუნქციები ნაკლებმნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე მამაკაცისა. ოჯახი საყრდენია კაცთა ცხოვრებისა, რომლის ბურჯს ქალი წარმოადგენს. ქალი ოჯახურ საქმეებში უფრო ძლიერია, თუნდაც დიდად ანგარიშიან მამაკაცზე. ვერც ერთი მამაკაცი ისე ღრმად ვერ ჭვრეტს ოჯახის ჭირსა და ლხინს, კულტურას და ჰიგიენას, თუნდაც ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც დედაკაცი.

ძველ საქართველოში ქალის ფუნქციები ძირითადად ოჯახური საქმიანობით იფარგლებოდა და პოლიტიკაზე იგი თავს დიდად არ იტკივებდა. ახალ დროში ქალის პოლიტიკაში გააქტიურება გამოიწვია ომმა, რომელმაც ქალს ოჯახის მოვლასთან ერთად, დააკისრა მრავალგვარი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ვალდებულებები.

ჩემი ხნის კაცებს ახსოვთ ქალების აქტიურობა XX საუკუნის 40-იან წლებში. სოფელში მონიფულსა და ჯანმრთელ მამაკაცს ვერ დაინახავდი, ნახავდი მხოლოდ 15-16 წლის ქიქლიან ყმაწვილებს, რომლებიც სამხედრო საქმისათვის უმნიფარნი იყვნენ, ბებრებს, ან ინვალიდებს. ასეთ პირობებში ჩავარდნილი ქვეყნის გადასარჩენად ქალის გააქტიურება აუცილებელი იყო. ქალი მუშაობდა ყანაში, ტყეში, ვენახში, აწარმოებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ატრიალებდა ქარხანაში ფოლადის ბორბლებს, ვაჭრობდა, ექიმობდა, ვექილობდა, მასწავლებლობდა, სოფელში შემოვარდნილ ნადირს იგერიებდა და ამდენი ფუნქციების დაკისრებამ იგი პოლიტიკაშიც გაააქტიურა და ტრიბუნაზეც შეაყენა. შეიძლება ითქვას, ჩვენ რომ დიდი უნარის ქალები არ გვყოლებოდა, გავნადგურდებოდით. ამბობენ, რომ II მსოფლიო ომში, რუსეთის უზარმაზარ იმპერიაში, პროცენტული გაანგარიშებით, არც ერთ რესპუბლიკას იმდენი ჯარისკაცი არ გაუყვანია, რამდენიც საქართველომ.

ქართული რენესანსის უდიდესმა წარმომადგენელმა, შოთა რუსთაველმა ქალის ავტორიტეტი აამაღლა, მაგრამ ომებში და პოლიტიკურ ურთიერთობებში წინა ხაზზე, მაინც მამაკაცი დააყენა. მისი ტარიელი შეურაცხყოფად ლებულობს საომარ დარიგებას, რომლითაც მას ნესტანმა მიმართა: „რასა სდგა? დღე მიგიჩნს წინ საომარე! ანუ გამწირე, მიტყუე და კვლაცა მოიმცლომარე?!“ (სტ. 650) „...მენყინა, აღარა ვთქვი, ფიცხლად გარე შემოვბრუნდი, უკუვჭყვივლე ან გამოჩნდეს, არ მინდოდეს, ვისცა ვუნდი, ქალი ომსა რაგვარ მანვევს, აგრე ვითა დავძაბუნდი“ (სტ. 651). ტარიელის ამ სიტყვებში აშკარად ჩანს ის უპირატესობა, რომელიც დიაცთან შედარებით მამაცს უნდა გააჩნდეს საომარ საქმეებში.

ცხოვრება გამუდმებული ბრძოლაა კეთილსა და ბოროტს შორის და ამ ბრძოლის ველზე წინა ხაზზე აუცილებლად მამაცი უნდა იდგეს და მისთვის მიუღებელი უნდა იყოს სამსხვერპლოზე დიაცის მიყვანა.

გერმანელი მწერალი თომას მანი პოლიტიკას, რომელიც ასე პოპულარული გახდა ახალი თაობის ქალებისათვის, ასეთ შეფასებას აძლევს: „გერმანელი პოლიტიკაში ხედავს სიცრუეს, მკვლელობას და ძალადობას და თუ პატივმოყვარეობის გამო მიმართავს მას, კიდევაც ცდილობს მის გამოყენებას. პოლიტიკოსი აუცილებლად ისე უნდა მოიქცეს, რომ კაცობრიობას სული

შეუხუთოს“; ეს მიაჩნია მას პოლიტიკად. მისი აზრით, „პოლიტიკა ბოროტების განსახიერებაა და ეძლევა რა მას, იქცევა ეშმაკად და დემონად“. ამ სიტყვების ავტორი ჭეშმარიტი გამომხატველია იმ საქმიანობისა, რომელსაც პოლიტიკოსები ემსახურებიან და ჩვენ ყოველნაირად უნდა შევეცადოთ, რომ იმ პლატფორმას, რომელზეც: სიცრუე, ვერაგობა, მკვლელობა, ძალადობა და პატივმოყვარეობაა, დედაკაცები არ შევსწიროთ. არ გავხადოთ იგი იმ ინსტრუმენტად, რომლითაც ეშმაკი გვმართავს ჩვენ. იმათაც უნდა მოვუფრთხილდეთ და ჩვენს თავსაც. მოპასანი გვასწავლის: „ქალები არც ჩვენს შეცდომას გვაპატიებენ და არც თავისას“.

თუ გავითვალისწინებთ რუსთაველის შეხედულებას: „სამალავი დიაცთანა არასოდეს არ ითქმების“ მივიღებთ, რომ ქალი არც გამოდგება იმ პოლიტიკაში, რომლის განმარტებას თომას მანი აკეთებს, რადგან დიაცი რომლისთვისაც საიდუმლოს გამჟღავნება უდიდესი სიამოვნებაა, არ შეიძლება იყოს ჭკვიანი კაცის ნდობით აღჭურვილი პირი, ხოლო ნდობის გარეშე დიდად საპასუხისმგებლო საქმეს ჭკვიანი ხელმძღვანელი ვერავის ჩააბარებს და თუ ჩააბარებს, საქმეს დაღუპავს.

რაც შეეხება ქალის მაცდურობას, რომელსაც სატანისტები ხშირად იყენებენ, ჯონ მილტონი ასეთ შეფასებას აძლევს: „ეშხი ქალისა იმორჩილებს მხოლოდღა სუსტებს, უბადრუკებსა და მერყევებს, ძლიერისათვის იგი სათამაშო ტიკინადღა თუ გამოდგება“. მისი სატანა ადამის ცდუნებაზე უფო იოლ საქმედ ევას ცდუნებას ამჯობინებს. ეს ბიბლიური შეხედულება სრული ანტითეზაა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც რუსთაველის აფორიზმს: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ არაობიექტურად გებულობენ და მიჩნევენ, თითქოს რუსთაველი ლეკვს ლომის ტოლად თვლიდეს, ძუ იქნება თუ ხვადი. ვერ უწევენ ანგარიშს გრამატიკულ ფაქტორს, რომ აფორიზმში სიტყვა ლეკვი საზღვრულია, „ლომისა“ – მსაზღვრელი. ნათესაობით ბრუნვაში ჩასმული სიტყვა „ლომისა“ გვიჩვენებს კუთვნილებას, რითაც ვგებულობთ, რომ საქმე გვაქვს ლომის ლეკვთან და არა ვეფხვის, მგლის, ან ძაღლის, ხოლო ტოლობა იგულისხმება ლეკვების უფლებებში ერთმანეთის მიმართ.

დანტეს უთქვამს: „ცუდად გაგებულ მოძღვრებამან კაცთა მოდგმა შეცდომის გზაზე დააყენა“-ო, რაც თავი მახსოვს, იძახიან „ლეკვი ლომისა სწორია...“-ო. არ გულისხმობენ ლეკვისა და

ლომის მსაზღვრელ-საზღვრულობას და პრედიკაცივს მიმართავენ ლომისაკენ, რაც ლოგიკური შეცდომაა. ლეკვი ლომისა მომავლის ლომია და არა აწმყოსი. ლეკვი აწმყო დროში არ არის ლომი. იგი მხოლოდ მომავალში შეიძლება გახდეს ლომი, როცა იგი ლეკვობის ასაკიდან გამოვა, არ შეიძლება შეგირდი იყოს ოსტატის ტოლი. სანამ იგი შეგირდია, მას ოსტატთან გატოლება არ შეუძლია და როცა გაუტოლდება, მაშინ იგი ოსტატი გახდება და შეგირდობის ტიტული მოეხსნება.

რუსთაველის ლომისათვის ლეკვი ძუ იქნება თუ ხვადი, ზრუნვის ერთნაირი საგნებია და ორივეს ერთნაირად უვლის. ვეფხიტყაოსნის ნუცუბიძისეული თარგმანი რუსულ ენაზე გვატყობინებს: „Щенки льва равны друг другу, будет самка или самец“ აქ გარკვევით ჩანს, რომ სიტყვა ლეკვი მიმართულია მეორე ლეკვისაკენ და არა ლომისაკენ, არ შეიძლება სადაო იყოს ის ამბავი, რომ სანამ ისინი ლეკვები არიან, რაიმე ერთმანეთისაგან განსაკუთრებული უფლებები ჰქონდეთ, მაგრამ როცა ლომებად იქცევიან, ხვადს თავისი ფუნქციები დაეკისრება და ძუს – თავისი, როგორც ეს ღმერთს და ბუნებას დაუწესებია.

საზოგადოება მამაკაცის ფუნქციებით აღჭურვილი ქალით აზარალებს თავსაც და ქალსაც. XX საუკუნის 40-იანი წლებიდან აღებული ტენდენცია დღემდე გრძელდება. ქალებს ვხედავთ: მსხვილი ქარხნების, სკოლების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებების დირექტორებად, უნივერსიტეტების რექტორებად, მინისტრებად, პარლამენტარებად და პრეზიდენტებადაც კი. მაშინ, როცა მის ქვეშევრდომებში მთელი არმია შეიძლება შეადგინოს კაცმა, ამ გაიდეალებულ და გამამაცებულ დიაცებზე უფრო ძლიერი როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი ძალითაც. ვისაც ეს მდგომარეობა არ აწუხებს, მას არც საზოგადოების კეთილდღეობის ჯავრი აქვს. დიაცი გადაჭარბებულმა პოლიტიკურმა უფლებებმა იქამდე მიიყვანა, რომ იგი კაბის ტარებას აღარ კადრულობს და ველარ ხვდება იმას, რომ კაბა ქალის პრეროგატივაა, იგი მის სოლიდურობას გამოხატავს და მის მოქმედებას და მოძრაობასაც სერიოზულ სახეს აძლევს.

მადლობელი ვარ იმ ეკლესიებისა, რომელთა მსახურები სამლოცველო დარბაზში შარვლებში გამოპრანჭულ ქალებს არ უშვებენ. კარგი იქნებოდა თუ ამ კანონს სკოლებიც და სამინისტროებიც მიიღებდნენ.

არის ცალკეული საწარმოები, რომლებშიც ტენჯიკური უშიშროების დაცვის მიზნით უმჯობესია ქალი შარვლით გამოცხადდეს სამუშაოზე, მაგრამ მათემატიკის ან გრამატიკის მასწავლებელს რა აქვს საშიში იმით, რომ დაფასთან ასაკისა და სქესის შესაფერისი ჩაცმულობით დადგეს?! ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ სინუსები და კოსინუსები, ან პრედიკატივები და სუბსტანტივები ვინმეს კაბაზე მობლაუჭებოდეს.

რომანტიკულ პოეზიის მწვერვალი ჯორჯ ბაირონი ძლიერ იოლად სჭრიდა ქალის საკითხს. მისი შეხედულებით: „ქალი ღამაზი უნდა იყოს, ცოტა ცეკვა იცოდეს, ცოტა მუსიკა. შინ იჯდეს და პოეზიით და პოლიტიკით თავი არ აიტკივოს“, და როგორც მწერალი ურუმაძე ამბობს „ეს არის მისი იდეალური ცოლის ცხოვრების დიეტა“.

ჯონ მილტონიც ანალოგიურ მოთხოვნას აყენებს ქალის წინაშე: „ქალისათვის არა არის რა იმაზე კარგი, ვიდრე ოჯახის თადარიგის მარჯვედ დაჭერა“.

სერვანტესი ამბობს: „ყველა ჩვენგანი მაშინ არის თავის ადგილზე, როდესაც ის თავის საქმეს აკეთებს და რისთვისაც ის დაბადებულია“.

დიაცი არ იბადება არც პოლიტიკისთვის, არც ხიშტიისთვის და არც მუშტიკრივისთვის. იგი იბადება ოჯახისთვის და მისი შემოქმედების გვირგვინი ბავშვი და ოჯახი უნდა იყოს და თუ იგი ამ ჩარჩოებს გადაღმა გადადის ან მამაკაცის სისუსტეს ან მთავრობის სწრაფვას, რომ აბსოლუტურად მორჩილებაში ჰყავდეს მსახურები, უნდა მიეწეროს. ყველა ვიცნობთ ნინოშვილის ძალაძეების ოჯახს. საყვარელა უნიათი, უფხო კაცი იყო. იგი თავმდაბლობით და მორჩილებით ფიქრობდა თავის გატანას და ოჯახის გადარჩენას. მისი ცოლი ქეთევანი კი თოფით დასდევდა უკან მამაკაცებს, რომლებიც „წენვა-გლეჯის ბაზრის“ კანონის შესაბამისად, მრავალ და მათ შორის ძალაძეების ოჯახსაც ავიწროებდნენ. რაც შეეხება მთავრობას და მის ქურუმებს, ისინი მუდამ იმაზე ზრუნავენ, რომ ხალხის ბედი ისეთ პიროვნებას ჩააბარონ, რომელიც მათი ინტერესების შესაბამისად ხალხს მორჩილებაში მოიყვანს და თვითონაც ზემდგომის მორჩილი იქნება, ამ შემთხვევაში მისთვის უფრო ხელსაყრელია ხალხის რჩეული სახელით თაღლითების მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირზე წამოტივტივებული შარვლიანი ქალი, ვიდრე ოძელაშვილების მემამბოხე ბიჭი

„თავხედი, თამამი, მოურიდებელი და მოუდრეკელი, ...ისე მიადგა ბატონს, როგორც თავის თანასწორს“. ასეთი ვაჟკაცები მთავრობის სავარძლებში მოკალათებულ თაღლითებს არ მოსწონდათ და ყოველნაირად ცდილობდნენ მათ დაკნინებას, დაჩივებას, დასაწყლებას და საბოლოო ანგარიშში ფიზიკურ განადგურებას.

„ხალხი უნდა იცნობდეს გაბრიელ ქიქოძის შეხედულებას: რომ უბედურ არს ის ქვეყანა, რომელთა შინა ქალთა დაივიწყეს თავისი მნიშვნელობა და დაიწყეს დაფანტული, ქრისტიანული ზნეობის წინააღმდეგ ცხოვრება“.

არაფერია სადავო იმაში, რომ ქალი არის შეუცვლელი ძალა ოჯახში, საბავშვო ბაგა-ბალებში და დაწყებით კლასებში ადრეული ასაკის ბავშვებთან მუშაობაში, თუნდაც საშუალოდ მოაზროვნე ქალს ძლიერი მოაზროვნე და ჰუმანისტი მამაკაციც ვერ გაუტოლდება, რადგან პირველი თავისი ფსიქო-ბიოლოგიური მონაცემების გამო ახლოს არის ბავშვთან და უფრო მეტად გებულობს ბავშვის გასაჭირსაც და სიხარულსაც.

შეუცვლელია ქალის ფუნქცია სამზარეულოშიც. სამზარეულოში ბევრი კულტურული მამაკაცი მუშაობს ნამუსიანად, პატიოსნად და ჰიგიენურად, მაგრამ იგი მაინც ქალის პრეროგატივაა. ასევე შეუცვლელია ქალი სცენაზე. მას მსახიობობის განსაკუთრებული უნარი აქვს. შეუძლია შეიჭრას პერსონაჟის მოქმედებაში და საკუთარი მეობაც შეახამოს მას, ისე რომ პირველს მეორე არ ანაცვალოს და მეორეს პირველი. ეს საქმე მამაკაცისათვის ძნელი გადასაჭრელია, ქალი კი მას თავისი სტიქიის წყალობით კარგად და „იოლად“ ახერხებს.

რაც შეეხება ტრიბუნას, იგი ნამდვილად არ არის ქალის საქმე. უნდა ითქვას, რომ ლამაზ ქალს ყველაფერი უხდება, გარდა ტრიბუნისა და პოლიტიკისა.

ქალის, თავის სტიქიაში დაბრუნებით, მხოლოდ ორი უწყება ზარალდება თეატრი და ეკლესია. თეატრზე უკვე გვქონდა საუბარი და რაც შეეხება ეკლესიას, უნდა ითქვას, რომ მისი საგალობლები აუცილებლად საჭიროებენ დედაკაცის წკრიალა ხმას, რომელიც არც ერთ ნორმალურად განვითარებულ მამაკაცს არ შეიძლება გააჩნდეს, რადგან ღმერთს იგი მდებდრობითი სქესის მქონე ადამიანებისათვის შეუქმნია, რადგან დედათა შორის ბევრია ისეთი, რომლებიც საეკლესიო საქმეს ყველაფერზე მაღლა აყენებენ, ეკლესია ამ პრობლემას იოლად გადაჭრის.

ქალს თავის სტიქიაში დაბრუნება აგრძნობინებს, რომ იგი კაცთა ცხოვრების დედაბოძია და არა კოლექტივის შრომის გმირი, ბიზნესის აპოლოგეტი, ზვიადისტების და სმკ-ისტების კლაკიორი და „ქართული დემოკრატიის“ ტრიბუნის კაჭკაჭი.

თავის სტიქიაში ქალის დაბრუნებით ქართველი კაცი დიდად დააბრკოლებს სატანას შემოტევას ქართულ კულტურაზე, რომელიც ვიგინდარებისა და თაღლითების მონოლით უფსკრულის პირამდეა მისული და ყოველდღე მოსალოდნელია გადაიჩეხოს და დაიღუპოს ის ერი, რომელიც ჰუგო ჰუბერტმა ასე დაახასიათა:

„ის შეება ათას მტარვალს ათას ვერაგს
და აბჯარი შეადგენდა მისთვის პერანგს,
თანაც ჰქმნიდა ისეთ მაღალ ხელოვნებას,
თავაზობდა სულს დახვეწილ გემოვნებას“.

დიაცზე მინდობილი პოლიტიკა ხშირად ღუპავს, როგორც თვითონ დიაცს, ასევე მასზე დამოკიდებულ საზოგადოებრივ საქმესაც. ამის კარგი დადასტურებაა კოლხეთის მეფის აიეტის ასულის მედეას ტრაგედია. მან სამშობლოს და მამის ინტერესები ანაცვალა იასონს და ამით საშუალება მისცა მას წაეღო კოლხეთიდან არა უბრალოდ ცხვრის ტყავი, არამედ სიმბოლო და ნიშანსვეტი ჩვენი ქვეყნის სიმდიდრისა და სიდიადისა. მან დაღუპა იასონიც, შვილებიც, ძმაც და საკუთარი თავიც.

ჩემს პუბლიცისტურ სტატიაში „საქართველოს მთავრობის კომპლიკაცია და ერის გადარჩენის ფაქტორები“ ნათქვამია: ერის გადარჩენისათვის არსებობს სამი დიდი ფაქტორი – პოეზია, რწმენა და შრომა. ამ სამ ფაქტორს უნდა ასაზრდოებდეს ღვთისგან და ბუნებისგან დაწესებული სამი წყვილი მოთხოვნა ადამიანების მიმართ:

1. დიაცი დიაცობდეს და მამაცი მამაცობდეს;
2. ოსტატი ასწავლიდეს და შეგირდი სწავლობდეს;
3. ბრძენი მბრძანებლობდეს და ხალხი უსმენდეს.

როცა ხალხი ამ მოთხოვნებს შეასრულებს, მაშინ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ იმაში, რომ სატანა ბარგს აიკრავს და სამუდამოდ გაშორდება იმ ქალაქს, რომელსაც იგი ხან ყრუ მურმანის, ხან თემურ ლენგის, ხან ჯალალ ედ-დინის, ხან ალა მაჰმად ხანის და სხვა ათასი ძაღლისა და მამაძაღლის სახით ევლინებოდა და ახლაც ვიღაცის სახით თარეშობს.

11.VI.2196.

P.S. დიაცის ჩარჩოებში ჩაყენებულ ქალის გაბრიყვებას სატანამ მთელი თავისი ხელოვნება რომ მოახმაროს, მაინც ვერ შესძლებს მის „გამრგვალებას“ ისე, რომ „ზვი-ა-დის“ ძახილით მიტინგზე მიიყვანოს და ბებერი კაცების გვერდები სარგისებით დააჩხვლეტიოს.

სატანა ვერასდროს დაივინყებს იმ დიდ სამსახურს, რომელიც მას იმერელმა „მრგვალმა“ ქალებმა სამტრედიიაში ანტიზვიადისტების კარვების დანვითა და ქართული ეროვნული დროშების ფეხქვეშ გათელვით გაუწიეს 1992 წლის 14 თებერვალს.

რამდენიმე წლის წინათ თბილისური ჟურნალი, რომელიღაც მსახიობ ქალზე წერდა, რომ ვიღაც მსახიობი ქალი საახალწლოდ ჭიპს გამოაჩენდა. ამ შეტყობინებას თავაშვებული ადამიანების თავაშვებული პრესა ისეთი პათოსით აცხადებდა, თითქოს ჟურნალისტს ერთი ვეებერთელა აგური დაედო ქართველი ერის ზნეობრივი ტაძრის მშენებლობის უბანზე.

დიდი სიამოვნებაა, როცა კაცი აზრის ჩამოყალიბებას ფიქრობს და უცბად გაახსენდება, რომ ეს აზრი სხვა კაცს მისთვის სასურველი შინაარსით უკვე უთქვამს.

ბევრი ვანვალე ჩემი ბებერი და ველური ტვინი, რომ როგორმე წარმომედგინა, თუ რა ხელოვნება შეიძლება იყოს ჭიპის გამოჩენა და მივედი იმ დასკვნამდე, რომ იგი ხელოვნება კი არა შედეგია თავაშვებული თავისუფლებისა, რომელზედაც კანტი ამბობდა: „ყველაზე დიდი უბედურება აღვირახსნილი თავისუფლებაა“. კანტის აზრთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს შევახსენო დანტეს შეხედულება, რომ: „საჭიროა მართლაც აღვირი თავაშვებული კაცთა მოდგმის ასალაგმავად“.

23.VI.2019წ.

P.S. 2

ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში მატრიარქატი შეცვალა პატრიარქატმა და როგორც ენგელსი ამბობს, „მამაკაცმა „დამარცხა“ ქალი, მაგრამ გამარჯვებულის დაგვირგვინება დღესულოვნად ითავა დამარცხებულმა“.

ქალმა გუთნისდებობა და მასთან დაკავშირებული სამუშაოები მამაკაცს გადაულოცა, თვითონ ბავშვების აღზრდითა და ოჯახის შინაური საქმეებით დაკმაყოფილდა. ეს ტენდენცია უპრეტენ-

ზიოდ სრულდებოდა ევროპის ბურჟუაზიულ რევოლუციებამდე, ხოლო ბურჟუაზიული რევოლუციების შემდეგ ქალი მამაკაცთან გაათანაბრეს და ზოგიერთ შემთხვევაში, მასზე წინაც დააყენეს. რუსულმა სოციალიზმმა მატრიარქატის დროინდელი უფლებები აღუდგინა, ხელახლა გუტნისდებობა დაანყებია და სოციალისტური შრომის გმირობის ორდენებით მკერდი დაუმშვენა.

ქალების ეს ნაწილი კარგად შეეგუა დარვინის მიერ მიკვლევულ ცვალებადობის კანონს და პოლიტიკური ამინდის შესაფერისად ქამელეონებოვით იცვლიან ფერს. მათ ყოველთვის გამარჯვებული პარტიის რიგებში ვხედავთ მთავრობის სავარძლებში მოკალათებულთ.

რაც შეეხება ქალთა ძირითად შემადგენლობას, რომელიც წარმოადგენს ერის არსებობის ძირითად ბურჯს, არავითარ პრეტენზიას არ აცხადებს მატრიარქატის პატრიარქატით შეცვლაზე და ერთგულ შემსრულებლად რჩება იმ დადგენილებებისა, რომლებიც მას ღმერთმა და ბუნებამ დაუწესა. მათ ხშირად შეხვდებით ქალაქშიც, ქუჩაშიც, მინდორშიც და წვეულებებშიც, ასაკისა და სქესის შესაფერისი ვარცხნილობითა და ჩაცმულობით. ისინი მამაკაცების ყოველმხრივ ხელისშემწყობნი არიან და ყოველთვის ცდილობენ ახალ-ახალი წარმატებები მოაპოვებინონ სიკეთის გზაზე.

მამაკაცს, რომელსაც ღმერთმაც და ბუნებამაც დაუწესა ქალის ბატონ-პატრონობა, ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ სატანა მუდამ იმის ცდაშია, გამოიყენოს ქალი იმ ძირითად იარაღად, რომლითაც ადამიანებისა და ღმერთის წინააღმდეგ უნდა იბრძოლოს. იგი ამ მიზნისთვის არც მამაკაცს იწუნებს, მაგრამ რადგან მისი ხელოვნება ქალთან მეტ ეფექტს აღწევს, მუდამ მის ახლოს ტრიალებს. ამიტომ ქალი ნებისმიერი სოციალური წრის, ასაკის, პროფესიის, განათლების, დამსახურების, ეროვნულობის, თუ გვაროვნულობისა ყოველთვის და ყოველ გარემოში უნდა იყოს მამაკაცის მფარველობის ქვეშ და მისი ყურადღების ცენტრში.

9.IX.20196.

ზელიმ ჩაკვეტაძე

პიროვნება, სამშობლო, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი

ჩემი კაცობის გვირგვინო,
ჩემო სამშობლო მხარეო“
ვაჟა-ფშაველა

„თუ კაცობრიობა არ გიყვარს ნამდვილად,
არც სამშობლო გყვარებია“.

ანატოლი ფრანსი

თანამედროვე პირობებში ადამიანების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ პატრიოტული და ინტერნაციონალური გრძნობები. ორივე მათგანს სჭირდება მოვლა და პატრონობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ მათ ერთმანეთი დააზარალონ, რითაც თავსაც ავნებენ და სხვასაც. უყურადღებობის შედეგად პატრიოტიზმი იოლად გადაიზრდება შოვინიზმში, ხოლო ინტერნაციონალიზმი კოსმოპოლიტიზმში.

პატრიოტიზმის გრძნობა უფრო ძველია, ინტერნაციონალიზმი – შედარებით ახალი. კაცობრიობის განვითარებისათვის ორივე მათგანს აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

პატრიოტი სიტყვის ვინრო გაგებით ნიშნავს სამშობლოს მოყვარულს, ხოლო ფართო გაგებით – მოჭარბებულ სიყვარულს, რაიმე საქმიანობის ან ობიექტის მიმართ.

სიტყვა სამშობლოს კარგად გაგებისათვის საჭიროდ მიმაჩნია მისი ლოგიკურ-გრამატიკული გაანალიზება. მივმართოთ გრამატიკას.

სიტყვა სამშობლოს ფუძე შობა მორფოლოგიურად სანყისია (ბავშვის შობა მტკივნეული პროცესია), მეორე შემთხვევაში, იგი პინიანი ზმნაა (შობა მან ის). სანყისი შობა დაირთავს მიმღების მანარმოებელ აფიქსებს მე-ელ-ს და ვლებულობთ მიმღეობა მშობელ-ს. მშობელ ადგილის დანიშნულების გამოხატვის მიზნით დაირთავს სათანადო აფიქსებს სა-ო-ს (სა-სოფლ-ო, სა-სკოლ-ო, სა-ბავშვ-ო და სხვ.). ანალოგიურად წარმოიქმნა სიტყვა სამშობლო, რომელიც მიგვანიშნებს იმ ადგილს, სადაც ესა თუ ის არსება გაჩენილა (აქლემის სამშობლო არაბეთია, კენგურუს – ავსტრალია, თეთრი დათვის – ციმბირი, ხოლო ვირებისა – ყველგან,

რადგან ისინი ყველა ქვეყანაში უხვად არიან, ალბათ, ამიტომ ამბობდა ავიცენა: „ვირებს ჰგონიათ, ჩვენიაო მთელი სამყარო“. და ყველგან დიდ პატივში ჰყავთ. მეხი კი დავაყარე იმ სანჩო პანსას, რომ ტრაბახობს: „ბევრჯერ მინახავს ვირი, გუბერნატორად რომ მიჰყავდათო“. მან თავისი დანახული ფაქტით ქართველი კაცი ვერ გააკვირვოს. ამნაირ რამეს იგი ძალიან ხშირად ხედავს).

როგორც რთული, ისე მარტივი ორგანიზმების მქონე არსებები კარგად ეგუებიან მშობლურ გარემოს. მათ შორის ადამიანიც თავის ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს სამშობლოში მეტი სისრულით ამჟღავნებს, ვიდრე სხვაგან. პატარა ერებს ხშირად უხდებათ დიდ სახელმწიფოებში ახალგაზრდობის გაგზავნა სასწავლებლად, რაც გამონგეულია იმ ძვირადღირებული ლაბორატორიებით, რომელთა შექმნა პატარა ერებს ძალიან ძვირი უჯდებათ, ან საერთოდ არ შეუძლიათ, თორემ სწავლის მიღება რომ უცხო ენასთან შედარებით მშობლიურ ენაზე უფრო ადვილია და ეფექტური, დარწმუნებული ვარ, რომ პედაგოგიურ მეცნიერებაში ჩახედულმა თითოეულმა კაცმა კარგად იცის.

პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები გულწრფელად ესალმებიან უცხო ენების შესწავლას, რაც უდავოდ კარგი საქმეა, მაგრამ ამასაც მკაცრად მოითხოვენ, რომ უცხოურმა ენამ და კულტურამ ეროვნული არ დაგვიზარალოს, თორემ კოსმოპოლიტიზმის ჭაობში აღმოვჩნდებით, თავადაც დაეზარალებით და მსოფლიო კულტურასაც ვერაფერს ვარგებთ. უცხოურ ენას და კულტურას მცირერიცხოვანი ერების კაცების თავში უნდა მივსცეთ მოქალაქეობის და არა მეფობის უფლება, რადგან მეფობა მშობლიურის კანონიერი პრეროგატივაა, ეს მოთხოვნა მომგებიანია ერისთვისაც და ბერისთვისაც, რადგან მშობლიურ ენასა და კულტურაზე დაყრდნობით ადამიანი უფრო მოხერხებულად შედის სამყაროსა და საზოგადოების განვითარების ლაბირინთებში, ვიდრე თუნდაც კარგად შესწავლილი უცხო ენით...

კოსმოპოლიტიკების მიერ მშობლიური ენისა და კულტურის უარყოფისაკენ სწრაფვა ერის დასაწყლებისკენ და დაჩიავებისკენ სწრაფვაა, რაც არც ერთ პატიოსან კაცს არ ეკადრება.

აშშ-ს პრეზიდენტის ტრამპის მიერ წამოყენებული აზრი, რომ საჭიროა ფართო გზა მივსცეთ პატრიოტიზმს, თუ იგი ბურჟუაზიული ლოზუნგის „გათიშე და იბატონე“-ს შენიღბული ფორმა არაა, მაშინ ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური მიგნებაა არა მარ-

ტო პატარა ერების, არამედ მთელი კაცობრიობის განვითარების საქმეში, მაშინ ეს აზრი კრიტიკა გამძლეა და ყოველგვარ პოლიტიკურ თავდასხმას მოიგერიებს.

პატრიოტი თავს ვალდებულად ხდის, რომ ხელი შეუწყოს მშობლიური ქვეყნის კულტურისა და ეკონომიკის ზრდას. იგი კმაყოფილებასაც განიცდის სამშობლოს საკეთილდღეო საქმიანობაში თავისი წილის შეტანით. ვაჟა-ფშაველა ღმერთს ასე მიმართავს:

„მადლობელი ვარ დამბადებელო, რომ ჩემგან შექმენ ისეთი გუნდა, როგორიც ამ დროს საჭირო არის, სამშობლოს წყლულებს როგორიც უნდა“.

ასეთი სიტყვების თქმა მხოლოდ ღვთაებრივი მადლით შემოსილ კაცს შეუძლია, ხოლო სატანაზე დაქვემდებარებულმა „სტომაქის კაცმა“ მათუსალასავით რომ იცოცხლოს, მის თქმა მაინც ვერასდროს შესძლებს.

ჩემი სტატიის იდეა სამშობლოსა და პატრიოტის (პიროვნების) ურთიერთობის საკითხია. რა ურთიერთობაში არიან ისინი ერთმანეთთან და რა სარგებელს ნახულობენ ერთმანეთისგან, შეუძლიათ თუ არა ერთმანეთის გარეშე შეინარჩუნონ არსებობა და სრულფასოვნება.

ლიტერატურულ წყაროებში, რომლებზეც მე ხელი მიმწვდენია, სამშობლო ყველგან დედასთანაა გატოლებული. სოფლელმა ბერიკაცმა როგორც ადამიანებზე, ისე ცხოველებზე დაკვირვებითაც ვიცი, რომ ყველა არსებაში დედის გული წმინდა ემბაზია შვილების მიმართ. მისთვის უცხო და მიუღებელია შვილების ერთმანეთისგან გარჩევა და მთელი თავისი უნარით იცავს მათ საფრთხისგან და ემსახურება მათ თავისი სტიქიის შესაფერისად. სამშობლო კი ერთნაირ სამსახურს ვერ (უფრო სწორად არ) უწევს შვილებად წოდებულ ადამიანებს იგი უყურებს, რომ მისი ერთი შვილი პერანგებით იცვლის „მერსედესებს“, ხოლო მეორე პურის ქერქს ხრავს და ამას იგი ისე უყურებს, თითქოს ეს ყველაფერი სამართლიანი იყოს. ასეთი სამართლიანობის ატანა დედის გულს არ შეუძლია და თუ შესძლებს, დედობის ფუნქცია დაკარგული ექნება, რომელიც ადამიანებს სამარეში მიჰყვება და მარტივ არსებებს მხოლოდ მანამდე გააჩნიათ, სანამ ახალი თაობა დამოუკიდებლად არსებობის უნარს გამოიმუშავებდეს.

ვფიქრობ, რომ დედა და სამშობლო სინონიმებს კი არ წარმოადგენენ, როგორც ეს აქამდეა მიღებული, არამედ სულ სხვა-

დასხვა ცნებებია.

სამშობლო, რომელიც თავისი უსამართლობით და უყურადღებობით ხშირად ინვესს პიროვნების გულაღრმინილობას და ზოგჯერ ლალატსაც, იმ განწირული პიროვნების მიმართ არ შეიძლება დედად ჩაითვალოს და თუ ვინმე ჩათვლის შემცდარი იქნება, რადგან დედა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს გულცივი რომელიმე შვილის მიმართ.

აქ საჭიროა გავიხსენოთ ტალეირანის შეხედულება: „როცა სამშობლო ხელთ უპყრიათ რეაქციულ ძალებს, მაშინ მისი ღალატი გამართლებულია.“

სამშობლოდან გაქცევა გამოწვეულია პიროვნებისადმი უყურადღებობით, ხშირად ჩაგვრითაც“.

სამშობლოში არსებული სინამდვილიდან გაქცევის თემაზეა დაწერილი ქართული პოეზიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ლექსი ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“. მისმა ავტორმა კარგად იცის, რომ მისთვის ეს გაქცევა დამლუპველია: „შავი ყორანი გამითხრის საფლავს მედოლეთა შორის ტიალ მინდვრის და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით ღრიალით მიწას მომაყრის“, მაგრამ მაინც გარბის, რატომ?! – იმიტომ, რომ იგი არის არსებულ სინამდვილესთან შეურიგებელი რაინდი. იგი კომმარულ სინამდვილეს ან უნდა შებრძოლებოდა, ან უნდა შეგუებოდა. იმ სინამდვილესთან შერკინება მარტოხელა რაინდისთვის გიჟ-პოეტობა იქნებოდა, შეგუებაზე დათანხმება – მონობა. მონობაზე ხელს ვერასდროს მოაწერდა, შებრძოლება კი – სიგიჟე იქნებოდა. მას რჩებოდა ერთადერთი გზა – გაქცევა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბარათაშვილი დიდი პოეტი არ იქნებოდა, რომ მომავლისთვის გზა არ გაეკვლია: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“...

ანალოგიური აზრია გატარებული მიცკევიჩის „ფარისში“.

გრიბოედოვის „ჩაცკი“ თავმოძულებული გარბის მოსკოვიდან:

„С кем был? Куда меня закинула судьба?

Все гонят! Все клянут!

Вон из Москвы сюда я больше не ездох.

Бегу не оглянусь, пойду искать по свету,

Где оскорбленному есть чувству уголок!

Карету мне карету!“

„ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ქართული ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი ენციკლოპედიაა, გვატყობინებს იმ დიდი წინააღმდეგობების არსებობას, რომლებიც სამშობლოსა და პიროვნებას შორის არსებობდა.

უტილიტარული შეხედულებებით დატვირთული დედოფალი ანგარიშს ვერ უწევს თავისი ქალიშვილის დამოკიდებულებას ტარიელისადმი, რომელიც გამოცდილ დედაკაცს არ შეიძლება მხედველობიდან გამოპარვოდა და ჩვენებური ჩვეულების თანახმად, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევს ქალიშვილის გრძნობას და მას იმ კაცზე აქორწინებს, რომლის სიყვარული მას არასდროს ჰქონია: „დედოფალმან თქვა, ხვარაზმმა მეფეა მორჭმით მჯდომელი, მათსაცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდეს რომელი“.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ კარგად აღზრდილი ნესტანი ჩვენი მამების და ბიძების მიერ დაკანონებული უსიყვარულო ქორწინებას შეურიგებელი მონინააღმდეგეა.

ნესტანს თვითონ არ გადაუწყვეტია სამშობლოს დატოვება, რადგან დავარმა მისი ბედი ინციდენტის მოხდენისთანავე გადანყვიტა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ რეგრესიული ტრადიციის წინააღმდეგ ამხედრებული ქალიშვილი სამეფო კარს თავისი გადანყვიტილებითაც დატოვებდა. ხოლო ტარიელი ტოვებს სამეფო კარსაც და სამეფოსაც. ამიტომ იყო, რომ იგი არაბეთის მიწაზე ვნახეთ, როგორც ვეფხისტყაოსანი ჭაბუკი.

სტატიის იდეის გამოსახატავად დიდი მნიშვნელობა აქვს პოემის 412-ე სტრიქონს, რომელშიც ტარიელი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნესტანისადმი:

„მოთქვამს ჰაი საყვარელო, ჩემო ჩემთვის დაკარგულო,
იმედო და სიცოცხლეო, გონებაო, სულო, გულო,
ვინ მოგკვეთა არა ვიცი, ხეო ედემს დანერგულო,
ცეცხლმან ცხელმან ვით ვერ დაგწვა, გულო, ასჯერ დადაგულო!
ეს სტროფი იმითაც არის საინტერესო, რომ მასში ქართულმა პოეზიამ პირველად და სრულყოფილად გამოხატა შეყვარებული ჭაბუკის გულის ცახცახი. არც ის იქნება მკითხველისთვის ზედმეტი თუ ვიტყვით, რომ ამ სტროფისგან სათავეს იღებს ქართული რომანტიკული პოეზიის მწვერვალის, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება, რომელშიც მანამდე არნახული სისრულითა და

ოსტატობითაა გადმოცემული ადამიანის შინაგანი სულიერი სამყაროს განცდები.

პარადოქსული ფაქტია ის ამბავი, რომ ზემოთ დასახელებული სტროფის მთქმელი მეფე ფარსადანს ასე უთვლის:

შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე,
ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცე კიდით კიდე... სტ. 713

აქ ანგარიშგასანევია ის ფაქტი, რომ ქალ-ვაჟის სიყვარული, რომელიც უძლიერეს გრძნობად არის მიჩნეული, მეორე რიგზე გადადის და თავდავიწყებამდე მისული ჭაბუკის გულში პირველ ადგილზე სამშობლოს სიყვარული დგება. მაგრამ როცა მან გააცნობიერა, რომ სამშობლო მის კაცობას ჯეროვნად ვერ აფასებს, ხელიდან სტაცებს უსაყვარლეს ქალს და მეფედ და სიძედ იწვევს ხვარაზმმას, რომელიც მასზე აღმატებული არაფრით არ არის, ხელს იღებს ყველაფერზე და ვეფხისტყავემობხურული დაეხეტება უცხო ქვეყნებში.

თუ კი ისეთი ავტორიტეტი, როგორც ტარიელია, სამეფო კარისგან დაუფასებლობის გამო ხელს იღებს სამშობლოზე, რაღა გასაკვირია, რომ ქართული მოსახლეობის განადგურებული საშუალო და ღარიბი ფენის წარმომადგენლებმა მიატოვეს მშობლიური გარემო და მიაშურონ ევროპისა და წინა აზიის ქვეყნებს, სადაც მათი ღირსება თუ იდეოლოგიურად არა, ეკონომიკურად მაინც უკეთესად იქნება დაცული (ეს რომ ასე არ იყოს, ქართველი კაცი მშობლიურ გარემოს არ მოსცილდებოდა). მის წინაშე ვერავითარ შემთხვევაში თავს ვერ გაიმართლებს იმ პოლიტიკოსების ხელში ჩავარდნილი სამშობლო, რომლებმაც ინდუსტრიული თბილისი სპეკულაციის ქალაქად გადააქციეს და ხალხს მენტორულ დარიგებას აძლევენ: „პური თუ ძვრია, ნამცხვარი ჭამეთო“.

თუ სამშობლო თვითოეულ პიროვნებას მინიმალურად მაინც არ პატრონობს, თუ მას ხალხი ადოლფ ჰიტლერის მხოლოდ საარჩევნო ცხვრებად და საზარბაზნე ხორცად მიაჩნია და მათთვის ზემოთ დასახელებული მენტორული დარიგებით აცხოვრებს, იგი აუცილებლად განადგურდება.

პიროვნება, თუნდაც უარყოფითად განწყობილი სამშობლოს მიმართ, მაინც თავისი ქვეყნის მოყვარულია და კეთილმოსურნეა. დარწმუნებული ვარ, რომ არსებულ სინამდვილესთან შეურიგებელ ემიგრანტს თბილისის დაბომბვა კი ვერ გაახბა-

რებს, პირიქით – გულისშემზარავ ფსიქოლოგიურ დარტყმას მიაყენებს. თუ ამოდენა სიყვარული აქვს ადამიანს მშობლიური გარემოსადმი, რა უშლის ხელს მის თანაცხოვრებას ჩვენთან ერთად?! პასუხისთვის იხ. გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო, სტროფი 284. „ჭაზრის გულისა დანერგვით ვჰსდევნიდეთ სულ-მოკლეობას, ვჰსდევნიდეთ ძალას დამჩაგვრელს და მისსა უსამართლობას; ვჰსდევნიდეთ კაცის წამბილწველს, უწმინდურს ანგარებას; ვჰსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცისა სულისა მალლობას“. თუ როგორ ასრულებენ პატრიოტი ბერიკაცის დასახელებულ დარიგებას თანამედროვე თბილისის წამყვანი ძალები, ვფიქრობ, რომ ამის კომენტირებას ბავშვიც არ საჭიროებს. და თუ მკითხველი იტყვის, რომ ორბელიანის მიერ მოცემული დარიგების შეუსრულებლობა არის ქვეყნის წახდენის მიზეზი, მაშინ შეიძლება დავასკვნათ: რომ წახდენის გამომწვევი მიზეზი მიგნებულა. ახლა საჭიროა ამ მიზეზს გადავუჭრათ სამოქმედო ობიექტთან, დამაკავშირებელი არტერია და იმ ორგანიზმს, რომლის გადარჩენა თვითოეული მამულიშვილის საპატიო მოვალეობაა, ვემსახუროთ ისე, როგორც ცხოვნებული ორბელიანი გვარიგებს. ხოლო თუ როგორ გადაჭრიან ამ ამოცანას ხალხის რჩეულები, ეს მათ უნარზე და ხალხის მხარდაჭერაზე დამოკიდებული. თუ რომელიმე მათგანმა მოიკოჭლა, მაშინ ორბელიანისეული დარიგება არ შესრულდება.

მე ზემოთ მქონდა საუბარი ეროვნული ენისა და კულტურის შესახებ, რომელსაც დავამატებ, რომ სამშობლო თავისი ენითა და კულტურით წარმოადგენს პიროვნებისათვის კაცობის გვირგვინს ამ გვირგვინზე იმდენი ძვირფასი ქვების თვალია ჩასმული: რუსთაველის, დავითის, თამარის, გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ბარათაშვილის, გალაკტიონის, გიორგი სააკაძის, ერეკლე მეფის და სხვათა სახით, რომელთა აღრიცხვა გამოცდილ ბულალტერს გაუჭირდება, არ შეიძლება ქართველმა კაცმა, თუ მას გულში დამპალი ძონძი არ უდევს, სხეულში სულის ნაცვლად – სიმყრალე, ხოლო ძარღვებში – ჭაობის დუბელა არ აქვს ჩასახლებული თავისი ჯოჯოებითა და ქვენარმავლებით, ცოცხალი თავით იგი ვინმეს დაუთმოს, გაალანძვინოს გაანადგურებინოს. სწორედ ეს გვირგვინია ერის მამოძრავებელი და მასაზრდოებელი სულიერი ძალა. და არა ცხენისწყლის ხეობაში არსებული ჩემი სამემკვიდრეო მიწის ნაკვეთები, რომლებიც ისე კლდეებზე მიკრული,

როგორც თონის კედლებზე ლავაშები (მიკვირს სად ნახულობენ პოეტები ამ ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ სამშობლოს).

ყველამ და მათ შორის სხვებზე უკეთესად იმათმა უნდა იცოდნენ, ვისაც ხალხის ბედი აბარია, რომ ამ ქვეყნად ღმერთისა და ბუნების მთელი შემოქმედების გვირგვინი ადამიანია. ადამიანი – ნერდა პედაგოგიკის ფუძემდებელი იანამოს კომენსკი, თუ მას ნესიერი აღზრდა მიუღია ნამდვილი ღვთაებრივი არსებაა, ანგელოზია და თუ აღზრდა არ მიუღია, ან ყალბი აღზრდა მიიღო, მაშინ ის უსაზიზღრესი არსებაა. იმ არსებათა შორის, რომელთაც დედამინა წარმოქმნის. ასე რომ იმ ადამიანების გარემოცვა, რომელთა ფორმირებას წენვა-გლეჯის ბაზარი ახდენს, გაქცევისაგან ვერ შეაჩერებს ვერც ის კლდეებზე ლავაშებივით მიკრული სამემკვიდრეო საყანე მინები და ვერც კოლხეთის დამპალი ჭაობები, რომელთა შესახებ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გალაკტიონი ნერდა: „ძველი კოლხეთის დამპალ ჭაობებს გამჯდარი ჰქონდათ ციებ-ცხელება და მობინადრე სნეულ თაობებს ედგათ კუბო და საშინელება“, ვერც კახეთის დოვლათიანი მინები და გარბის თავგანწირვით, როგორც „მერანის“ ავტორი, როგორც მიცკევიჩის „ფარისი“, ბაირონის ჩაილჰაროლდი, გრიბოედოვის „ჩაცვი“ და მრავალი სხვა.

ვაჟა-ფშაველას ჯოყოლა და ალუდა ქეთელაური თემმა სასიკვდილოდ გასწირა იმის გამო, რომ ისინი პროგრესული იდეების შემომტანი პირები არიან (ასეთი დედაშვილობა დალუპავს ქვეყანას), თემი კი არ იცოდებს „შემცოდე“ შვილებს – პირიქით კმაყოფილია მათი დალუპვით. „ქისტო გაუხარდათ კიდეც, მოჰკლან, თუ მოჰკლეს, ახია!“ აქ პარადოქსულია ის ფაქტი, რომ დედად წოდებული სამშობლოს წარმომადგენელნი თავისი მოძმის დალუპვით კმაყოფილნი არიან და მის სიკვდილზე „ახია“-ს იძახიან. ასეთივე მტრულ დამოკიდებულებას იჩენენ ილიას ზაქროს მამასთან მისი მოძმენი: „მამაჩემსა მოხუცებულსა წამოესივნენ მისივ მოძმენი“.

მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამშობლო ძალიან ხშირად თავის რჩეულ შვილებს დედობას ვერ უწევს და დედობის ტიტულს ვერ იმსახურებს. შემცდარი არ ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ ისეთი პატრიოტისთვის, როგორც გიორგი სააკაძე იყო, სამშობლო ნამდვილ ჯალათს წარმოადგენს.

ჩერნიშევსკი ამბობდა: „შედარებული ყოველთვის ნაკლებია იმაზე, ვისაც შეადარებს“. ამ შეხედულებაზე დაყრდნობით შეი-

ძლება ვთქვათ, რომ დედა ყოველნაირად მეტია მასთან შედარებით გატოლებულ სამშობლოზე.

როგორც არ უნდა ვაქოთ და ვადიდოთ: ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტი ჩემი სამშობლო მხარე, იმ ჭეშმარიტებას მაინც ვერ ავუვლით გვერდს, რომ ამქვეყნად ყველაფერზე ძვირფასი მაინც ადამიანია, რომელთა უმრავლესობა ჩვენი ცხოვრების სავალალოდ აბუჩად აგდებული, გაძარცული, დაჩაგრული და დამცირებულია ყველგან და ყველაფერში. ასეთი გარემოებისა და მდგომარეობის მომწყობი სამშობლოს დედასთან გაიგივება ჭეშმარიტებისგან ამოვარდნაა. რადგან დედის გული, როგორც ზემოთ ითქვა, წმინდა ემბაზია და სამშობლო, რომელიც ნაწილია კაცთა შორის იმ ურთიერთობებისა, რომელსაც მე წენვა-გლეჯის ბაზარი ვუნოდე და ამავე სახელწოდების წიგნიც დავუნერე საზოგადოებას“ არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება დედას გავუტოლოთ.

რაც შეეხება მდგომარეობას, რომ სამშობლო ადამიანის ზრუნვის ერთ-ერთი ძირითადი საგანი უნდა იყოს, ამ მოთხოვნას ნამუსიანი კაცი ვერსად გაექცევა, თუნდაც სხვა პლანეტაზეც რომ გადასახლდეს, მის სიყვარულს მაინც ვერ მოიცილებს.

ზელიმ ჩაკვეტაძე

29.12.2019წ.

კაცურკაცობა, ვაჟკაცობა და გმირობა

„კაცი ის არის, ვინც არის ზეგარდმო არსიო ცხებული, მით ყოვლი საქმე არს კეთილ და მხარე დამშვენებული“

გრ. ორბელიანი

ჩვენმა ჯეელებმა უკანასკნელ წლებში იქამდე გააუბრალოვეს გმირობის ცნება, რომ საჭირო გახდა დაფიქრება ამ ცნების ირ-გვლივ. გასაკვირია, გმირობა ზვიადისტობაა, შევარდნაძისტობა, მიშისტობა, ოცნებისტობა, თუ საზოგადოების პროგრესული ინ-ტერესების დაცვის დიდი უნარი.

კაცთა მოდგმა, რომელიც სათავეს ადამიანიდან იღებს ორი ძირითადი ნაწილიდან შედგება. პირველში შედიან კაცური კა-ცები, ვაჟკაცები, გმირები, მეორეში – ბრიყვები, არამზადები, მუქთახორები და ათასი რჯულის ძაღლები და მამაძაღლები. ისინი ყველა ქვეყანას ბევრი ჰყავს, მათგან სარგებელს ვერავინ ნახულობს, მაგრამ მაინც პატრონობენ, რადგან შენს ოხერს შენ უნდა უპატრონო, აბა სხვას რომ გაუგზავნო, ვის რად უნდა, თავისიც ბევრი ჰყავს ყველას.

ადამიანი ბიოლოგიური მცნებაა, კაცი კი ზნეობრივი. სიტყ-ვეები კაცი და ადამიანი ერთმანეთის მიმართ სინონიმებად გამოი-ყენებიან.

ადამიანი ნიშნავს ადამის თვისებების მქონე არსებას და ამ სიტყვას თუ კაცობის სინონიმად არ გამოვიყენებთ, აღმოჩნდება, რომ იგი ჯერ კიდევ არ არის კაცი, რომლის თვისებები ადამია-ნისაგან დიდად განსხვავდება.

„ვეფხისტყაოსანში“ საქმე გვაქვს კაცის და ადამიანის ლო-გიკურ გაგებასთან. გამოქვაბულში შესული ავთანდილი ასმათს ეუბნება: „...„ეტყოდა, სულე, რამც გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი““. სტ. 322. ამ სიტყვებში გამოხატული აზრი გვიჩვენებს, რომ კაცი ვარ ადამის თვისებების მქონე, ადამიანი და არა უსხეულო არ-სება, ეშმაკეული.

ამ სიტყვების გაშიფვრა-გაანალიზებაზე შექმნა ილიამ თავი-სი მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“, რომელშიც დაამტკიცა, რომ ლუარსაბ თათქარიძე არის ადამის ენაზე ამეტყველებული ბიო-ლოგიური არსება, რომელსაც გააჩნია ბიოლოგიური ყველა თვი-

სება ადამიანისა, მაგრამ არ გააჩნია ის თვისებები, რომლებითაც მისი ავტორია დატვირთული.

ლუარსაბმა არ იცის და არც სურს იცოდეს ადამიანის მისია ცხოვრების წინაშე, რომ ადამიანი ამ ქვეყნად იმისთვის მოდის, თავისი უნარის შესაფერისი კვალი დატოვოს და უზენაესის წინაშე ვალმოხდელი წარსდგეს. დიდი მოაზროვნეები ამ მისიის შესრულებას საკავობრიო მნიშვნელობის მქონე შედეგების შექმნით ახერხებენ, ხოლო საშუალონი მემკვიდრეობის სრულყოფითა და მუდმივი შრომით, ხოლო მუქთახორები კაცობრიული მისიის შესრულებით თავს არასდროს იწუხებენ.

ჭეშმარიტი კაცი მუდამ ნამუსიანად შრომობს, მაღალ დონეზე იცავს საზოგადოების მიერ დაკანონებულ ზნეობრივ და იურიდიულ ნორმებს და კაცური კაცის სახელს.

კაცურ-კაცობასთან სათავეს იღებს ვაჟკაცობაც და გმირობაც. რაც შეეხება ვაჟკაცის ლექსიკონურ განმარტებას, ასეთია: „ვაჟკაცი არის ასაკსრული, ზრდადამთავრებული ვაჟი, ღონიერი, გულადი და ბრძოლაში შეუპოვარი“, მაგრამ ეს განმარტება ნაწილობრივია, რადგან მასში არ არის ნათქვამი რაიმე იმ დიდი ფაქტორის შესახებ, რომლითაც ადამიანი გამოეყო ცხოველთა სამყაროს და კაცობის ტიტული მიიღო. მას მორალს ეძახიან კაცი ახალგაზრდა იქნება თუ ხანდაზმული, თუნდაც ჰერკულესის ძალა რომ ჰქონდეს, ხალხი მისთვის ვერც კაიკაცობის და ვერც ვაჟკაცობის ტიტულს ვერ გაიმეტებს, თუ თავმდავალი, ნამუსიანი და მორიდებული არ არის. უბრალოდ იტყვიან, ვირი კაცი, ან მუტრუკი ბიჭი, რადგან კაცურკაცობის და ვაჟკაცობის სახელი ხალხს მხოლოდ ნამუსიანი და მშრომელი კაცისთვის ემეტება.

კაცური კაცი, ვაჟკაცი და გმირი სამივე დიდი დამცველია საზოგადოებრივი წესრიგისა და მორალისა, მაგრამ ამ სამეულში განსაკუთრებული უნარით გამოირჩევა გმირი. იგი ისეთი პიროვნებაა, რომელშიც საზოგადოებრივი და პიროვნული ინტერესები განსაკუთრებული ძალითაა შერწყმული ერთმანეთთან და იგი თავდადებით იცავს მათ და ამ დაცვის განსაკუთრებული უნარი შესწევს. ეს უნარი მყლავნდება ხან დიდი ფიზიკური ძალით, ხან – გონებრივით, ძალიან ხშირად ორივე ფაქტორის კომბინირებით.

ახლა არ ვიცი, როგორია პედაგოგთა შეხედულება გმირებზე და ჩემს ახალგაზრდობაში კი, ისინი მათ გვიხატავდნენ, რკინისა-

გან ჩამოსხმულ არსებებად, რომლებმაც იცოდნენ მხოლოდ სამ-
შობლოს სამსახური და შეეძლოთ მისთვის თავგანწირვა, ის არც
შიშს განიცდის და არც არაფერზე ფიქრობს, გარდა სამხედრო
დავალების შესრულებისა. ასეთი ადამიანი დებილია და იგი ვერც
გმირობას ჩაიდენს და ვერც თავს დაიცავს. ჯარისკაცი სანამ
სული უდგას, ფიქრობს, განიცდის, სიამოვნებს, იტანჯება ისევე,
როგორც სხვა კაცები. მურმან ლებანიძეს აქვს ლირიკული ლექსი
ქერჩის ბრძოლებზე, რომელშიც წერს: ბრძოლაში განვიღო ფა-
ქტებზე: „რას ფიქრობდი, ურმან, მაშინ, სული ხორცთან გაყრას
გთხოვდა. არ თქვა ახლა, არ თქვა, თითქოს ბრძოლის ველისაკენ
ჰქროდა მიჰყვებოდა ჯარებს ჯარი, ტლაპოს მიაპობდა როტა“.
აქ შეიძლება საქმეში ჩაუხედავმა კაცმა თქვას: ეს ლექსი მოვა-
ლეობის შესრულების პროზაულობაზე მიგვითითებს და მას დიდი
ღირებულება არა აქვსო, მაგრამ პოეტურ აზროვნებაში ჩახედული
კაცი კი იტყვის, რომ ეს ლექსი ბარათაშვილისებური ჩახედვაა
ადამიანის შინაგან სულიერ სამყაროში, იმ სამყაროში, რომელიც
ისე მრავალფეროვანია, როგორც მისი გარემომცველი სამყარო.

გმირობა, დიდი განცდების, სულიერი და ფიზიკური ძალების
მობილიზაციის და დაძაბვის გარეშე, ზღაპარი და მითია. „სიკვ-
დილი ყველას გვაშინებს“ წერს კაცთა ბუნების ღრმად მცოდნე
ვაჟა-ფშაველა. შიშში, განცდებში და მათ დაძლევაში ჩანს ადა-
მიანის ვაჟკაცური ბუნება. ამ შიშში და განცდებში გმირი ახერ-
ხებს თავისი მისიის შესრულებას და იცავს ერთ მთლიანობაში
შერწყმულ პირადულ და საქვეყნო ინტერესებს, ცდილობს თავის
გადარჩენას, ხოლო თუ გადარჩენის შანსი ხელიდან ეცლება,
მაშინ მისი მისწრაფებაა, რომ თავისი სიკვდილი რაც შეიძლება
ძვირად დაუჯდინოს მონინაალმდეგეს.

იაკოვლევის გადმოცემით „ვასტელოს თვითმფრინავის ბაკს
ტყვია მოხვდა. მისი ეკიპაჟი განწირული იყო. მათ კუთვნილი
მიუძღვნეს მტერს. აღმოდებული თვითმფრინავი გერმანელთა
შეჯგუფებული მანქანებისა და ბენზინის ცისტერნებისაკენ მი-
მართეს და ისინი ააფეთქეს“. თუ კაცს სიკვდილი და განსაცდელი
არ ელოდება, მაშინ თუ იგი კარგ საქმეს აკეთებს, შეიძლება კი
კაცად ჩაითვალოს და არა გმირად.

ჭეშმარიტი გმირობაა ყმანვილი კაცისათვის ვეფხვთან ხმლით
შებრძოლება, ამით იგი უდავოდ იმსახურებს გმირის ტიტულს,
მაგრამ მეორე კაცმა, ტანკში ჩამდდარმა ვეფხვების არმია რომ

განადგუროს, გმირობის ტიტულს მაინც ვერ მივცემთ, იმის გამო, რომ მას საქმე არ ჰქონია შიშთან, საფრთხესთან და დიდ წინააღმდეგობასთან, რომელთა დაძლევა გმირობის ძირითადი ფაქტორებია, მას არც დასჭირვებია და არც გამოუყენებია გმირისათვის დამახასიათებელი თვისებები.

შეიძლება კაცმა დიდი რამ შექმნას, გამოიგონოს, საზოგადოებას მილიონებად ღირებული ღირებულებები შესძინოს, მაგრამ ამისათვის ის იქნება კარგი კაცი, საპატიო მოქალაქე, ხალხისთვის საამაყო პიროვნება, მაგრამ არ იქნება გმირი, რადგან ჩვენი ფორმულირების თანახმად, გმირია ის კაცი, რომელიც დიდი საფრთხის წინაშე მდგარი ინარჩუნებს ბრძოლისა და ორიენტაციის უნარს, ხოლო ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული მეცნიერი, თუნდაც კიბოს წამალიც რომ გამოიგონოს (ამაზე უკეთესი რაღა უნდა გააკეთოს ვინმემ ქვეყნისთვის), გმირი მაინც არ იქნება, რადგან მან ეს გამოგონება გააკეთა ლაბორატორიაში, სადაც არც ზარბაზნების რუხუნი ისმის და არც თყვიამფრქვევის კაკანი, არც განწირული ჯარისკაცის კვილი და არც დაჭრილის ოხვრა და კვნესა, არც გერმანული ჰენდე ჰობს! და არც რუსული რუკი ვერხს! მან უნდა მიიღოს დიდი სწავლულის, დიდი მეცნიერის ან დიდი გამომგონებლის ტიტული და არა გმირისა.

ნურვინ იფიქრებს თითქოს მე ლაბორატორიების, სახელოსნოებისა და კაბინეტების როლს ვაუბრალაობდე – პირიქით, სახელოსნოებისა და ლაბორატორიების როლი უაღრესად დიდია საზოგადოებისათვის, როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროსაც, რადგან ომში გამარჯვებისა და საზიგადოების ეკონომიკური წინსვლის ბედი სახელოსნებსა და ლაბორატორიებში იჭედება. ისტორიკოსებისაგან გამიგონია, რომ სტალინგრადმა აუნყა მსოფლიოს რუსული იარაღის უპირატესობა გერმანულთან შეარებით, ხოლო კურსკმა დაამტკიცა. ამ დამტკიცების შემდეგ ფაშისტური გერმანია სასიკვდილოდ დაჭრილი მგელივით მიძუნძულებდა ბერლინისაკენ. ნამდვილად ქების ღირსია ის სახელოსნოები, რომლებმაც საშუალება მისცა სტალინს, რომ მოეწოდებია საბჭოთა ხალხისთვის: „კვალდაკვალ ვსდიოთ დაჭრილ გერმანელ მხეცს და ბოლო მოვუღოთ მას მის საკუთარ ბუნაგში“.

თუ ხალხის და მთავრობის ინტერესები ერთმანეთს ერწყმის და იარაღიც კარგი აქვთ, მაშინ მეომრები იძლევიან გმირობის შეუდარებელ მაგალითებს.

ჩვენი სასახლო მეფეები უშუალო მონაწილენი იყვნენ იმ დიდი ბრძოლებისა, რომელსაც ქართველი ხალხი აწარმოებდა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ბარათაშვილის პოემაში მეფე ერეკლე ასე მიმართავს ჯარს: „მეც თქვენთა შორის ვარ მეომარი, ვითა მხედარი ერთი თქვენთაგანი“.

დიდი ფიზიკური განვრთნილობის და გამჭრიახი გონების წყალობით მრავალჯერ უხსნიათ თავი დიდი განსაცდელისაგან და შემოსილან გამირობის მანტიით. ისინი სრულად აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ჩვენ გმირებს ვუყენებთ.

ჩვენ განვიხილეთ ბრძოლის გმირების მოქმედების კრედო. ახლა შევეხოთ სახალხო გმირებს, როელთა შემადგენლობა არ არის ისე მრავალფეროვანი, როგორც ბრძოლის გმირებისა. სახალხო გმირის ერთ-ერთი საუკეთესო სახეა არსენა ოძელაშვილი. იგი როგორც ყველა სახალხო გმირი, შუა საუკუნეების რაინდებს ჰგავს, რომლებსაც თავიანთ მისიად მიაჩნდათ მდაბიო ხალხის დაცვა და შეძლებისდაგვარად იცავდნენ კიდეც, მოძალადეებისა და გაიძვერებისაგან, რომელთა სიმრავლე სატანას „მოღვაწეობის“ შედეგად ყველგან შეიმჩნევა.

არსენას მოქმედების კრედო ასე შეაფასა ხალხმა: „სადაც ღარიბს დაინახავს თავის პერანგს ჩააცმევსა, სადაც მდიდარს დაინახავს ბურდა-ვალას აძახებსა“. მის მოქმედებას არა აქვს ფართო მასშტაბის მქონე ასპარეზი. იგი ინდივიდუალურად მოქმედებს იმ წენვა-გლეჯის ბაზარში, რომელშიც პატიოსანი კაცი ნამდვილად საჭიროებს დაცვას. არსენა აღჭურვილია კაცთმოყვარე გულით, დიდი ფიზიკური ძალით და მოხერხებულობით. იგი ბევრჯერ გადაურჩა დიდ განსაცდელს, რომელსაც მას გაიძვერები და თაღლითები უქმნიდნენ.

ძნელად მოინახება ქართველი კაცის მეხსიერებაში ისეთი ღამა და მოხდენილი ვაჟკაცი, როგორც არსენა არის მის წარმოდგენაში. ძალიან ბევრის მთქმელია ხალხური ლექსი არსენას გარეგნობაზე: „შაქარზედა უფრო ტკბილო, სნთელივით ჩამოსხმულო, ცხენზე ზიხარ ლურჯაზედა, უნაგირზე ამოსულო“.

ქართველ კაცს თავისი კეთილი ზრახვების კალთა ისე უხვად არავისზე არ დაუბერტყია, როგორც ეს არსენაზე გააკეთა. იგი თავისი ვაჟკაცური და გმირული თვისებების გამო, ყველას უყვარდა, თვით მის მოწინააღმდეგეებსაც: „უფროსმა ნახა არსენა ძალიან შეიბრალო, რა კარგი ვაჟკაცი იყო, ზეზეურ ჩამომხმა-

რაო“... „აღგეთს გაზრდილო ვაჟკაცო, ნვერი გიხდება ხმლისაო, სუყველას საყვარელი ხარ, ბატომისა და ყმისაო“.

ილიამ „კაკო ყაჩაღში“ დიდი ოსტატობით გადმოგვცა ის კეთილი გავლენა, რომელიც არსენას ჰქონდა საზოგადოებაზე, აქვს და მომავალშიც ექნება. ჩვენი პედაგოგები არსენა მარაბდელს რომ სასკოლო პროგრამიდან იღებენ, საინტერესოა, ვის უწევენ ამით სამსახურს ღმერთს თუ სატანას. არსენას კაცობა ძველი დროის უნიგნურმა ქართველმა ასე შეაფასა „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს ღმერთი როგორ წაახდენსა“-ო, ახლა, როცა საქართველოში 400-მდე უმარლესი სასწავლებელი ემსახურება საგანმანათლებლო საქმეს, პარადოქსული ფაქტია ის ამბავი, რომ დასაწყლებული, დაჩიავებული და დაუძღურებული ქართული ინტელიგენცია არსენა ოძელაშვილს უარყოფს და ბავშვებს თავს ახვევს მძარცველთა, მგლეჯელთა და მღლეტელთა წარმომადგენლების ქება-დიდებას, უმაღავენ იმ არსენას მოღვაწეობას, რომელზედაც საქართველო „უგვირგვინო მეფე“ ილია ჭავჭავაძე წერდა:

„ის იყო ჩემი ჭირი და ღხენა, ის იყო ჩემი სული და გული, მიყვარდა მე ის კეთილდღიანი და არსებოდა მენატრებოდა“.

იმისთვის უწოდეს მას საქართველოს უგვირგვინო მეფე, რომ მდაბიო ხალხის მფარველი იყო ბავშვობიდანვე. ამისთვის გაისტუმრა წენვა-გლეჯის ბაზარმა კერპიც და თავყანისმცემელიც ამ ქვეყნიდან ხელოვნური სიკვდილით.

სტატიის იდეის გამოხატვა საჭიროებს მსჯელობას ისეთი გმირის ირგვლივ, რომელიც სხვა ადამიანებისგან გაირჩევა ხორციელი სისუსტით, ავადმყოფური სახით, უფერულობითა და უდღეურობით, მაგრამ მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებებისა, გამოირჩევა თავისი გმირული ბუნებითა და შემართებით, საილუსტრაციოდ მომყავს ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის პერსონაჟი სპირიდონ მცირიშვილი. მასში ერთმთლიანობაში ვლინდება საზოგადოებისა და პიროვნული ინტერესების დაცვა.

... სპირიდონი დიდი ხნის გასვლის შემდეგ მოხვდა იმ სადგურზე, სადაც იგი ტარიელმა სცემა და ისედაც ავადმყოფი კაცი სამუდამოდ დაასაწყლა და დააცოდივლა.

ტარიელი ლამაზ ქალს მიჰყვებოდა და ესაუბრებოდა. სპირიდონს აღარ ჰქონდა შურისძიების განზრახვა, მაგრამ როცა

გაიგონა ტარიელის სიტყვები: „მე იმ ოჯახს პატივს ვსცემდი და დიდხანს ვუთმინე, ბოლოს ვკარი ნიხლი და შორს გავისროლე. სპირიდონს ელდა ეცა, კიდე ვილაცის დაჩაგვრა და გაქეღვა, თითქოს იმისათვის იყოს დაბადებული, რომ ყველა გაქელოს და შეურაცხყოს...“ და გადანწყვიტა, რომ აუცილებელია ამ ყმანვილმა პასუხი აგოს და ტარიელს მიმართა: „ბატონო ტარიელ, თქვენთან სიტყვა მაქვს, ტარიელი შეჩერდა და ჰკითხა: რა გნებავთ? – მინდა პასუხი მომცეთ, რას გვერჩოდით, რომ ორ უდანაშაულო ადამიანს სიცოცხლე მოგვისპეთ? – მერე რა გინდა ახლა?! ჰკითხა მან სპირიდონს. – მინდა რომ პასუხი მომცეთ, – ნადი დაიკარგე აქედან, ხედავ?! თურმე რისთვის მეძახოდა ეგ ბაღლიჯო, შესძახა ტარიელმა და დააპირა წასვლა – ვერ წახვალთ, სანამ არ დააკმაყოფილებთ ჩემს კითხვას. – მაშ დაგვინწყებია ჩემი ხელი, უთხრა მას ტარიელმა და გექანა სპირიდონისაკენ, რომ დასცემოდა და კარგა მანძილზე გაესროლა ვითარც ნაფოტი. მაგრამ სანამ ტარიელი თავის მძლავრ ხელებში მოიძვანდა სპირიდონს, უკანასკნელმა დასცა მას გულში რევოლვერი, ტარიელი ერთი შეტორტმანდა, გადაიბორძიკა ერთ მხარეზე და დაეცა მიწაზე“.

აქ ნოტაბენე უნდა გაკეთდეს იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელმაც სპირიდონს ათქმევინა: „კიდე ვილაცის დაჩაგვრა და გაქეღვა, თითქოს იმისთვის იყოს გაჩენილი, რომ ყველა გაქელოს და შეურაცხყოს“. სწორედ ამ გაფიქრებამ, რომელშიც ხალხისადმი მზრუნველური დამოკიდებულება ჩანს, მისცა მას სტიმული ჩაედინა ის მოქმედება, რომელმაც იგი გმირობის მანტიით შემოსა. მას სიცოცხლის დათმობად დაუფდა ტარიელის მოკვლა (სპირიდონს ციმბირამდე არ მიუღწევია, გზაში გარდაიცვალა), მაგრამ ხალხს მოაცილა ის ქიმერა, რომელიც სოფელს თავის ჰარამხანად თვლიდა. სპირიდონი რომ გმირული გულის პატრონი არ ყოფილიყო, როცა ლომივით მამაკაცი შეიმართა, რომ მას თავზე დასხმოდა, იგი რევოლვერის ტყვიას საერთოდ ვერ მოახვედრებდა, მან კი მათემატიკური სიზუსტით გაუხვერიტა გული მას.

ლაჩრული გული რამოდენა უძლურებას და სიძაბუნეს ამჟღავნებს განსაცდელის დროს. ამის საუკეთესო განმარტებას ვკითხულობთ „ჯაყოს ხიზნებში“.

თეიმურაზი ჯაყოს საძინებელ ოთახში შეიპარა ღამით „კედელზე ჯაყოს იარაღი ჰკიდია, მოჰკალ, მოჰკალი (ჩასძახის ხმა)

რა თქმა უნდა მოჰკლავს, უეჭველად მოჰკლავს! მხოლოდ არ იცის ხევისთავმა, ხმლით მოჰკვეთოს თავი, ხანჯლით გაჰგმიროს, თუ მაუზერით გახვრიტოს. ადლიანი ხანჯლის ამონვდილი ფოლადი იღუმალი ანარეკლებით ლაპლაპებს“.

„მოჰკლავს, ეხლავე მოჰკლავს! მგრამ რად უკანკალებს მარჯვენა?! რად უთრთის ფეხები?! რას უკარნახებს შიშით მოცული გული?! მოჰკალ თეიმურაზ ხევისთავო, მოჰკლ!... თეიმურაზის ხელი მაღლა იწევს, გული კი თავისთავად ჩურჩულებს, ღმერთო დიდებულო... შემინდე მე შეცოდება. უცებ თავში ყინულის ჟრუანტელმა დაჰკრა და ქუსლებამდე ჩაურბინა, თვალებზე ბინდი გადაეკრა, მკლავი მოუდუნდა, ფეხები უკან დაუცურდა, თვითონაც შავ ბურანში შთაინთქა და მოსხლტა, ამავე წუთს თითქოს ვილაცამ ნაფოტით გატენილი ტომარა გააგდო, მახვილმა ბზრიალი გაიღო და თავზარდაცემული თეიმურაზი მისი გამანადგურებლის წინაშე აღმოჩნდა“.

ამ ეპიზოდში კარგად ჩანს რუსთაველისეული სიბრძნე „უგულო კაცი ვერ კაცობს, კცთაგან განაკიდა“.

გმირის სახელის გაუბრალოება, აბურად აგდება და გამასხრება საზოგადოების ზნეობრივ დაცემაზე მიუთითებს. სააკაშვილი პარლამენტში გამოცხადებას „გმირობად თვლიდა“: „კაციტაძე გმირულად გამოცხადდა პარლამენტში“-ო. პარლამენტში გამოცხადებას თუ გმირობად მივიჩნევთ, მაშინ იმ კაცებს, რომელთა შესახებ გრიგოლ ორბელიანი ამბობს: „თქვენთა სახელთა ხსენებით მოხუცს ცრემლი მოედინება, მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მისწვდება“-ო, რალა ვუნოდოთ.

საბჭოური პოლიტიკოსების მიერ გამოგონილი შრომის გმირები და გმირი დედები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებენ გმირობის მოთხოვნებს.

ჩემი ხნის კაცებს ახსოვთ, რა იოლად აძლევდნენ კოლექტივის კაცებს გმირის ნოდებას, რომლებიც არაფრით არ ჰგავდნენ გმირებს. დიდი ხნის წინათ, ჟურნალმა „ნიანგმა“ გამოსცა იუმორი: კოლმეურნეობის დასახმარებლად გამოყვანილ მოსწავლეებს მასწავლებელი ასე არიგებს: „ბავშვებო, დღეს კარგად უნდა იმუშაოთ და ხვალ ქსენია დეიდა გმირობას მიიღებს“-ო.

კოლექტივის ყოფილმა თავმჯდომარემ კითხვაზე: „რა ჭკუაზე იყავი მაშინ, ბიკტორიას გმირობას რომ აძლევდი“-ო, ასეთი პასუხი გასცა: „კარგზე, მომივიდა ზევიდან ბრძანება, რომ შრომის გმირობაზე წარმედგინა ვინმე. მე რომ ახალგაზრდა კაცი წარმე-

დგინა, მას დაანინაურებდნენ, უმაღლესს დაამთავრებინებდნენ, კაცად აქცევდნენ და ჩემს ადგილზე დასვამდნენ. სულელი ხომ არ ვიყავი ჩემი თავისთვის მტრობა გამენია, ავდექი და წარვადგინე ბებერი და ფეხმოტეხილი ბიკტორია, რომელიც ვერც უმაღლესს დაამთავრებდა და ვერც თავმჯდომარის სკამზე დასაჯდომად ივარგებდა“-ო.

სწორედ ასეთმა პედაგოგებმა და თავმჯდომარეებმა მიიყვანეს „ფოლადის თითებით“ შეკონინებული სახელმწიფო „პერესტროიკამდე“.

საბჭოურ კანონმდებლობაში ეწერა: „ქალებს, რომლებმაც შობეს და გაზარდეს 10 შვილი, მიენიჭოს გმირი დედის წოდება“. ასეთი კანონი მასხრობაა, რაც ნამდვილად არ ეკადრება 10 შვილის დედას, რადგან მშობიარობა ქალის ფუნქციაა, ბიოლოგიური მოვალეობის შესრულებაა და არა პოლიტიკური ბრძოლა მღბო ხალხის ინტერესების დასაცავად.

დიდებული საქმეა მრავალშვილიანობა. მრავალშვილიან დედებს დროის გარკვეულ მონაკვეთში სჭირდებათ ეკონომიკური დახმარება. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, იგი თვითონ დაეხმარება ქვეყანას. ათი შვილის დედა არავისთან არ დარჩება ვალში.

რადგან დედობა ქალობის სინონიმია, შეიძლება არსებობდეს გმირი დედის (ქალის) ტიტული, რომელსაც ქალი მიიღებს არა ბიოლოგიური მოვალეობის შესრულების გამო, არამედ ხალხის ინტერესების, პროგრესული იდეების დაცვის გამო.

ლიტერატურის კრიტიკოსები წერენ ქეთევან დედოფლის შესახებ: რომ „მან გაზით დაფლეთილი ძუძუებით მეტი გმირი გამოუზარდა საქართველოს, ვიდრე 1000-მა დედამ“-ო.

ქრისტიანულმა ეკლესიამ მისი ღვანლი ჯეროვნად დააფასა, ხოლო საქართველოს კონსტიტუციამ, ვერც ძველმა და ვერც ახალმა მისთვის გმირის ტიტული ვერ გაიმეტა. თუმცა მისი გაუტეხელი რწმენა და თავდადება ნამდვილად იმსახურებს ამ ტიტულს. მან თავისი თავდადებით მარტო ქრისტიანობა კი არა, მთელი საქართველო დაიცვა. აქედან გამომდინარე, სამართლიანობა იქნებოდა, რომ მისთვის გმირი დედის ტიტული მიგვეცა. 10 შვილი ბევრს არ ჰყოლია, მაგრამ გმირობა ბევრ ქალს ჩაუდენია ქრთული სახელმწიფოს დაცვის საქმეში. ასეთი ქალების მთელი არმია არსებობს, რომლებსაც სჭირდება გამომზეურება და დაფასება.

გალაკტიონი წერდა: „სიტყვა?... სხვა არის ფიქრი ამაზე, ... ლოგოსი, აზრი... მისი რაც არის“. არ უშობია ქეთევან დედოფალს 10 შვილი, მაგრამ იგი ამისთვის გმირი დედა არ არის?!

გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა, რომ სსრკ-ის გმირი ვერ ეტევა ნითელ საზღვრებში, რადგან მისი გმირობა ზოგადკაცობრიულია, გლობალურია. ფაშიზმის წინააღმდეგ ამხედრებული რაინდი მარტოოდენ რუსეთის იმპერიას კი არა, მთელ კაცობრიობას იცავდა სვასტიკებიანი ურჩხულებისაგან და მისი ნითელ საკარმიდამოში ჩატევის მცდელობა უვიცობაა, დანაშაულია. სამართლიანად მიმაჩნია, მოხდეს ამ ღირებულების ახლებური შეფასება და ენოდოთ მათ „მეორე მსოფლიო ომის გმირები“.

თითქმის არავინ ახსენებს იმ გერმანელ გმირებს, რომლებიც ფაშისტური წნეხის ქვეშ მოქცეულნი ცდილობდნენ და ხშირად ახერხებდნენ კიდევაც, ანტიფაშისტური კოალიციის მოღვაწეების ხელისშეწყობას. ბევრჯერ გამიგონია და ნამიკითხავს კიდევაც, რომ ხშირად იყო შემთხვევები, ბომბი ჩამოვარდებოდა და არ გავარდებოდა. ამას გერმანულ ქარხნებში მომუშავე გერმანელი მუშები და ხელოსნები აკეთებდნენ რისკის ფასად (ბომბებს კაფსულას ან სხვა რაიმე დეტალს ამოაცლიდნენ).

სტალინი ჯერ კიდევ 40-იანი წლების დასაწყისში გერმანიის ზურგს ასეთ შეფასებას აძლევს: „გერმანიის ზურგი წარმოადგენს ვულკანს, რომელიც მზად არის ამოხეთქოს და ნალექოს ფაშისტური გერმანია“-ო.

ამ ვულკანში მომუშავე ანტიფაშისტური კაცების აღმოჩენას და მათი ღვაწლის დაფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მათი მემკვიდრეების, არამედ მთელი პროგრესულად მოაზროვნე გერმანული საზოგადოებისა და კაცობრიობის დემოკრატიული ძალებისათვის.

ზელიმ ჩაკვეტაძე

12.01.2020წ.

„საქართველო და მსოფლიო“-ს პოლიტიკური პათეოლოგია

*„ნურვინ ცდილობს რომ გადალახოს
გონებისათვის შენერილი მაღალი მზღვარი“*

დანტე

*„შენ ეს ნამალი მალე ისე გაგახალისებს,
რომ თვით გომბიოც კი ელენედ მოგეჩვენება“*

გოეთე

სიმბოლურ გამოხატულებებზე დაკვირვების უნარის მქონე კაცი, როცა „საქართველო და მსოფლიო“-დ მონათლულ გაზეთს გადახედავს, გაკვირვებული დარჩება მისი სიმბოლიკით. პირველ რიგში, თვალში საცემია ის მდგომარეობა, რომ მის ავტორს პირველი რიგი საქართველოსთვის მიუცია, თითქოს მასში იყოს მსოფლიო და არა თვითონ – მსოფლიოში.

საქართველო, რომელიც თავისი ტერიტორიული სიდიდით 50 ათას კვ კილომეტრიც არ არის თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ეროვნულ და კაცობრიულ ფუნქციებს, მსოფლიოს რუკაზე მხოლოდ მონიშნის ნერტილად გამოდგებოდა, არ შეიძლება მსოფლიოზე წინ ვახსენოთ ან დავაყენოთ ასე პატარა ქვეყანა კი არა, თუნდაც დიდი იმპერია, თორემ შოვინიზმის ქაობში ამოვყოფთ თავს.

ასე რომ პირველ რიგში, ყველგან და ყოველთვის უფროსი უნდა იდგეს წინ, მაგრამ „საქართველო და მსოფლიო“ ის ფენომენია, რომელიც უარყოფს კაცობრიობის მიერ შემუშავებულ ნორმას უფროს-უმცროსობის შესახებ. საქართველოს მსოფლიოზე წინ აყენებს და მის სიმბოლიკაზე მხრებგამლილ საქართველოს ისე შემოუჭერია ბრჭყალები მსოფლიოსთვის, როგორც ქორს მოტაცებული ყვინჩილასათვის. ეს სიმბოლო ისე „კარგად“ გამოხატავს ზოგიერთი ქართველი კაცის შოვინისტურ სულისკვეთებას, რომ თვითონ გერმანული ფაშისტური ლოზუნგის Deutschland, Deutschland über alles, über alles in der velt-ი (გერმანია, გერმანია, ყველაზე მაღლა, ყველაზე მაღლა მთელ მსოფლიოში) ავტორს შეშურდებოდა.

აკაკი წერეთელს უთქვამს: „ყოველ კაცსა აქვს უფლება ილაპარაკოს სასულელე, თუ იგი საზოგადოებას არ ავნებს და თუ ვნებს, უნდა აეკრძალოს“-ო.

უფროს-უმცროსობის წესის უარყოფა ღვთისა და ბუნების წინაშე ჩადენილი დანაშაულია და იგი გამოსწორებას საჭიროებს; ხოლო დამნაშავის დასჯა, რაც აუცილებელია, სპეციალური უწყებების საქმეა და არა მწერლობისა.

სპეციალურ უწყებებს და საზოგადოებას მინდა მოკრძალებით შევახსენო ავტორიტეტების შეხედულებები უფროს-უმცროსობაზე.

„არსენა მარაბდელში“ ვკითხულობთ: „ფრანციაში ბატონ-ყმობა მოისპო, თორემ უფროს-უმცროსობა კი არ მოსპობილა – მოუჭრა თავადმა. – გიშველა ღმერთმა მეც მანდა ვარ, – იხელთა არსენამ – მთა და ბარი ვის გაუსწორებია? უფროს-უმცროსობა მუდამ იყო და კიდევაც დარჩება. მე ნასწავლი კაცი არა ვარ, მაგრამ ეგენი მეც კარგად ვიცი. პირველობა ნასწავლისათვის დამითმია, მე კი სულ უკან დავდგები“. იმოდენა მოაზროვნე, როგორც მიხეილ ჯავახიშვილია მიიჩნევს, რომ უმცროს-უფროსობის მოშლა ისევე შეუძლებელია, როგორც მთა და ბარის გასწორება. უმცროს-უფროსობის წესს ემორჩილება არა მარტო ადამიანი და დედამიწის მიერ წარმოქმნილი ყოველი რჯულის არსება, არამედ მთელი სამყარო. აბა გაიხსენეთ, როგორ ატრიალებს დიდი დედამიწა მასზე პატარა პლანეტას, მთვარეს თავის ირგვლივ, როგორ ატრიალებს მზე თავის ირგვლივ ათამდე პლანეტას თავიანთი თანამგზავრებიანად. თურმე პლანეტები სცნობენ უმცროს-უფროსობას და ეგ „საქართველო და მსოფლიო“ ვინ ეშმაკმა დასწყევლა: „უმცროს-უფროსობის ვერაფერი გაგეგოთო“.

ბატონ-ყმური ინსტიტუტის აპოლოგეტიც ლუარსაბ თათქარიძე თავის მოურავს ასე მოძღვრავს: „დიდი და პატარაობა სად არ არის, – აი თუნდაც თითებზე დაიხედე, ერთი დიდია, მეორე პატარა. – განა არ დამიხედნია, შენი ქირიმი! დიდიც არის და პატარაც, მაგრამ დაილოცოს ღვთის სამართალი, ისე გაუჩენია, რომ ერთმანეთს ხელს არ უშლიან, სთქვა ცბიერმა დათომ.

მაშ ყველგან არის დიდი და პატარაცა, ახლა როგორ იქნება ჩვენში ან რა დასაჯერია? – ვისაც თავში ტვინი აქვს, აკი არც დაიჯერებს“.

„საქართველო და მსოფლიო“ ამხანაგობიას და დემოკრატიზაციას თამაშით გართული, ველარ ანგარიშობს, რომ უმარტივესი

საქმეც, რომელიც რამდენიმე ადამიანის გაერთიანებას საჭიროებს, თუნდა მცირე დროით, მოითხოვს უფროსის ავტორიტეტს და შემართებას. ხელმძღვანელი წარმოადგენს მასტიმულირებელ, შთაბამებელ და გამაძლიერებელ ძალას კოლექტივისა. იგი ყველაზე დიდი პასუხისმგებელი ძალაა გეგმის შესრულების საქმეში. უმისოდ კოლექტივი ვერასოდეს შესძლებს მონოლითურობას და მინდობილი საქმის მაღალ დონეზე შესრულებას. როგორი მოსასმენი იქნება უდირიჟორო ორკესტრის მუსიკა?! – იგი ვერასოდროს დააკმაყოფილებს მსმენელის ესთეტიკურ მოთხოვნას, რადგან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება დამკვერელს არ შეუძლია დირიჟორის ჯოხის ქნევის (რომელიც საქმეში ჩაუხედავ კაცს იოლი საქმე ჰგონია) გარეშე. რუსი ოფიცერი ორ ჯარისკაცს როცა აგზავნის სადმე, ეუბნება, შენ იქნები უფროსი – მეორეს, შენ დაქვემდებარებული – ალბათ, ასეა საჭირო.

თვითონ ოჯახი წარმოადგენს ერთგვარ იერარქიულ კიბეს, მამა, დედა, უფროსი შვილი და ა.შ. მათ შორის დიდი დაპირისპირება არაა, მაგრამ მაინც მეტ-ნაკლები უფლებები აქვთ ერთმანეთის მიმართ.

დიდ ქარხნებში რამდენიმე დირექტორი ჰყავთ, მათ შორის ერთი გენერალური. ასე თხოულობს წარმოების განვითარება და მიტომ.

უფროს-უმცროსობის ტრადიცია სუსტი არსად არ არის, მაგრამ საქართველოში ისე ძლიერია, რომ ქართველმა კაცმა კარგად რომ ისაძილოს თამადა უნდა დაუჯდინო, რომელიც თავისი სადღეგრძელოებით სტუმარს შეიქცევს და ნასიამოვნებს გაისტუმრებს. სტუმარი პატივისცემას ისედაც მიიღებს, მაგრამ თამადის უფროსობას და დიქტატურას სხვა ლაზათი აქვს.

ვფიქრობ, რომ ურედაქტორო რედაქცია და უმცროს-უფროსობის უარყოფა „საქართველოს და მსოფლიოს“ ფანტაზიის ნაყოფი არ უნდა იყოს. ამ „გამოგონებაში“ აუცილებლად ვილაციის ხელი ურევია და არ არის გამორიცხული, რომ ამ „ვილაციის“ ძებნაში არასამთავრობოებს მივადგეთ. იმ არასამთავრობოებს, რომლებიც არ ფარავენ თავის აბსოლუტურ უფლებებს და აცხადებენ, ჩვენ არასამთავრობოები ვართ და თქვენს მთავრობას არ ვემორჩილებითო.

ვინც ისეთ კანონებს წერს, რომ საქართველოში იმოღვაწეონ ისეთმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ხალხის მიერ დაკანონებულ

მთავრობას არ ემორჩილებიან ერის სასიკეთო საქმეს ვერასდროს ვერ გააკეთებენ.

„საქართველო და მსოფლიომ“ ხელი უნდა აიღოს იმათ აგენტობაზე, რომლებმაც ურედაქტორო რედაქციის მუშაობაზე და უმცროს-უფროსობის მომლაზე მოანერიეს ხელი.

თუ კაცს შემოქმედებითი მუშაობა გინდა, უფროს-უმცროსობა კი არ უნდა მოშალო, პირიქით – უნდა გაამტკიცო. მაგრამ თუ უწყებას ტირანი მბრძანებლობს იგი აუცილებლად უნდა შეეცვალოს, რადგან ტირანია ყველასა და ყველაფერზე უსამართლო და უკანონო მბრძანებლობის სურვილია, რასაც არც კოლექტივისთვის და არც სახელმწიფოსთვის არავითარი სიკეთე არ მოაქვს, პირიქით – ამუხრუჭებს საწარმოო ძალების წინსვლას.

ადამიანებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ მოაცილონ ტირანი, მაგრამ უმცროს-უფროსობის მოშლის უფლებას მათ ვერც ერთი დემოკრატია ვერ მისცემს.

მთავრობა ხშირად წერს ისეთ კანონებს, რომელთა შესრულება ნამდვილად მოუტანდა საზოგადოებას სიკეთეს, მაგრამ... სიტყვა სიტყვად რჩება და საქმე არ კეთდება. კაცმა რომ საქმე ნიჭიერად გააკეთოს, მას უნდა ენდო, მაგრამ კონტროლის გრემეც არ უნდა დატოვო, თორემ საქმე დაზარალდება. უკონტროლობა ხელს უწყობს თაღლითობას და გაიძვერობას. თუ მთავრობა ვერ აკონტროლებს ცხოვრებას, მაშინ იგი უნდა ჩაითვალოს უუნაროდა და გადადგეს.

თბილისის მერი კახი კალაძე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ №234-ში (27.XI.2019წ.) საქვეყნოდ აცხადებს: „ვერავინ გაბედავს, ადამიანის აზრის გამოხატვის უფლება შეზღუდოს“. ეს აზრი ერთგვარი კომენტირებაა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის XXIV მუხლისა, რომელშიც ნათქვამია: „1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია. 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ცენზურა დაუშვებელია. 3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არ აქვთ უფლება მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის“.

თუ ეს ყველაფერი ასეა, როგორც საქართველოს კონსტიტუცია მიგვითითებს და ბატონი კალაძე გვეუბნება, მაშინ ვინ არის ეს „საქართველო და მსოფლიო“ (უმჯობესი იყო, რომ ნათლიებს სხვა სახელი დაერქვათ მისთვის), რომ მათმა წარმომადგენელმა

ბებერ კაცს განუცხადა: „ჩვენ თავისუფალი პრესა ვართ, გვინდა დავბეჭდავთ თქვენს აზრს და თუ არ ვისურვებთ, არა“-ო. ბერი-კაცს დავა აღარ დაუნყია, მიხვდა მრავალნაცადი ბერიკაცი, რომ „უპატრონო ეკლესიასთან“ ჰქონდა საქმე. თავისი ბებერი „კარო-ჟნა“ ბებერ ჩანთაში ჩადო, გაეცალა „ბებერი ოსიკოების“ ბებერ რეზიდენციას და გულდანყვეტილი წავიდა სახლში.

რამდენიმე თვის შემდეგ „ბებერი ოსიკოების“ მიერ დაწუნებული ბებერი კაცის ბებერმა კაროჟნამ ისე ამოჰყო ბებერი თავი ბებერი პატრონის ბებერ წიგნში, როგორც ბებერი ლაჯებიდან-ცხენგამოცლილმა და ადიდებულ არაგვში ჩაყვინთულმა ბებერი აკაკის ბებერმა ბაში-აჩუკმა ადიდებულ მორევში.

„საქართველო და მსოფლიო“ არის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი „ნითელი ანგელოზებისა“, რომლებიც თავის თავს სახალხო კაცებად თვლიდნენ და ხალხს აძლევდნენ უფლებას, რამდენსაც ისურვებდნენ, იმდენი ექოთ და ედიდებიათ კოლექტივი, რაიკომ-ალმასკომების მდივან-თავმჯდომარეები, შეეთხზათ მათზე ლექსები, სიმღერები, ფერწერისა და ქანდაკების ნიმუშები. მათ ამისთვის დასჯიდნენ კი არა, პრემიებს მისცემდნენ და ხშირ შემთხვევაში გამირობის ტიტულსაც მიანიჭებდნენ.

იგი ნითელი მეთოდებით აგრძელებს მუშაობას. მან მხოლოდ ფირფიტა (პლასტინკა) გადაატრიალა და საბჭოთა საქართველოს მაგიბრად, კომერციული საქართველოს ქება-დიდება დაიწყო და იმაზე ხმასაც არ იღებს, რომ საქართველოში ნითელი დიქტატურა კომერციის დიქტატურამ შეცვალა.

მან განახორციელა დარვინისეული „გენეტიკის“ კანონი მემკვიდრეობისა და ცვალებადობის შესახებ. მემკვიდრეობიდან უარყო უმცროს-უფროსობა. ნითელი კაცები ხშირად იყენებდნენ რესპუბლიკელების მიერ მოწონებულ მიმართვის ფორმას „ამხანაგო“-ს, რომელსაც მხოლოდ ფორმალური მხარე ჰქონდა და არა ლოგიკურ-ზნეობრივი, მაგრამ უმცროს-უფროსობის წინააღმდეგ მათ რასდროს გაულაშქრიათ. ნითელ პრესაში დაბეჭდილ ჯონ მილტონის „დაკარგულ სამოთხეში“ ამოვიკითხე დარიგება:

„ჩვენ ერთნაირად მიგვიწოდებს ბუნებაც, ღმერთიც,
მას ვმორჩილებდეთ ვინც ყველაზე უკეთესია,
ვინც ქვეშევრდომებს ყოველი მხრივ აღემატება,
მონაა იგი ვინც უღირს კაცს ემორჩილება“.

ეს აზრი ჩემამდე ვერ მოაღწევდა „ნითლები“ რომ უმცროს-უფროსობის წინააღმდეგნი ყოფილიყვნენ.

ქართველ კაცს უმცროს-უფროსობის გარეშე საზოგადოებრივი პროგრესი კი არა ქვეყნის არსებობაც ვერ წარმოუდგენია, ხოლო ვისაც ასეთი წარმოდგენები აქვს, იგი მსხვერპლია სატანისა და თუ მკურნალობას წამლების სიძვირის გამო ვერ მოვახერხებთ, მწერლობის მიძიმე ტვირთს მაინც ნუ დავადებთ. ქართულად თუ ვერ გავაგებიებთ, ევროპულ ენებზე ავუხსნათ, რომ „წერა წერაზე აწეულების საქმეა და თუ კაცს, როგორც ჩიხოვი გვასწავლის „შეგიძლია არ წერო, ნულარ წერ“.

საქართველოში დადის აჩრდილი, რომელიც ქართველ ხალხს სატანის სამსხვერპლოდ ამზადებს. ეს აჩრდილი სახეს წარა-მარა იცვლის. მისი სახის ცვალებადობის შესახებ საჭიროა, მივმართოთ ასტროლოგებს, რომლებიც ყველაზე უფრო დაზუსტებულ ცნობებს მოგვცემენ. მე კი მჯერა, რომ იგი მოყვრული სახით ეცხადება მსხვერპლს, რომელთა რიცხვი ჩვენში საკმაოდ დიდია.

მე, როგორც უბრალო მოქალაქემ, მინდა შევახსენო ხალხს რუსთაველისეული შეხედულება მოყვრულად მოსულ მტერზე:

„მტერი მოყვრულად მოსული, მტერზედა უფრო მტერია, არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია“.

P.S. ნოტაბენე უნდა გაკეთდეს ეპიგრაფში მოხსენებულ წამალზე, რომლის შესახებ მეფისტოფელი ფაუსტს მიმართავს: „შენ ეს წამალი მალე ისე გაგახალისებს, რომ თვით გომბიოც კი ელენედ მოგეჩვენება“. სტატიის ეპილოგში მოხსენებული აჩრდილი ამ წამალს უშხაპუნებს ვენაში ქართველ კაცს. ამ წამლის გარეშე „საქართველო და მსოფლიო“ ვერ წარმოიდგენდა, რომ საქართველოსთვის მეტი პატივი დაედო, ვიდრე მსოფლიოსთვის. ვერც იმ პასუხით გაისტუმრებდა ბებერ კაცს, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. მაგრამ მეფისტოფელისეულმა წამალმა უკარნახა მათ, რომ დემოკრატია არის არა საზოგადოების პროგრესული იდეების დაცვა, არამედ თაღლითების, ანტისაზოგადოებრივი კაპრიზების დაკმაყოფილების საშუალება.

ამ აჩრდილს, რომელიც მთელ მსოფლიოს ხალხებში და მათ შორის საქართველოშიც დაძრწის, ხელენიფება, რომ დემოკრატის ბორტმეიხერები ხალხს მესიად მოაჩვენოს და ამ ავანტიურაში მიღწევებიც დიდი აქვს.

კაცთა ცხოვრება წარმოქმნის როგორც თეზას, ისე ანტი-თეზასაც. კაცობრიობის მოწინავე ნაწილმა უნდა იზრუნოს იმ ვაქცინის შექმნაზე, რომელიც შესძლებს ზემოთ დასახელებული წამალი უვნებელი გახადოს. ხალხმა უნდა შეინარჩუნოს ზნეობა, რომელიც სათავეს იღებს იმ დროიდან, როცა ჰომომ შიშველი სხეულის დაფარვის აუცილებლობა იგრძნო და ამ გრძნობით კაცობაში დაიწყო შესვლა.

ნიკოლო მაკიაველი წერდა: „მანკიერი მორალი შეუძლებელს ხდის ყოველგვარ პროგრესს. გარხწნილი საზოგადოების ხსნა, მისი გაჯანსაღება და გათავისუფლება არავითარ სოციალურ ძვრებს და ცვლილებებს არ შეუძლია“.

ხოლო ადოლფ ჰიტლერი კაცთა ცხოვრების საფუძვლად ხალხის სულიერ ძალას მიიჩნევს და ამბობს: „ეკონომიკური მიზეზები ყოველთვის მეორე ან სულაც მესამე პლანზე არიან. წინ ყოველთვის ხალხის სულიერი ძალა დგას“.

ზელიმ ჩაკვეტაძე

20.01.2020



ვატყნა ზ' ვაქააჯღა, თუ, ვაძინი ვაგონიქესა!

არსენა ოძელაშვილი და მისი პასკვილანტები

„არა არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს“.

ბიბლია

„იქ რა ჰქენას წმიდათა წმინდამ, სად ცოდვას მადლი დაუძლევია“.

ი. ქავჭავაძე

არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელიც მზეზეც კი ლაქებს ამჩნევს და თუ მისმა უტილიტარულმა ინტერესებმა მოითხოვეს, დაიწყებს მტკიცებას, რომ ცაზე არსებული დისკო, რომელსაც მზეს ეძახიან, სავსეა ათასნაირი ლაქებით. ასეთი კატეგორიის ადამიანებს პასკვილანტებს ეძახიან, რაც ცრუს, შეურაცხმყოფელს და უსამართლოდ შემგინებელს ნიშნავს.

სანამ მწერლობაში შევგოპავდეთ, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ლიტერატურა არ არის ვენეციური სარკე, რომელსაც შეუძლია მათემატიკური სიზუსტით ასახოს საგანი და სხვა საშუალება საგნის ასახვისა არ გააჩნდეს.

ლიტერატურა სახეებით აზროვნებაა და არა მარტოოდენ ცნებებით, რომლითაც მეცნიერება კმაყოფილდება ტიპიური სახეების შექმნა, რომლითაც პოეზია ცხოვრებას ასახავს, მისთვის ნიშანდობლივი თვისებაა, რომლითაც იგი ერთში მრავალს და მრავალში ერთს ხედავს.

თუ მწერალს სჭირდება, შექმნას ტიპიური სახე ქართველი ქალისა, გაივლის ქუჩაში, დაუკვირდება მუდამ მოფუსფუსე ქალებს: ზოგის ხელი მოეწონება, ზოგის ფეხი. ზოგის წარბ-წამწამ-თვალნი, ზოგის გულმკერდი, ზოგის ვარცხნილობა, ზოგის ტუჩ-კბილი, ზოგის მეტყველება, ზოგის ჩაცმულობა, ზოგის მორიდებულობა, ზოგის სითამამე და სხვ. შეაჯამებს ყველაფერს, რაც მისთვის საჭიროა და შექმნის აღნაბეჭს (ტიპს), რომელიც თითოეულ ნახულთაგანს ემსგავსება, კონკრეტულად კი არც ერთი მათგანი არ იქნება. ასე რომ ტიპიური სახე არის მრავალი ერთში და ერთი მრავალში.

არსენა ოძელაშვილი არის ტიპიური სახე უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული გლეხი კაცისა. იგი, როგორც მისი ბიოგრაფიული ცნობებით დასტურდება, დაბადებულია მარაბდაში

XVIII საუკუნის ბოლოს. მისი ახალგაზრდობა ემთხვევა იმ პერიოდს, როცა მონინავე ქვეყნებში ბატონ-ყმური ფორმაციის დაშლას იწყებენ და არენაზე გამოდის ბურჟუაზიული დემოკრატია. იწყება ბრძოლა დრომოჭმული ფეოდალიზმისა და ახლად ფეხადგმულ ბურჟუაზიულ დემოკრატიას შორის.

ქართველი გლეხი თანაუგრძნობს ევროპაში დანყებულ ანტიფეოდალურ მოძრაობას. იგი ოცნებობს იმაზე, რომ ჩვენშიც გაუქმდეს ბატონ-ყმობა, როგორც ეს „ფრანციაში“ მოხდა.

საქართველოში XVIII-XIX საუკუნეებში პატრონ-ყმობა მთლიანად შეიცვალა ბატონ-ყმობით. ადრე ბატონი თუ ცოტაოდენ პატრონობას მაინც უწევდა გლეხს, ახლა ამ ცოტაოდენზედაც ხელი აიღო და თავის მოვალეობაში მხოლოდ ბატონობა დაიტოვა. ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ გლეხი მეზატონის მიმართ შეურიგებელი პროტესტანტი გახდებოდა და გახდა კიდევაც. ეს ის პერიოდია, როცა გლეხს განსაკუთრებული ძალით დაანვა გაჭირვება (რომელიც არც სხვა დროში აკლდა). ბატონი, ვაჭარი ურია, თათარი, ყველა მას ღლეტდა და ძარცვავდა. ასეთ პირობებში ჩავარდნილი გაძვალტყავებული გლეხისთვის საჭირო იყო ისეთი კულტის შექმნა, რომელიც მის სულიერ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა და შექმნა კიდევაც არსენა ოძელაშვილის სახით. მისთვის პროფესიულ ლიტერატორებზე ადრე მესტვირეს მიუქცევია ყურადღება. მას, როგორც მესტვირეს ვერ მოვთხოვთ ლიტერატურის სპეციალისტებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც მხოლოდ სწავლულებს მოეთხოვებათ. მაგრამ ხალხური მელექსის პირობაზე მან კარგად გვიჩვენა, არსენას ზრუნვა გლეხობაზე და გლეხების სიყვარული მწყალობელისადმი.

მესტვირის მიერ შექმნილ „არსენას ლექსის“ გმირს არსენას ჰყავს პროტოტიპი არსენა ოძელაშვილის სახით.

აუცილებელია მსჯელობა „არსენას ლექსის“ გმირზე, მის პროტოტიპზე, არსენა ოძელაშვილზე. მსაჯული რომ არ შეცდეს, საჭიროა, გაითვალისწინოს დრო, სივრცე და მდგომარეობა, რომლებშიც განსასჯელი იმყოფებოდა მოცემულ შემთხვევაში.

ავტორი წიგნისა „მაინც ვინ იყო არსენა ოძელაშვილი“ – ბატონი ლევან ბაღდავაძე აღწერს არსენას ცოდვებს, რომლებიც შეიძლება რიგის მიხედვით დავალაგოთ.

ცოდვა №1. „ქეიფი იმას უყვარდა გზებზე სუფრის გადაფენა“. არსენა ვერ გამლიდა ცენტრალურ გზებზე სუფრას, თავისი

უუფლებობის გამო (იგი ხომ ყაჩაღად იყო გამოცხადებული), ხოლო იმ ბილიკებზე, რომლებზედაც მას სიარული უხდებოდა, ვაჟა-ფშაველა ასე ახასიათებს: „გზას ვამბობ, თორემ რა გზაა, ვინრო ბილიკი კლდეზედა, სავალად მეტად ძნელია, ფეხს ძლივს აცილებს ფეხზედა“, სადაც ყაჩაღი ან მონადირე თუ გაივლიდა კვირაში ერთხელ, რა სუფრის გადაფენა შეიძლებოდა ისეთის, რომ მას საზოგადოებრივი მორალი დაეზიანებინა.

ცოდვა №2. არსენამ ბატონს მოსტაცა მოახლე გოგო. ამ საქმეზე უნდა მივმართოთ ილია ჭავჭავაძეს და გავიხსენოთ მისი აზრი: „ბატონსა და ყმას შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება“. მათ შორის სამართლიანი და მშვიდობიანი ურთიერთობა ზღაპარი და მითია და არა რეალობა. დღესაც მღერიან საქართველოში: „ჩავუხტეთ და ჩავუხტეთ ბართაშვილსა, მოვსტაცოთ და მოვსტაცოთ ქალი ლამაზი „ჩვენია და ჩვენ მიგვყავს ქალი ლამაზი“ – დიახ, უნდა მოვსტაცოთ ბატონს ჩვენი გოგო, რომელიც მას მოახლედ სჭირდება.

უნდა მოვსტაცოთ, უნდა „გავყაჩაღდეთ“ იმისთვის, რომ ბატონისგან „გომბიოთ“ შეფასებული, ჩვენთვის ოქროდ ღირებული ქალიშვილი მისი ბრჭყალებისგან ვიხსნათ და ოძელაანთ ბიჭი გავახაროთ.

კლასთა შორის მორიგებაზე ბევრს ლაპარაკობენ ბურჟუაზიულ-ლიბერალური იდეოლოგიები, მაგრამ ეს ნყლის ნაყვია და სხვა არაფერი.

ცოდვა №3. არსენას ბრალად სდებენ ურიების, მედუქნეების, დახლიდარების და „გაჭირვებული“ სიდედრის გაძარცვას და ცდილობენ მათ გამართლებას. ვინ არიან ისინი?! და ვინ იცავს მათ?! მათი კაცობის შეფასებისათვის მოვიშველიოთ შიო არაგვისპირელის შეხედულება მათ „შემოქმედებაზე“.

„ვაჭარს რომელიმე ნივთი, რომელსაც გლეხი ყიდულობს, უღირს სამ შაურად, თითონ კი, სულ რომ ნაკლები, ცხრა შაურს მაინც გამოართმევს გლეხს. გლეხმა რომ ქისა გახსნას და ცხრა შაური გადაუთვალოს, მაშინ ვაჭარს სამშაურიან ნივთში ექვსი შაური ნმინდა მოგება დარჩება, მაგრამ გლეხს ქისა ცარიელი აქვს და ამისთვის ის თავის ნაწარმს, მაგ. ხორბალს, ქერს, სიმინდს და სხვას აძლევს ცხრა შაურში, იმ ფასად კი არა, როგორც ბაზარში ფასობს, არამედ ნახევარ ფასად. ფუთი ხორბალი რომ თვრამეტ შაურად ღირდეს, ის ცხრა შაურად იღებს. მერე ხშირად ჰყიდის 18

შაურად და ამგვარად სამშაურიან ნივთში ექვსი შაურის მოგების მაგივრად თხუთმეტ შაურს იგებს“.

შიო არაგვისპირელის მიერ გამოხატული ფორმულირება ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმ ებრაელების, მედუქნეების, დახლიდარების და ცხრა ნაზუქის ორი შემწვარი ქათმის და ინდოურის საგძლად წამლებ სიდედრზე და მათ „შემოქმედებაზე“. ხალხს უთქვამს: „ქურდის ქურდი ცხონდებაო“, ზემოთ ჩამოთვლილი საქმოსნების კაცობა ბურჟუაზიის იდეოლოგიებისთვის დიდი სიკეთე და კაი კაცობაა. მაგრამ ჰკითხეთ გლეხკაცსაც, თუ გინდათ ჭეშმარიტების ლაბირინთებში შეიჭრიდნით.

ცოდვა №4. არსენას ბრალდება ანტიინტერნაციონალურობა. მან ურიებს „ადლი გაუტეხა“ და ცხენი წაართვა სომეხ დახლიდარს, რომელიც „მოდოდა არხეინად ნელ-ნელა“, არხეინად ქართლის მიწაზე უნდა იაროს პატიოსანმა კაცმა და არა ისეთმა ჩარჩებმა და გაიძვერებმა, როგორც შიო არაგვისპირელის მედუქნეების მსგავსები იყვნენ. რუსებს რომ თოფები მიწებით დაუტენა ეს მე, ერეკლე მეფის მოყვარულ კაცს სამართლიანად მიმაჩნია. ერეკლე მეფემ საქართველო შეიყვანა რუსეთის სამხედრო მფარველობის ქვეშ და მისთვის არ მიუცია საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება. ასე რომ ბარათაშვილებთან ურთიერთობის საქმე ჩვენი ხალხის გადასაჭრელია და არა – რუსების, რომლებმაც ჩვენი ცხოვრების თითქმის არაფერი იცოდნენ. ვაჟა-ფშაველა წერდა: „ღმერთმა ნუ ქნას, რომ რუსის „ზაკონი“ ხევსურეთში შევიდესო, თორემ ხევსურეთი კამჩატკაზე გაშენდებაო, ასე რომ ბარათაშვილებს ჩვენ როგორ მოვექცეთ, შეიძლება ვკითხოთ: ქართლელს, კახელს, მესხს, ჯავახელს, იმერელს, რაჭველს, სვანს, მეგრელს, აჭარელს, გურულს, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში რუსს, თათარს, ურიას, ჩინელს ან იაპონელს. ხალხის მჩაგვრელი ზაალ ბარათაშვილის დასახმარებლად წამოსული რუსის სალდათების თოფების დატენვა მიწით ჩემს გონებას, რომელიც შეძლებისდაგვარად ეროვნულსაც და სოციალურსაც ითვალისწინებს, ყაჩაღობად კი არა, პატიოსნებად მიაჩნია.

ცოდვა №5. „...ათსა ეგრე წამოუდგა, სულ მუშტით დაუმტვრევს ყბებსა. ცოდვა ედება ოძელაანთ ბიჭს ძლიერი მუშტის პატრონობა რომ არგუნა ბედმა... ფარსადანს რომ „კამეჩივით შეუბღვირა“ ის არსენაა და არა სამსხვერპლოზე მოყვანილი კრა-

ვი, რომ პეტელი დაენყო“. არსენა არავის ეჩხუბება ურიობისთვის, რუსობისთვის ან თათრობისთვის. თუ თათარი არ ითათრებს, ურია არ იურიებს და რუსი არ ირუსებს. არსენა არ წაეჩხუბება არც ერთ შემთხვევაში. მისი მკვლელი (და არა გამანდგურებელი) გიორგი კუჭატნელი, რუსის მოხელეა და ლეკების ამნიოკებელი, მას იმერლობის ტიტული უნდა მოვაცილოთ, რადგან იმერელ კაცს ლეკებთან საერთო არაფერი ჰქონია, გარდა იმისა, რომ შეიძლება ქართლ-კახეთს ოდესმე დახმარებოდა, მაგრამ საუბედუროდ ქართველებში ამგვარი ერთსულოვნება იშვიათად იყო.

ოპონენტი ცდილობს გაამართლოს კუჭატნელის მარხულობა „კუჭატნელს, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანს არ მოეწონა წითელ პარასკევს ღვინის სმა და არსენას ეუბნება: „რათა ხარ ჭკუა თხელია...“ და შემოაგინებს. მკითხველმა განსაჯოს ვინაა მეტი ცოდვილი, არსენა ოძელაშვილი, რომელიც მედუქნეებს და მათნაირ გაიძვერებს ხალხის ნაძარცვ ფულს ართმევდა, თუ დაღესტნიდან დაბრუნებული გიორგი კუჭატნელი, რომელიც ამბობს: „...ჯიბეში ფული ბევრია“-ო. ჩვენ ვიცით, რომ არსენა „მდიდარს ართმევს“. ხოლო გიორგიმ ვინ გაძარცვა (რომ არავინ გაეძარცვა ბევრი ფული არ ექნებოდა. მდიდარი რომ თავს უკეთესად იცავს, ვიდრე ღარიბი, ეს ხომ სინამდვილეა. ასე რომ გიორგის ბევრი ფული, ბევრი ღარიბის ნაძარცვი იყო) და კუჭატნელსა და არსენას შორის გამართული ბრძოლა არის გამოსატყულება ორი მსოფლმხედველობისა. პირველი იცავს ხელმწიფის კანონებს, მეორე – გლახაკთა და უპოვართა ინტერესებს და ამ ბრძოლაში მარცხდება მეორე, მაგრამ ეს დამარცხება არ ნიშნავს იმას, რომ დამარცხებული ბოროტმოქმედი იყო.

გმირი, სახალხო იქნება, ეროვნული თუ ლიტერატურული, დაზღვეული არაა და არც შეიძლება იყოს, ამქვეყნიური ცოდვებისაგან. ისინი ჩვენნაირი კაცები არიან, ოღონდ ჩვენზე მაღალი უნარის მქონენი.

რუსთაველის ავთანდილის სულიერი ნაკლია, მისი ურთიერთობა ფატმანთან და ჭაშნაგირის მოკვლა. ეს ორი დანაშაული გმირის მიზანთან მისვლის სურვილითაა ნაკარნახევი. ფატმანის წერილზე ავთანდილი ამბობს: „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია“. მაგრამ როცა გაანალიზა თავისი მდგომარეობა, თქვა „იგი დიაცი, აქა ზის, მნახავი კაცთა მრავალთა... დიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს გულსა,... ხვაშიადსა უთხრ-

ობს სრულსა“. ჭაშნაგირის მოკვლა აუცილებელი იყო ფატმანის გულის მოსაგებად.

ტარიელმა მიპარვით მოჰკლა მეფის მიერ სასიძოდ მონვეული ხვარაზმმა. ამ მკვლელობას არ შეიძლება მიეცეს არც ზნეობრივი და არც იურიდიული გამართლება.

არაბეთის მიწაზე მოხეტიალე რაინდის გასაცნობად მისული მსახურები ტარიელმა „ჰკრა ერთმანეთსა, დახოცა თავსა ხელი აღუპყრობლად, ზოგსაც გადაჰკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად“. თუ კი რუსთაველის გმირებთანაც ასეთ დანაშაულებთან გვაქვს საქმე, რალა ოძელაანთ ბიჭთან იკლავენ თავს პასკვილანტები?! – ალბათ იმიტომ, რომ ჩვენში დიდი ხანია დაინყო ღირებულებათა გადაფასება და გლეხის გმირობა არ უნდათ. ბურჟუაზიის აპოლოგეტებს – ბურჟუაზიისა ურჩვენიათ. არსენას, როგორც გლეხს, შეიძლებოდა ჰქონებოდა ცოტაოდენი ქონება, რომლითაც იგი ამ წუთისოფელს გაათრევდა ჩვენსავით გაჭირვებულად, მაგრამ ეს ქვეყანა ის ობიექტია, რომელშიც ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „ყოველი ნიჭი მაცდურებაა... სად რყვნა ნაწყმედა და ლალატია... სად შური, ზაკვა ძულებადა ჰხდის წმინდა სიყვარულს მოყვასისასა“, ასეთ ქვეყანაში დილემის წინაშე დამდგარ არსენას – ან კონფორმიზმი და მონური მორჩილება ან ყაჩაღობა უნდა აერჩია, ღვთისაგან ნაბოძები თავისუფალი არჩევანის უფლებით მეორე არჩია და ძალისმიერი მეთოდებით დაინყო მდაბიო ხალხის მძარცველთა ძარცვა. მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მთავრობის მიერ ყაჩაღად მონათლული არსენა ძარცვავედა ნამდვილ ყაჩაღებს, რომლებსაც ღმერთიც სწყალობდა. ბუნებაც, მთავრობაც და ხელმწიფეც.

ცხოვრებული ილია არსენას ყაჩაღად კი არა გმირად თვლიდა. გავიხსენოთ მისი შეხედულება არსენასნაირ ყაჩაღებზე: „ღრუბელო ცაში მფრინავო, ნუ ემუქრები კაკოსა, ღრუბელო შავო მცურველო, უსახლო გებრალეობდეს, მე კისრად ვიღებ ღრუბელო, რაც იმას ემართლებოდეს“.

სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ამხედრებული ინტელიგენტი „კაკო ყაჩაღის“, „გუთნისდედის“ და „აჩრდილის“ ავტორი ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული კაცი, ნამდვილად რომ არ სწამდეს არსენას კაიკაცობა, არც ერთ შემთხვევაში ზემოთ ნახსენებ ლექსს არ დაწერდა.

რაც შეეხება პასკვილანტების ნვრილმან მოთხოვნებს, მათი

დაკმაყოფილება არსენას არ შეუძლია, რადგან „წენვა-გლეჯის ბაზარში“, რომელთანაც მას საქმე ჰქონდა, ვერავინ შეასრულებდა ამ მოთხოვნას და თუ ვინმე იფიქრებდა ამაზე, იგი ეგ. ნინოშვილის „საყვარელას“ დღეში ჩავარდებოდა.

ხალხმა არსენას სახით შექმნა გმირი, რომლის მოღვაწეობის კრედო იყო „მდიდარს ართმევს ღარიბს აძლევს“, სწორედ ამ კრედოს მიხედვით შეიყვარა იგი ხალხმა და დღესაც უყვარს.

ოპონენტი არსენას ცოდვად უთვლის იმას, რომ კასპში შენახული 700 თუმნის დაზუსტებული მისამართი არ დაუტოვებია და მის დაზუსტებას მოითხოვს, ავალდებულებს შეუსრულოს სამისამართო ბიუროს გამგის მოვალეობა და ვერ ხვდება იმას, რომ ლიტერატორი, ხალხური მთქმელი იქნება იგი თუ დიდი მწერალი, კაცთა ცხოვრებას იმ ფართო სარკმლიდან ხედავს, რომლიდანაც კაცთა ცხოვრება მთელი თავისი ობიექტური და სუბიექტური სამყაროთი ჩანს და არა იმ საჭრიტინოდან, რომლიდანაც მხოლოდ – ბიზნესური მოგება, მოგება და მოგება.

რაც შეეხება არსენას შედარებას სპარტაკთან, არსენ იყალთოელთან, რობინ ჰუდთან და ნიკოლოზ ბარათაშვილთან, დიდ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. გლეხის გაუთლელი და უანბანო ბიჭის შედარება იყალთოს აკადემიის რექტორთან და ღრმა ფილოსოფოსთან დიდი შეუსაბამობაა. სპარტაკი და რობინ ჰუდი სისხლში აცურებული რაინდებია, არსენა კი გვატყობინებს, „ხუთმეტ წელს ყაჩაღადა ვარ კაცის ცოდვა არ მაღვესო“. ამ გამოთქმაში მესტვირე გადმოგვცემს იმ ჰუმანური ხალხის მისწრაფებას, რომელიც მთელი თავისი ისტორიის მანძილზე სისხლში ცურავს და მაინც უსისხლო ცხოვრებისკენ მიისწრაფვის. ამ გამოთქმით მესტვირეს თავისი გმირი გამოჰყავს სისხლის ოკეანიდან თავისი პატარა ნავით და ცდილობს მას შეაძლებინოს „წენვა-გლეჯის ბაზრის“ შეცვლა და მოწესრიგება, რომელიც ზღვა სისხლის გარეშე ჯერ კიდევ შესაძლებელი არაა, მაგრამ მესტვირე ეხმაურება რომანტიკულ მიმდინარეობას, რომელიც ძალიან ხშირად გაურბის არსებულ სინამდვილეს და განწირულებით მიექანება ახალი სამყაროსკენ, რომლის გამოსხატულებას წარმოადგენენ რომანტიკული პოეზიის გმირები. მართალია რომანტიკულ პოეზიაში ბევრია ილუზორული წარმოდგენები, მაგრამ ხალხს ოცნებას ვერავინ აუკრძალავს. იოცნებოს, იქონიოს იმედი, რომ მოვა ისეთი დრო, როცა „კაცი კაცისთვის მგელი აღარ იქნება“ და ადამიანები გაი-

მეორეებენ შოთა რუსთაველის აფორიზმს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

ნიკოლოზ ბარათაშვილთან არსენას შედარება სრული შეუსაბამობაა, რომელიც კაცთა ცხოვრებაში ჩახედულ კაცს არ ეპატიება. ტატო ბარათაშვილთან, რომელიც ადამიანის სულიერ სამყაროში მთელი სიგრძე სიგანით იხედება, ოძელაანთ უანბანო ბიჭის შედარება არ შეიძლება.

ქართველმა კაცმა იცის, რომ ბარათაშვილის სახით მას ჰყავს დიდი პოეტი, ხოლო არსენას სახით თავისი ინტერესების დიდი დამცველი.

ზელიმ ჩაკვეტაძე

7.11.2020წ.

ქართული კაცი, ღვინის კულტი და არსენას პასკვილანტუბი

(გაგრძელება სტატიისა „არსენა ოძელაშვილი და მისი პასკვილანტუბი“)

„როცა მოვკვდები, ვაზის ძირში დამასაფლავეთ, რომ ჩემმა ძვლებმა შეისრუტონ ამ ღვთაებრივი ფესვების ნვენნი“.

ომარ ხაიამი

„დავლიოთ, ღვინო დავლიოთ, სანამ ერთმანეთს ვხედავთო, დუმილი მაშინ გვეყოფა ცივ ლოდს რომ ამოვხედავთო“.

კონსტანტინე გამსახურდია

„თუ არ გინდა, რომ სიცოცხლის ბოლოს უსიხარულოდ დახუჭოთ თვალი, ორი ხატება ინამე მხოლოდ ქალი და ღვინო, ღვინო და ქალი“.

ხალხური

მეცნიერები ამტკიცებენ და ალბათ, მალე დაამტკიცებენ, რომ საქართველო არის ის ქვეყანა, სადაც სათავეს იღებს მევენახეობის კულტურა და მასთან დაკავშირებული ცოდნის ისეთი დარგი, როგორც მეღვინეობა.

ვენახი, ფლორის სამყაროში თავისი „თვალტანადობით“ ყველაზე მახინჯი მცენარეა, ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიშველიოთ ვიქტორ ჰიუგოს ავტორიტეტი. მან მახინჯების შეფიხობაში გამარჯვებული კვაზიმოდო ასე დაახასიათა: „იგი დაჯღვარკლული და დაგრეხილი იყო ბებერი ლერწივით“-ო, რაც იმის დადასტურებაა, რომ ვაზი შესახედაობით ყველაზე მახინჯი მცენარეა, მაგრამ ქართველი კაცი, რომელიც ჰუბერტის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ჰქმნიდა ისეთ მაღალ ხელოვნებას, სთავაზობდა სულს დახვეწილ გემოვნებას“ ვაზს ულამაზეს და უსაყვარლეს მცენარედ თვლის, იმიტომ, რომ ვაზის ფორმალური სიმახინჯე მთლიანად ითქვიფება იმ სიკეთეში, რომელსაც იგი იძლევა. არა მგონია, რომელიმე ხალხისათვის ღვინის იმოდენა მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც ქართველი კაცისათვის აქვს.

გამიგონია და შეიძლება ჩემი დაკვირვებითაც ვთქვა, რომ ქართველი კაცი მსოფლიოში ყველაზე უხეში საკვებით იკვებება. ძველი კაცებისაგან გამიგონია, მწვადს ნვა უნდა აკლდეს, იგი უნდა იჯიჯნებოდეს, თუ მომხმარებელს უნდა, რომ მისი გემო

იგრძნოსო. მეგრელი კაცი ყაურმაში რამდენ ნაჭერ ხორცს ჩადებს, იმდენ პილპილს მიაყოლებს. მეგრულ ყაურმაში ჩანგალი ხორცის მაგივრად წინაკას ესობა. ამ მიზეზის გამო (რაც ცხარე და უხეში საკვებითაა გაპირობებული) საქართველოს კუჭის დაავადებით მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო საქართველოში – სამეგრელოს. ექიმებისგან გამიგონია, რომ წინაკა მალარიის საწინააღმდეგო „რალაცეებს“ შეიცავსო და ამიტომ შეიყვარა იგი მეგრელმა კაცმაო. არ არის გამორიცხული რომ ეს შეფასება ჭეშმარიტებას შეიცავდეს.

კუჭში მოხვედრილი საკვების გადამუშავებაზე ყველა მყავაზე აქტიური ღვინის მყავაა. ასე რომ ქართველი კაცისთვის ღვინოს ზნეობრივთან ერთად სამედიცინო ღირებულებაც ჰქონია. ქართველი კაცისთვის ღვინოს რომ ზნეობრივი და სამედიცინო მნიშვნელობა მიუღია, ამის მიზეზი ჩვენი ხალხის გენეტიკურ განვითარებაში უნდა ვეძიოთ და არა ოძელაანთ ბიჭის „გზებზე გადაფენილ სუფრებზე“.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ღვინო ნორმალურად მოხმარების პირობებში სურსათის ნებისმიერ სახეობაზე მალალკალორიულია. თვითონ ხორცი, რომლის შესახებ ვაჟა-ფშაველას პერსონაჟი ამბობს: „...უხორცოდ დაზრდილ ყმანვილნი რა ვაჟკაცობას იზამენ“-ო, პირველობას მაინც ღვინოს უთმობს კალორიულობაში. რაკი ღვინოში შევტოპეთ, გავიხსენოთ ჩეხი ექიმის სიტყვები: „არ არსებობს საკვები, გარდა ხორცისა, არ არსებობს სასმელი, გარდა ღვინისა, არ არსებობს სიხარული, გარდა ქალისა“. თუ ვინმე ისურვებს, რომ იმ ექიმის ცოდვა ვინმეს გადააბრალოს, შორს ნუ გააგზავნით, აგერ მოასწავლეთ მარაბდაში ოძელაანთ ბიჭთან.

ღვინოს ჰქონდა და ახლაც აქვს როგორც ზნეობრივი, ისე ინტელექტუალური მნიშვნელობა. მრავალ უცხოელს ქართული სუფრა აკადემიად შეუფასებია, რაშიდაც მათ მაღალი გონების კაცი ვერასდროს შეედავება, ასეთი აზრის გამო, იგი, ჩემი ღრმა რწმენით, ნამდვილად არის აკადემია.

ქართველები უღვინოდაც საუბრობენ, იზიარებენ ერთმანეთის ჭირს და ლხინს, აცნობენ ერთმანეთს თავის მოსაზრებებს, მაგრამ უპურმარილოდ და უღვინოდ საუბარს, პურმარილიანი და ღვინიანი სუფრა გვირჩევენია. ვის დავაბრალოთ, რომ ცარიელ სუფრას პურმარილით განყობილი გვირჩევენია?! რა გვაქვს საძებარი და სამარჩიელო, აგერ არ გვყავს ოძელაანთ ბიჭი?! მარაბდაში თუ

ვერ წავიჭერთ მცხეთაში მაინც გადაუჭრით გზას, თუ დილომში ვერ მივუსწრებთ.

ოპონენტი წერს, რომ: „ქართველები ღვინის სმას მაშინ მიმართავდნენ, როდესაც ქვეყანაში მშვიდობა სუფევდა, გარეშე მტერი დამარცხებული, ხოლო შური და მტრობა დათრგუნული იყო“. იქნებ მოგვანოდოს ოპონენტმა ინფორმაცია, რამდენი დღე ჰქონდა საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე ასეთი?! არსენას პასკვილანტი ვერ ანალიზებს ქართველი კაცის ცხოვრებას, თორემ უცხოელმა ჰუბერტმა რომ თქვა: „აბჯარი შეადგენდა მისთვის პერანგს“ ვფიქრობ, დაუჯერებდა ამ ჭეშმარიტებას, რომ პერანგის მაგივრად აბჯრის მატარებელ კაცს, ისეთი დღეები არასდროს ჰქონია, რომელზედაც იგი (ოპონენტი) ლაპარაკობს.

ოპონენტი ვერც დროის ფაქტორს ითვალისწინებს და იშველიებს აკაკის სიტყვებს: „დღეგრძელობით თაყვანს სცემდნენ მეფესა და დედოფალსა“. იმას კი აღარ უწევს ანგარიშს, რომ ქართველი კაცი „ფრანციიდან“ ლებულობს ინფორმაციებს, რომ მეფეებს გილიოტინებში აყოფინებენ თავებს და „ფრანციული“ პოლიტიკა საქართველოშიც ინვესს გამოხმაურებას.

არსენას გაჩენამდე დიდი ხნით ადრე და მის შემდეგაც ქართველი კაცი კაცს აფასებდა და ახლაც აფასებს პურმარილიანობით. თუ კაცზე ვინმემ გითხრას, უპურმარილო კაციაო უნდა იცოდეს, რომ შენს მიერ მოკითხული კაცი ცუდი კაცია, სხვა ეპითეტები აღარაა საჭირო მის შესაფასებლად.

დავუბრუნდეთ პასკვილანტების მიერ „ცოდვილ სულად“ აღიარებულ არსენას. „არსენასა და მის მაქებარ და მადიდებლებს ძველისძველი ნათესაობა აქვთ ერთმანეთთან, როგორც ქაფსა და ნაძირალას“ გვეუბნება ოპონენტი. მე კლასობრივი მოძმე ვარ არსენასი, სხვა არაფერი, ხოლო ილია ჭავჭავაძეს ეს „ნათესაობაც“ არა აქვს მასთან და ხალხის მიერ უგვირგვინო მეფედ და ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებულ კაცს, რომ ქაფსა და ნაძირალას უწოდებენ, ეს ცოლისწამება ნამდვილად ექვემდებარება როგორც სახალხო, ისე საეკლესიო სასამართლოს წინაშე დამნაშავეის წარდგენას.

რაც შეეხება ღვინოს, რომელიც ჩემი სტატიის ერთ-ერთ ძირითადი თემას წარმოადგენს, უნდა ითქვას, რომ არა მარტო არსენას პასკვილანტები, არამედ საზოგადოების დიდი ნაწილი ბოროტების გამომწვევადა თვლის, რაც არაა სწორი. ხშირად მოისმენ ხალხისგან, ღვინო დალია და გაჯიუტდაო, დათვრა და

გადაირიო, მთვრალი იყო და იმიტომ მოუვიდაო შეცდომაო და უამრავ დანაშაულს მიაწერენ იმ „საწყალ“ ღვინოს, რომელიც მამა აბრამის ბატკანივით უდანაშაულოა და მისი ძირითადი ფუნქცია ადამიანის სულიერი ძალების და მიდრეკილებების გამომზეურებაა. მისი მისიაა, გამოაჩინოს ადამიანის სულიერი სამყარო, შეხსნას ის არტახები, რომლებითაც იგი შებოჭილია ჩვეულებრივ მდგომარეობაში. დიდი ხნის წინათ ჩვენებურმა კაცმა მითხრა: „გოგოების მამა ვარ და არც ერთ ქალიშვილს ისე არ გავათხოვებ, თუ სასიძო მაგრად არ დავათვრეო“. ე.ი. ღვინო ადამიანის ცნობის ერთ-ერთი ძლიერი საშუალება ყოფილა.

ღვინის ერთ-ერთი ძლიერი თვისება მოჰამედს შეუმჩნევია და უთქვამს: „დიდებული სასმელია, მაგრამ რამდენიც დავლიე, მეტი მომინდაო და ამიტომ უმჯობესი იქნება თუ ჩემი რწმენის მიმდევრები ამ სასმელს არ დალევენო“. მოჰამედის შეხედულების გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მან უბრალოდ ურჩია მუსულმან კაცს, უმჯობესი იქნებაო რაც რჩევა იყო და არა აკრძალვა, მაგრამ ქურუმებმა ეს შეხედულება თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს და დააკანონეს „არ დალიო ღვინოო“.

ღვინო სუსტებს და უძლურებს აღიზიანებს, თორემ ძლიერებს ამშვიდებს. ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვთა ქორწილის“ პერსონაჟმა კოდალამ სიმთვრალეში არწივს შეუტია: „შენ მეფობა ვინ მოგცა, ჩვენ როდის აგირჩიეთო“ და მანამდე ილაყბა, სანამ ფრინველებმა ნისკარტში წბილა არ გაუყარეს და ხის ტოტზე არ მიაბეს, ხოლო გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ პერსონაჟი ფარსმან სპარსი, გაქცეული ავაზის დასაჭერად, ასე არიგებს მსახურებს: „ღვინო მიუტანეთ ავაზას, დათვრება და ჭუკივით დავიჭერთო“.

ღვინის მოხმარების წესების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ უძველეს დროში დაიწყო, ხოლო შუა საუკუნეების აღმოსავლეთში იგი უკვე ჩამოყალიბებული სახით გვაქვს. იმარ ხაიამი ღვინის დალევის ფორმულირებასაც გვაძლევს: „ღვინოს თუ დალეე, ისევე ჭკვიან კაცთან დალიე, ან თმახუჭუჭა და ეშხიან ქალთან დალიე, ბევრ-ბევრს ნუ დალეე, ცოტ-ცოტა და გვიან დალიე“.

გზაჯვარედინზე მცხოვრები ქართველი კაცი, რომელიც თავისი ეროვნული ინტერესების შესაბამისად ითვისებდა მსოფლიო კულტურას, როგორც ღვინის მომხმარებელი და მოყვარული ცხადია, გამოიმუშავებდა ისეთ წესებს ღვინის მოხმარებისა, რომლებიც ერთგვარი სინთეზი იქნებოდა აღმოსავლური, დასავლური,

სამხრეთული და ჩრდილოეთური კულტურების და ასეთი ქვეყნისთვის გერმანელი პეტრე მიხაელისიული შეფასება, რომელიც „საარბრიუკერ ცაიტუნგში“ გამოქვეყნდა 1979 წლის 20 მარტს „დიდი ტრაპეზი“ სენსაციური ქვესათაურით: „გამოცდა სხეულისა შენისა საქართველოს მოგზაურობის ჟამს“ იგი წერს „მე, პეტრე მიხაელმა დასავლეთ ევროპას აღმოვუჩინე ახალი საინტერესო ტომი – განუწყვეტილ მოქეიფე ხალხი, – ქართველები. ისხდნენ ქართველები სუფრასთან, სვამდნენ და ჭამდნენ, ისევ ჭამდნენ და სვამდნენ. თანამეინახენი, უზომოდ აქებენ ერთმანეთს, ძველ ეროვნულ სიმღერებს მღერიან, ძველ ეროვნულ ცეკვებს ცეკვავენ. სადღეგრძელოებში აუცილებლობად მიაჩნიათ ყოველი ლხინის ჟამს კვლავ და კვლავ გაიხსენონ რაინდული ხანა, ამ ბარაქიანი ქვეყნის ბრძოლა ხარბი მეზობლების წინააღმდეგ... ქართველები მხოლოდ წარსულით ცხოვრობენ, მათი სიცოცხლე განუწყვეტელი ქეიფია, სუფრა კი თეატრალიზებურ წარმოდგენას ჰგავს, სადაც წარსულს თამაშობენ. ეს ხალხი არ მოქმედებს, არ იბრძვის, არ ცხოვრობს. ის ცხოვრებას თამაშობს“.

პეტრე მიხაელის მსჯელობა ზედაპირულია, იგი ისეთი პატარა ჭუჭყრუტანიდან ხედავს ქართულ ცხოვრებას, როგორც ჩვენი თანამემამულე მიხეილ ჯავახიშვილის რომანის პერსონაჟი კვაჭი კვაჭანტირაძე პარიზს ხედავდა გასული საუკუნის 30-იან წლებში.

„ორ კვირაში კვაჭი კვაჭანტირაძემ მსოფლიოს დედაქალაქში ყველაფერი ნახა, ყველაფერი იგემა. იგი დროს ატარებდა მუდმივ ნადიმსა და ქეიფში და ფიქრობდა, რომ მასავით ატარებდა დროს პარიზის მთელი მოსახლეობა. ის კი რა იცოდა კვაჭი კვაჭანტირაძემ, სილიბისტროს შვილმა, რომ როდესაც ის დროს ატარებდა განცხრომასა და ვნების მორევში, ამ დროს პარიზის და მასთან ერთად მთელი საფრანგეთის მოსახლეობა დროს მუდმივ შრომაში, ფუსფუსში და ლუკმა პურის ძებნაში ატარებდა“.

ახლა გადავხედოთ კვაჭის ევროპელი თანამოაზრის მსჯელობას ქართველი ხალხის წარსულსა და აწმყოზე. ჩავიხედოთ მის საქმიანობასა და უნარში. კვაჭი კვაჭანტირაძის ნაირი შემეფასებელი ცხოვრებისა, ვერასდროს წარმოიდგენს იმას, რომ ლენინში, ხვამლის მთის დასავლეთით, ცხენისწყლის დინების შუა წელში მდებარე სოფელში ოყურეში, გლეხები 70 გრადუსის დახრილობის ფერდობზე თოხნისას წვივებზე ცაცხვის კანს შემოიკრავდნენ, რომ თოხის დარტყმისას ასხლეტილი ქვით წვივები არ დაზიანებოდათ.

ან იმის შესახებ რა იცის პეტრე მოხაელმა, რომ ნაომარ სარ-დიონა ჩაკვეტაძეს „წითელი ანგელოზები“ სახლში შეუხტებოდნენ, გადასახადები რატომ არ გადაიხადეო და სხვას რომ ვერაფერს ნახავდნენ წასართმევს, გერმანული „სნარიადების“ „ასკოლკებით“ დახვრეტილ შინელს წაართმევდნენ და ლობეზე გამოკიდებდნენ, „იქნებ ვინმემ იყიდოს, ჩვენ გადასახადი ამოვიღოთ და რაიკომის მდივანი გავახაროთო“.

ახლა გადავხედოთ ლიტერატურასაც, რომლის გარეშე ცხოვრება ისედაც ძნელად ასატანი, მთლად აუტანელი იქნებოდა.

ვაჟა-ფშაველა „ლარიზის სიმღერაში“ წერს:

„ალარსითა მაქვს საშველი, ალარსით ველი შველასა,
ბაღნები დამინიოკდა, კაბა დაუცვდა ლელასა.
ვინ იტყვის წვნიან საჭმელსა, პურს ველარ ვშოვობ ხმელასა,
შემომტირიან ბაღნები გამომინვდიან ხელსაო,
პური მოგვშივდა მამაო, – სიტყვას მეტყვიან ძნელსაო,
ამის გამგონეს ცეცხლი მწვავს, გული დამინყებს ლევასა,
გაუსენია ყველანი სჭვალს და ყივანა ხველასა,
არ იქნა, არ იძინებენ, დედას აგლეჯენ კაბასა,
ერთი შესტირის პურიო, მეორე მოთქვამს ბაბასა,
თითებით სწენენ საბრალოს ისეც დაგლეჯილ კაბასა,
დაღონებულმა მშობელმა იქვე მიმართა ტაფასა,
გუშინწინდელის ნადულარს ტაფაზე მიმწვარ ფაფასა,
მოფხიკა პატარ-პატარა შეასუსნინა ყველასა,
ადგა და გარეთ გავარდა, ცრემლი სულ ხუთავს ენასა“.

რა იცის გადამთიელმა კაცმა, რომ ქართველი კაცის ლუკმა ოფლშია გაზელილი, თორემ ასე უხეიროდ არ იმსჯელებდა. რა იცის მან იმის შესახებ, რომ დაკვირვებული და გონიერი უცხოელები ქართულ სუფრას აკადემიას ეძახიან?! – არაფერი, თორე მას გაუკვირდებოდა სუფრასთან საუბარი და სადღეგრძელოები. რომ ამ საუბარში ქართველები ერთმანეთს აცნობენ თავიანთ ჭირს და ლხინს და ამ შეტყობინებით პირველს ამსუბუქებენ, მეორეს აორმაგებენ. სადღეგრძელოებში აქებენ ერთმანეთსო. არ უარვყოფ იმას, რომ მოქეიფეები ერთმანეთის დადებით მხარეებს წამოსწევენ წინა ხაზზე, ამას აქვს თავისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ტოლუმბაში, რომელიც უფრო ხშირად უფროსი თაობის კაცია, ყმანვილ კაცს შეახსენებს: მე, ბიძია, კარგად ვიცნობდი მამაშენსაც, ბაბუაშენსაც ისინი პატიოსანი, მშრომელი, სამართლიანი და

პურმარილიანი კაცები იყვნენ და გისურვებ, რომ მათი ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები არ შეგერცხვინოს. მამაშენის შვილს ცუდკაცობა, გაიძვერობა და მამაძაღლობა ნამდვილად არ ეკადრება, ასეთ სიტყვა ყმანვილზე იმაზე მეტ ემოციურ და ინტელექტუალურ გავლენას ახდენს, ვიდრე „კომსომოლების“ და „ნაციონალების“ 40000 კაცისგან შემდგარი მიტინგები და დემონსტრაციები. ყმანვილ კაცს ევალება სამადლობელის თქმა. აქ იგი გონებას კონცენტრაციას უკეთებს, რომ სიტყვა ლაკონურად, ლოგიკურად და მორიდებულად წარმოთქვას, ჩაეტიოს დროის მცირე მონაკვეთში, რაც თითოეულ მოქეიფეს ევალება.

ლადო ასათიანი ქართულ ენას სადღეგრძელოს ენას უწოდებდა: „საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ“. ასე რომ, ჩვენი ენა არ არის არც გერმანული „ფოირ“-ის და „ჰენდე ჰოხი“-ს, არც რუსული „აგონ“-ის და „რუკი ვერხი“-ს ენა. იგი, როგორც ზემოთ ითქვა, „სიყვარულის, ლექსის და სადღეგრძელოს ენაა“.

იხსენებენ წარსულს და წინაპრებსო, დაგვცინის ქართულ ცხოვრებაში ზედაპირულად ჩახედული უცხოელი. მან რა იცის ჩვენი ტრადიციების შესახებ, რომლითაც წინაპრებისაგან ვართ დავალიანებული. ტატო ბარათაშვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, შთამომავლობას სთხოვს: „ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით,... როს თქვენებურად მამულის ღვინით გულს ახარებდეთ და მორიგისად სვამდეთ წინაპართ შესანდობარსა, მომიგონებდეთ ყარიბს მგოსანს თქვენსა მბობარსა“.

არ მიმაჩნია უცხოელის შეფასება ქართული ცხოვრებისა ობიექტურად. ქართველმა კაცმა იცის, რომ წარსულის დავინყება უისტორიოდ დარჩენაა. უისტორიოდ დარჩენილი ერი დიდხანს ვერ იბოგინებს და არყოფნის გზაზე დადგება. ასე რომ, ისტორიის ცოდნას და დაფასებას ქართველი კაცისთვის აქვს როგორც ზნეობრივი, ისე უტილიტალური მნიშვნელობაც.

რაც შეეხება მეზობლების სიხარბეს და ბარაქიანი ქვეყნის ბრძოლას მათ წინააღმდეგ, უნდა ვთქვათ, რომ ეს ქვეყანა ბარაქიანი კი არა მრავალფეროვანია. მისი ბარაქიანობა ჩვენ შეგვახსენა ვაჟა-ფშაველას ლექსმა, სარდიონ ჩაკვეტაძის „ასკოლკებისაგან“ დახვრეტილმა შინელმა და ოყურეშელი მესიმინდეების წვივებზე შემოკრულმა ცაცხვის ხის კანებმა. მეზობლების სიხარბე კი ნამდვილი ამბავია. მეზობლები ყოველთვის თავდადებით იბრძოდნენ

ქართული მიწების დასაპყრობად, რომელსაც მათთვის ეკონომიკურთან ერთად, ჰქონდა დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა.

არსენას პასკვილანტები მოგვაგონებენ მისამართდაკარგულ კაცებს, რომლებიც ილუმინატორების მაგივრად, ქართველ ხალხს და მის ოძელანთ ბიჭს აგინებენ, ადანაშაულებენ და მათი კაცობის წინააღმდეგ იბრძვიან. ვერ გრძნობენ იმ გამანადგურებელ პოლიტიკას, რომელსაც მასონური მოძარობა ეწევა არა მარტო მცირერიცხოვანი ერების, არამედ მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ. მათ მასონების და გლობალური პოლიტიკოსების ენა ისე ესმით, როგორც მე კორეული ენა და ლიტერატურა, რომლის ირგვლივ მხოლოდ ორი სიტყვა „ხან აფხანა“ და „ხან ჩაფხანა“ მეყურება და სხვა არაფერი. მაგრამ, გასულ წელში, როცა კორეელების მიერ დამზადებული უზარმაზარი ბალისტიკური რაკეტები დავინახე ტელეეკრანზე დავრწმუნდი, რომ ხალხმა, რომელმაც ბოროტების მოსაგერიებლად ამოდენა საშუალება შექმნა, მისი ენა, როგორც აზრის გამოხატვის საშუალება განვითარების მაღალ საფეხურზე მდგარა და არა ჩემს მიერ აღქმულ „ხან აფხანა ხან ჩაფხანაზე“.

ადამიანებს, რომლებსაც მშობლიური ხალხის კულტურა და ზნე-ჩვეულებები ისე ესმით, როგორც მე კორეული ენა მესმოდა ახალგაზრდობაში, დანაშაულია, რომ პროპაგანდისტის უფლებით სარგებლობდნენ და ჯღაბნიდნენ ჟურნალ-გაზეთებში ისეთ სისულელებებს, რომლებიც არსენა ოძელაშვილის ცუდკაცობის მხილებაზე, კომერსანტების კაიკაცობაზე დაყრდნობით ცდილობენ ცხოვრების გაუმჯობესებას.

ოპონენტი სვამს კითხვებს.

1. მიგაჩნიათ თუ არა მცხეთაში, საქართველოს ძველ დედაქალაქში სვეტიცხოვლის და ჯვრის მონასტრის გვერდით იდგეს არსენა ოძელაშვილის ძეგლი?

მცხეთა თავისი ჯვრითა და სვეტიცხოვლით არის სიმბოლო ჩვენი ხალხის შემოქმედებითი უნარის შერწყმისა ქრისტიანულ რწმენასთან. ქართველ კაცს აუცილებლად სჭირდებოდა რაიმე რწმენა მიეღო. უთვალავ მტერთან ბრძოლაში რწმენის გარეშე იგი ვერ გადარჩებოდა და ვერც შრომაში ისახელებდა თავს. რწმენა მრავალგვარია, რომელშიც წამყვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა ღვთის რწმენას, დანარჩენი რწმენები: კაცობა, მამულიშვილობა, მეგობრობა, სიყვარული, სამართლიანობა, ნათესაობა და მრავალი სხვა, მასთან იყო დაკავშირებული. სწორედ ჩამოთვლილ რწმენა-

თა შედუღაბება ასაზრდოებდა ჩვენი ხალხის გამირობას და თავდადებას და არა მარტო ჯოხიანი გრძელწვერა მოხუცი, რომელიც ხალხის წარმოდგენით ციდან არეგულირებს კაცთა ცხოვრებას. თუ ზემოთ ჩამოთვლილი რწმენები გაქრა, მაშინ ერის გადარჩენა გრძელწვერა და ჯოხიანი მოხუცების არმიასაც არ შეუძლია.

უნდა ითქვას, რომ სოციალური ბრძოლები შუა საუკუნეების საქართველოს ლიტერატურაში თითქმის არ ასახულა. იგი უდავოდ არსებობდა, მაგრამ ისე მწვავე არ იყო, როგორც XIX საუკუნეში გახდა. ძველად ხალხის მთელი ყურადღება გადატანილი იყო ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ფრონტზე და პატრონყმური წყობილება, რომელიც ბატონყმურთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის შედარებით მსუბუქი ფორმა იყო, ხოლო XVIII საუკუნეში იგი შეიცვალა ბატონ-ყმობით. ფეოდალმა ყმის პატრონობაზე მთლიანად აიღო ხელი და თავის უფლებაში მარტოოდენ ბატონობა დაიტოვა, რამაც გაამწვავა ურთიერთობა ბატონსა და ყმას შორის. ილია გვეუბნება, რომ „გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი ვერა ვერ გაძლებს ბატონის ხელში“-ო. სწორედ ამ ლიტონმა ბედმა აიძულა ყმა-გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილი და მათ შორის ჩვენი ხალხის ეროვნული (უფრო სწორად სოციალური) გმირი არსენა ოძელაშვილი, ხელში თოფი აერო და ტყეში გაჭრილიყო. ასეთი ადამიანების ბედისადმი ხალხს უნდა მიეხედა და მიხედა კიდევაც; შექმნა ზეპირსიტყვიერების მშვენიერი ნიმუში „არსენას ლექსი“-ს სახით, რომლის მთავარი პერსონაჟი თვითონ არსენაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ყველა ის თვისება, ჩვევა და ადათი, რომლებიც დამახასიათებელია ჩვენი ხალხისათვის. არსენა ხალხის შექმნილია, როგორც გმირი. შექმნილი შექმნილთან ყოველთვის დაკავშირებულია მთელი რიგი ხილული თუ უხილავი ძაფებით. არის გარკვეული შემთხვევები, როცა შექმნილი და შექმნილი ერთმანეთს უპირისპირდებიან და ზოგიერთ შემთხვევაში ანადგურებენ კიდევაც ერთმანეთს, მაგრამ ეს ხდება არა სიძულვილით და სხვა ქვენა გრძნობებით, არამედ დიდი ერთგულებით დაკისრებული ფუნქციის შესრულებისადმი. ავიღოთ თუნდაც ტარას ბულბას მიერ ოსტაპის მოკვლა. ბულბამ არ აპატია თავის შექმნილს სამშობლოს ღალატი. ანალოგიურია ყაზბეგის ხევისბერი გოჩას ტრაგედიაც.

ჩვენი ოპონენტი ცხოვრებას ხედავს სნაიპერის ვინტოვკის ლულაზე დამაგრებული ჭუჭრუტანიდან, რომლიდანაც წასაქცე-

ვად განწირული არსება ჩანს. ამ ხელსაწყოს რუსები „ბინოკლ“-ს ეძახიან, ქართველები – დურბინდს ან ჭოგრიტს.

თუ ადამიანის ბედზე და მის მდგომარეობაზე მსჯელობა გჭირდება, მის დასაანახავად უნდა გაალო ის ფართო სარკმელი, საიდანაც გამჭრიახი გონება ადამიანის სუბიექტურ და მასთან დაკავშირებულ ობიექტური სამყაროს ლაბირინთებში შეიხედავს და შეისწავლის იმ კანონზომიერებებს, რომლითაც ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან და მაინც ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ისე რომ იგი ერთი მთლიანობაა და ეს მთლიანობა ორ ძირითად ნაწილად იყოფა და ისინი ხან თეზას წარმოადგენენ ერთმანეთის მიმართ და ხან – ანტითეზას.

შოთა რუსთველს უთქვამს: „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს“-ო კაცთა ცხოვრებამ, რომელიც მე დღემდე არსებული მდგომარეობით „წენვა-გლეჯის ბაზრად“ მყავს წარმოდგენილი, შობა ოძელაანთ ბიჭი, როგორც თეზა, მაგრამ იგი მარტოოდენ თეზა არ შეიქნა და მისმა სუბიექტურმა სამყარომ იგი აიძულა, რომ ანტითეზა გამხდარიყო და მისი ცხოვრების და შემოქმედების კრედო სულ ოთხი სიტყვით შემოიფარგლა: „მდიდარს ართმევს, ღარიბს – აძლევს..., რომელშიც ჩამარხულია ქართველი კაცის ჰუმანური და მწყალობელი ბუნება. არსენას ცხოვრების კრედო ჯდება სამართლიანობის ჩარჩოში. თუ ეს ქვეყანა, როგორც ზემოთ ითქვა, „წენვა-გლეჯის ბაზარია“, მაშინ საქმე გვაქვს მისი შემადგენელი საზოგადოების ორ კატეგორიასთან: 1. მძარცველთან და 2. გაძარცულთან. წენვა-გლეჯის ბაზარი ის ობიექტია, სადაც ვინც სხვას ვერ ძარცვავს, მას თვითონ ძარცვავენ. ლენინმა მისდროინდელ ცხოვრებას ასეთი შეფასება მისცა: „ან შენ მუშაობ სხვისთვის, ან სხვა მუშაობს შენთვის, ან მონათმფლობელი ხარ ან მონა“, ასეთ გარემოში ჩავარდნილი ოძელაანთ ბიჭისგან მოითხოვენ ზნეობრივ სისპეტაკეს და სულიერ სიმშვიდეს. გამორიცხული არ არის, რომ ასეთი ცხოვრება მასაც აინტერესებდეს, მაგრამ აძლევს მას ამის საშუალებას წენვა-გლეჯის ბაზარი?! შევახსენებ მკითხველს სტატიის ეპიგრაფში მოხსენიებულ სიტყვებს: „იქ რა ჰქნას წმინდათა წმინდამ, სად ცოდვას მადლი დაუძლევია“. იზამდა და იზამს იმას, რასაც ოძელაანთ ბიჭი აკეთებდა, უკეთესს – ვერაფერს. ასე რომ მისი მოქმედების კრედო ნაკარნახევია „წენვა-გლეჯის ბაზრის“ ძირითადი პრინციპით. აქ არსენა გვევლინება, როგორც ანტითეზა წენვა-გლეჯოს ბაზრისა და თეზა

მდაბიო ხალხის ინტერესების დამცველისა. აქ თეზა და ანტითეზა ჰქმნის ერთ მთელს – არსენა ოძელაშვილს.

„არსენას ლექსი“-ს დაწერა გაპიროვნებული იყო დროისა და მდგომარეობის მოთხოვნის მიხედვით. ხალხის შეგნებაში სოციალური საკითხი ხშირად ეროვნულზე უფრო მწვავედ დგება. ამ პერიოდში ქართული ლიტერატურა უკვე ამხელს სოციალურ უსამართლობას კაცთა შორის ურთიერთობებში, რაც განსაკუთრებული ძალით ჩნდება განაწილების პრინციპის დარღვევაში. პირველი ლიტერატორი ქართულ ლიტერატურაში არის ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელმაც გაბედულად და სამართლიანად ამხილა განაწილების პრინციპის მძარცველური ხასიათი ლექსში: „ვაჰ, სოფელსა ამას“ იგი გვეუბნება: „ვაჰ, სოფელსა ამას და მისთა დგმურთა, ბოროტების და სიცრუის ჭურთა, ... ზოგნი კი არიან გამდიდრებულნი, განა რითა, ძმანო, მდაბალთ ჩავკრით, მტაცებლობით და ხვეჭით“. ამ ლექსს მიყვავართ დასკვნამდე, რომ ხალხს თავისი ცხოვრებისეული და ესთეტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად სჭირდებოდა ისეთი გმირის სახე, რომელიც მისი ინტერესების დაცვას შესძლებდა და შექმნა კიდევაც არსენა ოძელაშვილის სახით.

საჭიროა, რომ ოპონენტებს შევასხენოთ პლატონის შეხედულება ხალხზე დამ ის მიდრეკილებაზე „ხალხი ისეთი სოფისტია, რომელსაც ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევ, ვერც მისი მსოფლმხედველობისა და ვერც სურვილების სფეროში“, ასე რომ, არსენა ოძელაშვილი ზის ქართველი კაცის გულში და მისი იქედან ამოგდება არავითარ მინიერ ძალას არ შეუძლია. სვეტიცხოველიც, ჯვარიც, ქაშვეთიც, მამადავითიც, სიონიც, სამებაც და მთელი თბილისი ხალხის შემოქმედებითა გენიამ შექმნა და თავის ქმნილებების გვერდით იგი ყოველთვის ღირსეული და მისი ინტერესების დამცველი ვაჟკაცების ძეგლებს დადგამს და თუ იგი ასე გასულელდა, რომ გიორგი კუჭანტელს და ფარსადან ბოდვისხვევლს აუგო ძეგლები (რაც არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება მოხდეს), მაშინ ოპონენტის მოთხოვნა ხალხის მიმართ არამზადების ძეგლების აღებაზე სამართლიანი იქნება და უნდა შესრულდეს, ხოლო არსენას ძეგლის აღებაზე ფიქრიც კი დანაშაულებრივია და ასეთი სისუსტე ხალხის ინტერესების შეურაცხყოფად უნდა ჩაითვალოს.

2. რაც შეეხება ოპონენტის დასმულ მეორე კითხვას „მართებულია თუ არა, „არსენას ლექსი“-ს ახალგაზრდობისათვის სწავლება და მისი პროპაგანდა?“ ვისაც უნდა რომ ახალგაზრდობა კაცთმო-

ყვარეობის გზაზე დააყენოს, მას აუცილებლად ბრძოლაც უნდა ასწავლოს შრომასთან ერთად. შრომის ნაყოფს თუ ძლიერი მუშტი არ იცავს, მისი შემოქმედი ყოველთვის გაძარცვული იქნება და ვისაც ახალგაზრდობა არამზადების სალღეცად და საძარცვავად უნდა, მან მათ „მამო ჩვენო“-ს გალობა ასწავლოს და ნახავს, მისი შეგირდებისათვის რა წყალობას გაიმეტებს ნენვა-გლეჯის ბაზარი.

3-ე კითხვა „მართებულია თუ არა არსენას სახელობის ქუჩების, მოედნების, სკვერების, წყაროების არსებობა?“ გამართლებულია, რადგანაც არსენა ხალხის უსაყვარლესი გმირია და მისი სახელის ხსენება დადებით ემოციას იწვევს თითოეული პატიოსანი კაცის გულში კითხვა №4 „საჭიროა თუ არა პედაგოგებმა პროფესორ-მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და სტუდენტებს ასწავლონ უსამართლობაზე დაფუძნებული არსენა ოძელაშვილის ისტორია?“

არსენას ოპონენტი ისე მსჯელობს თითქოს სადღაც სამართლიანი სახელმწიფო ენახოს. ცხოვრებამ ისე არ უნდა დაგაბრმავოს კაცი, რომ „ნენვა-გლეჯის ბაზარი“ სამართლიან გარემოდ მოგაჩვენოს და თუ მეფისტოფელი ასეთ დღეში ჩაგაგდებს, აუცილებლად ექიმს უნდა მიმართო და არა გაზეთს და ტრიბუნას.

თუ ოპონენტს პროფესორების დახმარება ნამდვილად სურს, მაშინ უნდა გაითვალისწინოს, რომ ნასწავლ კაცს შეუძლია შეგირდს საგანი თუ მოვლენა იმ მხრიდან აჩვენოს, რომლიდანაც სურს და ობიექტი თავისი ინტერესების შესაფერისად დაანახოს, მაგრამ ეს არ იქნება კარგი კაცობა, რადგან ოსტატი ვალდებულია შეგირდს ობიექტი დაანახოს ისეთი, როგორიც იგი არის სინამდვილეში ყოველგვარი გაიდეალებისა და გადაპრანჭვის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ჭეშმარიტების გზიდან გადაიყვანს შეგირდს. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ბალზაკმა ასეთი დარიგება მოგვცა: „ისტორია არსებობს ორი სახის, ისტორია ოფიციალური ციფრებით სავსე, სკოლაში რომ ასწავლიან და ისტორია საიდუმლო, სადაც გადმოცემულია მოვლენათა ნამდვილი მიზეზები. ეს არის სამარცხვინო ისტორია“. ნამდვილი ისტორია, რომელიც ნამდვილად სამარცხვინოა, არ უნდა დავმალოთ, უნდა ვასწავლოთ ყმანვილებს, ისეთი სახით, როგორიც ის ნამდვილად არის, თუ გვინდა რომ მომავალმა თაობამ მანკიერი მხარეებისგან განკურნოს კაცთა ცხოვრება.

P.S. ვისაც ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება სურს, მან უნდა იბრძოლოს ნენვა-გლეჯის ბაზრის მამოძრავებელი ძალების წინააღმდეგ და თუ დოსტოვესკის შეხედულებას გაიზიარებს: რომ

„ხალხის გახრწნა ზევიდან ხდება“, მაშინ ფრონტის ხაზი მისკენ უნდა მიარიოს და არა ქვემოთ უსწავლელი და უუფლებო ოძელაანთ ბიჭისკენ.

მდაბიო ხალხი, რომლის ინტერესებს კაცური კაცები და სახალხო გამირები იცავენ, თავისდა საუბედუროდ იმისთვის იბრძვის, რომ თვითონ გახდეს მონათმფლობელი და ამით თვითონვე ამტკიცებს საფუძველს ადამიანის მიერ სხვა ადამიანის ექსპლუატაციისა. ამით როგორც ილია ამბობდა „თვით უწყობენ ხელს, რასაც ებრძვიან“.

მათი გონება ნამდვილად საჭიროებს არა გორბაჩოვისეულ „პერესტროიკას“, არამედ სულიერ გარდაქმნას. ადამიანის გარდაქმნა მოითხოვს საზოგადოების როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ფაქტორების გამოყენებას, რომელიც პირველ რიგში, მოეთხოვება საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნეთა ნაწილს და არა მარტოოდენ ოძელაანთ ბიჭს.

ხალხს უყვარდა, უყვარს და ეყვარება ოძელაანთ ბიჭი, რადგან მან მასში დაინახა ერთ-ერთი დამცველი თავისი სოციალური ინტერესებისა: და რადგან: „რაც ერთხელ ცხოვლად გულს დააჩნდების საშვილიშვილოდ გადაეცემის“ მის თხოვნას „შესანდობარი დალიეთ, როცა არსენა მოკვდება“ ყოველთვის შეასრულებს:

„იმ არსენას ხსოვნა იყოს, ვინაც კარგად იცოდა, რომ ურია ქართველისთვის კარგს არაფერს ფიქრობდა, რომ თათარი ქართლის მიწის დასაპყრობად იღწვოდა, რომ სომეხი სასიკეთოს გლესს არაფერს მისცემდა. ვინაც რუსის ჯარისკაცებს ვინტოვკები წაართვა უთხრა: თქვენ რომ ბიჭს ეძებდით, მე გახლავართ თავადა. ვინაც მდიდარს ართმევდა და გაჭირვებულს აძლევდა, ვინც სანყალი კაცის მჩაგვრელს ყბებს მუშტით ამტვრევდა.“

არსენაზე მსჯელობისას ყურადღების კონცენტრირება უნდა მოხდეს მხატვრული ლიტერატურის, როგორც ხელოვნების ძირითადი დარგის, სპეციფიკაზე, რომ მისი ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) მიზანია ადამიანის ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ვერც ერთი ნიმუში ქართული ზეპირსიტყვიერების ასე მაღალ დონეზე ვერ აკმაყოფილებს ქართველი კაცის ესთეტიკურ მოთხოვნებს, როგორც „არსენას ლექსი“.

ზელიმ ჩაკვეტაძე

16.03.2020.

ვანი ქართული ჭკუის სატალიტია

„Все несчастье человека, это горе от ума“.

Грибоедов

„თუ ქვეყანა წახდენილია, მიზეზი თქვენში ეძიეთ“.

დანტე

წერა უმჯობესია კაცმა კეთილი ამბებით დაიწყოს, მაგრამ ჩემი სტატიის სათაურის წაკითვის შემდეგ, კაცი ამკარად იგრძნობს, რომ იმ ხალხის შესახებ საუბარი, რომელსაც გალაკტიონის ენით რომ ვთქვათ, „ერთი დღეც არ ჰქონია ქვეყნად უსატყვიარო“, ყოველდღიური ვაის და უის გამომწვევი მიზეზების შესწავლით დავიწყეთ.

ბევრგვარი შეფასება არსებობს იმ გართულებული ცხოვრების შესახებ, რომელიც ქართველ კაცს უხსოვარი დროიდან აქვს.

გზაჯვარედინზე მცხოვრები ერის ერთსულოვნება და გაერთიანება დიდ სირთულეს წარმოადგენდა. ყოველი კაცი სხვადასხვა მიმართულებით ექაჩებოდა ერს. ქართველი ერისთავების პარტიკულაციამ იძულებული გახადა საურმაგ ფარნავაზის ძე, რომ მის წინააღმდეგ შეთქმული ერისთავების დასათრგუნავად დურძუკები შემოეყვანა ქართლში. ანალოგიური შემთხვევა მოხდა დავით IV-ის დროსაც. როგორც საურმაგმა, ისე დავითმაც უცხოელთა დასახლება ისე მოახერხეს, რომ ქართული მოსახლეობა არ დაუზარალებიათ.

ანალოგიური აუცილებლობის წინაშე დადგა ერეკლე მეფეც, როცა ერეკლეს ჯარი კონანისში სისხლისგან იცლებოდა, მისი შვილი გიორგი თელავში 2000 კაცით იდგა და მამას არ მიეშველა. პოეტი ვახტანგ ორბელიანი ერეკლეს პირით ამბობს: „არავინ მყავს, არა“ და ჩრდილოეთი აჩვენა თითით, ხოლო ვაჟა-ფშაველა ერეკლეს რუსეთთან ურთიერთობის შესახებ გვეუბნება: „ერეკლემ რუსის ხელმწიფეს გადასცა თავის ხმალია, არა სცნო თავის მემკვიდრედ ბაგრატიონთა გვარია“.

ერთსულოვნება, რომელიც დამახასიათებელია მონგოლური რასისათვის, არც ევროპული კაცისათვის არის უცხო ხილი,

მაგრამ ქართველი კაცისათვის იგი თითქმის მიუღებელია, რაც ძალიან ხშირად ხდება ვაის და უის გამომწვევი მიზეზი.

თუ გიგანტური სახელმწიფოები რამდენიმე ერთეული პარტიით ართმევენ ცხოვრებას თავს, საქართველოში იგი ასობით გვყავს, მაგრამ პატრონის ხელი ბევრ რამეში მაინც გვაკლია. ყოველი არსება ცდილობს წინსვლას, მაგრამ ქართველ კაცში ეს ტენდენცია ძალიან ხშირად სცილდება შესაძლებლობის საზღვრებს, რითაც ზარალდება ერიც და ბერიც. გამსახურდიას რომანის პერსონაჟი, გიორგი მეფე, სიკვდილის წინ ასე ესაუბრება მსახურს: „დამანელა აზნაურებისა და სარდლების კინკლაობამ, პიპა, ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწადია, ყოველ ნაცარქექიას – სარდლობა“.

სურვილებს და ოცნებებს ვერავის ავუკრძალავთ, მაგრამ ესეც უნდა გვახსოვდეს, რომ ფუჭი ოცნება საჭირო არაა. უნდა ვიფიქროთ და ვიოცნებოთ ისეთ რამეზე, რომელიც ახლოსაა რეალობასთან, ჩვენს სულიერ ძალებთან და შესაძლებლობებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ფუჭი მეოცნების როლში აღმოვჩნდებით.

არც ერთი არსება ღმერთს შეუზღუდავი უფლებებით არ შეუქმნია. თვითონ გალაკტიკებს თავის ჩარჩოები აქვთ შემოხაზული და შენ, ვინა ხარ, ადამიანო, რომ შენთვის შექმნილ ჩარჩოში ვერ ეტევი?! ამ ჩაუტევლობით ლუპავ საკუთარ თავსაც და კაცობრიულ ცივილიზაციასაც.

ჩვენი მსჯელობის საგანი ზოგადად ადამიანია, კონკრეტულად კი ქართველი კაცი, რომლის კავკასიური აბორიგენობა თუ მოსვლა ისტორიკოსების საძიებელი საქმეა და არა პოლიტიკოსების.

ჩვენთვის ძირითადი ინტერესის შემცველია მისი ზრუნვა ეროვნულ დამოუკიდებლობაზე იმ დღიდან, რაც მან სახელმწიფოზე ზრუნვა დაიწყო, როგორც ილია ამბობდა და ჩვენც გვჯერა, „არ ჩაუგია ქარქაშში ხმალი“, ხან მოძმეს ეომებოდა და ხან გადამთიელს. საუბედუროდ, მოძმე უფრო მეტად ნადგურდებოდა მის ხელიდან, ვიდრე გადამთიელი, რამაც იგი დღემდე დაჩიავებული და დასაწყლებული მოიყვანა.

დღეს მისი დაჩიავებული და დასაწყლებული შთამომავლების ერთი ნაწილი იაფ ფასებში ემსახურება წინა აზიისა და ევროპის ქვეყნების მდიდართა კასტას.

II ფინიასავით აქიციანებს კუდს თავისივე ქვეყნის პრეროგატივების წინაშე, იქნება ლუკმა-პური გადმომიგდოსო. III დილიდან

სალამომდე ოფლში იწურება, რომ როგორმე ლუკმა-პური იმოვოს და ცარიელი სტომაქით არ ჩაბარდეს მიქელ-გაბრიელს. IV ქალაქში დანაწილებს და ხალხს ეხვეწება, დეპუტატად ამირჩიეთ და თქვენც გემველებათ და მეცო. მათ ნამდვილად ემველებათ, მაგრამ გადიდკაცებისთანავე გადაავიწყდებათ ხალხზე ზრუნვა და ჩაეფლობიან ვინრო ეგოისტურ ინტერესებში. V საქორნილოდ ემზადება, ცოლს შევირთავ, თურქეთში გავაგზავნი და ოჯახს ემველებათ. VI ქალაქის ცენტრალური ქუჩების გადასასვლელ ხიდებზე ათასნაირ ფერებში აბრჭყვიალებულ რეკლამებს აკეთებს: „მოდით, ბიჭებო, კაზინოში, თუ გინდათ ოჯახი გაახაროთო“. VII ხალხში დადის და პროპაგანდას ეწევა, მთავრობა ცუდი მსახურია ხალხისა, არასამთავრობო უწყებები გამოგვიყვანენ გაჭირვებიდან, გაჰყვით მათ გზასო. უფალო, შენს მიერ ნაწყალობები არჩევანის წყალობით ადამიანი ისე გამოჩენჩერებულა, რომ ხალხის მიერ დაკანონებულ მთავრობაზე წინ არასამთავრობოებების აპოლოგეტებს აყენებს. VIII პურის გაძვირების ხარჯზე ფანტანებს და ტენადორებს აგებს, ამით ქვეყანა გაკულტურდებაო. ცუდია, რომ ღმერთი მხოლოდ ხედავს და არ განაგებს. მის მიერ ნაწყალობები არჩევანის უფლება გონივრულია კაცობრიობის ზნეობრივი და ინტელექტუალური განვითარების მაღალ საფეხურებზე, ხოლო ბრბოებისათვის იგი დადებითი ღირებულების შემცველი არ არის. IX სიონიდან სამებაში, სამებიდან მამადავითზე დადის და ღმერთს ეხვეწება, „ღმერთო გვიშველეო“. მისი გონება ვერ ხვდება იმას, რომ ღმერთმა მას მისცა ხელის მოქნილი მტევანი, მოაზროვნე ტვინი და დარიგება „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი“. მისთვის მთავარია შენი შრომისუნარიანობა, ხოლო ლოცვის უნარიანობა მეორე რიგში გადადის. ტაძარში შესულმა კაცმა სთხოვე ღმერთს: „უფალო, შენ გადააფარე შენი კალთა ამ რეგვენ ხალხს, მიეცი მას კეთილის და ბოროტების გარჩევის უნარი“. X გაჭირვებულ ხალხს მოძღვრავს, მცირე ბიზნესი განავითარეთ და სოფელი აშენდებაო. გლეხს, როგორც ქვეყნის ერთ-ერთ მარჩენალს ბიზნესმენობა, თაღლითობა და მამაძაღლობა დააწყებია, ეს იქნება ერთ-ერთი დიდი მიღწევა ქვეყნის განადგურების ფრონტის ხაზზე. გლეხის საქმეა შრომა და მატერიალური დოვლათის შექმნა და არა ბიზნესი, ვაგზალი და ბაზარი. მან თუ ბირჟებზე და ბაზრებზე იხეტიალა, მისი ბალი და ვენახი ნაბაღარად და ნავენახარად იქცევა. XII დიდი ენთუზიაზმით მოძღვრავს ერს, მი-

ვილოთ კანონი სამხედრო მიუმხრობლობაზეო. გულუბრყვილონი ვერ ანგარიშობენ, რომ ჩვენი პლანეტა თოფისწამლის სანყობს ჰგავს, რომელსაც ერთი ნაპერწკალი სჭირდება, რომ იგი სასიკვდილოდ შებარბაცდეს. ცდება, ვინც პოლიტიკას ჩვეულებრივ მეცნიერებად თვლის, რომელშიც ყველაფერი წინდანინ მიკვლეული და გაანგარიშებული გზით მიდის. პოლიტიკა პარადოქსების მეცნიერებაა, ისეთ დროს და მოულოდნელად გამოჩნდება უზარმაზარი წინააღმდეგობა, რომ მის გამოჩენაზე ფიქრიც კი არავის მოსვლია. მშვენივრად ცხოვრობდა დავით IV-ის მიერ შექმნილი საქართველოს იმპერია, მაგრამ შორეულ აღმოსავლეთში მოხდა მონგოლური რასის დიდი გაერთიანება, რომელიც კალიასავით მოედო აღმოსავლეთისა და წინა აზიის ქვეყნებს. ცივილიზირებული ერების ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ წარმოიდგენდა იმას, რომ მონგოლი მეჯოგეები, რომლებსაც იმდენი კულტურა არ ჰქონდათ, რომ ჭამის შემდეგ ხელები ჩვარზე შეენმინდათ და არა შარვალზე, მათ დაპყრობას და დახარკვას შეძლებდნენ. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იმპერიალისტურმა ევროპამ იმდენი დამხარება გაუწია ფაშისტურ გერმანიას, რომ მსოფლიო ომის წარმოება შეაძლებია. მას ფაშისტური გერმანია სჭირდებოდა რუსეთის იმპერიის ასანიოკებლად, მაგრამ მოხდა პარადოქსი. გერმანიამ პირველ რიგში, მათი ბრძლვნა დაიწყო და ჰიტლერი, გალაკტიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ახრჩობდა თავის ცხელი თითებით მასვე, ვინც იმას სული შთაბერა“. აი, რატომია პოლიტიკა პარადოქსული მეცნიერება.

ჩვენი გაჭირვებული პოლიტიკოსები მარტივად მსჯელობენ: ჩვენ არ ჩავერევით სხვის საქმეში და არც სხვები ჩაერევინ ჩვენსაშიო. მაგრამ, როცა ბებერი ზარბაზნების ქუხილი ბებერ დედამინას შეაბარბაცებს და გიგანტურ ტანკებში ჩამჯდარი დრაკონები მტკვრის ხეობას გადმოლახავენ და თბილისს ასაკლებად მოადგებიან, ფეხზე დაიკიდებენ ქართველი პოლიტიკოსების მიერ დაკანონებულ ხელშეუხებლობას, დამოუკიდებლობას, ჩაურევლობას და დემოკრატიულობას.

ეს რომ ყველაფერი ასე არ იყოს, როგორც ჩვენ მიგვაჩნია და თქვენ, ნაამხანაგარო, ნარაიკომალო, ნაცეკარო, ნაზვიადებო, ნაედვარდებო და ნამიშებო დემოკრატებო, რა უფლება გაქვთ ან რა სინდისი გაძლევთ ამის უფლებას, რომ ჭეშმარიტების დამცველთა არმიას უთხრათ, ჩვენ ისეთი კაცები ვართ, რომ სხვის

საქმეში არ ვერევი, რადგან ჩვენი კაცობის მისიაა სხვის საქმეში ჩაურევლობაო. იმ არმიის სარდალმა რომ თქვენი დემოკრატიულ ბრწყინვალეობას ქვეწარმავალი უწოდოს და ყბა გვერდზე მოუქციოს, ვის მოუხმობთ დასახმარებლად?! – ხალხს?!. ვერ მოგართმევთ, რადგან მათ არც იურიდიული და არც მორალური უფლება არა აქვთ, რომ ჭეშმარიტებას და მის გამტარებლებს ზურგი შეაქციოს. XIII ხალხს აიძულებს, ჩვენ ისეთი ეგზოტიკური გარემო გვაქვს, რომ მღვიმეების მნახველი ტურისტებისგან დატოვებული ფულით დავრჩებითო. საქართველოს დიდად ღირსეულმა და ყველასაგან დაფასებულმა, მსოფლიო დონის პოლიტიკოსმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ ნყალტუბოში ყუმისთავის მღვიმესთან თავმოყრილ ხალხს დიდი ემოციით მიმართა: „იცით? – ხალხო, ეს მღვიმე იმოდენა სიმდიდრეა, რომ მის სანახავად შეუნყვეტელივ ივლიან უცხოელ ტურისტთა კოლონები, რომლებიც უამრავ ფულს დატოვებენ აქ განცდილი ეგზოტიკური სიამოვნების გამო“-ო. მხოლოდ ერთი დედაბერი გამოეხმაურა პრეზიდენტს: „რა ვიცი ბატონო, ამ ადგილს ნკვარამს ვეძახოდით და თუ შენ რამეში გამოიყენებ, ღმერთმა ხელი მოგიმართოსო“. მას შემდეგ ბევრმა ნყალმა ჩაიარა და რომ ვინმეს ყუმისთავში ოქროები დაეტოვებია, აუცილებლად გავიგებდი. XIV თავის კაცობის და მამულიშვილობის აზრს და გამართლებას რუსების ლანძღვა-გინებაში ხედავს და მათთან ყოველგვარი კავშირის განწყვეტას მოითხოვს. ეს გულუბრყვილონი ერთხელ მაინც რომ ვინმემ ჩაახედოს ნელსონის მიერ რუსების შეფასებაში, რომ „რუსეთი აბალანსებს ჩრდილოეთის ქვეყნების ურთიერთობებს. მისი განადგურება ევროპის ქვეყნებს კარგს არაფერს მოუტონს“. ქართველ კაცს რას უზამს?! – ააშენებს?! ვინც ამ კითხვაზე სწორ პასუხს ვერ გასცემს, იგი ვერც ქართულად აზროვნებს, ვერ ევროპულად და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე უწყებებში არ უნდა ამუშაონ. XIV-ს ველარ გაუგია, ვინ არის მისი უდიდესი მმართველი, მის მიერ არჩეული, მუდამ განახლებადი მთავრობა თუ მრავალ ეპოქაგამოვლილი საეკლესიო ქურუმთა კასტა, რომლის თვალწინ ისტორიას ჩაბარდნენ ეგვიპტის, საბერძნეთის, ევროპის, აფრიკის ხალხების ღმერთები. ახლო აღმოსავლეთის და დასავლეთის ღმერთებში ყველაზე დღეგრძელი იესო ქრისტეა, ყველაზე ახალგაზრდა – ისლამი. ორივე რელიგია ებრაული წარმოშობისაა. ჩვენთვის აგნარიშგასანეგია, თუ რა სარგებელი მიიღო ან ახლა ღებულობს

ებრაელი მათ მიერ შექმნილი რელიგიებისგან. ღვთისგან რჩეული ერი ისე არ გაალტრუისტდებოდა, რომ სხვისთვის ჯორი გაეკეთებია და თავისთვის მუტრუიცი არა. ეს შეუძლებელია. როგორც ქრისტიანობა ისე მაჰმადიანობა განსაკუთრებული მონდომებით იცავს დარწმუნის გენეტიკის კანონის პირველ პუნქტს, რომელშიც ლაპარაკია არსებათა მიერ მემკვიდრეობითობის დაცვის შესახებ და პასიურად იცავს კანონს არსებათა მიერ გარემო პირობებთან დაკავშირებული ცვალებადობის შესახებ. ცვალებადობასთან შეგუების კანონს შედარებით უკეთესად ახერხებს კათოლიკური ეკლესია, ხოლო მართლმადიდებლური ეკლესია და მეჩეთი ამ საქმეში ვერ აქტიურობენ. ამ ქვეყნად ყველაფერი წარმავალია ცვალებადობის გარდა, ცვალებადობის კანონს ემორჩილება ყველაფერი, მათ შორის რელიგიებიც და თვით ღმერთებიც.

მედიის მონოდებას ხალხისადმი: „დაიცავი ეკლესია“ ლოგიკური გამართლება არა აქვს. ხალხი, რომელიც თავისუფალი არჩევნების წესით ქმნის თავისი კეთილშობილური ინტერესების დამცველ მთავრობას, რომელიც ვალდებულია დაიფაროს ხალხი ბოროტმოქმედების ხელისგან და ყიამყრალობის ენისგან, ავალდებულებს მის მიერ დანიშნულ უწყებებს დაიცვას ხალხი ყოველგვარი უსამართლობისაგან და თუ ამ მოვალეობას სამთავრობო უწყებები ვერ შესძლებენ, მაშინ მთავრობა ვალდებულია გაუკეთოს ბრძოლისუნარიანი მოსახლეობის ნაწილს მობილიზაცია, შეაიარალოს ისინი და ორგანიზებული ძალით შეებრძოლოს ბოროტებას, თორემ რამდენი თალღითი და ყიამყრალი გაგაჯავრებს, იმდენჯერ რომ ხალხი აგანგამო, ამაზე უკეთეს სატანა ვერაფერს ინატრებს, რადგან აგანგამებული ხალხი დროის მცირე მონაკვეთში დიდ ქალაქს დიდ ნანგრევებად აქცევს.

რაც შეეხება მთავრობისა და ეკლესიის ურთიერთობას, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ არც ერთ პიროვნებას, არც ერთ უწყებას უფლება არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, რომ ხალხის მიერ დაკანონებული მთავრობა პატრონად და უფროსად არ სცნოს.

რაც შეეხება ზემოთ მოხსენებულ ღირებულებათა გადაფასებას, სხვა სფეროებში შეიძლება ითქვას რალაცეები, მაგრამ ეკლესიასთან და რელიგიებთან ურთიერთობაში ქართველ კაცს თავის შეკავება მართებს, რადგან ამ დიდ ღირებულებებზე მსჯელობის დაწყება დიდი სახელმწიფოების დიდ წარმომადგენლებს მართებთ

და არა გორბაჩოვისეული „პერესტროიკის“ მიერ წამოტივტივებული პრეროგატივებს.

საურგაგიდან დაწყებული ქართული ჭკუის სატელიტად ვაი იქცა. როცა ერისთავებისაგან განწირულმა მეფემ ღურბუკები შემოიყვანა ქართლში ერისთავების დასამორჩილებლად, კომენტირებას არ საჭიროებს ის საკითხი, რომ უზღვავე სისხლი მოჰყვებოდა ამ ღონისძიებას.

სტრატეგიის მისაღწევად ბაგრატიონთა ღირსეულმა შთამომავალმა საურმაგისეული ტაქტიკა გამოიყენა და თავგასული ფეოდალების დასამორჩილებლად 40000 ყივჩაღი შემოიყვანა, რასაც ბუნებრივია, ბევრი ვაი და უი მოჰყვებოდა, აბა, თავგასული ფეოდალი იოლად ხომ არ მიიღებდა მეფის პროგრესულ მოთხოვნებს.

როცა ვაჟა-ფშაველა შეეხო ქართველ დიდგვაროვანთა დამოკიდებულებას გიორგი სააკაძისადმი, გულდაწყვეტილმა თქვა: „თუ ვერ მოვუვლით, ვერ ვუპატრონებთ, კარგი შვილები რად გვებადება“-ო. ალბათ იმისთვის, რომ თავგასულმა დიდგვაროვანმა ფეოდალებმა ჯიჯგნონ და გლიჯონ.

გავიდა დრო ყველაფრის მქნელ-გარდამქმნელი, რომელმაც დიდგვაროვანთა კაპრიზები აყიროსავითმომოსროლა და არენაზე გამოიყვანა ბურჟუაზიულ-ლიბერალური დემოკრატია თავისი მრავალფეროვანი პარტიებით, მაგრამ „წინვა-გლეჯის ბაზრის“ სამოქმედო დოქტრინა უცვლელი დატოვა და ვაი კვლავ დარჩა ქართული ჭკუის და ცხოვრების სატელიტად.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა პარტიებმა ბევრ რამეში „ისახლეს“ თავი, მაგრამ მათმა ავანტიურისტებმა თავისი „შემოქმედების“ მწვერვალს 1907 წლის 30 აგვისტოს მიაღწიეს, როცა რუსული ვინტოვკის ტყვიით შუბლგახვრეტილი შარაგზაზე დააგდეს საქართველოს „უგვირგვინო მეფე“ ილია ჭავჭავაძე.

აკაკი წერეთელს ილიას გასვენებაზე გამოსათხოვარ სიტყვაში უთქვამს „ილიას მკვლელებს რომ შესძლებოდათ, საქართველოსაც მოკლავდნენო“, როცა მარქსიზმის ავტორიტეტული წარმომადგენელს ნოე ჟორდანიას უთხრეს: „ილია ჭავჭავაძე ნოკლესო“, უთქვამს: „ხეს ჭრიან ნაფოტები ცვივანო“ თუ გამოთქმულ აზრს ალეგორიას მოვაცილებთ და შეუნიღბავად გამოვცემთ, მივიღებთ, რომ „საქართველოს ჭრიას (თხრიან) და ნაფოტები „ილიასთანა კაცები ცვივიან“.

გადის დრო და ამ სიტყვების ავტორს, ხალხის „ჭკვიანი“ წარმომადგენლები, ერის მამამთავრად ირჩევენ, რომელმაც თავისი პარტიის ეგოისტური მიზნების შესაბამისად ერის მთელი საგანძური „მარია პარახოდით“ (როგორც ძველი კაცები ეძახდნენ) საფრანგეთში წაიღო და თუ მისი შეურიგებელი პოლიტიკური მოწინააღმდეგის კობა სტალინის ინიციატივა არა, იგი მთლიანად დიალუპებოდა. გადარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი.

მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოს საბჭოურმა ნაწილმა ნამდვილად ისახელა თავი სვასტიკებიან დრაკონებთან ბრძოლაში, მაგრამ ქართველი ხალხის ევროპაში გასახლებულმა ნაწილმა მარტივად მოიჭრა სამშობლოს ბედზე მზრუნველი თავი. მათი აზროვნება ძველი არაბი მათემატიკოსების ჩარჩოს ვერ გასცდა, რომლის მიხედვით: „მინუსზე მინუსი იძლევა პლიუსს“ – ჩემი მტრის მტერი, ჩემი მეგობარია“. გაიაზრეს, რომ რაკი ჰიტლერი ებრძვის რუსებს, ხოლო რუსები საქართველოს დამპყრობლები არიან, აქედან გამომდინარე, ჰიტლერი ქართველი ხალხის დიდი მეგობარი ყოფილა. გულუბრყვილონი, თუნდაც აფრიკელი ველურის დონეზე რომ ასულიყვნენ, რომელთა მსჯელობით „ნიანგმა თუ შენი მტერი შეჭამა, არ ნიშნავს, რომ იგი შენი მეგობარია“, მაშინ აღარ დაიწყებდნენ იმ ჩექმის კოცნას, რომლის პატრონმა ევროპა უზარმაზარ სასაკლაოდ აქცია და ცხოვრების აუცილებლობამ 300000 ქართველი იმ სამსხვერპლოზე მიაყვანია რუსეთის მთავრობას.

მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, ქართველმა კაცმა განაგრძო კომუნიზმის მშენებლობა და უპრეტენზიოდ ენეოდა ჭაპანს, სანამ პერესტროიკის ნიაგმა არ დაუერა. სხვა ხალხებზე ევრაფერს ვიტყვი, რადგან მათ ცხოვრებას ჯეროვნად ვერ ვიცნობ, მაგრამ ქართველი კაცის შესახებ, ილიას იდეების მიმდევარი კაცი თავს უფლებას ვაძლევ, რომ მისი სიტყვებით ვთქვა: „რაც ქართველს მისცა „პერესტროიკამ“ ღმერთმა მის ავტორს ასკეცად მისცეს“.

„პერესტროიკის“ მიერ ნაბოძები უფლებებით გათამამებულმა ბიჭ-ბუჭებმა რუსის ხელმწიფეს კამეჩივით შეუბღვირეს „ჩვენს ჭკუას უნდა დაემორჩილო პერესტროიკის მოთხოვნა ასეთია“-ო, მაგრამ „მან გლახ, ისინი გახადა მტერთაცა საწყალობლად“.

ქართული პრეროგატივების ჭკუას ჩვენი ხალხი ხშირად გაუხდია „მტერთაცა საწყალობლად“ თანამედროვე სწავლა, იძლევა

იმის შესაძლებლობას, რომ მეცნიერმა კაცმა შეისწავლოს ქართველი კაცის „მტერთაცა სანყალობლად“ გახდომის მიზეზი და მოგვეცეს რეცეპტი მისგან თავის დაღწევისა.

ის ვაი, რომელიც მე ქართული ჭკუის სატელიტად მივიჩნე, მანამ არ მოსცილდება ქართველ კაცს, სანამ იგი ჭეგელის მიერ შეფასებული კავკასიური რასის შეფასების თანახმად, თავისთავს იმცნებს თავის აბსოლუტურ დამოუკიდებლობაში.

აბსოლუტური დამოუკიდებლობისათვის ადამიანი არც მონიფებულა და ვერც ვერასდროს მომნიფდება, თვითონ უდიდესი დიქტატორები დამოკიდებულნი არიან ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებთან და მიუხედავად წინააღმდეგობებისა, მათ რჩევებს ანგარიშს უწევენ.

კაცთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს საწარმოო ურთიერთობანი წარმოადგენენ.

ფეოდალი თავის მამულში თითქმის ყველაფერს აწარმოებდა, რაც მისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ხოლო სულიერი და კულტურული ურთიერთობებისთვის იგი თავს დიდად არ ინუხებდა. საკმარისია გავიხსენოთ ცხოვრებული ლუარსაბი, რომელიც ამაყობდა კიდევაც თავისი უნიგნურობით „მე თუ წიგნი არ ვიცი, მაშ კაცი აღარ ვყოფილვარ, ქუდი არ მხურებია“ და უხაროდა, რომ „ღვთის მადლით ცოდნა არაფრის ჰქონდა“, ასეთნაირ ცხოვრებას მიჰყავდა ერი ფეოდალური პარტიკულაციისაკენ. ეს ტენდენცია ყველგან არსებობდა, მაგრამ კავკასიაში იგი განსაკუთრებით ძლიერი იყო. ამას თან ერთვოდა ჩვენი ხალხის აჩქარებული ტემპერამენტი, რომელიც ხშირად ვერ ითვალისწინებდა თავის შესაძლებლობებს და უმეტეს შემთხვევაში უშედეგოდ ნადგურდებოდა მისი პირადი შემადგენლობა. საქართველოს ისტორიაში ჩახედული კაცი დარწმუნდება იმაში, რომ ჩვენი ხალხის მიერ წარმოებულ მრავალრიცხოვან ბრძოლებში ერთი ლოგოსი ფუნქციონირებს: „ქართველები ორგანიზებულად და გმირულად იბრძოდნენ, მაგრამ მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში დამარცხდნენ“. ჩემს საგაზეთო სტატიაში „ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს“, ნათქვამია, რომ: „მეომარმა ხუთი რამ უნდა იცოდეს აუცილებლად: 1. ვისთან? 2. რატომ? 3. როდის? 4. სად? 5. რა საშუალებებით იბრძვის? ამ ფაქტორების გაუთვალისწინებლობას ყოველთვის მივყავართ სავალალო შედეგებამდე (იხ.

ჩემი „ხმა ამოიღე“) და ვაის ხდის ჩვენი ცხოვრების განუშორებელ სატელიტად.

შეცდომა იქნება იმის გაფიქრება, თითქოს საქართველოს უბედურების საფუძველს მხოლოდ გეოპოლიტიკური გარემოება შეადგენდეს. გეოპოლიტიკა კი არის მისი მრავალჯერ ანიოკების ფაქტორი, მაგრამ ამ ფაქტორთან ერთად მოქმედებენ ისეთი ფაქტორები, როგორცაა ქართველი კაცის აჩქარებული ტემპერამენტი, უანგარიშობა და გაუნათლებლობა.

ქართველ კაცს ცოდნა აქვს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ განათლებაც ჰქონდეს. დისტერვეგის შეხედულებით, „განათლება ცოდნის რაოდენობაში კი არ არის, არამედ ყოველივე იმის სრულ გაგებასა და ოსტატობაშია, რაც იცი“.

რუსეთის თვალუწვდენელ იმპერიაში, რომლის საზღვრები გერმანიიდან იაპონიამდე იყო გადაჭიმული, მისი დანგრევით არც ერთი ერი ისე არ დაზარალებულა, არც ეკონომიკურად, არც პოლიტიკურად და არც ზნეობრივად, როგორც საქართველო. თუ ოდესმე ქართულმა ცხოვრებამ შესძლო XX საუკუნის 90-იან წლებში ეროვნულ-გამანადგურებელი მოძრაობის პოლიტიკური მუშაობის ობიექტური შეფასება, რომელმაც ჩვენი ინდუსტრიული ქალაქები კომერციულ დუქნებად აქცია, მთელი ისტორიული ეპოქით ჩამოარჩინა სოფლის მეურნეობა, ემიგრაციაში გაგზავნა შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის ნახევარი და დავით კლდიაშვილის პლატონ სამანიშვილის ცხენივით გაძვალტყავებულ ქვეყანას 17 მილიარდი დოლარი ვალი შიმშილისგან გაძვალტყავებულ ზურგზე მოაკოტრა, მაშინ XX საუკუნის ქართული ჭკუა და განათლება მკაცრ სასჯელს ვერსად გაექცევა.

ზელიმ ჩაკვეტაძე

21.06.2020

ყაჩაღები, ქურდები და საზოგადოება

ადამიანები ბუნებით არც ბოროტები და არც კეთილნი არიან და ცუდ გარემოში მოხვედრილნი ბოროტებად გადაიქცევიან.

ჰელვეციუსი

ერთნი ხაზინას ამდიდრებენ თავისი შრომით, მეორენი კი მას ძარცვავენ მოხერხებულად.

მილერი

შრომის მარტივი იარაღის შექმნის შემდეგ კაცთა მოდგმა გაიყო ორ ძირითად ნაწილად. მდიდრებად და ღარიბებად. ხოლო გვარებისა და ტომების გაერთიანებით შექმნილმა სახელმწიფომ დააკანონა მდიდრების ბატონობა ღარიბებზე. ამ დაკანონებამ კაცთა მოდგმას შეუქმნა მანამდე არნახული წინააღმდეგობები, რომელთა დაძლევა დღემდე არ ხერხდება. ამ წინააღმდეგობებში ყველაზე ჭირვეული და დაუძლეველი აღმოჩნდა წარმოებული დოვლათის განაწილების წესი.

ღმერთის მიერ შექმნილი და დაწესებული. კაცთა ცხოვრება სატანამ მიიტაცა და თავისი ინტერესების შესაბამისად „წენვა-გლეჯვის ბაზრად“ აქცია. აქ იგი უხვად და მოხერხებულად იყენებს კაცთა ცხოვრების ყოველგვარ მანკიერ მხარეებს, მათ შორის ყაჩაღობას და ქურდობას. რადგან სატანამ კაცთა ცხოვრება ღმერთს ხელიდან გამოგლიჯა, ღმერთმა მასში ღვთაებრივი წესრიგის დამყარების მიზნით შექმნა სახელმწიფოები, რომლებსაც წესად დაუდო კაცთა ცხოვრების დაცვა „წენვა-გლეჯის ბაზრის“ ქურუმებისგან. მაგრამ საუბედუროდ მის მიერ შექმნილ სახელმწიფოებს ძალიან უჭირთ თავისი მისიის შესრულება. მგლადქცეული კაცის გაკეთილშობილების უნარი სახელმწიფოს არ აღმოაჩნდა და თუ ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებულმა ცალკეულმა ადამიანებმა მახვილგონიერება არ გამოიჩინეს, ღმერთს სატანა ისე იოლად გამოსტაცებს სახელმწიფოსაც, როგორც ერთ დროს კაცთა ცხოვრება გამოსტაცა, რომლითაც, წენვა-გლეჯის ბაზარი“ შექმნა, ხოლო ახალი ნადავლით რომ ჯოჯოხეთის ჯურღმულებს შექმნის, ამის წინასწარმეტყველებას არ სჭირდება ნოსტრადამუსის ნიჭი; ჩვეულებრივი კაციც მიხვდება.

თუ საზოგადოებამ არ იზრუნა კეთილშობილებაზე და სრულქმნილებაზე, მაშინ სატანა ღმერთს ხელიდან ისე იოლად გამოსტა-

ცებს სახელმწიფოს, როგორც „წინვა-გლეჯის ბაზრის“ ქურუმები პატიოსან კაცს სტაცებენ პირიდან ლუკმას.

არამზადების საკეთილდღეოდ ყოველგვარი სიავე და ბოროტება ბრალდება ხალხს, რითაც გაიძვერები ახერხებენ თავიანთი ბოროტების შენიღბვას. სანყალი ხალხი ყველაფერს იბრალებს, მაგრამ არაფერში დამნაშავე არ არის. მე მათი მასწავლებელი ვარ და უბრალო მოკვდავის პირობაზე კარგად ვიცნობ მათ გონებრივ „ბაგაჟს“ და შესაძლებლობებს. მათ როგორსაც აღზრდი, როგორსაც ჩამოაყალიბებ, როგორაც ანრთობ, ისეთი გეყოლება, აბა ვინ გამოგიცვლის კარგს შენ არ შეეღევი, ოხერი ვის რათ უნდა, ვინ მოგაცილებს.

ადამიანებს უყვართ შეცდომების სხვაზე გადაბრალება. ვის უნდა გადააბრალოს მთავრობამ თავისი შეცდომები სწავლულებს, მდიდრებს თუ ბიზნესმენებს?! ამათ რაში სჭირდებათ მთავრობის ცოდვები და შეცდომები?! – თავისიც უხვად აქვთ, სხვისი რალათ უნდათ – ხალხს, სანყალ ხალხს, თუმცა როგორც ზემოთ ითქვა იგი უცოდველია, მაგრამ ყველა ცოდვას იბრალებს – პატარა ბიჭვით. ბერიკაცს ურემი გადაუბრუნდა და ინატრა: „სად ხარ პატარა ბიჭო, შენ რომ დაგაბრალო“.

უამრავი არგუმენტების დასახელება შეიძლება იმის შესახებ, რომ ხალხზე და მის ავკარგზე ძირითადი პასუხისმგებელია სახელმწიფო, მაგრამ მას ვინ აკადრებს შენ ხარ რამეში დამნაშავეო, „...ვინ რას გაუბედავს მის კანონს და სამართალს, დაბეგვავს და ისე გახდის ვერ არჩევდეს რბილს და ძვალს“.

მთავრობას კი არ ვაბრალებთ ხალხის ცხოვრების გაუკუღმართებას, არამედ იგი ნამდვილად არის მისი სათავე, ამის დასადასტურებლად მოვიყვან დანტე ალიგიერის შეხედულებას სახელმწიფოს მიერ დაშვებულ ცოდვებზე: „უვარგისი ხელმძღვანელობა ქვეყნის წახდენის მიზეზია უცილობელი და არა თქვენი კაცობრიული ბუნების ბრალი“ მე დიდად ვაფასებ ამ „ბრძენი“ ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტარებს, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ ისინი ან მათი გამსახურდიები, შევარდნაძეები, სააკაშვილები, მარგველაშვილები, ზურაბაშვილები და ივანიშვილები დანტეზე ჭკვიანები იყონ.

ამ „წახდენილ“ ქვეყანაში, დიდი უსამართლობა იქნება, რომ კაცმა ყაჩაღებს და ქურდებს ყურადღება არ მიაქციოს და მათი კაცობისა და საარსებო პირობების შესახებ არ იმსჯელოს.

ადამიანი ღვთისშვილია ყოველი. რაც შეეხება სატანას, იგი არაფრის შემქმნელი არ არის, იგი მიმტაცებელია მხოლოდ. ვინ იცის, რამდენი კომუნისტი, რამდენი იმპერიალისტი, რამდენი სწავლული და მეცნიერი მოუტაცნია მას. მაგრამ მათ კი არ აძაგებენ, პირიქით თაყვანს სცემენ, როგორც თალმუდს, ყურანსა და სახარებას და ცოდვებს, რომლებიც სატანას წყალობით ყველას უხვად ავს (იმდენი ნეტავი ხორცი ჰქონდეს ამ შიმშილით გაძვალტყავებულ ხალხს) „პატარა ბიჭებს“ ქურდებს და ყაჩაღებს აბრალებენ. აბა იმ ურიებს, რომელთა შესახებ გენრე ფორდი 1925 წელს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმს“-ში წერდა: „იზოლაციაში მოაქციეთ 50 ყველაზე მდიდარი ებრაელი და ომებიც შეწყდებაო“. მათ ვინ გაუბედავს აუგის თქმას, თორემ იზოლაციაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან დიდ ქურდებს ვერაფერს უბედავენ „პატარა ბიჭებს“ მაინც უნდა დააგლიჯონ ყურები, თორემ ქვეყანა უყურადღებობას დასწამებთ.

მოვხედოთ „წენვა-გლეჯის ბაზრის“ მიერ გამოჩეკილ „პატარა ბიჭებს“, რადგან დიდებზე ხელი არ მიგვიწვდება, იმათ ბაჯგვლიან მკლავებზე ორფუთიანი მუშტები ჰკიდიათ და ვერ გადავურჩებით. „პატარა ბიჭებთან“ ომით სახელ გავითქვამთ, ხალხის მადლობას დავიმსახურებთ, მთავრობაც ყურადღებას მოგვაქცევს და თუ სატანამაც თავისი კაბის კალთა გადაგვაფარა, იქნებ პარლამენტშიც ამოვყოთ თავი და „მამინ ვინ რას გაუბედავს ჩვენს კანონს და სამართალს“.

სიტყვა ყაჩაღი ლექსიკონში ასეა განმარტებული: 1. ტყეში გაჭრილი შეიარაღებული მძარცველი. 2. მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი ტყეში გაჭრილი კაცი, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ქართულ ენაში ყაჩაღი სახალხო გმირის სინონიმია. (იხ. ჩემი („არსენას პასკვილანტები“).

ხალხი უმეტესწილად არ არის დიდი სიმპათიით განწყობილი მთავრობის მიმართ და გარკვეულ შემთხვევაში მტრადაც მიიჩნევის. აქ ქართველი კაცი ეხმაურება ძველი არაბი მათემატიკოსების შეხედულებას სიდიდეების ურთიერთობის შესახებ: „მინუსზე მინუსი იძლევა პლიუსს, ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“. XIX საუკუნეში ქართველი კაცის მიერ შემუშავებული აზრი რომ მეფის მთავრობა მისი მტერია, მას უკარნახებდა რომ რუსების წინააღმდეგ მებრძოლი ყაჩაღი ხალხის დამცველად და გმირად ელიარებია, ასე რომ მთავრობის შეხედულებას ყაჩაღზე არ მოჰყვება ქართველი კაცი. მას ყაჩაღის ხსენებაზე ახსენდება არსენა ოძელაშვილი და

„ძმანი მისნი“ და არა შარაგზის მძარცველები, რომლებიც განურჩევლად ძარცვავენ ყველას, ვინც გადაეყრებათ: მათ მძარცველებს, ავაზაკებს და თულებს ეძახის. არსენასთანა ყაჩაღებს, რომელთა მოქმედების კრედო: „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“ არის, გამირობის შარავანდედით მოსავს.

როცა შეეხება ქურდს, იგი კი არის დანესებული ნორმების წინააღმდეგი, მაგრამ ყაჩაღი თუ აშკარად მოქმედებს და უხეშ ძალას ეყრდნობა, იგი მიზნის მისაღწევად მალულად მოქმედებს, მოხერხებით ცდილობს მიზანთან მისვლას. ამ ხერხების ძებნაში მისი გონება ვითარდება (პედაგოგები ამბობენ: გონება ვარჯიშში ვითარდებაო“) ქურდი ისე ხშირად და მოხერხებულად უბნევს გზას კრიმინალისტიკის გამოცდილ სპეციალისტებს, გეგონება ამ კაცს ქურდობის აკადემია დაუმთავრებიაო.

კომენტარს საჭიროებს ცნების „კანონიერი ქურდის“ გაგება. სიტყვა – ქურდი, აღნიშნავს ტიტულსაც და პროფესიასაც. ქურდობა აკრძალული ხელობაა და მასთან მსაზღვრელად კანონიერის დანერა ლოგიკური შეცდომაა, მაგრამ ხალხმა ამ სიტყვით განასხვავა პროფესიონალური ქურდი ხარა-ხურა ქურდებისაგან. სიტყვას ხალხი ჰქმნის და თავისი ინტერესების შესატყვის შინაარსსაც იგი აძლევს.

მსაჯული რომ არ შეცდეს, მან დამნაშავის ბოროტებასთან ერთად მისი კეთილი თვისებებიც უნდა გამოამზეუროს, (თუ მას ასეთი რამ გააჩნია) ზოგჯერ ქურდებში ჩანს ისეთი ტრადიციები და ჩვევები, რომლებიც მათ კეთილშობილურ მიდრეკილებებზე მიგვითითებენ. დიდი ხნის წინათ მილიციელმა მითხრა: პროფესიული ქურდი სკოლაში და საავადმყოფოში ბოროტი განზრახვით ფეხს არ შედგამსო, ისიც გამიგონია, ქურდი სახლში თუ შეიპატიჟე, არ იფიქრო, რომ რაიმე მოგპაროსო. თავის სოფელში არაფერს მოიპარავსო. (უმჯობესი იქნებოდა არსად არ მოეპარა) ასეთი ტრადიციები რომ თავმჯდომარემ დაიცვას, იქნებ მართლა ააშენოს ის გაჭირვებული სოფელი, გაჩენის დღიდან რომ აშენებენ და დღემდე არაფერი სიკეთე არ დასტყობია.

როცა ჩვენს ქვეყანაში ქურდობა იქამდე გამტკიცდა, რომ ხელფასზე მცხოვრებ კაცს დასცინოდნენ: „მაგი რაის კაცია, ხელფასზე ცხოვრობსო, როცა დიდი და პატარა ყველა ქურდობდა, აკაკი ბაქრაძე წერდა „როცა სსსკ-ში არაოფიციალურად ქურდობა გამოცხადდა არსებობის შენარჩუნების ერთადერთ წყაროდ, მოქალაქემ

ერთმანეთს შეადარა ორი ქურდი პროფესიონალი და არაპროფესიონალი, აღმოჩნდა, რომ პირველი გაცილებით უფრო გულწრფელი, ალალი და სუფთა იყო ვიდრე მეორე და მას ბუნებრივად გაუჩნდა პროფესიონალური ქურდის პატივისცემის გრძნობა.

როცა ქვეყანა ქურდების საასპარეზოდ იქცა, წარმოიიშვა ქურდების ახალი კერა და მმართველობა. ე.წ. არაკანონიერ ქურდებად აღქმული ცკ-ების რაიოკომების აღმასკომების ქარხნების დირექტორების, კოლექტივების, თავმჯდომარეების, მათი ბუღალტრებისა და კალკულატორებისა. პროფესიული ქურდები იმის უმნიშვნელო ნაწილსაც ძლივს იპარავდნენ, რასაც არასპეციალისტები. ასეთ აფორიაქებულ და გატუტუცებულ სახელმწიფოში დილემის წინაშე მდგარმა საზოგადოების პატიოსანმა ნაწილმა მხარი ნაკლებ ბოროტებას დაუჭირა და დიდ ბოროტებას შეძლებისდაგვარად ზურგი შეაქცია.

ქურდების ასპარეზად ქცეულ ქვეყანაში ენის წინაშე დადგა მოთხოვნა, რომ პროფესიონალური ქურდი განსხვავებულიყო ხარა-ხურა ქურდებისგან და შეიქმნა ტერმინი კანონიერი ქურდი.

90-იან წლებში კანონიერი ქურდის ავტორიტეტმა ზენიტს მიაღწია. ხალხის მიერ არჩეულმა და დაკანონებულმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ ჯერ საქართველოს და შემდეგ მთელ მსოფლიოს აცნობა: რომ ყაჩაღების მიერ გატაცებული ბიზნესმენის პიტერ შოუს დახსნაში, მას კანონიერი ქურდი დაეხმარა, მთავრობა ქურდების სანყალობელი გახდა. დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებმა მთავრობის სავარძლებშიც მოიკალათეს; იმოდენა ავტორიტეტი როგორც ჯაბა იოსელიანი იყო, თავს ქურდად მიიჩნევდა და ამას არც მალავდა. ამ ტენდენციამ სააკაშვილამდეც მოაღწია. მიღწევებით გათამამებულმა დამნაშავეთა სამყარომ საარჩევნო ობიექტებზე გაბატონებისთვისაც დაიწყო ზრუნვა. ასეთ ვითარებაში სააკაშვილის მიერ ქურდებზე შეტევა ჰგავდა იმ ვირთხის სითამამეს, რომელიც კატამ კუთხეში მიაღწევდია და მას სხვა გამოსავალი აღარ დაუტოვა, გარდა მოპირდაპირეზე თავდასხმისა. როგორც წესი გაიმარჯვა ძლიერმა და დამარცხებული სუსტი სულით ხორცამდე გაკოტრებული გააგდო თავისი სამოქმედო ობიექტებიდან და განამტკიცა ქურდული მენტალიტეტი.

მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებები დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ კატა-თავგობიას თამაშს უფრო ჰგავს, ვიდრე გააზრებულ ბრძოლას. მას თუ ნამდვილად უნდა დამნაშავეთა სამ-

ყაროს გარდაქმნა უნდა იზრუნოს სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაზე და არა სატუსალოების შენებაზე.

რაც შეეხება ლაო-ის შეხედულებას: „რაც მეტია კანონი და ბრძანება, მით მეტია ქურდი და ავაზაკი“ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ უსამართლო ბრძანებები და კანონები ამრავლებენ ქურდებს და ავაზაკებს. ხოლო სამართლიანი კანონები და ბრძანებები რომელთა დანერგა მხოლოდ სამართლებრივ სახელმწიფოს შეუძლია ქურდებს და ავაზაკებს კი არ ამრავლებს, პირიქით – ამცირებს. პეტრე პირველის კანონებში ეწერა: „თუ თავდასხმული მოკლავს თავდამსხმელს, იგი პასუხს არ აგებს, იმ შემთხვევაში თუ თავდასხმული დიდგვაროვანია, თავდამსხმელი – გლეხი. მაგრამ თუ პირიქით მოხდება, თავდასხმული გლეხი მოკლავს თავდამსხმელ დიდგვაროვანს, მაშინ მკვლელმა პასუხი უნდა აგოს. ასეთი კანონები გაამრავლებენ დამნაშავეებს, აბა შეამცირებენ?!“

კი ამბობს ივანე კრილოვი: „ქურდს რომ მისცე მილიონი, არ მოიშლის ქურდობასა-ო“, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კრილოვი ჯერ კიდევ არ იცნობდა დარვინის გენეტიკის კანონს, რომელიც ითვალისწინებს არსებათა გარდაქმნას გარემო პირობების შეცვლასთან დაკავშირებით, თორემ იმოდენა გონების პატრონი როგორც იგი იყო, ქურდის ქურდობის მარადიულობაზე რაფერს იტყოდა.

სამყაროში არ არსებობს ისეთი ფენომენი, რომელიც ცვალებადობას არ ექვემდებარებოდეს. ერთადერთ გამონაკლისს თვითონ ცვალებადობა წარმოადგენს, მხოლოდ იგია ქვეყნად უცვლელი. დარვინისეული კანონის თანახმად მსჯელობას მივყავართ ჭეშმარიტებისაკენ, რომ ქურდი (უფრო სწორად ნაქურდალი კაცი სამართლებრივ სახელმწიფოში იცხოვრებს პატიოსანი შრომით. იგი აუცილებლად გარდაიქმნება გარემო პირობის შესაბამისად.

ზელიმ ჩაკვეტაძე

15-VII-2020 წ.

რეცენზია ნიგნისა „ეპრაელთა ბიბლიური შეთქმულეა“

*არც სინაგოგა, არც მეჩეთი, არც ეკლესია,
არ მნამს არც ერთი, მათი გმობა ჩემი წესია!*

ომარ ხაიამი

ალექოჩარის ნიგნი დიდი შენაძენია როგორც ეროვნული, ისე მსოფლიოს პოლიტიკური და იდეოლოგიური ცხოვრების მიმდინარეობით დაინტერესებული მკითხველისათვის. იგი წარმოადგენს პუბლიცისტურ ნარკვევს ეპრაელთა ბიბლიური შეთქმულეების შესახებ, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

ნარკვევის თემაა ეპრაელთა მიერ ბიბლიის და ეკლესიის გამოყენება უტილიტარული მიზნებითა, ხოლო იდეა – გააგებინოს მკითხველს შეთქმულთა მიერ კაცობრიობის დიდი ნაწილის განადგურების და გადარჩენილი მცირე ნაწილის დამონების შესახებ.

ნიგნის შესავალ ნაწილში გარკვეულია საქართველოს იდეურ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო ჩამორჩენისა და განადგურების მიზეზები, რომ პოზიცია და ოპოზიცია ქართული მთავრობისა ორივე ემსახურება დასავლურ ძალებს, პოზიცია – ირიბად, ოპოზიცია – პირდაპირ. თუმცა, საგულისხმოა, რომ ორივე იმართება. ერთი სიონისტური ცენტრიდან (ძვ.41 აბზ. III). საქართველოს ბედშია მსოფლიოს მრავალი პატარა სახელმწიფო. საქართველო ზოგადი სახე-ტიპია დაჩიავებული და დასაწყლებული პატარა სახელმწიფოებისა.

ავტორისეული რჩევა რომ „მტერი თუ მოყვარე უნდა ვეძიოთ არა ცხრა მთის იქით, არამედ აქვე ჩვენსავე სამეზობლოში და ვიფიქროთ კავკასიური სახლის შექმნის შესახებ (გვ.54 აბზ. ბოლოდან II) ღრმა დაკვირვებას მოითხოვს. კავკასიური სახლი თითქოს ახლოსაა გადარჩენის რეალობასთან. მაგრამ სავსეა წინააღმდეგობებით, „რადგან კავკასია თავისი სარწმუნოებრივი მრწამსით, კულტურით, ეთნიკური ჯგუფებით და ეკონომიკით ისე ჭრელია, რომ მისი გაერთიანება ამერიკის მრავალფეროვანი დროშის ქვეშაც გაძნელდებოდა და კიდევაც რომ მოხერხდეს, რადგან საქართველო მრავალსაუკუნოვან ქრისტიანულ ქვეყანას წარმოადგენს. კულტურის დიდი შედევრების შექმნა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ქრისტიანულ იდეოლოგიაზე დაყრდნობით შეუძლია და სხვა რელიგიურ გარემოცვაში, მიუხედავად მოსახლეობის

დიდი ნაწილის ათეისტურობისა, დიდმნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნის“ (იხ. ზ.ჩაკვეტაძე „ხმა ამოიღე... გვ.21 აბზ.11).

ებრაელები რუსების დამორჩილების ნაცვლად მათ ამონყვეტას რომ აპირებენ, ეს აიძულებს რუსეთს სათავეში ჩაუდგეს დიდ ანტისიონისტურ გაერთიანებას, რომელსაც კავკასიის ხევ-ხუვებში გაბნეული ტომები კი არა, დიდი სახელმწიფოებიც ვერსად გაექცევიან. გაიხსენეთ ევროპის სახელმწიფოები რუსეთთან II მსოფლიო ომის დროს, რამდენ დათმობებზე გადადიოდნენ სტალინის წინაშე.

კი ამბობენ: „как Иван, так и дурак“-ო, მაგრამ ისინი არც ისე «Дурак»-ები არიან, რომ ვინმეს თავი იოლად შეიჭმევიონ. ისინი ისევ ისე მოახდენენ კონტინენტურ გაერთიანებას სიონიზმის წინააღმდეგ, როგორც ფაშისტების წინააღმდეგ მოახდინეს. ნეკრასოვი ამბობს: «Вынес достаточно русский народ... Вынесет что господь не пошлет».

იმ დიდ გაერთიანებასთან შედარებით, რომელიც არსებობის შენარჩუნების მიზნით რუსეთმა უნდა მოახდინოს, შენი კავკასიური სახლი თავისი პოტენციური და აშკარა ძალებით ისე გამორჩდება, როგორც თავგი სპილოსთან.

ასეთ შემთხვევაში კავკასიურ სახლზე ზრუნვა დანაიდების შრომა იქნება და სხვა არაფერი. რადგან ჯერჯერობით კაცთა და სახელმწიფოთა შორის ყველაზე დიდუფლებიანი მოციქული ძალაა და თუ ოდესმე მისი ადგილი სამართალმა და სინდის-ნამუსმა დაიჭირა, მაშინ საქართველოსთანა მრავალი მინიატურული სახელწიფო იცხოვრებს თავისუფლად, ძალისმიერი შეზღუდვების გარეშე. ასეთ შემთხვევაში აღარც კავკასიური ოჯახი იქნება საჭირო.

სრულად ვეთანხმები ავტორის შეხედულებას იმის შესახებ, რომ „ებრაელები ჭკვიანი ხალხია“. მაგრამ უბოროტესნიც თუ იყვნენ, ამას ვერც ვიფიქრებდი ამ წიგნის წაკითხვამდე.

ებრაელთა გონებამ და პრაქტიკულობამ საშუალება მისცა შეეთქმულთ ორგანიზაციას სტრატეგიის შესაფერისი ტაქტიკა შეემუშავებინა. ძველი ისრაელის დაშლის შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში გაბნეულმა ურიებმა შესძლეს დიდ სამრეწველო და სავაჭრო ქალაქებში თავიანთი დიასპორები შეექმნათ, სხვა ერების ცხოვრების ნირი შეეთვისებინათ და თავისიც შეენარჩუნებინათ, რასაც სხვა ერები ძნელად ან საერთოდ ვერ ახერხებენ ითქვიფებიან დიდ ერებში.

ებრაელების ერთ-ერთი ლიდერი საქვეყნოდ აცხადებს: „ფული ჩვენს ხელშია და ოქრო, რატომ არ უნდა გავბატონდეთ მსოფლიოზე“-ო.

ცხოვრებაში გარკვეულმა თითოეულმა კაცმა იცის, რომ ფული ღმერთზე დიდი თუ არა მისი ტოლი მაინც არის თავისი ყოვლისშემძლეობით. მისი მფლობელი ის ანტეოსია, რომელიც ძალას ხალხის უფიცობიდან იღებს. თუ ბუბერი ჰერაკლეს გამარჯვების ძირითადი ფაქტორი ანტეოსის მიწიდან მოწყვეტა იყო, ახალი ჰერაკლეს გამარჯვების სანინდარი ხალხის თავის ტვინიდან: უფიცობის, გაუნათლებლობის, უნიათობის და სხვა მრავალი მანკიერი თვისებების აღმოფხვრა იქნება.

ურიების მიერ შემუშავებული გეგმების გამხელა-გამოცხადებას მათთვის აქვს დიდი უტილიტარული მნიშვნელობა. ამით ის კაცობრიობას ატყობინებს „შენი ბრძოლა ჩემს წინააღმდეგ უშედეგოა, გირჩევ დამნებდე“-ო.

ავტორი გვიმტკიცებს, რომ ებრაელი ბურჟუაზია მოსწყდა ზოგადკაცობრიულ პროგრესულ იდეებს, ჩაეფლო თავის ეგოისტურ ინტერესებში და ყველაფერს გზად და ხილად იყენებს კაცობრიობაზე გაბატონების მიზნით. ნიგნში მოყვანილი ფაქტები ამტკიცებენ, რომ კაცთმოძულეობის და ყოველგვარი ბოროტი ზრახვების თვალსაზრისით „ებრაელ შეთქმულთა ოქმებთან“ შედარებით ჰიტლერის ცნობილი ნიგნი „Main kampf“ რაჭული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ მხოლოდ პატარა ნიგნუკაა.

იმოდენა საშიშროებას, რომელიც ურიებისგანაა მოსალოდნელი კაცობრიობა უნდა შეხვდეს მომზადებული ზნეობრივად, პოლიტიკურად და ძალისმიერი საშუალებებით. როგორც ავტორი ამბობს, „ურიებს ჩვენ ვჭირდებით მონებად ან სამარეში“. ასეთ შემთხვევაში ყოველი ნუთის დაკარგვა დანაშაულია ხალხის წინაშე. იმ ხალხის წინაშე, რომელსაც ბოროტი ხელი თითქმის მთლიანად დაპატრონებია და ნუშპეში ითრევეს. იგი ვერ იბრძვის, უბრალოდ ნუნუნებს „თავის სისუსტეზე“ ხალხს სჭირდება ჭეშმარიტი მოძღვარი, არა ისეთი რომელიც მას არიგებს: ამქვეყნად თუ გიჭირს არაფერია, რადგან ამქვეყნიური ცხოვრება წარმავალია, ნუ ამბობდები, მოითმინე, სამაგიეროდ იმქვეყნად სამოთხის კარი ღია დაგხვდებაო. ასეთ მოძღვრის დარიგებას ოძელაშვილების უსწავლელმა ბიჭმა ასე უპასუხა: „მამაო, მე ჯერ ამ ქვეყნად მინდა სიკეთე და მერე იმქვეყნადო“.

სიცრუის ლაბირინთებიდან ხალხის გამოსაყვანად საჭიროა ანტისიონისტური პროპაგანდისტული სკოლების ჩამოყალიბება, სადაც ადამიანები გაიგებენ, ვინ არის მათთვის ქრისტე და ვინ ანტიქრისტე.

ნიკოლო მაკიაველი ადამიანებს სამ ძირითად კატეგორიად ყოფს: 1. უწარჩინებულესნი, რომლებიც მოვლენებში თავისთა-

ვად ერკვევიან, მაგრამ ასეთნი ცოტანი არიან. II წარჩინებულნი, რომლებსაც ახსნა-განმარტებებით ყველაფერში გაარკვევ და III ფუჭნი. რომლებსაც ვერავითარი მუშაობით ვერაფერს ვერ გააგებინებ. მართალია, მათთან მუშაობა უეფექტოა, მაგრამ მათი მიტოვება მაინც არ შეიძლება. ხომ გვასწავლის ვაჟა-ფშაველა „ბრიყვი ჭკვიანის ბარგია ზურგით სათრევი გუდათა“-ო. სხვა ვინ შესძლებს ამოდენა ბარგის თრევას თუ არა ჭკვიანი კაცი.

სამართლიანია ავტორის მოთხოვნა რომ „ბიბლია უნდა დაექვემდებაროს კრიტიკას“.

თუ ვინმეს სურს, რომ მაინცდამაინც თაყვანი სცეს ვინმეს ირწმუნოს: პატიოსანი შრომა, სიყვარული, მეგობრობა, მეზობლობა, ნათესაობა და სხვ. რადგან საზოგადოება ხშირად უბრუნდება ძველს რამდენადმე განახლებული ფორმით ავტორი გვიჩვენებს: „აღვადგინოთ ძველი ეროვნული ღმერთები „ვისაც სურს რომ მიჰყვეს რელიგიას შეუძლია ირწმუნოს ბუნებრივი მისტიერიის გამოხატველი ქალდევიზმი, ანუ ჩვენი ნაყოფიერების ღმერთი. იკითხავთ, რატომ ქალდევიზმიო? – იმიტომ რომ ქართველები ამ ღმერთს უნდა უმაღლოდენ თავის წარმომავლობას. ხოლო ქართველი დედები ნანი-ნანას აკვანზე დამღერებას ინანას, რომლისადმი თაყვანისცემა სხვა არაფერია, თუ არა თვით ბუნებისადმი, სამყაროსადმი, ერთიანი ცოცხალი თანაარსისადმი საკუთარი კუთვნილების გამოხატულება (გვ.319 აბზ. V).

ნიგნის დასასრულ ნაწილში ვგებულობთ, რომ ცრუ რელიგიური დოგმებითა და რელიგიურ გიპნოზში მყოფი კაცობრიობა მიჰყვება ებრაელებს ისტორიულ სასაკლაოზე შეწირული ბატკანივით და წარმოდგენა არა აქვს, რას უქადის იგი (გვ.328 ბოლო აბზ.).

გასაკვირია, რომ თანამედროვე ცივილიზაციის დონეზე მდგომი საზოგადოება ასე უყურადღებო და გულგრილია თავის ბედისადმი.

ნიგნში გადმოცემული მსჯელობებით მტკიცდება, რომ ავტორი სიონისტურ მოძრაობაში ღრმად ჩახედული კაცია. ნიგნი რომ ღრმად გასაგები და ხელმისაწვდომი გახდეს კარგი იქნება მისი დაყოფა ცალკეულ პუბლიკაციებად და ლექციებად, რაც დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. თანამედროვე ადამიანის გიტარის „სტრუნებივით“ დაჭიმული ნერვები ვრცელტანიან ნიგნებს ნაკლებად ეტანება. მისი ბუნება უფრო მეტად ცალკეულ პუბლიკაციებს და ქრონიკებს ეგუება. გურამიშვილი გვასწავლის: „ბრძე-

ნი ცოტ-ცოტას სწავლითა ძნელ საქმეს გაუადვილებს“ (შეგირდს).

დიდი ცოდვა იქნება, რომ ავტორს ვინმემ ათეისტობა დასწამოს. ეკლესიის ქურუმთა შეხედულებით ათეისტი ის კაცი, რომელსაც არა სწამს მათ მიერ დაკანონებული და მოაზრებული ღმერთები. მაგრამ თუ კაცს სწამს მეგობრობა, სიყვარული, მამუღიშვილობა, ნათესაობა, კაცობა და ადამიანობა, მას რომ ათეისტი დავუძახოთ ცოდვას ჩავიდენტ. ჩვენს მიერ დასახელებული ფაქტორები რომ არ სწამდეს, ჩვენს მიერ შესწავლილი წიგნის ავტორი თავს არ შეინუხებდა ამოდენა წიგნის დაწერით და არც ანტისიონიზმის ტრიბუნად იქცეოდა. ავტორის უკმაყოფილება, გამონვეული ხალხის უყურადღებობის გამო თავის ბედისადმი მოგვაგონებს ომარ ხაიამის შეხედულებას ხალხის მდგომარეობისადმი.

„ჩემი შეხედვით ერთი ხარი არის ცის თაღში,

მეორე ხარი იმყოფება მიწის წიაღში,

შენ მეცნიერო, თვალსაზრისი თუ გაქვს სისწორის,

ვირების ურდის დაინახავ ორ ხართა შორის“.

ხალხის ასეთი დატუქსვის უფლება ომარ ხაიამს აქვს როგორც დიდ პოეტს, დიდ მეცნიერს და სიცრუისა და უფიცობის წინააღმდეგ ამხედრებულ რაინდს.

P.S. შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ავტორის მიერ შემოთავაზებული პუნქტებიდან მხოლოდ III და IV პუნქტები მოითხოვენ კომენტირებას. IV პუნქტის ირგვლივ საკმაოდ ვილაპარაკე, ხოლო III-ს ირგვლივ ჩემი შეხედულება ასეთია: გზაჯვარედინზე მცხოვრები ხალხის ქვეყანას ხელშეუხებლობას ვერც ერთი ხელშეკრულება ვერ უზრუნველყოფს. შეგახსენებთ ჰიტლერის შეხედულებას, რომ „ხელშეკრულებას ძალა მანამდე აქვს, სანამ მას რომელიმე მონაწილე არ დაარღვევს“. როცა ბებერი ზარბაზნები ბებერ დედამიწას შეაბარბაცებენ, მაშინ ყველა ადამიანური ღირებულება უკანა რიგზე გადადის. შვეიცარია გადარჩა ბომბარდირებას. II მსოფლიო ომის დროს, მაგრამ ამას ჰქონდა საფინანსო მნიშვნელობა. ომის მდიდარი გამჩავებლებისათვის. ასეთ ფუნქციას საქართველოს არავინ მიაწიჭებს. ამიტომ მისი ნეიტრალიტეტი და ხელშეუხებლობა ზღაპარი და მითია, რადგან III მსოფლიო ომის შემთვხვევაში, მან პოლიგონის ბედი მაინც თუ ააცდინა, ესეც დიდი გამართლება იქნება.

აკადემიკოსი ზელიმ ჩაკვეტაძე

21 ივლისი, 2020 წელი

ერის დამლუპველი ძირითადი ფაქტორები

„ისტორიაში ვერ დაასახელებ მაგალითს, რომ ერს ელაღატოს თავისი ეროვნული კულტურისათვის და არ გახრწნილიყოს“

ი. გოგებაშვილი

„შენ ეს წამალი იმნაირად გაგახალისებს, რომ თვით გომბეშოც კი ელენედ მოგეჩვენება“

გოთე

ისტორიამ უამრავი მაგალითი იცის იმისა, რომ ცალკეული ერები აღგვიღან პირისაგან მიწისა, ისე, რომ მათგან ნანგრევებისა და ჩანანერების მეტი არაფერი დარჩენილა. მათი გაქრობა გამონვეული იყო შესაფერისი ფაქტორებით, რომლებსაც ერის იდეური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ზნეობრვი პირობები ჰქმნიან, დროის გარკვეულ მონაკვეთში ეს ფაქტორებია: 1. მშობლიური ენისა და კულტურის უარყოფა; 2. სანარმოო ძალების განვითარების ჩამორჩენა; 3. მეზობლებთან არანორმალური და შეურიგებელი ურთიერთობა; 4. ხალხის მიერ პატრიოტული გრძნობის უარყოფა; 5. შინაგანი მტრობა და რეგიონების სწრაფვა პარტიკულაციისაკენ; 6. ადამიანში პირადი და ეროვნული ინტერესების დაპირისპირება; 7. რწმენის დაკარგვა.

აღნიშნული ფაქტორები დიდი გულმოდგინებით იბრძვიან როგორც ინდივიდუალურად ისე კოლექტიურად თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად.

ჩვენი პუბლიკაციის მთავარი თემაა ერის დამლუპველი ფაქტორების გავლენა ადამიანზე და ზოგადად ერებზე. იდეა-ფაქტორების გამომზნეულება მათი ბრჭყალებისაგან ადამიანის დახსნის (განთავისუფლების) მიზნით.

ფაქტორი I

რადგან კულტურა სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა ჯამს წარმოადგენს, ჩვენც ჩვენი მსჯელობა დავიწყით ამ ღირებულებათა შორის ყველაზე ძვირადღირებული კომპონენტით – ადამიანით, რომლის დანახვისას პირველ შთაბეჭდილებას მის შესახებ ვღებულობთ ახოვანებით და სილამაზით, რომლებიც ღმერთის და ბუნების წყალობით ქართველ ხალხს უხვად მისცემია. ძველი დროის ბერძენ ისტორიკოსს უთქვამს: „კოლხეთში ფაზონისის ზემო ნელში ცხოვრობენ ტომები, რომლებიც ულამაზესნი არიან მთელ

მსოფლიოში, შუა საუკუნეებში სპარსელებს უთქვამთ: ლამაზი ქალი – გურჯისტანში“. ეს ყველაფერი კარგია და გვახარებს, მაგრამ სილამაზე არ შეიძლება იყოს სიამაყის საგანი, რადგან იგი ღვთაებრივი ნიჭის ნაყოფია და არა ჩვენი კაცობრიული შემოქმედების. ღმერთი ისეთს აჩენს, როგორც მას სურს და არა ისეთს, ჩვენ რომ გვინდა. ჩვენი სიამაყის საგანია კულტურის ის შედეგრი, რომელიც ჩვენი შემოქმედებით არის შექმნილი ან ჩამოყალიბებული იმ ახოვანი ვაჟკაცებით და ლამაზი ქალებით, ჩვენ მაშინ შეგვიძლია ვიამაყოთ, თუ ისინი ზნეობრივად, ინტელექტუალურად და ესთეტიკურად იქნებიან ჩამოყალიბებული. კარგია, როცა ფიზიკური სილამაზე ჰარმონიულად ერწყმის ზნეობრივს. მაგრამ თუ ეს პროპორცია დარღვეულია, მაშინ ზნეობრივად ამალღებული კაცის თვალში უპირატესობა ზნეობრივს ეძლევა. კარგი ზნეობრივ-ინტელექტუალური აღზრდა ფიზიკურ ნაკლს ჰფარავს და ასატანს ხდის. მაგრამ ახოვანება და სილამაზე ვერასდროს ვერ გახდის ასატანს ზნეობრივ ნაკლს. ჰიუგოს კვაზნიმოდოს ლერწვივით დაჯღვარკლული სხეული, რომელმაც პარიში მახინჯების შეჯიბრებაზე პრიზი დაიმსახურა, ულამაზესი სულის პატრონი ყოფილა და ეს სული ასატანს ხდის მის სიმახინჯეს. ხოლო ნინოშვილის ტარიელ მკვლავაძე, მიუხედავად თავისი დიდებული თვალტანადობისა, თავის მახინჯი სულის წყალობით აუტანელს და საზილარს ხდის თავის პიროვნებას.

ადამიანის ესთეტიკური გემოვნების და თუნდაც ინტელექტუალურობის შესასწავლად ერთ-ერთი ძირითადი საშუალება მისი ჩაცმულობაა მოდა ყოველთვის ცვალებადი იყო და იქნება. ამ ცვალებადობას მამაკაცზე მეტად ქალი ემორჩილება, რუსოს წიგნის რუსულ თარგმანში წერია: «*Ты или иную моду выдумывают некрасивые женщины, а красивенькие имеют глупость ей подчиняться*». თუ ადრეულ საუკუნეებში ჩაცმულობა თითქმის ერთფეროვანი იყო, მიმოსვლის საშუალებების განვითარებასთან ერთად ადამიანებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ უცხო ხალხების ჩაცმულობის სტილს და იგი თავიანთ ხალხში შემოეტანათ:.

ადამიანის ძველი სამოსი კაბა ლექსიკონში ასეა განმარტებული: კალთებიანი გრძელი ტანსაცმელი (ქალისაც და კაცისაც). რუსთაველის გმირს მკითხველი ეცნობა კაბაგადაცმულს, „მას ტანსა კაბა ემოსა“. გვიან შუა საუკუნეებში მამაკაცი ჩოხა-ახალუხში „გამოიპრანჭა“ და კაბა მხოლოდ ქალის სამოსლად დარჩა.

ბოლო საუკუნეში ბურჟუაზიულმა დემოკრაციამ იქამდე შეტოპა ბუნებისა და ღმერთის უფლებებში, რომ ადამიანებს ტრანსსექსუალიზმის პროგრესულობა უქადაგა და ქალების საკმაო ნაწილს ქალობა დაავინყა და გამოფიტა ჭკუიდან. დიაცს მამაცობა დაანყებია და მამაცს – დიაცობა. მათი ამ „ჭუმანური“ ღონისძიების შედეგი ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველას შეუმჩნევია და გაჯავრებული წერს: „კაცმა ქალობა დაიწყო, კონტაობს სიტყვანაზნია, ფერსა და უმარულს ისობს, მაშ არ მომივა ბრაზნია?“

ჰიგიენისა და კოსმეტიკის წინააღმდეგი ვერავინ წავა, ფერუმარული, მანიკური და პედიკური, რომლებიც დიაცისთვისაა საჭიროც და დამამშვენებელიც ესთეტიკოსებისთვის მისაღები ნორმაა, მაგრამ მამაკაცისთვის იგი შეუფერებელი და გამქალაჩუნებელია მამაკაცური კოლორიტის წარმომეგვია, მამაცის ხელს შვენის ერქვანი, ნაჯახი, თოხი, ბარი, მახვილი და არა მანიკურები. მისი ჰიგიენის ალფა და ომეგა არის ცივი წყალი და საპონი თუ ცოლი ყურადღებანიობას გამოიჩინს და წყალს გაუთბობს, ეს ხომ მისთვის დიდი კომფორტი იქნება.

ბუნება კონტრასტებში ჰქმნის მეტ სილამაზეს ვიდრე ერთ-ფეროვნებაში. ძალიან შვენოდა ძველ თბილისს ჭრელი კაბების შრიალი. თანამედროვე თბილისი ამ სილამაზეს მოკლებულია. მხოლოდ სოლიდური ასაკის ქალებს თუ შეხვდები სქესისა და ასაკის შესაფერისი ჩაცმულობით და ვარცხნილობით. ყოველ ნაბიჯზე შეხვდები ბლუზა-შარვალში გამოკრულ და გამოპრანჭულ როგორც ახალგაზრდა ისე ასაკოვან ქალებს ჯინსის შარვლებში „გამოპრანჭულები, ერთხელაც არ დაუკვირდებიან რამდენად შვენის მათი ჩაცმულობა მათსავე გარეგნობას. საქართველოში ესთეტიკური აღზრდა რომ ორივე ფეხებით არ კოჭლობდეს, ათფუთიანი ქალი ქუჩაში კი არა, თავის ბაღში და ვენახშიც არ გაივლიდა ბარძაყებსა და თეძოებზე შემოჭიმული შარვლით. თუ ის დარწმუნებული იქნებოდა, რომ ეს ჩაცმულობა მის სხეულისთვის შეუფერებელია. ჩვენ ვერავის დავძრახავთ ვერც სიგამხდრისთვის და ვერც სიმსუქნისთვის ვერც გაუნათლებლობისთვის და ვერც ღარიბული ჩაცმუცლობისთვის. უგემოვნოდ ჩაცმულობისთვის კი შეიძლება მსუბუქად მივუთითოთ, ხოლო ზნეობრივი ნორმების დარღვევისას – მკაცრად და თუ ეს ნორმა დარღვეულია შეგნებულად, მაშინ – ძალიან მკაცრად.

მოდეების, სამკაულების, სისუფთავის და „პრანჭვის“ სიყვა-

რულს ქალს ვერავინ დაუშლის, არც უნდა შეეცადოს, რადგან არაფერი გამოუვა ხელიდან, ამ სტიქიასთან ბრძოლა თითქმის უშედეგოა და არც არის საჭირო, რადგან ამით არავინ არაფერს არ კარგავს. პირიქით – ქალი ახალგაზრდა იქნება თუ ბებერი მოხდენილი ჩაცმულობა, მოძრაობის, ქცევის საუბრების მოხდენილი ესთეტიკური მანერა საინტერესოს ხდის მის პერსონას.

გასული საუკუნის პარიზული მოდების მამამთავარს გაბრიელას (კოკოს) ჰკითხეს: „...შენ თვითონ რატომ არ გამოდიხარ საზოგადოებაში შარვლით. პასუხი ასეთი იყო: „შარვალი მოხდენილი სამოსია, მაგრამ ქალის პრეროგატივა მაინც კაბაა“.

ჩვენმა ქალებმა უნდა იცოდნენ, რომ ქართველები დიდი ხნის წინათ ამოვნყდებოდით ჯიშინი ქალები რომ არ გვყოლოდნენ. მათმა მცირე რაოდენობამ შეიძლება იცოდეს, რომ კავკასიელი ქალის მენჯი (უკანა ნაწილის ძვლოვანი სარტყელი) ევროპული ქალის მენჯზე მეტი ფართოა და ეს სიფართოვე მის მფლობელს კაბაში უფრო მოხდენილს და მიმზიდველს ხდის, ვიდრე შარვალში გამოკრულს. ჩვენ ვმსჯელობთ ტიპიურ კავკასიელ ქალზე და არა გამონაკლისებზე თუ გაბრიელას აზრს დავეყრდნობით, რომ ქალის პრეროგატივა კაბაა (იგი ევროპელ ქალს გულისხმობს) მივიღებთ, რომ ჩვენი ჯიშინი ქალებისთვისაც კაბა ყოფილა, როგორც ესთეტიკური ისე ეთიკური, ზნეობრივი და ტრადიციული თვალსაზრისითაც. უფრო მისაღები და მოხდენილი სამოსი, ვიდრე შარვალი.

მე განსაკუთრებული ყურადღება გადავიტანე ქალზე, რადგან ქალი და ბავშვი ყოველთვის ყოფილა და იქნება ზნეობრივად ამაღლებული ადამიანების N1 ზრუნვის საგანი და თუ ქალმა ეს პრეროგატივა დაკარგა ადამიანურ ზნეობასაც აღსასრული დაუდგება.

მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ქართველი ქალი უფრო აქტიურად იგერიებს კოსმოპოლიტიზმის შემოტევას ვიდრე მამაკაცი. იგი მშობლიური მიწის და ხალხის სიყვარულში კი არ ჩამოუვარდება მამაკაცს, არამედ ასწრებს. აქ შეიძლება ვთქვათ, რომ პროცენტული გაანგარიშებებით ქართველი ქალების უმნიშვნელო რაოდენობა ქორწინდება უცხოელ მამაკაცებზე და ჩვენი მამაკაცების დიდი პროცენტი უცხოელ ქალებზეა დაქორწინებული, რაც იმის ნიშანია, რომ ქართველი ქალი უფრო დამცველია არიული სისხლისა, ვიდრე მისი თანამემამულე მამაკაცი. ის რომ უამრავი ქალი გვყავს გახიზნული უცხო ქვეყნებში, ეს თანამედროვე მა-

მაკაცის სისუსტეზე მიუთითებს. თუ მამაკაცი თავის ფუნქციებს დამაკმაყოფილებლად მაინც ასრულებს, დიაცი ოჯახს არ დატოვებს და საშოვარზე არ წავა. ომის შემდგომ პერიოდში მამაკაცებმა მასიურად დაიწყეს საშოვარე სიარული. მაგრამ ქალი რომ საშოვარზე წასულიყო სადმე, ეს ამბადაც არ გამიგონია, ახლა ამ დემოკრატიაშე შეცვალა ქვეყანა და მასთან ერთად ხალხის მდგომარეობაც. ჯერ კიდევ 60-იან წლებში ვერავინ წარმოიდგენდა ქალი სათათრეში და საბერძნეთში წავიდოდა საშოვარზე და ქმარი სახლში დარჩებოდა მანიკურების და პედიკურების საკეთებლად.

ასე რომ ეროვნული კულტურის დაცვა მოითხოვს მამაცის მამაცობას და დიაცის დიაცობას.

გლობალიზმში და კოსმოპოლიტიზმში ისე ყლაპავს პატარა ერებს, როგორც გველი ქრელ პეპლებს, გველი ჭკვიანია და მოხერხებული. იგი ისე მიუხლოვდება პეპელას, რომ ბალახსაც არ შეარხევს და ხახას დააღებს, პეპელას იგი ყვავილი ჰგონია და დიდი იმედით ჩააფრინდება ხახაში, იმ მიზნით რომ ნექტარი ამოიღოს. ახალგაზრდობაში მეგონა რომ გველს გიპნოზი ჰქონდა, სიბერეში მივხვდი, რომ მას გიპნოზი კი არა, ჭკუა ჰქონია და ეს ჭკუა მის სტომაქს სხვისი უტვინობით ჰკვებავს.

მე შორს ვარ შოვინიზმისგან, მაგრამ ჩემთვის არც კოსმოპოლიტიზმში გადასული ინტერნაციონალიზმია მისაღები. გოეთეს უთქვამს: „ბედნიერება ქვეყნად წამდვილი და ერთადერთი არის მარტოდენ ზომიერება“. ჩემთვის მისაღები არ არის, რომ ქართველმა კაცმა თავის ქალაქში თავი უცხოელად იგრძნოს. ქალაქი ვეღარ ახერხებს (ვერ ასწრებს) უცხოური კულტურის თავის პრიზმაში გატარებას, რამაც ევროპის დიდი ქალაქები ახერხებენ უცხოური კულტურა მკვიდრდება ქართულ მიწაზე მესაკუთრის უფლებით. ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა თუ არა დიდი ნაწილი მაინც ცდილობს დაეუფლოს არა ეროვნულ ენასა და კულტურას, არამედ – უცხოურს. მე უცხოური არც ენების და არც კულტურის წინააღმდეგი არა ვარ. პირიქით – მივესალმები მის მიღებას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ქართული ენისა და კულტურის უარყოფის ან თუნდაც შევიწროების ხარჯზე ჩემი აზრით ქართველი უნდა ცდილობდეს, იყოს პირველ რიგში კარგი ქართველი, შემდეგ კი, ბატონო, გახდეს კარგი ევროპელი, კარგი ეთიოპელი, კარგი სპარსი, კარგი ჩინელი და კარგი იაპონელი. მაგრამ თუ იგი თავის კაცობას საფუძვლად მშობლიურ ენას და

კულტურას არ დაუდებს, ვერასდროს მიაღწევს იმ სიმაღლეებს, რომელთა დაპყრობა მხოლოდ მშობლიური ენისა და კულტურის ღრმად მცოდნეს შეუძლია. შექსპირის გენია იმ სიძლიერით რომლითაც მას კაცობრიობა იცნობს, შეიძლებოდა გამომჟღავნებულიყო მხოლოდ ინგლისურ ენასა და კულტურაზე დაყრდნობით. მას რომ თავისი შედეგები რომელიმე არამშობლიურ ენაზე შეუთხზა ლიტერატურის თეორეტიკოსები მას დააკმაყოფილებდნენ საშუალო დონის მწერლის ტიტულით.

ყველაზე დიდი ძალით მშობლიური ენა და კულტურა ექაჩება ადამიანს ზევით ოლიმპოს მწვერვალებისგან და ყველაზე და ყველაფერზე მეტად უწყობს ხელს მას ზენარმავლობისკენ.

ფაქტორი II

საქართველო საბჭოურ სივრცეში ავად თუ კარგად ახერხებდა სანარმოო ძალების წინსვლას და ვალების და ვახშების გარეშე ცხოვრებას. მაგრამ იმპერიის სივრციდან გამოსვლის შემდეგ, იმ მოძრაობამ რომელსაც საქმეში ჩაუხედავი კაცები ეროვნულ-გამათავისუფლებელს ხოლო საქმეში ჩახედულები ეროვნულ-გამანადგურებელს უწოდებენ, უფსკრულში გადაჩეხა ერის სახალხო მეურნეობა სუსტინერგებიანმა საბრალო ჯეელებმა ბრბოს მხარდაჭერით უარყვეს შრომა, აქაო და ჩვენ ისეთ ეგზოტიკური ბუნება და წარბ-წამწამ-თვალები გვაქვს, რომ ევროპა სამეურნეო საქმიანობის გარეშე შეგვინახავსო. საუბედუროდ ეს იმედი ილუზია შეიქნა და არა რეალობა. მთავრობამ დაიწყო ვალების აღება, რომელთა რაოდენობამ 20 მილიარდ დოლარს მიაღწია და თუ ფულის მომსესხებლები ქართველი ბანკირებივით ვალის გასტუმრებისას 20%-იან დანამატს თხოულობენ, გამოდის, რომ საქართველო ყოველწლიურად 4 მილიარდამდე დოლარს უხდის ფულის მომსესხებლებს პროცენტის სახით. რაც უხეში გაანგარიშებით ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის მეოთხედია. იმის იმედი რომ ასეთი მუშაობით ქართული ეკონომიკა გადარჩება, მე ილუზია მგონია. ღმერთმა ქნას რომ ჩემი ბებერი ტვინი ცდებოდეს (ამინი მითხარი, მკითხველო) საქართველოს თუ გადარჩენა უწერია, იგი თავისმა უწარმა უნდა გადაარჩინოს. მკითხველს შევახსენებ ვაჟა-ფშაველისეულ დარიგებას: „თვით უპატრონეთ თავის თავს, ნუ იმედოვნებთ სხვაზედა... სხვისი იმედით მცხოვრები, პრიყვის იქნება ტიალი“. ქართველმა კაცმა ხელი უნდა აილოს ილუზიებზე და შეუდგეს განა-

დგურებული სახალხო მეურნეობის აღდგენას და რადგან მისთვის კოლექტიური მეურნეობა მიუღებელია ვერც ინდემურნეობით ნახა ხეირი, ხოლო ბიზნესს ალლო ვერ აულო, უნდა ეძიოს რალაც შუა-ლეღური რგოლი ჩამოთვლილ კომპონენტებს შორის.

ჩვენს მიერ მრავალგზის ნალანძლავ-ნაგინები კოლექტივი კარგად მახსოვს, რა ხვითოც იყო, მაგრამ იმას მაინც ახერხებდა რომ ხალხისთვის ძალღური ლუკმა მაინც მიეცა და თურქეთიდან შემოტანილ კარტოფილსა და პომიდორში ამერიკიდან ნასესხები დოლარები არ ეხადა., მართალია, არ იყო სასიამოვნო ბრიგადირის ჯღავილი ჭიშკარზე, მაგრამ არც გლეხი უმღეროდა ფსალმუნებს. თურმე ეს ჯღავილი სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველი ყოფილა, რომელიც ხალხს უფასო სწავლას, უფასო სამედიცინო მომსახურეობას იაფფასიან საკვებს, მედიკამენტებს, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, მგზავრობას, კომუნალურ მომსახურეობას, ელექტროენერგიას და სხვ. მომსახურეობას უწევდა. ეს ყველაფერი დიდი სიკეთე ყოფილა და მე ვერ ვხვდებოდი და ხალხი რას მიხვდებოდა. მასწავლებელი (ოსტატი) და შეგირდები ვლანძლავდით და ვაგინებდით კოლექტივს და კომუნისტებს დიდი ძალისხმევით. ახლა როცა კოლექტივი გამახსენდება, მაგონდება ურიების „ეგვიპტური ქვაბები“. ეგვიპტელები ებრაელებს ცუდად კვებავდნენ, როცა ისინი ეგვიპტიდან გაიქცნენ, უდაბნოში საკვები შემოეღიათ და ეგვიპტური ქვაბები სანატრელი გაუხდათ.

რამდენიმე წლის წინათ მოვისმინე ხალხური სიმღერა: „პარტია და კომკავშირი სანატრელი გაგვიხდაო“.

რაც შეეხება ინდემურნეობას, მის განვითარებას ახალმა მთავრობამ სრულეებით ვერ მიაქცია ყურადღება და იგი განადგურდა ჩემი მივარდნილი სოფლიდან ყოველდღე გაჰქონდათ ხილი, ლობიო, ხორცი, ბოსტნეული და ბაღჩეული. ახლა სოფელი მწარმოებლურობიდან მომხმარებლობაზე გადავიდა და ელოდებიან კომერსანტებად წოდებულ სპეკულანტებს, რომლებსაც ქუთაისის ბაზრებიდან ამოაქვთ ხორაგი.

რაც შეეხება ბიზნესს იგი ხალხის ტყავის ფასად ახერხებს მთავრობის და მისი მოხელეების შენახვას. ის რომ ქართული ბანკები ძალიან დიდ პროცენტს იხდოვნებიან კრედიტში, დიდად აბრკოლებს არა მარტო ბიზნესის არამედ ინდემურნეობის განვითარებასაც. ვიცი, რასაც წარმოადგენს ქართული ბიზნესი, მაგრამ სანამ უკეთესით არ შეგვიცვლია, მას უნდა შევეუნყოთ ხელი. კი ამბობდა ხალხის მიერ არჩეული და დაკანონებული პრეზიდენტი: „საქართვე-

ლოში საუკეთესო ბიზნეს-გარემოაო“ მაგრამ ამ კარგ ბიზნეს-გარემოს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფასების ყოველთვიურ მატებას, ვერაფერში დაინახავ.

ამაოდ აევროპებენ საქართველოს ევროპის აპოლოგეტები. მას რომ ევროპული შაბლონი არ მოერგებოდა, ეს მე ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინათ განვაცხადე პროვინციული გაზზეთის საშუალებით, მაგრამ ჩემი აზრი არც პოვინციას ჩაუგდია რამედ, არც ქალაქს და არც სოფელს. ვერ გავაგებინე ამ ევროპროფილებს ვერც შუაკაცობაში და ვერც სიბერეში რომ განვითარების ევროპული გზა საქართველოსთვის არ არსებობს. ევროპამ სანამ ცხოვრების ამ დონეს მიაღწევდა, გაძარცვა მთელი აფრიკა, აზია და ავსტრალია გაამდიდრა თავისი სახელმწიფოები შესაძლებელი გახადა ადგილობრივი მიუწინააღმდეგობის განვითარება და მოსახლეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილება. შენ ქართველო კაცო, ვის გაძარცვავე, ვინაა შენი გასაძარცვავე რუსი, თათარი, სომეხი, ოსი, თუ აფხაზი, ყველა შენს გაძარცვაზე და დაღლეტაზე ზრუნავს და შენ იმის მაგივრად რომ ვინმეს დაუმეგობრე, რაიმე შემწეობა მიიღო. გაიძახი მე მიუმხრობლობის მომხრე ვარ, სხვის საქმეებში არ ჩავერევი ნურც ჩემს საქმეში ჩაერევა ვინმეო. მაგის რა მოგახსენო, შენი ტვინის პატრონის ჩარევას ისაჭიროებს თუ არა ვინმე, მაგრამ შენს საქმეში შენი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო ყველა ერევა და მომავალშიც ჩაერევა, თუ შენს მიერ შემუშავებული სტრატეგიის შესაფერისი ტაქტიკა ვერ გამოიძიე.

ფაქტორი III

ვერც მეზობლებთან ურთიერთობაში იჩენს ქართველი კაცი მაღალ უნარიანობას, ვერ იცავს ზომიერებას, მათთან ურთიერთობაში. იგი უკიდურესობამდე მიენდობა ვინმეს, ან საერთოდ უარყოფს. გოეთესეული რჩევა, რომ „ბედნიერება და ერთადერთი არის მარტოდენ ზომიერება“ ძველი ქართველისთვისაც არ იყო დიდად მისაღები, ხოლო ახალი ქართველისთვის თითქმის მიუღებელია. იგი ხან უკიდურესობამდე მიენდობა ვინმეს, ან საერთოდ უარყოფს, ბავშვობიდან ჩამჩხაოდნენ ყურში წითელი მასწავლებლები. თურქები არიან ჩვენი გამანადგურებლებიო და მეც ჭეშმარიტებად მიმაჩნდა მასწავლებლის სიტყვა. მაშინ ან მე რას წარმოვიდგენდი, ან ჩემს საწყალ მასწავლებლებს ვინ ეტყოდა, რომ მარტო საქართველოს კი არა მთელი კაცობრიობის ამნიოკებელი და გამანადგურებელი მტერი ის

„ნენვა-გლეჯვის ბაზარია“, რომელიც სატანამ შექმნა და დააკანონა ღმერთისგან ადამიანისადმი ნაწყალებები თავისული და საყოველთაო არჩევანის საფუძველზე., მან თავის ფერხულში ჩაითრია „ყოვლანით არსნი სულიერნი, ინდო, არაბ, საბერძნეთით, მაშრიყნი და მალრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით ეგვიპტელნი“. ასე რომ თუ ოსტატი თავის მისიას შეასრულებს გააგებინებს შეგირდს, რომ „ნენვა-გლეჯვის ბაზარში“: „ალია და მოსია, ყველა თათარია და სანყალს თუ იმდენი ცოდნა ექნება, რომ შუა საუკუნეების ბნელეთში ქართველ მელექსეს ნენვა-გლეჯვის ბაზრის მიერ შემუშავებული ნორმის: „კაცი კაცსთვის მგელიას, სანინალმდეგოდ გამოუთქვას: „... თათარიც ჩვენი ძმა არის“-ო, მაშინ განეიტრალდება ის მიზანთროპული გრძნობა, რომელიც ყმანვილს არასნორი აღზრდით მიუღია და თუ იმასაც გაიხსენებს, რომ ჰეგელის შეხედულებით კავკასიაში სათავეს იღებს მსოფლიო ცივილიზაცია ხომ მთლად ავშენდებით და ის იქნება. მაგრამ (ეს მაგრამ რომ არ გაჩენილიყო კაცთა ცხოვრება სულ სხვანაირი იქნებოდა). ამნაირი ოსტატი ღმერთმა რომ მოგვცეს, ნენვა-გლეჯვის ბაზრის აგენტები რუსული „ვინტოვკის“ ტყვიით შუბლგახვრეტილს დაგიგდებენ შარაგზაზე.

ნათესავს, მეზობელს, სტუმარს დაფასება და პატივისცემა სჭირდება. ყოველთვის უნდა ცდილობდე, რომ არც მოყვარეს და არც მტერს ვალში არ დარჩე. მაგრამ არც ერთს არ უნდა გადაყვე. ხალხს უთქვამს: „...ჩვენი გოგიტა ქართველი ახირებული კაცია, შიმშილით კუჭი უხმება, სტუმარს დაუკლა ვაცია“. საბჭოურ რესპუბლიკებში ყველაზე მწირემინიანი რესპუბლიკის წარმომადგენელმა სერგო ორჯონიკიძემ საინგილოს მიწა აზერბაიჯანს აჩუქა, რაც დიდად ავტორიტეტულ პრეროგატივის მიერ თავისი ეროვნული სიმდიდრის დაკარგვაზე მიუთითებს.

როცა ქართველები მოსკოვში ლენინის ორდენებით მკერდს იმშვენებდნენ, გამოთქვამდნენ რწმენას, რომ მზე აღმოსავლეთიდან კი არა ჩრდილოეთიდან ამოდისო, მაგრამ როცა უფრო დიდი ბოროტების შემოტევით „ბოროტების იმპერია“ დაიშალა, ქართველმა კაცმა რუსეთი ჯოჯოხეთის ჯურღმულებს შეადარა და „ნენვა-გლეჯვის ბაზრის“ ყველა ცოდვა მას გადააბრალა. „პლასტინკა“ გადააბრუნა და დაიწყო მტკიცება: მზე არც ჩრდილოეთიდან ამოდის და არც აღმოსავლეთიდანო. იგი მუდამ დასავლეთიდან ამოდოდა და ახლაც იქედან გვაფარებს წყალობის კალთასო.

ქართველი კაცი თუ ღრმად გაჭვრეტს რუსულ პოლიტიკას, მიხ-

ვდება: რომ იმ „წენვა-გლეჯის ბაზარში“ რომელსაც ყველა პატიოსანი კაცი წყევლა-კრულვით მოიხსენიებს, რუსეთმა ბრძანებელი კი არა რიგითი წევრი იყო და თუ მართლმსაჯულების წინაშე ვინმე მის წარდგენას გადაწყვეტს, იგი მის წინაშე უნდა წარადგინოთ, როგორც ამ ბაზრის მუდმივი წევრი და არა მბრძანებელი.

დიდი სიკეთე ქართველ კაცს არავისგან არ უნახავს, მხოლოდ რუსებისგან. სარგებელი მაინც ნახა თურქების ხელიდან აჭარის და მესხეთ-ჯავახეთის გამოგლეჯის სახით. მე პირადად ზემოთ დასახელებული რეგიონების შემოერთება რუსის ჯარის დიდ დამსახურებად მიმაჩნია ქართველი ხალხის წინაშე. თუ რუსის ჯარი არა, ქართველები აჭარას და მესხეთ-ჯავახეთს ვერავითარი ლოცვა-კურთხევით ვერ გამოტყავებდნენ თურქებს ხელიდან. კაცმა სიკეთე აუცილებლად დადებითად უნდა შეაფასო და ბოროტება უარყოფითად. მაგრამ ბოროტისა და კეთილის გარჩევა აუცილებლად საჭიროებს ტვინს, რომელიც თუ დავეყრდნობით ანტონ ჩეხოვის მოსაზრებას რომლის მიხედვით: „ჭკუა 100 კაციდან 99-ს არა აქვს, მაშინ გავიგებთ რომ მისი დეფიციტი ყველგან ყოფილა და სანყალი ქართველი კაცისთვის მას უხვად ვინ გაიმეტებდა.

ჯეელი კაცი ბებერს ესაუბრებოდა: მეზობელმა ნამეტანი მანყენია, მერე მივუხტი ჭიშკართან, იმანაც ბევრი მლანძღა და მაგინა, მარა მე უფრო ბევრი ვაგინეო. ბებერმა მენტორული ტონით უთხრა: „მაღაღეც“ ბიძია, მეტი თუ აგინე, აგიშენებია ოჯახიო და უკეთესი რალა გინდაო. იმ ჯეელას შემოქმედება ტყუპისცალივით ჰგავს ჩვენი რუსოფობების ღონისძიებას, რომლითაც რუსეთის გიგანტური სახელმწიფოს, რომელიც ნელსონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩრდილოეთის ქვეყნების ხერხებალია ლანძღვა-გინებით უპირობენ „დაჭკვიანებას“.

ფაქტორი IV

პატრიოტული გრძნობა თუ მხედველობაში არ მიიღებ ფულის მოგებისთვის სატანასთან სულ მიყიდულ ბურჟუაზიას, რომელიც ამ ქვეყნად ყოვლისშემძლე უფლად ფულს მიიჩნევს, ერთ-ერთი უძლიერესი გრძნობაა კაცთა ცხოვრებაში. იგი კი არ ჩამოუვარდება, არამედ გარკვეულ შემთხვევაში წინ უსწრებს ისეთ ადამიანურ გრძნობებს, როგორიცაა: ქალ-ვაჟის სიყვარული, მეგობრობა, დემპვილობა, მამაშვილობა და მრავალი სხვა.

რუსთაველის 713-ე სტროფში გადმოცემული აზრი: „შენი ქალი

არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე, ინდოეთი ჩემი არის, არავის მივცე კითხვით კიდე“. მაჩვენებელია იმისა, რომ შუა საუკუნეებში ქართველ კაცში პატრიოტიზმის გრძნობა ქალ-ვაჟის სიყვარულზე მაღლა იდგა, რაც მას აძლევდა იმ უდიდეს ძალას, რომლითაც იგი ყოველი მხრიდან მოსულ უამრავ ძალს და მამაძალს იგერიებდა. თანამედროვე პირობებში გლობალიზმის და კოსმოპოლიტიზმის შემოტევის წყალობით ქართველი კაცის მისწრაფება ეროვნული თვითმყოფობისა და დამოუკიდებლობისაკენ თანდათან უფერულდება და უდღეურდება.

XIX საუკუნის II ნახევარში თერგდალეულთა პლეადამ მკაცრად შეუტია კოსმოპოლიტიზმს.

გადაგვარებულმა ქართველმა გიორგი მუხრანსკიმ გამოაქვეყნა ბროშურა: «О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц», რომელსაც პასუხად მოჰყვა აკაკი წერეთლის „ღამურა“, რომელიც ქართველი კაცის შეგნებაში მომაკვდინებელი დარტყმა იყო არა მარტო მუხრანსკის ბროშურაზე, არამედ მთელ კოსმოპოლიტიკურ პოლიტიკაზე. აკაკის ლექსთან ერთად ი. ჭავჭავაძემ, ს.მესხმა და პ.უმიკაშვილმა მკაცრი ტონით დაწერილი წერილები გამოაქვეყნეს, რომლებშიც დაგმობილი იყო შავრაზმული აზრი დიდი ერების მიერ მცირე ერების ასიმილაციის შესახებ. ქართველი კაცის საუბედუროდ თერგდალეულების მიერ გაჩაღებული სამართლიანი ომი დღემდე გრძელდება და მის დასრულებას ჯერ-ჯერობით ბოლო არ უჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ქართული პატრიოტული ბრძოლა გრძელდება, იგი ვერ გაიმარჯვებს, თუ ერის ინტელექტუალური ძალები პატრიოტული იდეებით კარგად ვერ შეიარაღა. მოწინააღმდეგე ყოველდღიურად ზზრუნავს ბრძოლის ტაქტიკის გაუმჯობესებაზე და აქვს მაღალი შედეგები. ასე რომ მდგომარეობა საგანგაშოა.

ფაქტორი V

მტრობა შინაური თუ გარეული დამღუპველია კაცობრიობის პროგრესული იდეების იგი სატანას უხვი მემკვიდრესავით სავსე ფეშვებით გადმოუყრია კაცობრიობასთვის, მაგრამ ყველაზე მეტი სიუხვე ღვთისმშობლის კუთვნილ ქვეყანასთან გამოუჩენია. სატანას ამ „წყალობამ საქართველოში ჰიდრასავით გაიდგა ფესვები და საუბედუროდ მყარდება და ძლიერდება ამ შემთხვევაში ჩვენი საუბრის ძირითადი საგანი შინაგანი მტრობის მიზეზების გამომზეურებაა მისი ლიკვიდაციის მიზანი.

მტრობა გარეული იქნება თუ შინაური, ორივე გამხრნელი და გამანადგურებელია კაცობრიობის მატერიალური და სულიერი კულტურისა, რომელსაც იგი მთელი თავისი არსებობის მანძილზე ჰქმნიდა, ჰქმნის და მომავლშიც შექმნის.

ქართველ კაცს უნიჭობას ვერავინ დასწამებს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ შინაურ მტრობაში მას პირველობაში ვერავინ შეედავება, რადგან მისი ბრწყინვალეობა აქ თვალისმომჭრელ სიმაღლეებს სწვდება, რომელთა მიწვდომაზე თვითონ კენიც ვერ იოცნებებდა.

ქართველმა კაცმა შინაური მტრობა თავისი ისტორიის გარიჟრაჟზეც გამოაცხადა. ქართლის ერისთავებმა იფიქრეს: „უმჯობესია გავერთიანდეთ, მოვკლათ მეფე საურმაგ და გავხდეთ თავისუფალნი, ხოლო თუ ვინმე გამოჩნდება ჩვენზე ძლიერი, მაშინ მივცეთ მას ხარკი და მაინც უფრო მოსვენებული ვიქნებითო“ (იხ. კონსტანტინე გრიგოლიას „რას მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება, გვ.95) ვერ ვიტყვი რომ ქართველ კაცს კარგად ვიცნობდე, რადგან კარგად რაიმეს ცოდნის გამოცხადება კვხნაა, ტრაბახია, მაგრამ ამის თქმის უფლების მივცემ თავს რომ ვთქვა: მე მას საკმაოდ ვიცნობ და ჩემთვის გასაკვირია ქართლის ერისთავების მსჯელობა: „... თუ ვინმე გამოჩნდება ჩვენზე ძლიერი, მაშინ მივცეთ მას ხარკი და მაინც უფრო მოსვენებული ვიქნებითო“. ამ გადაწყვეტილებამ აიძულა საურმაგი. ჩრდილოეთიდან დურძუკთა ლაშქარი შემოეყვანა და ურჩი ერისთავები მორჩილებაში მოეყვანა. საურმაგის დროინდელი ერისთავების მიერ მიღებული პარტიკულაციური ღონისძიების ტენდენცია ჩვენი ერის საუბედუროდ გრძელდებოდა ისტორიის მთელ მანძილზე, რამაც ვაჟა-ფშაველას ათქმევინა: „რუსთ ხელმწიფესა გადასცა ერეკლემ თავის ხმალია, არა სცნო თავის მემკვიდრედ ბაგრატიონთა გვარია“. გსურს თუ არა ქართლის ცხოვრებას მაინც რუსებთან მიყავხარ. დავით IV-ის შემდეგ მხოლოდ რუსებმა შეძლეს 4 სამეფოდ და 7 სამთავროდ დანაკუნებული, საქართველო ერთიან კოლონიალურ მაგრამ მაინც სახელმწიფოდ გააერთიანებოთ.

ჩვენს საწყალ საქართველოში არა გვაქვს მარცვალი, არ გვაქვს მრენველობა, გვაკლია განათლება და კულტურა, არ გვაქვს მოქნილი პოლიტიკა, რომელიც ხალხს სამართლიანობის გზაზე დააყენებდა, მხოლოდ გაჭირვება გვაქვს უხვად და პოლიტიკური პარტიები გვყავს უამრავი, რომ თუ საჭირო იქნებოდა უხვად მოვამარაგებდით მსოფლიო ბაზზარს ერთითაც და მეორითაც.

წითელი მთავრობა რომ შეიცვალა, ყმანვილი კაცი ბებერს აიმედებდა, მსოფლიო ბაზარზე გავალთ და გვეშველებათ. ბებერმა – რა მიგაქვს, ბიძია, იმ ბაზარზე, გაჭირვების მეტი არაფერი გაქვს და შენი გაჭირვება ვის რათ უნდა, თავისიც უხვად აქვს ყველასო.

სახელმწიფო და კოლექტიურობა ის ძალაა, რომელიც საშუალებას აძლევს პიროვნებას მაქსიმალურად გამოამყლავნოს პირადული როგორც დადებითი ისე უარყოფითი თვისებები – სახელმწიფოს როგორც ადამიანების პროგრესული იდეების დამცველს. პიროვნებამ დიდი იქნება იგი თუ პატარა ხელი უნდა შეუწყოს თავისი მისიის შესრულებაში. მაშინ იქმნება ეპოქის შესაფერისი სამართლიანი სახელმწიფო, რომლის უარყოფა საღად მოაზროვნე კაცს არ შეუხლია და პარტიკულაცია ველარ დამკვიდრდება ცხოვრებაში.

ამ იდეების დამკვიდრება ყველგან ძნელია და კავკასიაში ამ ხევსუვეებში მიმოფანტული ხალხი თუმცა ერთნაირი ძალღური ცხოვრებით ცხოვრობს მაგრამ ერთმანეთის ჭირვარამს ვერ იზიარებენ.

„კავკასიის მაღალ ქედზე მიდიოდნენ სვანები,
ირხეოდნენ ბილიკებად გზები დანაქანები,
შუა ღამე რომ გადავიდა ერთი რამი ვეება
დაენია დაღლილ სვანებს და სასტიკად შეება.

... რა დრო და რა ხანა ღდგა სისხლის ფეშხუმი
გადიკიდნენ აქ სვანეთი იქეთ რა ჭა-ლეჩხუმი“.
...ჰოი, სარგის ჯაფარიძევ, ულმობლო ჯაფარაო,
შენმა ჯარმა ჩვენი გზები ჩაჰკეტა და ჩაფარაო“...

(იხ. გალაქტიონის „მწვერვალები ახალ დროის“) ეს გაჭირვება მარტო რაჭა-ლეჩხუმში კი არა ერთნაირად დათარეშობდა მთელ საქართველოში. ჩვენში უძველესი დროიდან ფეხმოდგმული შური და მტრობა განცალკევება და გამარტოკაცება, რომლებსაც ბევრი მასაზზრდოებელი წყაროები გააჩნია, ვინრო სპეციალობების შესწავლის საგანია, მე კი როგორც უბრალო პუბლიცისტი, თავს უფლებას ვაძლევ მათ ძირითად მასაზრდოებელ ფაქტორად დავასახელო არა ქართველი კაცის ბუნება, რომელსაც ხშირად ასახელებენ საქმეში ჩაუხედავი ადამიანები, არამედ კაცთა შორის ურთიერთობების არ არსებობა. ხევ-ხუვეებში მიმოფანტულ ტომებს დადგენილი ჰქონდათ თავის საზღვრები, რომლის შიგნით არავის შემოუშვებდნენ, ხოლო თუ საშუალება ექნებოდათ, სხვისაში სიამოვნებით გადავიდოდნენ.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ საქართველოში არსებული უამრავი პარტიები, რომელთა შენახვა სახელმწიფოს ბიუჯეტს 27 მილიონ დოლარად უჯდება, ხალხის მრავალფეროვანი აზროვნების ნაყოფია, მწარედ ცდება, რადგან იგი არა აზროვნების, არამედ ეროვნული ქიშპის, მტრობის, შურიანობის, ურთიერთსიძულვილის, უნდობლობის და მრავალი სხვა სატანური ზზრახვების გამონატყულობაა და ერთ-ერთი დიდი მნიშვნელობა, ჩემი აზრით, არჩევნებისა იმაშია, რომ იგი თესავს პარტიათა და ადამიანთა შორის ბოლმას და სიძულვილს, დღეს დილით 21-IX-ს ტელევიზორზე ვუსმენდი ობიექტურად მოაზროვნე მამაკაცს, რომელმაც ფოტოგრაფიული სიზუსტით აღწერა ჩვენი სახალხო მეურნეობის განადგურების პროცესი, გამოუხატა ვილაც მსმენელი და ლანძღვა-გინებით მოთხარა. ღმერთო ჩემო, ნუთუ იმისთვის უნდა ლანძღონ და აგინონ ნასწავლი კაცი, რომ ობიექტის ობიექტური თვალთ დაწახვა შეუძლია.

ქართული მრავალპარტიულობა და თვითმმართველობა პრეისტორიისაკენ ექაჩება განვითარების იმ დონეზე მდგომ ხალხს, რომელზედაც ამჟამად ქართველი კაცი იმყოფება. სხვა დროსაც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ევროპული შაბლონი საქართველოს არ მოერგება სანამდე იგი საქართველოა და არა საფრანგო, საინგლისო, საესპანელო ან საგერმანელო. იქ ასე თუ ისე ხალხიც და მთავრობაც კანონმორჩილია. საქართველოში კანონს იმისთვის კი არ ემორჩილებიან, რომ იგი სავალდებულო ნორმაა, იმ ხალხისათვის, ვისაც ეს ნორმა კანონად უქცევია, არამედ იმისათვის რომ მას იგი გარკვეულ შემთხვევაში რალაცაში აწყობს და მოგებას აძლევს და თუ მოგებას არ აძლევს, მაშინ ფეხებზე იკიდებს. ასეთ საზოგადოებაში გამართლებულია მხოლოდ მკაცრად ცენტრალიზირებული მმართველობა და არა თვითმმართველობა. თვითმმართველობა შეეფერება მონესრიგებულ სახელმწიფოს და მაღალი კულტურის მქონე საზოგადოებას, მაგრამ ისეთ ხალხისათვის რომელიც სახელმწიფოს მაგვარ წარმონაქმნში ცხოვრობს, ისევე შეუფერებელია, როგორც ვირისთვის ძვირფასი ქვებით მორთული ოქროს უნაგირი.

პარტიკულაციისაკენ სწრაფვა ყოველთვის დიდ სამსახურს უწევდა და უწევს სატანას ცალკეული ერების დაჩიავებისა და დასაწყლების საქმეში. იგი თავისი ავანტიურისტული ინტერესების გასატარებლად ახლაც ნოყიერ ნიადაგს პოულობს რესტავრირებულ ბურჟუაზიულ-კულაკურ იდეოლოგიაში და ეწევა პროპაგანდას ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრების საქმეში, ვის

აქვს იმის გარანტია, რომ სოფლის ბურჟუა ამავე სოფლის ერთმმართველი არ გახდება. რა იცის ხალხმა იმის შესახებ, რომ დიდი ხნის წინათ მას ილია ჭავჭავაძემ ასეთი დარიგება მისცა: „ბებერსა სასძლოდ მოსულსა უფრთხილდი, მოერიდეო“.

ფაქტორი VI

ეროვნული და პირადი ინტერესების გათიშვა დამლუპველი ფაქტორია, როგორც ერისთვის, ისე ბერისთვის. კაცი სოფელს ეკუთვნის და სოფელი კაცს. ზოგიერთ უნამუსოს სოფელი მხოლოდ იმისთვის უნდა, რომ ის იყოს მისი მუდმივი მამასახლისი და თუ თავისი ამბიცია ვერ დააკმაყოფილა, სოფელზე ხელს იღებს, რაც დიდი ცოდვაა, ასეთი კაცები სოფლის პატრონობისთვის უვარგისნი არიან. მათ არ მოსწონთ არც გულახდილი და არც ობიექტურად მოაზროვნე ადამიანები. არც ნიჭიერი ახალგაზრდები და ხელის შეწყობის მაგივრად მათ ზნეობრივ და ინტელექტუალურ დაჩივებაზე და დასაწყლებაზე ზრუნავენ და რამდენადმე აღწევენ კიდეც მიზანს. ასეთი ადამიანები დამნაშავენი არიან როგორც ღმერთის ისე ბუნების წინაშე.

ხშირად ხდება რომ მთავრობის ან ეკლესიის იერარქიულ კიბეზე დიდი ადამიანები შესაფერის ადგილს ვერ იკავებენ, მაგრამ იმ ადგილიდან ემსახურებიან ქვეყანას ნამუსიანად, სადაც დგანან ილია ჭავჭავაძეს არასდროს თავისი სიდიადის შესაფერისი თანამედებობა არ ჰქონია, მაგრამ ამისათვის ინტერესი არასდროს დაუკარგავს საზოგადოების ნამუსიანად მომსახურეობის საქმეში.

სოფელი კი ცდილობს, როგორც რიგითი, ისე რჩეული ადამიანების დაცვას, მაგრამ სატანას მანქანებით დამოძღვრილი ბოროტი კაცების წყალობით ხშირად სწირავს თავის ერთგულს და საყვარელ შვილებს. ადგებიან საქმეში ჩაუხედავი ადამიანები და გინებით თხრიან ხალხს, თქვენი უყურადღებობით ხდება ყველა დანაშაულიო. იმას ვერ ანგარიშობენ, რომ სატანა ღმერთზე მეტი აქტიურია თავისი სტრატეგიის დაცვის საქმეში, ღმერთი ჰქმნის, სატანა კი არ ჰქმნის არამედ ღმერთის მიერ შექმნილს ითრევს და იყენებს თავის ტაქტიკის განსახორციელებლად. იგი ერთგული დარაჯია ბოროტებად გარდაქმნილ ადამიანური ქცევისა და ინსტინქტებისა და ერთი ნუთითაც არ ტოვებს მათ. ხოლო ღმერთი (გნყალობდეთ მისი მადლი) აღარ აკონტროლებს თავის მიერ შექმნილ ადამიანების მოქმედებას. მან მისცა ადამიანს თავისუფალი არჩევანის უფლება და ამით შემქმნელმა მოიხადა თავისი ვალი შექმნილის წინაშე და მიუშვა თავის ნებაზე. თავის ნებაზე

მიშვებული ხალხი სატანას მიერ მოწყობილი წენვა-გლეჯის ბაზარზე: „... სად ყოველი ნიჭი მაცდურებაა, ... სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისას“. გადის საასპარეზოდ... აქ ადამიანი გამარტოსულებულია გადარჩენის ინსტინქტით შებყრობილი იგი უფრო სამშობი ხდება, ვიდრე მისი ფანტაზიის მიერ მოგონებული ქიმერები და დრაკონებია, გამარჯვებულთა მცირერიცხოვანი რაზმი ჰქმნის თავის მიზანთროპულ მთავრობას რომელიც თავისი შეფის ბატონობის შესანარჩუნებლად უხვად იყენებს ყოველგვარ ლიბერალურ კანონებს ივანე კრილოვს დიდი ხნის წინათ შეუმჩნევია ლიბერალური კანონების უსარგებლობა: „... როცა მგელმა საბრალლო ცხვრის მოტაცება გადაწყვიტოს, ცხვარს ნება აქვს რომ ის მგელი არ გაუშვას, დაიჭიროს“.

ლუკმა-პურის მაძიებელ გამარტოსებლებული კაცი ხელს იღებს, „...ცა-ფირუზ, ხმალთ-ზურმუხტ“ სამშობლოზე და გარბის თურქეთისკენ თავქუდმოგლეჯილი ცარიელი სტომაქის გადასარჩენად, რომელთანაც უშუალოდაა სული დაკავშირებული. იმ სათათრეში სტომაქს თუ საზრდო მიაწოდა, მაშინ სულსაც. შეინარჩუნებს, ადამიანთმცოდნეების შეხედულებით მიუტყევებელი ცოდვია ხალხის ლანძღვა-გინება თუნდაც დიდი ავტორიტეტებისაგან. იგი ყოველთვის ისეთი იქნება, როგორიც აღზარდეს როგორიც ჩამოაყალიბებს და რა მდგომარეობითაც აცხოვრებენ. მართალია, მისი გაუთვითცნობიერებელი ნაწილი რომელსაც ბრბოს ეძახიან (მათი რიცხვი რაც მცირეა, მით უფრო ახლოა ხალხი სრულ ქმნილებასთან) ხშირად (და არა ყოველთვის) ებრძვის ხალხს და მასთან ერთად პროგრესიულად მოაზროვნე პრეროგატივებს. მაგრამ მათ ორგანიზაციის თავი არა აქვთ და თუ ნასწავლ გაიძვერებს არ ჩაუვარდნენ ხელში, მალე იშლებიან და ხელს იღებენ ბრძოლაზე. მათთან ბრძოლის მხოლოდ ერთი ტაქტიკა არსებობს, დახვეწილი პროპაგანდისტული საუბრების საშუალებით მათი გათვითცნობიერება და არც ერთ შემთხვევაში უხეში ძალის გამოყენება. იმისთვის ხომ არ ვბეჭდავთ მძიმე წიგნებს, რომ ადამიანებს ვათქმევინოთ „უცებნი მოსრნა სწავლულთა სწავლამან ხელოვნებამანო“ – არამედ ის უნდა ვათქმევინოთ: რომ უცებთა ჭკუა ასწავლა სწავლულთა ხელოვნებამან-ო.

ფაქტორი VII

რწმენა კაცობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რომელიც არ შემოიფარგლება მარტოოდენ თეოლოგიური შეხედულებით. თუმცა სიწყვის ვინრო გაგებით მასში იგულისხმება მხოლოდ ქრისტეს, მოჰამე-

დის ბუდას, კონფუციუსის თუ სხვათა მრავალთა მიერ შექმნილი რწმენები.

მეცნიერული გაგებით რწმენა არის რისამე სარწმუნოდ მიჩნევა, მრწამსი მსოფლმხედველობა. ადამიანთმცოდნეები მას მიიჩნევენ ადამიანის დამაიმედებელ და მამოძრავებელ ძალად, რომლის გარეშე კაცი თავის ფუნქციას ძნელად ან საერთოდ ვერ შეასრულებს, გალაქტიონი ამბობს: „ურყეველი რწმენის მტერი გზას ვერარით აგნებს, როს სხვადასხვა მხრით უცქერის სხვადასხვაგვარ საგნებს, საგანიც ფერს მისთვის ხშირად იცვლის იმის გვარად, რისთვის ხედავ რანაირად, რომელ მხრიდან და რად“. როგორც დასახელებული არგუმენტიდან ჩანს, სუბიექტის რწმენას იმოღენა ძალა ჰქონია, რომ გარკვეულ შემთხვევაში შესძლებია ობიექტის შეცვლა. როგორც უკვე ითქვა, რწმენა რაიმეს სარწმუნოდ მიჩნევაა, თუნდაც გულბოროტს. თუ კეთილ არსებად მიიჩნევ, შენს მიმართ დროთა განმავლობაში კეთილი დამოკიდებულების გრძნობა გაუჩნდება.

ნებისმიერი საქმე დროულად და ხარისხიანად სრულდება, როცა მის შემსრულებელს სხვა ფაქტორებთან ერთად გააჩნია სუბიექტური რწმენა, რომ იგი ამ საქმეს მაღალხარისხოვნად შეასრულებს. არის შემთხვევები, როცა სუბიექტს ობიექტური მდგომარეობა აიძულებს ააშენოს შენობა, რომლის აშენება მას არ სწამს, ან გასწიოს პროპაგანდა ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისა, რომლის სიკეთე თვითონაც არ სწამს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მან დავალებული საქმე შეასრულოს, მაგრამ ისე ვერა, როგორც ამას მყარი რწმენის მქონე კაცი შეასრულებდა. გოეთეს უთქვამს თუ საკუთარი თავისადმი გექნება რწმენა, უეჭველია გირწმუნებენ მაშინვე სხვებიც“.

საზოგადოებას უყვარს და თანაუგრძნობს მყარი რწმენის ადამიანებს და თავს იყრის მის ირგვლივ. ხოლო უიდეო, უიმედო ურწმუნო და ორჭოფულ მშენებელს სწრაფად ტოვებს მარტოობაში. შემოქმედი კაცის უდიდესი ძალა მის რწმენასა და კოლექტიურობაშია.

ქართულმა ბიზნესმა და მისმა აღმასრულებელმა, ხალხის მიერ თავისუფალი და საყოველთაო არჩევნების უფლებით არჩეულმა და დაკანონებულმა მთავრობამ. ხალხის დიდ ნაწილს მომავლის რწმენა დაუკარგა (მე მხედველობაში მყავს ჩვენი ერის ის ნაწილი, რომელთანაც მე ურთიერთობა მაქვს), რომლის გარეშე როგორც ზემოთ ითქვა, ადამიანი ვერ ეწევა შემოქმედებით შრომას, ასეთი შრომის გარეშე საზოგადოებრივი კულტურა კი არ ვითარდება, არამედ ადგილზევე იყინება და ნადგურდება, ხალხს რომ კაცობისადმი და შრომისადმი რწმენა დავუბრუნოთ საჭიროა სახელმწიფოს

მაგვარი წარმონაქმნი კი არა, ჭეშმარიტი სახელმწიფო, რომელიც იქნება ხალხის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილის მოთხოვნებისა და ინტერესების დამცველი და მისი ნების აღმასრულებელი, დარწმუნებული ვარ რომ გააზრებული სახელმწიფოს სტრატეგიასაც და ტაქტიკასაც უპრეტენზიოდ მიიღებენ ალტრუისტული და საზოგადოებრივი ხასიათის ადამიანები, ხოლო ეგოისტური ხასიათის ადამიანები ვერა. ისინი ბრბოს აუცილებლად აიყოლიებენ და რაც მცირერიცხოვანი იქნება ბრბო, მით ნაკლები მსხვერპლით ჩამოყალიბდება იმ ტიპის სახელმწიფო, რომელსაც რესპუბლიკურს ეძახიან. დღევანდელ მსოფლიოში სახელმწიფოთა უმრავლესობა რესპუბლიკური მმართველობის მიმდევარია.

ჩვენი ქვეყნის მმართველობა რომელსაც ზემოთ სახელმწიფოს მაგვარი წარმონაქმნი ვუნოდე მხოლოდ იმით აკმაყოფილებს რესპუბლიკური სახელმწიფოს მოთხოვნას რომ სახელმწიფოს მმართველს ირჩევენ გარკვეული ვადით. არის შეზღუდული საპრეზიდენტო მმართველობის რესპუბლიკა, რომლის შემოქმედების ალფა და ომეგა არის ბურჟუაზიის ინტერესების დაცვა, ხოლო ხალხის ინტერესების დაცვის მიზნით მხოლოდ ბიზნესს იყენებს. სხვანაირი ტაქტიკა მას ვერც წარმოუდგენია იგი ღვიძლი პირმშოა იმ იდეოლოგიების, რომლებსაც კაცობრიობის წინსვლა და განვითარება „წითელი გზის გარეშე ვერ წარმოედგინათ და ბეკოს ვირივით მიჰყვებოდნენ ამ გზას პირდაპირ ყოველგვარი მიხვეულ-მოხვეულების გარეშე. როგორც მიამიტ კომუნისტს ვერ წარმოუდგენია ქვეყნის შენება კოლექტივის გარეშე, ისე ქართველ დემოკრატს ვერ წარმოუდგენია საზოგადოების პროგრესი ბიზნესის გარეშე. სოფლის აშენება წითელმა კაცებმა ვერ შესძლეს ხოლო დანგრევაში ქართულ ბიზნესზე უფრო საიმედო ქიმერას თვითონ სატანაც ვერ ინატრებდა. ამ გაკოტრებულ ქვეყანაში კიდევ არიან „ოპტიმისტები“, რომლებსაც სწამთ, რომ საქართველოს ბიზნესი იხსნის გაჭირვებიდან და რწმენადაკარგულ ხალხს მოუწოდებენ: „გვირჩიეთ დებუტატებად და გაჭირვებას დავამარცხებთო. მაგრამ როგორღაც საეჭვოა, სანყალ გლეხს რომელიც 5000 წელზე მეტია რაც სიღარიბეს ებრძვის და დღემდე ვერაფრისთვის მიუღწევია, დეპუტატმა გაამარჯვებინოს და ქვეშ მოქცეული ზევიდან მოექცეს გაჩენის დღიდან ტყუპისცალივით თანშეზრდილ გაჭირვებას.

საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც შემოაბრუნებდა დეგრადაციის და დეიდეოლოგიის პროცესს. რაც შეეხება პოზიციასა და ოპოზიციას, როგორც აკადემიკოსი ალქო-

ჩარი ამბობს: „ორივე ემსახურება დასავლურ ძალებს, პოზიცია ირიბად, ოპოზიცია კი პირდაპირ. თუმცა საგულისხმოა, რომ ორივე იმართება ერთი სიონისტური ცენტრიდან“.

რუსეთიდან გამოყოფის შემდეგ 30 წელიწადში საქართველო უფრო მეტად დაზარალდა: ზნეობრივად, პოლიტიკურად, იდეოლოგიურად და ეკონომიკურად, ვიდრე რუსეთთან პოლიტიკური თანაცხოვრების ორი საუკუნის მანძილზე. ქართველი ერის გადარჩენისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა: რომ მინისტრებსა და პარლამენტარებს ჩამოერთვათ ის პორტფელები, რომლებიც მათ რუსების ლანძღვა-გინებაში და ევროპის ქება-დიდებაში აქვთ მიღებული. აუცილებელია შევახსენოთ საზოგადოებას ღრმა ფილოსოფოსის აზრი, რომ „დამოუკიდებელი არსებობა მხოლოდ ინდივიდუალურ გრძნობად ობიექტებს შეუძლიათ“. თუ უკანასკნელი სამი ათეული წლის ქართულ ცხოვრებას ობიექტურად შევაფასებთ, აღმოჩნდება, რომ იგი უფსკრულისაკენ მიექანება და მალე ფსკერზე აღმოჩნდება. გოეთეს უთქვამს: „რა თქმა უნდა, კაცი ფსკერზე აღმოჩნდება, მალე თუ პატარა ნაგში ზის და დიდ ზვიგენებს დასდევს“.

აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ უიდეო იდეოლოგიებმა დანტეს შეხედულება, რომ „ტომთა აღრევა ყოველ დროში მოასწავებდა მიზეზს უდიდეს ქალაქების იავარქმნისას, ხოლო ჭამა-სმა აღრეული მონამლავს სტომაქს“.

ვლებულობ მხედველობაში ჰორაციუსის რჩევას „მოებლაუჭე წამს“. რადგან ევროპა უფრო სწრაფი ჩამყლაპავია ქართული კულტურისა ვიდრე რუსეთი, დილემის წინაშე მდგარი, ვუჭერ მხარს საქართველოს შეერთებას რუსეთთან იმ უფლებებით, რომლითაც იგი „პერესტროიკამდე“ პერიოდში სარგებლობდა, თუ მოხერხდება და მოსკოვი თბილისს თავის ეკონომიკურ სივრცეში აიყვანს. ეს იქნება მიგნებული წინაპირობა იმისა, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა უფსკრულში გადაჩეხვას გადარჩეს და არსებობის შანსი შეიძინოს.

ყოველ მდგომარეობას თავისი გამოსავალი აქვს. საჭიროა, ტვინის გარყევა, რომ გამოსავალი მიაგნო. კმარა ამდენი ფანტაზიორობა, ფანტასმაგორია, ფანტასტიკურობა და ფანატისკოსობა.

აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიმაჩნია თირმიზისეული დარიგება, რომ „ქვეყნად ყველაფერს ეშველება, თუ გვიჭრის ჭკუა“.

ზელიმ ჩაკვეტაძე

23-IX-2020E.

მდიდრებისა და ღარიბების ცხოვრების ინტერპრეტაცია

რას იმაზე მეტი სიგიჟე სიღარიბესთან რომ სიმშვიდეა
მისით სიკვდილის კარებთან იდგე და იძახოდე „ღმერთი დიდია“

გალაკტიონი

*Когда б я властен был над этим небом злым,
Я б сокрушил его и заменил другим,
Чтоб не было преград стремленьям благородным
И человек мог жить, тоскою не томим.*

ომარ ხაიამი

მდიდარი და ღარიბი საპირისპირო ცნებებია. პირველი გამოხატავს უპირატესობას ქონებრივი, პოლიტიკური და უფლებებით აღჭურვილი კაცისა. მეორე: უფულობას, უპურობას, უპატრონობას, შიმშილს, სიშიშველეს და მრავალ სხვა გაჭირვებას. ამ ორის გარდა საზოგადოებაში არსებობს მესამე ფენა, რომელსაც საშუალოს ეძახიან. იგი არსებობდა ძველ საქართველოში, ახალში თითქმის აღარ არის, რადგან ქართული დემოკრატიის შემოტევას ვერ გაუძლო და განადგურდა. იშვიათად თუ შეხვდება დაინტერესებული კაცი მის ნარჩენებს. რუსული სოციალიზმის პირობებში ეს ფენა ავად თუ კარგად არსებობას ინარჩუნებდა (ბოგინობდა), მაგრამ ქართულმა დემოკრატიამ ისე მოხერხებულად შეუტია სატანისეული ილეთებით, რომ დროის მცირე მონაკვეთში ზავი დაადებინა და არყოფნის გზაზე დააყენა.

შოთა რუსთაველს უთქვამს: „ღმერთმა ერთი ვით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“-ო საშუალო ფენის განადგურებით მდიდართა ფენამ ჩალის ფასად შეისყიდა მათი მიწები წარმოების სხვა საშუალებებთან ერთად, რომლებსაც განწირული ფრენა ლუკმა-პურის შექმნის მიზნით ჰყიდოდა, რომ სული გადაერჩინა.

ქართულმა დემოკრატიამ თავისი გამოყენებისთანავე კერძო საკუთრება ჩვენი ცხოვრების პანაცეად გამოაცხადა, რასაც ზემოთ დასახელებული ფაქტები მოჰყვება. ახალმა მთავრობამ, რომელმაც სახელად დემოკრატიული დაირქვა, ხალხისთვის დღემდე

გამოუცნობ გამოცანად დატოვა თავისი ვინაობა, თუ ვის და რას წარმოადგენს იგი. ნასწავლ კაცებს გაუგონიათ მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული, და სოციალისტური დემოკრატიები, ქართული დემოკრატია ჩამოთვლილი დემოკრატიების ყველა თვისებების მატარებელია მეტ-ნაკლებად. მაგრამ ღრმად თუ ჩაწვდებით მის შინაარსს, იგი ძირითადად მაინც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულს უახლოვდება. ჩემი თავის ტვინის სპეციფიკურ ლექსიკონში იგი სხვა ქვეყნების დემოკრატიების განსხვავებულობის გამო შევიდა ქართული დემოკრატიის სახელით.

ქართულ დემოკრატიას საფუძველი დაუდო „პერესტროიკის~ იდეებით შეიარაღებულმა პოლიტიკოსმა ზვიად გამსახურდიამ და მანვე შექმნა ამ დემოკრატიის იდეების დამცველი და გამტარებელი მთავრობაც, რომელიც დღემდე ბოგინობს; მის მიერ შექმნილი მთავრობა რომ ქვეყანას გაჭირვებიდან კი ვერ გამოიყვანდა, არამედ უფრო ღრმად შეიყვანდა მის სიღრმეში ამის შესახებ მაშინვე გამოთქვა პროტესტი ერის ინტელიგენციის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილმა. იმაზე დიდი საშინელება არ არსებობს მოაზროვნე კაცისთვის, როცა მისი გონებისთვალი ხედავს საქმის წახდენას და მას მაინც ჩასისინებენ ყურებში შენ ვერ ხვდები, თორემ საქმე კი არ ფუჭდება, კეთდებაო. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დავინყე წერა „სამტრედიის მაცნეში“ ანტისამთავრობო პუბლიცისტური სტატიების ციკლისა „ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს“ წერა, რომელშიც დამტკიცებულია, რომ იმ ჭკუით ქვეყნის მართვა, რომლითაც ჯერ გამსახურდია მუშაობდა და შემდეგ მისი „პოლიტიკური მემკვიდრე“ ედვარდ შევარდნაძე, ქვეყანას მიიყვანდა იმ მდგომარეობამდე, რომელიც ამჟამად გვაქვს. ჩვენი „დიდი პოლიტიკოსების“ წყალობით თუ ხარ ცოცხალი:

შევარდნაძისეული პრივატიზაცია, რომელიც უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა გამსახურდიასეული ეკონომიკურ პოლიტიკისა აგრძელებს „ხალხმა“ კოოპერაცია მიწის პრივატიზაციაც ისე მოხერხებულად გამოიყენა, რომ გლახს თავის დღეში წელში გასწორების საშუალებას არ მისცემენ“ (იხ. ჩემი „ხმა ამოიღე“ გვ.80 აბზ. ბოლოდან მე-2). წელში გასწორების საშუალება მისცეს კი არა, მთლად გადაწყვიტეს წელში და წყალს გაატანეს მისი იმედები ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ. მთავრობა კი ცდილობს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებაზე, მაგრამა მისი დებულების რეალურად განხორციელება შეუძლებელია. მისი ტაქტიკა რომ გააკეთილშობი-

ლოს მისი მწყალობელი ბურჟუაზია და ხალხის გაჭირვება გულთან მიიტანოს არცერთ შემთხვევაში არ მოხერხდება. გავიხსენოთ გალაკტიონის ლექსი ბურჟუაზიის მწყალობელ ბუნებაზე: „რა სიკეთეს მოელი გამვლელ-გამომვლელიდან, თუ რამ მემამულეებს არ წაართვი ხელიდან“.

მაქსიმ გორკი ადამიანებს ორ ძირითად ნაწილად ჰყოფდა: „Говорят что на земле живут разные нации, но я это не верю. На земле живут две непримиримые племена – Богатые и бедные“ (Мать 21).

ბურჟუაზია რომ საქმიანი კლასია, ამის უარყოფა არც ერთ ნორმალურად მოაზროვნე კაცს არ შეუძლია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მისთვის ეროვნული, სარწმუნოებრივი და ზოგადკაცობრიული იდეალები არსებობენ იმდენად, რამდენადაც ისინი მისთვის ფულის გაკეთების საშუალებებს წარმოადგენენ. ფული მათთვის იგივეა, რაც მართლმორწმუნე ქრისტიანისთვის ქრისტე და მაჰმადიანისთვის – მოჰამედი.

როცა სოლომონ მეჯღანუაშვილს ექიმმა განუცხადა „თქვენი ქალიშვილის მდგომარეობა უიმედოაო“ სოლომონმა მსუბუქი საყვედურით მიმართა მას: „ექიმო, თუ არ მორჩებოდა, ფულს რაღაზე მახარჯებდიო“. ასეთი ცნობის შეტყობინებისას ქართველი გლეხი ბლავილით შესძრავდა გარემოს, რადგან მის ძარღვებში ქართული სისხლი დულს და არა ის სითხე, რომელიც სოლომონის ძარღვებში ტრიალებს, მას პოეტურად მოაზროვნე ადამიანები ჭაობის დუბელას ეძახიან. სოლომონი ტიპიური წარმომადგენელია იმ კლასისა, რომელსაც კაცთა ცხოვრება გზად და ხიდად მიაჩნია ფულის საშოვრად მიმავალ გზაზე.

დიდი დამცველი ადამიანური ზნეობისა არც ფეოდალთა კლასი იყო, ბურჟუაზიამ კი წყალს გაატანა ყველაფერი და თავისთვის დაიტოვა მხოლოდ ფულისადმი თაყვანისცემა.

საქართველოს სჭირდება გულისხმიერი და შემოქმედი პატრონის ხელი. ხალხის დაცვა და პატრონობა მის მიერ არჩეულ და დაკანონებულ მთავრობას ძალიან უჭირს, რადგან მისი ზრუნვის ძირითადი საგანი არის ბურჟუაზია, მეორე ადგილზე მისი მოხელეები არიან, რომელთა რაოდენობით იგი ძნელად თუ ვინმეს დაუთმობს პირველობას. 17 სამინისტროს პატრონია ჩვენი მთავრობა, მაშინ როცა სამინისტროების ამ რაოდენობით კმაყოფილდება მსოფლიო გიგანტი და მბრძანებელი აშშ-ი და საწყალი ხალხი სულ ბოლოს

ახსენდება, როგორც ავ დედინაცვალს გერი. ასე რომ ხალხის მიერ არჩეული მთავრობა ხალხის პატრონობაზე აქტიურობას ვერ იჩენს.

ხალხი ნელი ტემპით და ბრბოები აჩქარებულად ებმებიან ბურჟუაზიის სამსახურში, რაც გლობალიზმის და კოსმოპოლიტიზმის გამარჯვებასთან აახლოებს მათ.

ბურჟუაზია, რომელიც ხალხის ინტერესებიდან თითქმის მოწყვეტილია და მთავრობაც მარწუხებში ჰყავს მომწყვდეული, ყოველნაირად ცდილობს თვალეები აუხვიოს მტერსაც და მოყვარესაც, ბრძენსაც და რეგვენსაც (თუმცა ამ უკანასკნელს თვალეები ისედაც ახვეული აქვს) ახლობელსაც და შორებელსაც. სხვას რას უნდა მიენეროს ის მოღვაწეობა, რომელსაც მთავრობა ეწევა ტრენაჟორების, ფანტალების, სპორტული მოედნების და სხვათა მოწყობით. ეს ყველაფერი კარგია, რომ კეთდება, მაგრამ პურის გაძვირების ხარჯზე მათი მოწყობა უკვე დანაშაულია. სოფლის მეურნეობის ისეთი გაპარტახება, როგორიც ჩვენში მოხდა, არც ერთ მთავრობას არ ეპატიება. ვისაც სერვანტესის წიგნში ჩაუხედავს, ემასხოვრება დონკიხოტისეული დარიგება „...ადამიანის კარგადმყოფობა კუჭში იჭედება, სანჩო...“ ჰომეროსის მელორე ასე არიგებს ოდისევსს: „...ამ ქვეყნად ყველაზე დიდი სატიკვარი ცარიელი სტომაქია, ყმანვილო, ჯერ მწვადეები მივირთვათ და შემდეგ სხვა საქმეებს მივხედოთ“-ო.

დიდად ამაყობენ ჩვენი მთავრობის კაცები გზებს ვაკეთებთო მაგრამ რისთვის?! მშიერი კაცის გზა საით მიდის?! ...იქ საიდანაც იესო ქრისტეს მეტი არავინ დაბრუნებულა და თუ ადოლფ ჰიტლერს დაუჯერებთ: „...ისიც ურიების მოჩმახულია“. ილია ჭავჭავაძეს ლელთლუნია ასე ეუბნება: „გზა მაშინაა კარგი, როცა კაცს რამე მოსატანი აქვს ან ნასაღები და რაღაცა ხეირს ნახულობს. გზას რომ დადგე და იარო, ამისთვის ვინ მოგცემს რამესო“.

მხოლოდ შლეგს შეუძლია დაიჯეროს, რომ ეს გზები ქართველი კაცისთვის შენდებოდას. მისთვის გზები მაშინ კეთდებოდა, როცა სამ კაპიკად „ჩვენი კონკა“ მთელ ქალაქს შემოგატარებდა. გაკეთდა გზები, შემცირდა ტექნიკის ცვეთა საწვავის ხარჯი, მომსახურეობის დრო, ამას უნდა მოჰყოლოდა მგზავრობის გაიაფება, მაგრამ პირიქით – გაძვირდა, აი როგორია ბურჟუაზიის სამართალი. ბურჟუაზიის მხარეზე სასწორის პინა მიწამდეა დასული, ხალხისკენ კი ცაშია ასული.

თბილისის მაღაზიებში ხორცის ფასი 15 მანეთიდან 18-ზე ავიდა, მთავრობა ვერავითარ ტაქტიკას ვერ იმუშავებს ფასების შესაჩერებლად, რაც მის დაბალუნარიანობაზე მიგვითითებს. შიმშილით არავინ მომკვდარაო, ამბობენ საქმეში ჩაუხედავი კაცები: ისინი ვერ ითვალისწინებენ იმას, რომ შიმშილით სიკვდილის დიაგნოზი არ არსებობს, იგი თვითონ კი არ კლავს, არამედ მშობელი და გამაძლიერებელია იმ სნეულებებისა, რომლებიც სიკვდილს იწვევენ.

100 წლის წინათ მუშა ღებულობდა 2 რუბლსა და 39 კაპიკს, რომლითაც შეიძლებოდა გეყიდა 8 კგ. ყველი, ან 7 კგ. ხორცი, ან 14 კგ. ლობიო, ან 29 კგ. კომბოსტო, ან 50 კგ. კარტოფილი. გასაკვირია, რომ დროის იმ მონაკვეთში, რომელიც შეიცავს XX საუკუნის პირველ მეოთხედს, როცა სოფლის მეურნეობა მთლიანად ხარებსა და ცხენებზე იყო დამყარებული 3-ჯერ იაფად იყიდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტები ვიდრე ახლა იყიდება. ას წელიწადში მოხდა მძლავრი ტექნიკური რევოლუცია. წარმოებამ ხარებიდან და ცხენებიდან ავტომობილზე და მძლავრ ტრაქტორებზე გადაინაცვლა, მაგრამ ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე კი არ შემცირდა, პირიქით – გაიზარდა. სად მიდის ტექნიკის დანერგვით მიღებული მოგება?! 1. მერსედესების შექენაში; 2. არჩევნების ხარჯებში; 3. ევროპაში დიპლომატიური მისიით გაგზავნილი ჯეელების უზრუნველყოფაში პარლამენტარების, მინისტრების, ბანკირების და სხვათა კოლოსალურ ხელფასებში. არცერთი სახელმწიფოს მთავრობას არასდროს არ ქონია პატივი, რომ მის შესანახავად სახელმწიფოს თავისი ბიუჯეტის 43% გამოეყო, გარდა საქართველოსა.

არც ოპტიმიზმის და არც პესიმიზმის საქმეა, ის ამბავი, რომ ზემოთ მოყვანილი არგუმენტების თანახმად, რომლის მიხედვით სურსათის 3-ჯერ გაძვირება მიგვითითებს გაბატონებული კლასის და მისი ფავორიტი მთავრობის მიერ ხალხის არაკეთილმომსახურეობაზე არამედ ძარცვაზე. გაძარცულნი და ამ შიმშილისაგან გაძვალტყავებული ხალხის ერთადერთი იმედი ისლაა, რომ „ღმერთი დიდია“.

კომუნისტები ხალხის ნაშრომის ძირითად ნაწილს ზარბაზნის ლულაში ტენიდნენ, რომ რუსული სოციალიზმი გადაერჩინათ, ქართული ბურჟუაზია სტომაქის ერთგული მსახური შეიქნა, ყორავს და ყორავს. „დიდმა ღმერთმა“ კომუნისტებს ოხრად დაარჩინა წითელი

ზარბაზნები, გიგანტური ტანკებიც და ზებგერიითი თვითმფრინავებიც, ვნახოთ, რას უზამს ქართულ ბურჟუაზიას შეარგებს ხალხის ნაძარცვს თუ გაუტრიტავს სტომაქს.

2019 წლის 15 ნოემბერის „საქართველოს რესპუბლიკა“ გვატყობინებს: რომ საქართველოში მდიდართა შემოსავლები 17-ჯერ აღემატება ღარიბთა შემოსავლებს, მაშინ როცა მდიდრები წარმოადგენენ მოსახლეობის 10% აქ ანგარიში უნდა გაენიოს იმას, რომ ეს 10% 17-ჯერ მეტს ლებულობს ვიდრე მოსახლეობის 90%-ი.

სიღარიბე და გაჭირვება ხალხს არსად არ აკლია, მაგრამ თუ გადავხედავთ საზღვარგარეთის ქვეყნების მდგომარეობას, აღმოჩნდება, რომ საქართველო გაჭირვებაში და სიღარიბეში ძნელად ან საერთოდ არავის დაუთმობს პირველობას. ტოკიოში საშუალო ხელფასი ფავორიტი მთავრობა?! დაკმაყოფილდებიან ევროპიდან შემოტანილ საქონელზე 1000%-იანი ფასნამატით, თუ კიდე წასწევნენ წინ თავიანთ „შემოქმედებას?!“ რა იცის ქართული ბურჟუაზიის ფავორიტი მთავრობამ კენედის შეხედულების შესახებ: რომ „საზოგადოება, რომელსაც არ შეუძლია, გააუმჯობესოს ღარიბი უმრავლესობის ბედი, ვერ დაიცავს მდიდარ უმრავლესობას“ რა იცის ჩვენმა „დიდად განათლებულმა“ ხალხმა, რომ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაურევლობა ქართული ბურჟუაზიისათვის სასიცოცხლო ელექსირია და ნამდვილი პანაცეაა და რომელთა მეოხებით მას შეუძლია სხვის ჩაურევლად იბატონოს უმრავლესობაზე. რა იცის ხალხმა ჰაინეს შეხედულების შესახებ: რომ „ხელმწიფეებს აქვს გრძელი ხელები, წმინდა მამებს – გრძელი ენები და საწყალ ხალხს კი – გრძელი ყურები. რა შეუძლია თქვას მთავრობამ პროფესორ ახუაშვილის მიერ გამოთქმულ აზრზე: რომ „საქართველოში ბინძური კაპიტალის ექსპანსიის გარეშე ცხოვრება არ შეიძლება?“ რა იციან ხალხის რჩეულებმა იმის შესახებ: რომ სხვის საქმეში სასიკეთოდ ჩარევა მტრობა კი არა მოყვრობაა, ცუდკაცობა კი არა კაიკაცობაა. რა არის მიზეზი იმისა, რომ ხალხს ამინდის ბიუროს პროგნოზები უფრო სჯერა ვიდრე მთავრობის ტრაქტატები?! როგორ დაუბრუნოთ ხალხს რწმენა კაცობისა და პატიოსნებისა?! როგორ მოვახერხოთ იქ ისეთი მთავრობის შექმნა, რომელსაც ხალხი თავისი ინტერესების დამცველად ჩათვლის?! როდის ირწმუნებს ხალხი, რომ მისგან არჩეული მთავრობა ღმერთს ემსახურება და არა სატანას?!

იძულებული აბორიგენული ქართველი თავის ქალაქს ტოვებს და გარბის უცხოეთში სულის გადასარჩენად. მის მინაზე კი პატრონიანი და ფულიანი უცხოელი მკვიდრდება მთელი თავისი ცხოვრებისეული ატრიბუტებით.

დღეს ყველაზე აქტუალური კითხვაა: ეშველება საქართველოს?! – „ამნაირი მუშაობით, არა მამა, არა“.

გაზეთმა „რეზონანსმა“ 2018 წლის 8-VIII თვეს მოგვანოდა ცნობა რომ „ქართველებმა საზღვარგარეთ 791,4 მილიონი ლარი დახარჯა ექვს თვეში. რა გააკეთეს ასეთი ღირებულებით? იქნებ გვიპასუხოთ ვინმემ. აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ბურჟუაზიის მიერ სახელმწიფო ხაზინაში შეტანილ ფულს მთავრობა ხშირად უყაირათოდ ხარჯავს და იმის მაგივრად, რომ სახალხო მეურნეობა განვითარების და ხალხის კეთილდღეობას მოახმაროს სადღაც დასავლეთში ახარჯვინებს პრეროგატივების შვილებს რესტორნებსა და კოფე-შანტანებში. პასუხისგებაში არავის აძლევენ ფულის არადანიშნულების მიხედვით დახარჯვებუ.

ხშირია შემთხვევები, როცა ფული იხარჯება, საქმე კი უხარისხოდ ან საერთოდ არ კეთდება ხომ არ მოითხოვს ხალხის ინტერესების დაცვა სტალინურ მარნუხებს?! ან ბერიას პლოსკო-გუბცებს?! – თუ ორივეს ერთად?!

მოსამართლეები როგორც ეს ჯერ კიდევ ბალზაკს შეუმჩნევია „კედელს ამაგრებენ ღარიბთა და მდიდართა შორის, რადგან მისი დანგრევა საზოგადოებრივი წესრიგის დასასრულს გამოიწვევს, რა ჰქნას ხალხმა, როგორ ირწმუნოს იმ მთავრობის სამართალი, რომელიც ხედავს: რომ „ერის კუთვნილი მთელი ქონების ძირითადი ნაწილი 60 კაცის ხელშია მოქცეული“ (იხ. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“ 15.11.2019 წ. და სანყალი ხალხი ნასესხები ფულით ინახავს 17 სამინისტროს მთელი თავისი შემადგენლობით.

მთავრობა თავისი დადგენილებების და კანონების დასაცავად აქტიურად იყენებს სასამართლოს და პროკურატურას. აქედან სასამართლოს არა აქვს არავითარი უფლება სიმართლის გზიდან გადაუხვიოს (თუ გადაუხვია მაშინ ის სასამართლო აღარ იქნება) ბოლო წლებში ქართულ ენაში გაჩნდა ახალი ცნება: სამართლიანი სასამართლო. სიტყვა სა- სამართლ-ო-სთან შეიძლება მსაზღვრელ წევრად გამოვიყენოთ სხვადასხვა ეპითეტები კომუნისტური, ფაშისტური, ბურჟუაზიული, ქურდული, ეკლესიის და მისთ. მაგრამ არცერთ შემთხვევაში სამართლიანი, რადგან ამ სიტყვის შინაარ-

სსა-ო სუფიქსები შეიცავენ, ასე რომ უსამართლო და სასამართლო ერთმანეთის მიმართ ანტითეზებია და ერთმანეთთან მსაზღვრელ-საზღვრულად ვერ დადგებიან, უფრო სწორად არ იქნება გამართლებული ლოგიკურად.

სამართალს რომ დაცვა უნდა ამაზე არავინ შეგვედავება, მაგრამ სადაო ის საქმეა, რომ ადამიანებმა არ იციან რა არის უსამართლობა და რა არის სამართლიანობა, რომის პაპმა თავისი გადაწყვეტილება ჯორდანო ბრუნოს დანვის შესახებ სამართლიანობად მიიჩნია. ნიურნბერგის პროცესზე მართლმსაჯულება გადაულახავ წინააღმდეგობაში ჩავარდა: დამნაშავეთა გარკვეულმა ნაწილმა თავი დამნაშავედ არ სცნო, რადგან მათ ფაშისტების გაბატონებისთვის ბრძოლა მთელ მსოფლიოში, დიდ კანონიერებად და სამართლიანობად მიაჩნდათ. კრილოვის დათვის სამართალი ის არის, რომ უხეში ძალით მორჩილებაში მოიყვანოს გარემომცველი სამყარო.

„...დათვმა უთხრა: ვერ გავიგე, სათხოვარი რა გაქვს შენო, მიბრძანე და აქ სუყველას ჩამოვანყოზ როგორც ჭერსო, დავტორავ და ისე გავხდი, ვერ არჩევდეს რბილს და ძვალსო, მერე ვინ რას გაუბედავს შენს კანონს და სამართალსო“.

ამერიკის ძველმა პრეზიდენტმა საქართველოში შექმნილ ბიზნეს გარემო, რომელიც თაღლითებს საშუალებას აძლევს, საქონელი 1000%-იანი ფასნამატით გაყიდოს, საუკეთესო ფაქტორად მიაჩნია საზოგადოების განვითარების საქმეში და მთელ კაცობრიობას ამცნო „საქართველოში საუკეთესო ბიზნეს გარემოაო.“ ამის თქმას სხვა კაცი, თუნდაც იესო ქრისტეს თავი რომ სდგომოდა, ვერ შესძლებდა. ის უნდა ეთქვა იმ კლასის წარმომადგენელს, რომელიც კაცობრიულ ცხოვრებას იმ ჭუჭრუტანიდან ხედავს, რომლიდანაც მხოლოდ სამი საგანი ჩანს: ფული, ფული და ფული.

რადგან ხალხის მიერ არჩეული და დაკანონებული მთავრობის ძირითადი საზრუნავი ბურჟუაზიაა, რომელიც ქვეყნის წარმმართველ ძალას წარმოადგენს 2 საზრუნავს მისი მოხელეები წარმოადგენენ, ხოლო ხალხი, რომელიც მისი ამომრჩეველი და დამკანონებელია, პატრონის ხელის ნაკლებობას განიცდის, გამართლებულად მიმაჩნია სახელმწიფოს მიერ ევროპული საპალატო წესის ქართულ პრიზმაში გატარება და მისი დამკვიდრება.

1. თემთა პალატა, ირჩევა დემოკრატიული წესით და უშუალოდ პატრონია მდაბიო ხალხისა. პრემიერ-მინისტრი და სხვა მინის-

ტრებიც არიან თემთა პალატის წევრები. **2. ლორდთა (ანუ ბურჟუაზია) პალატა.** ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა. ქართული ცხოვრება ვეყრდნობი რა შალვა ნუცუბიძის აზრს: რომ „საქართველოში ყველაფერს გაპატიებენ გარდა ნიჭისა“ საჭიროდ მიმაჩნია: შეიქმნას **3. სწავლულთა და მეცნიერთა პალატა,** რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება მეცნიერებათა მიღწევების დანერგვა სახალხო მეურნეობაში და სასწავლო დაწესებულებების ზედამხედველობა. მე მხოლოდ ნაწილობრივ ვეთანხმები ნაპოლეონის რჩევას: „მოუარეთ ნიჭიერ კაცებს, უნიჭოები თვითონ გაიკვლევენ გზას: დიდი ნიჭის კაცს დიდი პატრონი სჭირდება, მის გარეშე იგი ჯეროვნად ვერ გამოიყენებს თავის უნარს, რითაც თვითონაც ზარალდება და საზოგადოებაც. ხოლო უნიჭოების უპატრონობა დამღუპველია მათთვისაც და საზოგადოებისთვისაც, უნიჭოებსაც კარგი პატრონი სჭირდება, თორემ სუყველა პარლამენტში ამოყოფს თავს და ასე იტყვიან: „ფეხებზე მკიდია ხალხი რას იტყვისო“ მე ხალხის მასწავლებელი ვარ და საშუალო კაცის პირობაზე კარგად ვიცი, რომ იგი სასიკეთოს ბევრს ვერაფერს იტყვის, მაგრამ არც ის არის სწორი, რომ ვთქვათ ქვიანიური არაფერი წამოსცდებაო. ზოგჯერ ეს გაუთლელი ხალხი ისეთ რამეს გეტყვის გეგონება, ბრძენთა ბრძენი მესაუბრებაო. თუნდაც კარგი ვერაფერი გაგაგონოს, მაინც უნდა მოუსმინო, თუ არ მოუსმენ მის ცხოვრებას ვერ ჩასწვდები, თუ ვერ ჩასწვდები, ვერ უპატრონებ და ვერც უმკურნალებ. თუ უმკურნალებ და უპატრონებ, მაშინ მას თავისი უნარის შესაფერისად შემომქმედ კაცად აქცევ და კარგი გუთნის დედა რომ უკეთესია ვიდრე ცუდი პრეზიდენტი, დარწმუნებული ვარ, რომ ამაში სადავო არაფერია.

სამი პალატის საბჭომ უნდა გადაწყვიტოს და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე თავის ნებას დაუქვემდებაროს როგორც ბურჟუაზიის ისე მდაბიო ხალხის და ინტელიგენციის ბედი. ეს სამება იქნება საერთო პასუხისმგებელი ქვეყნის ცხოვრებაზე და პერსონალური – თავისი პალატის საქმიანობაზე.

საბჭოს, კი გაუტეხა სახელი წითელმა პოლიტიკამ, მაგრამ ოგო მაინც იყო, არის და იქნება დემოკრატიული მართვის ყველაზე მიგნებული და გამართლებული ფორმა.

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „კვალში“ 2015 წ; ის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ მიმართვას: რომ „საქართველო არის ქვეყანა, სადაც სიმართლეს ვერ ვპოულობთ 25 წელი.

რას ველით მომავალში?! დაგვიანებით, მაგრამ მაინც ვპასუხობ: მომავალში მოვიმკით იმას, რასაც აწმყოში დავთესავთ. ლეიბნიცის აზრი: „აწმყო შობილი წარსულისგან, არის მშობელი მომავლისა“, უდავო ჭეშმარიტებაა. მამებმა ავად თუ კარგად თავისი ვალი მოიხადეს ცხოვრების წინაშე და მიუხედავად სატანის მიერ მრავალგზის შემოტევისა ქართული ზნეობაც და ეკონომიკაც შეძლებისდაგვარად გადაარჩინეს მათ მიერ გადმოცემული ღირებულებების დასაცავად ჩვენ გვმართებს იდეური და პოლიტიკური ბრძოლა და მარტოოდენ იმის იმედით ცხოვრება რომ „ღმერთი დიდია“ სასიკეთოს ბევრს ვერაფერს მოგვცემს, რადგან იგი სიდიდეს და წყალობას იმასთან იჩენს, ვინც ზნეობრივი და ეკონომიკური ცხოვრების გასამტკიცებლად გამუდმებით იბრძვის. ჩემს წიგნში „ჩემი კომენტარები“... ნათქვამია: რომ „ქართველი საზოგადოება მოელის ახალ პოლიტიკურ პარტიას, რომელმაც ლიდერის როლი უნდა შეასრულოს ქართველი ხალხის გადარჩენის საქმეში. მან პირველ რიგში უნდა შექმნას ის „სამეზბის საბჭო“, რომელზედაც მე ზემოთ მქონდა საუბარი. ამის შემდეგ ერსად და ბერსაც გაუჩნდება პატრონი, რომელიც საუკუნეობით ფეხმოდგმულ „წენვა-გლეჯის ბაზარს“ ექსტერნად ვერა მაგრამ დროთა განმავლობაში გამოაცლის არსებობის საფუძველს და არ არის გამორიცხული რომ გარკვეულიდროის შემდეგ იგი როგორც ყოველგვარი ბოროტების მშობელი და მამოძრავებელი ძალა, საბოლოოდ ისე გაანადგუროს, რომ მისგან მტვერიც არ დარჩეს. აი რას ველით მომავალში.

*ფაზისის – საერო სამეცნიერო აკადემიის
აკადემიკოსი ზელიმ ჩაკვეტაძე
4-XII-2020 წ.*

სახელმწიფო და ქართველი კაცი

*სად ქართველი კაცი და სად ერთიანი გარჯა,
სად ქართველი კაცი და სად საერთო გარჯისათვის
ერთად კრებულად თავის მოყრა და ერთად უღლის წევა!..
კალიამაც კი გვაჯობა კალიამაც! ასე იცის წყეულმა დაქსაქ-
სულობამ და გაუტანლობამ, ასე იცის საყოველთაო გრძნობის არ ქონ-
ვამ, რომელიც საკრებულო არსებას უნდა ჰქონდეს, რომ ამ
წუთისოფლის საპალნე ადვილად ასწიოს და ზიდოს“*

ილია ჭავჭავაძე

ჰომო საპიენსის მიერ წარმოშობილმა ადამიანმა დაიწყო გაერთიანება ჯერ გვარებად შემდეგ ტომებად. მაშინ რაიმე საჯარო ხელისუფლება, რაიმე აპარატი არ არსებობდა ადამიანთა დასამორჩილებლად. ირჩევდნენ უხუცესს, ბელადს, რომლებიც ნამდვილად იყვნენ პირველნი გამოცდილების და ნიჭის წყალობით. გვარის საერთო კრებას შეეძლო გადაერჩია წინამძღოლი. ბელადობისთვის არ არსებობდა არავითარი ქონებრივი ან გვაროვნული უპირატესობანი, ყველაფერი დამყარებული იყო პირადულ გამოცდილებაზე ნიჭსა და უნარზე. ჩვენი შორეული წინაპარი ვერასდროს წარმოიდგენდა იმას, რომ მათი შორეული შთამომავალი სერვანტესის სანჩო პანსა საქვეყნოდ გამოაცხადებდა თავისი თვალებით დანახულ შემთხვევებს: „ბევრჯერ მინახავს, რომ ვირი გუბერნატორად მიჰყავდათ“.

სანარმოო ძალების განვითარებით საფუძველი ჩაეყარა კერძო საკუთრებას, რამაც გამოიწვია ადამიანთა კლასებად დაყოფა, ადამიანს გაუჩნდა მოთხოვნილება ღარიბებზე ბატონობისა, რასაც საფუძვლად დაედო სახელმწიფოს და სამართლის გაჩენა. სახელმწიფო არის უმცირესობის ბატონობა უმრავლესობაზე, ხოლო სამართალი ძლიერის ნება კანონად ქცეული. კაცთა თანაცხოვრების ეს ფუნქციები იხვეწება, შალაშინდება და კულტურდება, მაგრამ ძირითადი აზრი ამ ფუნქციებისა მაინც ისეთივეა როგორც დასაწყისში იყო. კი ამტკიცებენ ბურჟუაზიის იდეოლოგიები, კლასთა შორის ბრძოლა აღარ არსებობსო, მაგრამ ამას გულუბრყვილო კაცები თუ დაიჯერებენ, თორემ ჭკვიან კაცს ვერავინ დააჯერებს. ეპოქაში, რომელშიც ზოგიერთ კაცს იმდენი ფული აქვს, რომ მის გადასაზიდავად მატარებლის მთელი შემადგენლობა იქნებოდა საჭირო, ხოლო მეორე წამლის შესაძენად ფულს სესხულობს, წინააღმდეგობა აღარ არსებობდეს. დიდი წინააღმდეგობის გარეშე სახელმწიფო მანამდე ვერ იარსებებს,

სანამ იგი აბსოლუტურად სამართლიანი არ გახდება. იგი მაშინაც საჭირო იქნება, როცა ადამიანები ისეთ კანონებს მიიღებენ, რომ მათ დასაცავად უხეში ძალის გამოყენება საჭირო აღარ იქნება. პოლიციის და ჯარის კაცები იქცევიან ქარხნების, სოფლის, სკოლის, სამკურნალოების და სხვათა კაცებად. მაშინაც სახელმწიფოს ექნება თავისი ფუნქციები, აბა გამვლელ-გამომვლელი ხომ ვერ დაარეგულირებს ხალხის ცხოვრებას. ჩვენ ხალხზე ბატონობა მიგვაჩნია უსამართლობად, თორემ პატრონობას სათნობად მივიჩნევთ, აბა სხვა რა ვარგა ქვეყანაზე უპატრონოდ ხალხმა რომ ივარგოს ვინც უმცროს-უფროსობის მოშლას დემოკრატიის ფაქტორად მიიჩნევს ჩემში იგი ყოველთვის შეურიგებელ მონინაალმდეგეს დაინახავს. როცა საქმე გვაქვს ჭეშმარიტ პატრონობასთან, მაშინ უმცროს-უფროსობასთან ანტაგონიზმი გამორიცხულია.

ადამიანთა კეთილდღეობის გარანტი სხვა გაერთიანებებზე მეტად მაინც სახელმწიფოა და მას განმტკიცება და სამართლიანობის გზაზე დაყენება სჭირდება. ჩვენში ყველაფრის ნაკლებობაა: პურის, ფულის, მინის, სწავლა-განათლების, სამრეწველო და სასურსათო პროდუქციის, მხოლოდ მთავრობის კაცები გვყავს ბევრი. ისინი ისე მომრავლდნენ სამთავრობო დაწესებულებებში, როგორც მასწავლებლები სოფლის სკოლებში. რას აკეთებს 140 პარლამენტარი ისეთს, რასაც 40 კაცი ვერ გააკეთებდა?

რა სიკეთეს მოუტანს საზოგადოებას ის სამინისტრო, რომელიც 10 ბავშვთან სკოლაში 12 მასწავლებელს ამუშავებს?! გაკვეთილი შემოქმედებითი პროცესია. მასწავლებლის უნარი, რომ საშუალოდ მაინც გამომჟღავნდეს 10-დან 15-მდე მოსწავლე მაინც უნდა ჰყავდეს. მინიატურულ სკოლაში ინტელექტუალურად ბავშვიც ზარალდება და ოსტატიც. ამას მასწავლებელიც კარგად გრძნობს, მაგრამ დუმს, იმიტომ, რომ ეკონომიკა ყველაფრის საფუძველია: ჩვენი ვალია, რომ არავის და არაფერს ბავშვის დაზარალების საშუალება არ მივსცეთ.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან უკონტროლობამ, უანგარობამ, უყაირათობამ და უპატრონობამ საქართველო მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომელმაც პროფესორ ახუაშვილს ათქმევინა: „საქართველოში ბინძური კაპიტალისტური ექსპანსიის გარეშე ცხოვრება არ შეიძლება“ ამ აზრს აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიიღებს თითოეული ობიექტურად მოაზროვნე კაცი, რომელიც ცხოვრების ახლო წარსულს ან აწმყოს გადახედავს.

როცა ქარველმა დეპუტატმა ლატვიელ კოლეგას ეკონომი-

კური თანამშრომლობა შესთავაზა, უარყოფითი პასუხი მიიღო: ქართველები ჯერ აკეთებთ, შემდეგ ფიქრობთ, ჩვენ ჯერ ვფიქრობთ და შემდეგ ვაკეთებთ“, ამიტომ ჩვენი თანამშრომლობა არ მოხერხდებაო“. ქართველმა კაცმა შესძლო რუსეთის თვალწინ-ვდენელ იმპერიაში ყველა რესპუბლიკაზე მეტად გაენადგურებინა ეროვნული სახალხო მეურნეობა და ჯამაგირების და პენსიების სიმცირით პირველი ადგილი დაეკავებია.

დიდად დალაგებული და გალაღებული ცხოვრება ხალხს არც ერთ ქვეყანაში ჯერ არ ჰქონია და ბუნებრივია, რომ არც ქართველ კაცს ექნებოდა, თავისი გეოპოლიტიკური და სუბიექტური ფაქტორების გამო. მატერიალისტები მიიჩნევენ, რომ ადამიანები მთლიანად დამოკიდებულნი არიან გარემო პირობებზე, იდეალისტების გაანგარიშებით კი – თანდაყოლილ ნიჭზე და თვისებებზე. თუმცა ორივე აზრი სიმართლის შემცველია, მაგრამ აბსოლუტურის არც ერთი. აბსოლუტურ ჭეშმარიტებად უნდა მივიჩნიოთ ორივე ფაქტორის კომბინირება. ილიას უთქვამს: „იქ რა ქნას ერთგულმა ხელმა, სად ცოდვას მაღლი დაუძლევიან“. ეს „ნენვა-გლეჯის ბაზრად“ ქცეული კაცთა ცხოვრება, თუ სიმართლესთან ერთად ძლიერი მუშტიც არა გაქვს, შენს სიმართლეს დამხრჩვალ დიდიხეობით შემოგახვევს კი-სერზე და ქვეყნის სამასხარაოდ გაგხდის. თუ კიდევ არ გაჩუმდები, შარაგზაზე დაგაგდებს ბებერი ხის კუნძივით. ან რამ უნდა შეუმალოს ხელი მისი „შემოქმედებისთვის“ შენი სიმართლე და პატიოსნება ანტითეზებია, რომელთა აბსოლუტური უარყოფა მისთვის დიდად საპატიო მოვალეობაა. ის ამ მოვალეობას იმოდენა მონდომებით და ხარისხიანად ასრულებს, თუნდაც მათუსალასავით რომ იცოცხლოს, მის შემოქმედებას ნაკლს ვერც ერთი სატანისტი ვერ მოუძებნის და ეს „ჭკვიანი“ ხალხი გმირად და წმინდანად შერაცხავს.

ქართველი კაცი არ არის ინდივიდუალისტი, როგორც ამას ბევრი ფიქრობს, პირიქით – იგი კოლექტივისტია, მაგრამ მომთხოვნიცაა კოლექტივის მიმართ. იგი მისგან მოითხოვს ისეთ ყურადღებიანობას თავის მიმართ, როგორსაც თვითონ იჩენს მის მიმართ. პასუხს რომ დადებითს ვერ ლეზულობს, გულჩათხრობილი და ინდივიდუალისტი ხდება. ასე, რომ იგი ინდივიდუალისტი ხდება კოლექტივიდან უყურადღებობისა და დაუფასებლობის გამო და არა სუბიექტური ფაქტორების კარნახით. ადრეულ საუკუნეში კი იყრიდა თავს კრებულად. გავისხენოთ თუნდაც მეფის მიერ სამხედრო ვალდებულთა საყოველთაო წესი „ქუდზე კაცი“. რაც შეეხება ცალკეულ ფეოდალთა პარტიკულაციურ ბუ-

ნებას, იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ ზოგად ეროვნულ ნაკლად, რადგან იგი დამახასიათებელი იყო ფეოდალთა ვინრო წრისთვის და არა ყველასთვის. გავიხსენოთ ბარათაშვილისეული პანორამა ასპინძის ბრძოლის წინ: ერეკლე ასე მიმართავს ჯარს „...დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული, ვის უფრო გვიყვარს ძმანო, მამული, ...შებლავლა მაშინ ჯარმა მრისხანედ: „შენი გამჩენის ჭირიმე შენი, რომ გაგვაგონე ეგ ხმა დღეგრძელი, ჩვენ თუ გინდ ერთ დღეს დავიხოცებით ოღონდ შენ იყავ, მეფევ დღეგრძელი“ აქ ქართველი ხალხის (ჯარის) მიერ დაძლეულია ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი, მაგრამ თუ გადავხედავთ თვითონ ერეკლეს შვილს გიორგი XII-ს, რომელიც ტიპიური წარმომადგენელია ინდივიდუალიზმისა, თელავში 2000 კაცით იდგა, რომლითაც როგორც ამომის კარგად მცოდნენი ამბობენ, შეიძლებოდა ომის ბედი ერეკლეს გამარჯვებით დაგვირგვინებულებოდა, მაგრამ გიორგის არ ეყო ვაჟკაცობა, რომ მამასაც მიშველებოდა და ერსაც.

ქართველი კაცი თავისი ბუნებით პოეტურია და არა ჯოგური. იგი პერსონალურ მიდგომას მოითხოვს სხვა ადამიანებისგან და მასთან ჯოგურობა ყოვლად გაუმართლებელია, რადგან ამნაირ შემთხვევაში ძნელად გამოამჟღავნებს თავის უნარს და შესაძლებლობებს, როცა რუსეთის მეფეს დადემქელიანის მიერ მომხდარი დანაშაულის ჩადენა მოახსენეს, უთქვამს: „რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, ქართველები სხვა ხალხია და განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვენთქო“.

ჰეგელისეული შეფასება კავკასიელი კაცისა, რომ იგი თავის შესაძლებლობებს აბსოლუტურ თავისუფლებაში ამჟღავნებს, მყარი ჭეშმარიტებაა. პოეტური ბუნება ვერ ეგუება კაზარმულობას და შეზღუდვებს. შეზღუდვების გარეშე არ არსებობს გაერთიანება, გაერთიანების გარეშე – სახელმწიფო. ზოგჯერ საჭიროა, რომ პატარა კაცებმაც შეიჭრიტინონ დიდი მოაზროვნეების ლაბირინთებში კაცთა ცხოვრების ზოგიერთი ფაქტორის მიზეზთა წარმოშობის საშუალებათა დასადგენად. პლატონი რომ თავის იდეალურ სახელმწიფოში პოეტებს არ აჩერებდა, – რატომ?! ალბათ იმიტომ, რომ პოეტები ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული რაინდები არიან. პლატონი კი მის სახელმწიფოში შავ სამუშაოებს მხოლოდ მონებს ასრულებინებს, ამას დიდ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სიკეთედ მიიჩნევს. ეს აზრი ყოველგვარ სამართლიანობას სცილდება. სამუშაო შავი იქნება თუ თეთრი აუცილებლად უნდა შესრულდეს, მაგრამ მისი შესრულება რომ რომელიმე კლასობრივ ფენას

დავუკანონოთ სამართლიანობისგან ამოვვარდებით. პლატონი იმ დროინდელი ტექნიკური აზროვნების დაბალი განვითარების გამო ვერ იტყოდა იმას, რის თქმაც და დადგენაც ახალ კაცს შეუძლია: „რომ შავი და საშიში სამუშაოები უნდა შევასრულებინოთ ძვირადღირებულ რობოტებს!“ ადამიანს, მონა იქნება იგი თუ მონათმფლობელი, უნდა შევასრულებინოთ ის სამუშაო, რომლისთვისაც იგი მონოდებულია, რომლისთვისაც იგი შეუქმნია არსთა განმრიგეს. ეზოპე მონა იყო, რას გაგიკეთებდა შავს სამუშაოზე იმის ფასს, რასაც კალმით აკეთებდა?! იქ მისი შეცვლა ყველას შეეძლო, კალმით შრომაში მას ძნელად თუ ვინმე შეცვლიდა. ქართველი კაცი თავისი პოეტური ბუნების გამო წინააღმდეგია ყოველგვარი უსამართლობისა, რამაც მას მეამბოხობისკენ და ყაჩაღობისკენ უბიძგა და მისი ჰუმანური ბუნება მთლიანად ვერა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც შეცვალა.

პოეტური ბუნებისთვის კაცი არ უნდა დაისაჯოს. ის მდგომარეობა, რომ ქართველი კაცი ვერ იტანს შეზღუდვებს და თუ შეზღუდავთ მასაც დავაზარალებთ და თავსაც. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანამედროვე ქართველი კაცი ძლიერი ინდივიდუალისტი და სუსტი კოლექტივისტია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მთელ მის ცხოვრებაზე, მას რომ საზოგადოებრივი წარმოების განვითარება და წინსვლა დიდ სიკეთედ არ მიაჩნია, ეს ფსიქოლოგიური კვლევის საგანია.

ეპითეტებს არ საჭიროებს იმის დამტკიცება, რომ წითელმა კოლექტივმა ქართველი კაცი კი არ გააკოლექტივისტა, პირიქით – გააინდივიდუალისტა და გაინდივიდუალისტებულ კოლექტივისტს ახალმა მთავრობამ ახალი კოოპერატივები, აქციები, ასოციაციები და ათასი სხვა რამეები შესთავაზა, მაგრამ იმ წითელი კოლექტივისგან დაშინებულმა ხალხმა ვერც ერთი ვერ მიიღო, ვერც ერთი ვერ გაითავისა. წითელი კოლექტივების დაშლით მთავრობამ დიდად შეუწყო ხელი ბურჟუაზიას ჯერ კოლექტივების და შემდეგ გლეხობის მიწების ხელში ჩასაგდებად.

წარმოების საშუალებებს მოკლებული გლეხობა, რომელიც ჯერ კიდევ არის აქა-იქ სოფლებში შემორჩენილი უპატრონობის და უიდუობის გამო მინიმალურადაც ვერ იყენებს მიწის იმ ნაკვეთს, რომელიც მთავრობამ მას საკუთრებაში დაუკანონა და არის მიჩერებული როდის ამოვა ქალაქიდან თურქული ხორაგით დატვირთული კომერსანტის ავტომობილი.

წარმოების საშუალებებს მოკლებული გლეხობა ვერც ანგარიშთანობაში იჩენს უნარს. თუ სოფელს რომელიმე უბანში

აქვს 1 კვადრატული კილომეტრი სახნავი მიწა, მის შესაღობავად დასჭირდება 4 კმ სიგრძის ლოზე, მაგრამ რადგან ხალხს კოლექტივის არაფერი სწავს, თავისი ინდივიდუალისტობის გამო, მასში არ შედის, ხოლო გამოყოფის თავი არა აქვს და ტოვებს მიწას დაუმუშავებელს. ეს ყველაფერი მაჩვენებელია ეკონომიკური აზროვნების სივინროვითა და ინდივიდუალიზმით – კოლექტივისადმი ცუდი დამოკიდებულებით.

ქართველმა კაცმა, როგორც ცხონებული ილია ამბობს „უნდა ისწავლოს საერთო საქმისათვის ერთად, კრებულად თავის მოყრა და ერთად უღლის წევა“, რომ ადამიანის შესაძლებლობების გამოუმყლავნებას ფართო ასპარეზი სჭირდება და არა კომუნისტების მიერ მოგონებული და დაკანონებული მარტოოდენ გლეხური საკარმიდამო მიწის ნაკვეთი.

ქართველმა კაცმა უნდა გაიაზროს თავისი სისუსტე და გაჭირვება, რომ სისუსტე და სიცოცხლის წყურვილი აიძულებს არსებებს, გაერთიანდნენ. ჭიანჭველების ოჯახი 80 ათასამდე წევრს ითვლის. ამ უმწეო არსებას „შეუგნია“ გაერთიანების სარგებლიანობა და ადამიანებმა როგორ ვერ უნდა შეიგნონ. დიდი მტაცებლები კი დახეტილობენ მარტო თავის ძალაში დარწმუნებულნი, მაგრამ დიდი საშიშროების დროს ერთიანდებიან. სპილოს ლომების ჯგუფი ესხმის თავს, ხოლო ინდივიდუალურად შებმას ერიდებიან.

თუ არა ადამიანების ერთობლივი ცხოვრება, არც ბგერითი ენა შეიქმნებოდა როგორც საკომუნიკაციო საშუალება და არც კაცობრიობის კულტურასთან და ცივილიზაციასთან გვექნებოდა საქმე.

ახლა ადამიანს გამარტოკაცება პრეისტორიისაკენ ექაჩება და თუ ქართველ კაცს ვერ შევავნებინეთ გამარტოკაცების დამლუპველი ფუნქციის როლი, კაცობრიული კულტურის დაღუპვის საქმეში იგი ვერ გადარჩება.

სახელმწიფოზე მისევით, ვინც არ უნდა განიზრახოს ეს ბოროტება, კარგს ვერაფერს მოუტანს ვერც თავს და ვერც სხვას. სახელმწიფოს, თუ ის მთლად არ შეირყა ჭკუიდან ფაშისტური გერმანიასავით, დანგრევა კი არა გაკეთილშობილება უნდა სახელმწიფოს, როგორც საშუალების გამოყენება შეიძლება ბოროტადაც და სიკეთედაც იგი როგორც მაორგანიზებელი ორგანო მარადგანახლებადი კაცობრიობისა მუდამ იარსებებს, შეიცვლის მხოლოდ ფუნქციას, იგი არც უმცირესობის დაცვას აიღებს კისრად და არც უმრავლესობისა იგი გახდება დამცველი და გამტარებელი სიმართლისა და პატიოსნებისა, ჰუმანიზმისა და ყოველგვარი კაცობრიუ-

ლი სიკეთისა დღემდე ასეთი სახელმწიფო არ არსებულა და არც ახლო მომავალში არის მოსალოდნელი. სამართლებრივი სახელმწიფო აბსოლუტურ თავისუფლებას მისცემს მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომელთა სულიერი სამყარო განმწინებული იქნება იმ უზღვავე მანკიერი ჩვევებისაგან, რომლითაც თანამედროვე ადამიანი ბევრს ჯორივითაა დატვირთული. ასე, რომ აბსოლუტურ თავისუფლებას მხოლოდ კრისტალურად სუფთა ზნეობის მატარებელი ადამიანები მიიღებენ. ხოლო ძაღლების და მამაძაღლების თავისუფლება მძიმე დანაშაულია, რომელსაც სამართლიანი სახელმწიფო ვერასდროს დაუშვებს. მისი დაშვება მხოლოდ ისეთ ძაღლებს და მამაძაღლებს შეუძლიათ, რომელთა მსგავსებს ხალხის ბედის სამართალ საჭესთან სამართლებრივი სახელმწიფო ვერასდროს გააკარებს.

კაცთა ცხოვრება გამუდმებული დინამიკაა. იგი ხან პლიუსისკენ მიისწრაფვის ხან მინუსისკენ. თუ საითკენ აიღებს მიმართულებას ეს მთლიანადაა დამოკიდებული გარემო პირობებზე. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდად შეიცვალა ხალხის აზროვნება. ქართველი კაცი გაეცნო შიგანვის ძრავებს და ელექტრო მანქანებს. საქართველოში იშვიათად აღმოჩნდება ოჯახი რომ ტელევიზორი არ ედგას. ამ საუკუნეში კი კომპიუტერიც დამკვიდრდა ცხოვრებაში, რაც უდავოდ დიდი პროგრესია. მაგრამ რწმენის და ზნეობის თვალსაზრისით ცხოვრება აჩქარებული ნაბიჯით მინუსისკენ მიიწევს კომუნისტებმა თავისი ათეისტური პროპაგანდით ქრისტეს რწმენიდან კომუნიზმის რწმენაზე დაიწყეს ხალხის გადაყვანა. ძველზე ხელი ააღებინეს და ახალი ვერ დანერგეს. მოძალებულმა კოსმოპოლიტიზმმა და გლობალიზმმა აყიროსავით მოისროლეს ეროვნულ კულტურასთან ერთად ძველი ადათ-წესები და თვითონ ძღვევამოსილად დამკვიდრდნენ მათ ნიადაგზე. ძველი კაცები რომლებიც კიდევ არიან შემორჩენილი ჩვენს მოსახლეობაში ძნელად, მაგრამ მაინც იცავენ ძველ პროგრესულ ადათ-წესებს. ახალგაზრდების დიდ ნაწილს კი ხელი დასავლეთისკენ აქვთ გაშვებული, შენ ხარ ჩვენი გამკულტურებელი, შენ ხარ ჩვენი ღვთაებაო. პარადოქსული ფაქტია ის მდგომარეობა, რომ ქართველი კაცი, რომელიც ახლო მეზობელსაც ვერ ეგუება მარტივად და იოლად ფიქრობს ევროპასთან ასიმილირებას.

ქართველ კაცს, რომლის მოტყუებას და გაყვლევას უამრავი უცხოელი და მასთან ერთად მისი თანამემამულეც ცდილობდა და ახლაც ცდილობს, გამოუჩუქავდა უნდობლობის უპირობო რეფლექსი, რომელიც შემდეგში პირობითად იქცა. ჩვენში თუნდაც

ახალგაზრდა კაცს, რომ რამე ურჩიო, გაუკვირდება და გკითხავს „შენ რა გაგიკეთდება მე რომ ასე მოვიქცეო“. კაცთა ცხოვრების ღრმად მცოდნე ილია ჭავჭავაძეს ეს მდგომარეობა დიდი ხნის წინათ შეუძრნევია, როცა მის გაბრიელს მღვდელი წერა-კითხვის შესწავლას უფასოდ სთავაზობს, გაკვირვებული ბავშვი ეკითხება „მამაო, შენ რა სიკეთე გექნება მე რომ წიგნი ვისწავლო“-ო ბავშვი ასეთ პასუხს ლებულობს: „ამით ჩემი სული ცხოვდება“-ო ბავშვში გაჩნდა რწმენა, რომ ის ზედმეტი ადამიანი არ ყოფილა, რომ მისი არსებობა ვილაცას რაღაცაში არგია.

უტილიტარიზმი როგორც კაცთა, ისე საწარმოთა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია, რომელიც აუცილებლად უნდა გაიანგარიშოს კაცმა. უნდა დაადგინოს ვისთვის რას წარმოადგენს თვითონ ან მისი ქვეყანა. ვის რა სარგებელი შეიძლება ანახოს მან სხვას, ან სხვამ მას.

საქართველო ევროპისთვის წარმოადგენდა რკინის კედელს, რომელიც აკავებდა და შეძლებისდაგვარად ანადგურებდა და თუ ვერ ანადგურებდა დიდად აზარალებდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმავალი დამპყრობლებს. ამ ფუნქციას საქართველო საჭიროების შემთხვევაში ახალ დროშიც შეასრულებს, ასე, რომ ევროპა ქართველ კაცს ხარჯების გარეშეც მაქსიმალურად გამოიყენებს და მისი პატრონობისათვის რაღაზე შეინუხებს თავს?! ეს „მოძმე“ თურქეთი ბრიყვი არასდროს ყოფილა და არც ახლა არის, რომ საქართველოზე პასუხისმგებლობა აიღოს, მის გარეშეც მშვენივრად ჯიჯგნის მას. რაც შეეხება რუსეთს, რომლისთვისაც საქართველო რუსული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, წარმოადგენს, „южная застава“-ს სხვაზე ცოტათი მეტად ფიქრობს ქართველ კაცზე, რადგან მისი გათათრება ან გაკათოლიკება არ აწყობს, მაგრამ თუ გარუსებაზე მოუწერს ხელს დიდად კმაყოფილი დარჩება, თუ უარს ეტყვის, არც ამისთვის დაემდურება დიდად.

ქართველ კაცს არც რუსული ანდაზის ცოდნა მოუტანს ზიანს, რომელიც გვაიმედებს: რომ «Дьявол не так страшен как его рисуют».

ზელიმ ჩაკვეტაძე

18-XII-2020 წ.

სარჩევი

ნინასიტყვაობა	3
საქართველოს მთავრობის კომპლიკაცია და ერის გადამრჩენი ფაქტორები	5
ქალი და პოლიტიკა	27
პიროვნება, სამშობლო, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი.....	38
კაცურკაცობა, ვაჟკაცობა და გმირობა	47
„საქართველო და მსოფლიო“-ს პოლიტიკური პათეოლოგია..	57
არსენა ოძელაშვილი და მისი პასკვილანტები.....	65
ქართველი კაცი, ღვინის კულტი და არსენას პასკვილანტები..	73
ვაი ქართული ჭკუის სატელიტია.....	86
ყაჩაღები, ქურდები და საზოგადოება.....	96
რეცენზია ნიგნისა „ებრაელთა ბიბლიური შეთქმულება“	102
ერის დამლუპველი ძირითადი ფაქტორები.....	107
მდიდრებისა და ღარიბების ცხოვრების ინტერპრეტაცია	126
სახელმწიფო და ქართველი კაცი.....	136